# კვირის პალიტრა

№ 39 (450) ◆ 29 სექტემბერი – 5 ოქტომბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



## „უცვლელი რეპერტუარი – მკვიდრდება შეხედულება, რომ ღირსეული არავინ არის“

„წარმოიდგინეთ, რომ შევარდნაძეს რომელიმე რეგიონში ქვები დაუშინონ...“ გვ.3

## უპრეცედენტო ფაქტი: იუსტიციის მინისტრის მოადგილეს შუბლზე იარაღი დაადეს(?!)

თავდამსხმელმა მოიძრო სათვალე, კეპი აიწია და ჰკითხა: „მიცანი?! გახსოვს, როგორ გამაწამე?! გაგიხვრიტო შუბლი?!“... კივილი დავიწყეთ: – არ გინდათ! არ გინდათო! ბატონ ზურაბს ერთი-ორჯერ შეაგინეს, სტუდენტებს ბოდიში მოგვიხადეს, თან გვითხრეს: – იცით, ეს როგორი ნაძირალააო?!... და წავიდნენ. გვ.5

## „ეი-ი-ეს-ის“ უკანონო ჩათვლებიდან ნიკას წილებს სთავაზობდნენ...“



– ნიკო იმიტომ მოკლეს, რომ იგი მაფიას გადაეღობა წინ. ნიკომ უკანონობის გამოსწორება მოინდომა. ის კი ვერ გაითვალისწინა, რომ როცა საქმე მილიონებს ეხება, არავინ დაინდობდა. ჩანს, მკვლელმა გათვალა, რომ ნიკოს მოკვლის შემდეგ აღარავინ შეუშლიდათ ხელს... გვ.13

რა ვერსიებზე საუბრობს ნიკა ლომინაძის მეუღლე

## „მამალაძე ბოლნისში ოქროს გასაკონტროლებლად მოდის“



ხელისუფლებას ქვების სროლის აღკვეთა მაინც უნდა შეეძლოს...

სტუდიაშივე შემაგინა, შენი თათარი დედაო... ჩვენს ბოლო მანქანას გადაუდგნენ ჯაფარიძისიანები. თურმე 100 შეიარაღებული კაცი ჰყოლია ჩამოყვანილი თბილისში. მაშინ მოხდა ინციდენტი... გვ.7,30

ჯაფარიძე ბენზინგასამართ სადგურებზე დარბის, ყოველდღე 10 და 20 ლარს აგროვებს და 200 ათასზე უარს იტყოდა?



„გამოიძიონ და ვინც დასასჯელია, საკადრისი უნდა მიუზღონ... არჩევნების გადადება თვითონ ოპოზიციას სურს და ამიტომაც მიმართავს ასეთ ექსცესებს. ვინც დღეს სააკაშვილს აქებს – „ყოჩაღ, მიშაო!“, მისი მტერია. ამ ფაქტით მიშამ რეიტინგი დაკარგა...“ გვ.7

ზოგიერთი ჩემი თანამებრძოლი ბინძურ ჭორებს მივრცელებს...

## რომელ პოლიტიკური ლიდერი იმსახურებს თქვენს ნდობას ყველაზე მეტად?

გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები გვ.35

## სამხედრო თემაზე:

ისეთი სიტუაცია უნდა შექმნილიყო, რომ აფხაზეთის პლაჟებზე დასვენება თვით ციმბირელ რუსსაც კი არ მონდომებოდა. გვ.8

საგანგებოდ უნდა ჩაშლილიყო სეპარატისტების საქართველოზე გამარჯვების დღეების ზეიმი, განსაკუთრებით 30 სექტემბერი...

## რას წერენ ჩვენზე:

*სეპარატისტული აფხაზეთი ქართველებზე გამარჯვების 10 წლისთავს ზეიმობს. აფხაზური მასმედია გამარჯვებულთა(?!) ინტერვიუებსა და ომის პერიპეტიების „საგმირო“ საქმეებს ამზეურებს... ამ პუბლიკაციებში ქართველი მკითხველისთვის ბევრი საყურადღებო ინფორმაცია დევს...* გვ.14,27

## ახალი მსოფლიო რეკორდი

### ...კვადრილიონ... ტრილიონ... მილიარდ... მილიონ... ათასი

ამ მათემატიკური მაგალითის ამოხსნა კი არა, ბევრს ალბათ პასუხის წაკითხვაც არ შეუძლია. გვ.30





## გააკეთეთ პროგნოზი და... მოიგეთ ფერადი ტელევიზორი

გვ.7

არჩევნები-2003

## რისთვის წველიან მინდორში ძროხებს პატარა ნარკომანები



„მანაგუა“ კუჭის ტკივილის „გასაყუჩებლად“?!

– როცა კუჭის ტკივილი შეგვაწუხებს, გასაყუჩებლად ცოტ-ცოტას ვსვამთ. თითქმის ყველას კუჭი გვტკივა. ნახევარი წელიწადია ცხელი საჭმელი არ გვიჭამია. ბაზრობებზე გაკეთებული ხაჭაპურით და ღვეზელებით ვიკვებებით, სხვა რამის საყიდლად ფული არ გვრჩება... კარგ ბალახს მივუტანთ ყველზე თვინიერ ძროხას და იგიც მოწველის საშუალებას გვაძლევს. გვ.6

## კვლავ ეს პრობლემური ფერიმჭამელები

„ზინერიტი“ ეფექტური გამოსავალი“ გვ.25

სასამართლო

გვერდი 17–20

# თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## საინიციატივო ჯგუფს რეფერენდუმზე უარი ეთქვა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ქვეყანაში მინისტრთა კაბინეტის შემოღების შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვდა. ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით „ტრადიციონალისტები" გამოდიოდნენ, რომლებიც მინისტრთა კაბინეტის შემოღებას იმ პირობით ითხოვდნენ, რომ პრემიერ-მინისტრობის უფლება ყოფილ პრეზიდენტს არ უნდა ჰქონოდა, რაც ცესკოს აზრით, კონსტიტუციის დარღვევა და ადამიანის უფლებათა შელახვაა. თუმცა „ტრადიციონალისტები" ცესკოს არ ეთანხმებიან და გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავენ.

## სროლა ვანში

26 სექტემბერს, ღამით, ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოს გამგებელს შალვა ლორთქიფანიძეს, რომელიც ამავდროულად მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ბეჟან ხურციძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელია, გზაზე რამდენიმე მანქანა გამოედევნა.

ლორთქიფანიძემ სოფელ სალხინოში მოასწრო თავისი მანქანის მიტოვება, ღობეზე გადახტა და ერთ-ერთი მაცხოვრებლის ეზოში მიიმალა. მდევრებმა ჰაერში ცეცხლი გახსნეს და შემდეგ ლორთქიფანიძის მანქანა ხელკეტებით დააზიანეს.

შალვა ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ თავდასხმა რაიონის ამჟამინდელი მაჟორიტარი დეპუტატის, მელორ ტყეშელაშვილის ახლობლებმა მასზე პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით მოახდინეს. თავის მხრივ, ამ ფაქტს შანტაჟს უწოდებენ მელორ ტყეშელაშვილის მომხრეები.

## დაკარგული ჯარისკაცის ძებნა გრძელდება

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილე ვიქტორ კონდრატენკო იმედოვნებს, რომ სამშვიდობო ძალების დაკარგული რიგითის, გრიგოლ დერევიანოის გაქრობის მიზეზი მხოლოდ გზის აბნევაა, რადგან მისი თქმით, ჯარისკაცი ზუგდიდში პირველად იმყოფებოდა.

27 სექტემბერს, დერევიანოი ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზართან დაიკარგა. ზუგდიდის პოლიცია და უშიშროება ეძებს მომხდარის თვითმხილველებს. მანქანაში, რომლითაც დერევიანოი საკოლმეურნეო ბაზარში მივიდა პროდუქტების შესაძენად, ნაპოვნია მისი ქუდი და სიგარეტი.

თვითმხილველთა მტკიცებით კი ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ სამშვიდობო ძალების მანქანასთან გაჩერდა „ჟიგულის" მარკის უნომრო ავტომანქანა, საიდანაც 4 შეიარაღებული პირი გადმოხტა. მათ ერთ-ერთი ჯარისკაცი ძალის გამოყენებით თავის მანქანაში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

## ნათელაშვილი რეგიონებში გასვლას იწყებს

ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების მიზნით საქართველოს რეგიონებში გასვლას და მოსახლეობასთან შეხვედრებს იწყებს. პირველ ასეთ შეხვედრას ლეიბორისტთა ლიდერი კასპის რაიონში გამართავს. როგორც ნათელაშვილმა განაცხადა, კამპანიის დაწყების ადგილად კასპის რაიონი შემთხვევით შეირჩა, თუმცა ის თავისი რესურსებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაიონია. მოსახლეობასთან შეხვედრა რაიონის ცენტრალური სპორტული კომპლექსის მრგვალ დარბაზში შედგება, სადაც ლეიბორისტთა ლიდერი ამომრჩევლებს პარტიის საპროგრამო გეგმებს გააცნობს. იგი ისაუბრებს ასევე კასპში ცემენტის წარმოების შესახებ, რომელიც ნათელაშვილის თქმით, „მაფიოზების" ხელშია. ლეიბორისტული პარტია კასპის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად პარტიის კოორდინატორს, სამბოში საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს, ოლეგ იაძეს წარადგენს.

## ფსოუზე ხიდი ექსპლუატაციაში ერთ თვეში შევა

რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ მდინარე ფსოუზე მშენებარე ხიდი ექსპლუატაციაში 31 ოქტომბერს შევა. თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის, კონსტანტინ ტუშბას მტკიცებით, რუსი და აფხაზი მშენებლები დაჩქარებული ტემპებით ახორციელებენ რუსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობას. მისი თქმით, აღნიშნული ხიდი ორ წელიწადში საავტომობილო გახდება და მის გვერდით რუსი მშენებლები ფეხით მოსიარულეთათვის ახალ, 16-მეტრიან ხიდს ააგებენ. სოხუმის ხელისუფლება რუსული მხარისგან ფეხით მოსიარულეთათვის რუსეთისა და აფხაზეთის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის საკითხს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ითხოვდა.

## მამალაძე ქვანიასა და სააკაშვილს ადანაშაულებს

ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი, ამჟამად სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბოლნისის რაიონში ლევან მამალაძე „ნაციონალურ მოძრაობას" ბოლნისის რაიონში წინასაარჩევნო ვითარების დაძაბვის მცდელობასა და 340 ბოლნისელის პირადობის დამადასტურებელი რეკვიზიტის უკანონოდ მითვისებას სდებს ბრალად. მამალაძის თქმით, რეკვიზიტების „გაქრობაში" აქტიურ მონაწილეობას იღებდა „ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბოლნისის რაიონში ქემალ მურადხანოვი. ყოფილი გუბერნატორი ეჭვობს, რომ რეკვიზიტების მეშვეობით „ნაციონალებს" 2 ნოემბერს ბოლნისში არჩევნების გაყალბება და ე. წ. კარუსელის მოწყობა ჰქონდათ დაგეგმილი. თავის მხრივ, „ნაციონალური მოძრაობა" საქართველოს ხელისუფლებას ოპოზიციის წინააღმდეგ რეპრესიების დაწყებაში ადანაშაულებს. მათი მტკიცებით, სამართალდამცველებმა ქემალ მურადხანოვს მხარდამჭერთა სიები და პასპორტები ჩამოართვეს, რომლებიც მას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა წარედგინა.

## რჩეულიშვილმა თავისი კონცეფცია წარადგინა

სოციალისტთა ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი აშშ-ში ერთკვირიან ოფიციალურ ვიზიტს განაგრძობს. ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილესთან, ლინი პასკოსთან შეხვედრაზე მან საქართველო-რუსეთი-ამერიკის „ჯვრისებრი ვექტორების კონცეფციის" პრეზენტაცია მოაწყო. კონცეფცია, რომელიც საქართველო-რუსეთი-ამერიკის მჭიდრო თანამშრომლობასა და პარტნიორობას ითვალისწინებს, რჩეულიშვილმა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ მხარდაჭერილად და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილად წარადგინა. ვიზიტის ფარგლებში რჩეულიშვილი ასევე აშშ-ის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს, მეტ ბრიზას შეხვდა და საქართველო-ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვა.

## ევროსასამართლოს ემისრები საქართველოში

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ საქართველოში დაკავებული ჩეჩენი ეროვნების 13 მოქალაქის საქმის დეტალების დასაზუსტებლად თავისი ემისრები გამოაგზავნა. გავრცელებული ინფორმაციით, სტრასბურგის სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლის, პაველ ლაპტევის არგუმენტებით, ევროსასამართლოში წარდგენილი ჩეჩნების სარჩელი ანონიმურად ითვლება, რადგან სასარჩელო განცხადებას განსასჯელები ნამდვილი გვარ-სახელებით არ აწერენ ხელს და ხელმოწერების წაკითხვაც თითქმის შეუძლებელია. პაველ ლაპტევი ამავდროულად ეჭვქვეშ აყენებს ჩეჩნების ადვოკატის, ლია მუხაშავრიას ოფიციალური წარმომადგენლობის კანონიერებასაც და აცხადებს, რომ მუხაშავრია წარმომადგენლად არა განსასჯელებმა, არამედ მათმა ნათესავებმა სცნეს.

## „დამოუკიდებლობის დღეზე" დივერსიებს ელიან

„გვაქვს ყველა საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ არსებობენ ძალები, რომლებიც ვითარების დესტაბილიზაციითა და დაგეგმილი ღონისძიებების ჩაშლით არიან დაინტერესებულნი", — განაცხადა სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გარი კუპალბამ რუსეთის მასმედიის წარმომადგენლებთან საუბარში. „აფხაზეთის დამოუკიდებლობის დღეს", 30 სექტემბერს სოხუმში ქალაქის გარნიზონის ძალებით სამხედრო აღლუმი ჩატარდება.

ადრე აფხაზეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ გივი აგრბამ განაცხადა, რომ დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან აფხაზეთის რესპუბლიკის გალისა და გულრიფშის რაიონების ტერიტორიაზე უკვე 70-ზე მეტი დივერსანტია გადასროლილი.

## არჩვაძე-გამსახურდია მთავრობის გაუქმებას ითხოვს

მანანა არჩვაძე-გამსახურდია მთავრობის გაუქმებას სასამართლოს ძალით ითხოვს. საკონსტიტუციო სასამართლომ პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანების, „მრგვალი მაგიდის" სპიკერის მანანა არჩვაძე-გამსახურდიას სარჩელი, რომელიც არსებული მთავრობის გაუქმებას გულისხმობს, რეგისტრაციაში გაატარა. „მრგვალი მაგიდის" წევრების განცხადებით, ისინი საქართველოს უკანონო, არალეგიტიმური ხელისუფლების, პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლების, გუბერნატორობის ინსტიტუტის, საკრებულოების, მერიების და ცესკოს გაუქმებას მოითხოვენ. გარდა ამისა, მოსარჩელეები 1992 წლიდან, საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგების ბათილად ცნობასაც ითხოვენ. „მრგვალი მაგიდის" სპიკერის, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას განცხადებით, პოლიტიკური გაერთიანების წევრებს 1990 წელს შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურად ცნობა სურთ.

## სეპარატისტებს მოხუცებისაც ეშინიათ

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის სამხედრო სასამართლომ საქართველოს მოქალაქეს, 81 წლის გიორგი ნანავას 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა(?!). სასამართლოს თავმჯდომარის, რომან მუშბას მტკიცებით, სასამართლოზე, რომლის ყველა სხდომას გაეროს სოხუმის ოფისის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ნანავამ აღიარა სახელმწიფო საზღვრის უკანონო დარღვევა, იარაღის უკანონო ტარება და ასაფეთქებელი ნივთიერებების აფხაზეთის ტერიტორიაზე გასაღება. ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმნის მკვიდრი გიორგი ნანავა აფხაზმა სამართალდამცველებმა გულრიფშის რაიონში მიმდინარე წლის 29 ივლისს დააკავეს. აფხაზური მხარის მტკიცებით, ნათესავების მოსანახულებლად აფხაზეთში ჩასულ მოხუცს ე. წ. „შაჰიდის ქამარი" და 1,5 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩნდა. მათივე მტკიცებით, სწორედ ნანავას საშუალებით გეგმავდნენ ქართული სპეცსამსახურები აფხაზეთის ტერიტორიაზე ხალხმრავალ ადგილებში აფეთქებების განხორციელებას(?!). ქართველი სამართალდამცველების აზრით, 81 წლის მოხუცის ტერორისტად გამოცხადების უპრეცედენტო ფაქტი მსოფლიო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი გახდება.

## საქართველოს აშშ-ის დახმარება შეუწყდება

ყოფილი სოციალისტური ბანაკის იმ 27 ქვეყნიდან, რომლებსაც ამერიკა ეხმარება, თავისი განვითარების დონით — უკანასკნელ, ხოლო კორუფციის განუზომლად დიდი მასშტაბებით და რეფორმების ძალზე დაბალი ტემპით საქართველო პირველ ადგილზეა, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის ბიუროს დახმარების კოორდინატორის მოადგილემ ტომას ადამსმა. მისი თქმით, მიმდინარე წელს აშშ-მ საქართველოს დახმარების მიზნით 110 მილიონი დოლარი გამოუყო. თუმცა, როგორც ტომას ადამსმა განაცხადა, იმის გამო, რომ მთელ რიგ სფეროებში ეს დახმარება არაეფექტურად გამოიყენეს, ამერიკა წყვეტს ისეთი სფეროების დაფინანსებას, როგორიც ენერგეტიკა, ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს საგადასახადო სისტემაა. დახმარებები გაუგრძელდებათ საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, საბაჟო სამსახურს და თავდაცვის უწყებას. ადამსის თქმით, მომავალ წელს ამერიკა კვლავაც განახორციელებს იმ დახმარებების მონიტორინგს, რომელსაც აშშ საქართველოში ახორციელებს და თუ კვლავ არადამაკმაყოფილებელი შედეგები იქნება, შესაძლოა დახმარებები საერთოდ შეწყდეს.

## ლეგენდარული თაობა მყინვარწვერს დაუბრუნდა...

21-26 სექტემბერს მყინვარწვერზე, დევდორაკისა და გერგეთის მხრიდან ერთდროულად ავიდა ქართველ ვეტერან ალპინისტთა ორი ჯგუფი. მარშრუტი მყინვარწვერზე პირველი ექსპედიციის 80 წლისთავს მიეძღვნა — ექსპედიცია კი ქართველმა მეცნიერმა და მთამსვლელმა, ლეგენდარულმა გიორგი ნიკოლაძემ განახორციელა.

„მთის მგლებმა" პირველ რიგში თავიანთ თავს, ხოლო შემდეგ ახალგაზრდა მთამსვლელებს დაუმტკიცეს, რომ მუხლიც უჭრით, ძალაც ერჩით და ყინვაგამძლენიც არიან, თანაც ისიც შეუძლიათ, 5.047 მეტრის სიმაღლიდან გადმოხედონ საქართველოს.

67-72 წლის ალპინისტები ბარში მზით დამწვარნი დაბრუნდნენ და შესაშურად ჯანმრთელად გამოიყურებიან. სხვათა შორის, ზოგიერთი მათგანი კიდევ დიდხანს აპირებს მწვერვალების დალაშქვრას (ამ ექსპედიციის შესახებ დაწვრილებით მომდევნო ნომერში მოგითხრობთ).

## „თელასი" და საბითუმო ბაზარი შეთანხმდნენ

„ეი-ი-ეს თელასსა" და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს შორის არსებული ერთწლიანი უთანხმოება დასრულდა. მხარეები შედარების აქტების ხელმოწერის თაობაზე შეთანხმდნენ. როგორც ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში განაცხადეს, „თელასის" ახალ მეპატრონესთან — რუსულ კომპანია „რაოესთან" მიღწეული შეთანხმებით დაფიქსირდა, რომ საბითუმო ბაზარს „ეი-ი-ეს მტკვრის" 61 მლნ ლარი მართებს, ხოლო თავის მხრივ „ეი-ი-ეს თელასს" ბაზრისთვის 35 მლნ ლარი აქვს გადასახდელი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავალიანებები გაიქვითება და საბოლოოდ საბითუმო ბაზარს „ეი-ი-ეს მტკვრის" მიმართ 25 მლნ ლარის ოდენობით დავალიანება დარჩება, რომელსაც არსებული საბაზრო წესის მიხედვით დაფარავს.

## დამკვირვებელს საქართველოც გაგზავნის

ჩეჩნეთში 5 ოქტომბრისათვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებელს დსთ-ის სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოც გაგზავნის. პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადებით, ჩეჩნეთში დანიშნულ არჩევნებზე დამკვირვებლების გაგზავნის თხოვნით 18-19 სექტემბერს იალტაში გამართულ დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა სამიტზე კოლეგებს რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა მიმართა. „რეალურად არ ვფლობ ინფორმაციას ჩეჩნეთში არსებული ვითარების შესახებ და მიჭირს იმის თქმა, თუ როგორ ჩატარდება ჩეჩნეთში საპრეზიდენტო არჩევნები. რაც შეეხება პუტინის თხოვნას, ქართული მხარე ამ საკითხს განიხილავს და კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებს დამკვირვებელთა წარგზავნის სასარგებლოდ", — განაცხადა პრეზიდენტმა.

## პრემიერობას დროებით ვიცე-პრემიერი შეითავსებს

თბილისის პრემიერის ვაკანტურ თანამდებობას დროებით ქალაქის ვიცე-პრემიერი თემურ ქურხული შეითავსებს. როგორც თბილისის მერიაში განაცხადეს, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის, მიხეილ სააკაშვილისა და ქალაქის მერის, ვანო ზოდელავას შეთანხმების საფუძველზე პრემიერის კანდიდატურას მერი პრეზიდენტს ოფიციალურად 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წარუდგენს. კულუარული ინფორმაციით, თბილისის პრემიერის თანამდებობაზე ქალაქის მეორე ვიცე-პრემიერის, გიორგი კარბელაშვილის კანდიდატურა განიხილება. თბილისის პრემიერმა გიორგი შერაძემ თანამდებობა 18 სექტემბერს დატოვა. იგი საპარლამენტო არჩევნებში სახელისუფლებო ბლოკის სიით იყრის კენჭს.

## ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებას ბრალს სდებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სახელისუფლებო ბლოკს „ბურჯანაძე-დემოკრატების" წინასაარჩევნო კამპანიის ჩაშლის მცდელობასა და საქართველოს მოსახლეობის დაშინებაში ადანაშაულებს. ბურჯანაძის თქმით, სახელისუფლებო ბლოკის ლიდერები და გუბერნატორები პირდაპირ მითითებებს აძლევენ რაიონის გამგებლებს, რომ „ბურჯანაძე-დემოკრატების" წინასაარჩევნო გასვლები ჩაშალონ და დააშინონ ხალხი, რათა მათ ოპოზიციური აზრი არ მოისმინონ და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე არ მივიდნენ.

## ადვოკატი საპყრობილეში ნარკოტიკის შეტანას ცდილობდა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის მე-5 საპყრობილეში ერთ-ერთი ადვოკატი ნარკოტიკული ნივთიერების შეტანას ცდილობდა.

არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დააკავეს 39 წლის ირაკლი პირველი, რომელსაც მობილური ტელეფონის ბუდეში ნარკოტიკული ნივთიერება — 13 გ მარიხუანა აღმოაჩნდა. ნარკოტიკული ნივთიერება მას ერთ-ერთი მსჯავრდადებულისთვის უნდა გადაეცა.

იმავე საპყრობილეში დააკავეს აგრეთვე 20 წლის ვარლამ ქოჩიაშვილი, რომელსაც მალულად 1,1 გ ოპიუმი შეჰქონდა.

აღნიშნულ ფაქტებზე მოკვლევას მე-5 საპყრობილის უსაფრთხოების სამსახური აწარმოებს.




## ამერიკული არმია ერაყში რჩება

ამერიკული სამხედრო კონტინგენტის ძირითადი ნაწილი ერაყში 2004 წლის ბოლომდე დარჩება. ამის შესახებ აღნიშნა აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლ ვულფოვიცმა ამერიკის კონგრესის კომიტეტში გამოსვლისას. ამასთან, მან ჯარების გამოყვანის ზუსტი თარიღის დასახელებაზე უარი განაცხადა. ვულფოვიცის თქმით, ამერიკელები ერაყში „სამუშაოს დასრულებამდე" დარჩებიან.

კონგრესმენი-დემოკრატები ვარაუდობენ, რომ თეთრი სახლი ერაყიდან ჯარებს უშუალოდ 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ გამოიყვანს, რათა ახლანდელი ადმინისტრაციის პოპულარობა გაზარდოს, თუმცა ვულფოვიცმა ეს მოსაზრება უარყო. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება ადმინისტრაციამ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო.

## ათენში გუსინსკი გაძარცვეს

ათენში უცნობმა პირებმა ვლადიმირ გუსინსკის სასტუმროს ნომრიდან ოქროს საათი და 3.500 ევრო გაიტაცეს. როგორც მაკედონიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ყოფილი მედიამაგნატი ამ დროს ნომერში არ იმყოფებოდა.

გუსინსკი ათენის საერთაშორისო აეროპორტში რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ გაცემული ორდერის საფუძველზე 21 აგვისტოს დააკავეს. მან რამდენიმე დღე ციხეში გაატარა, რის შემდეგაც სასამართლომ თავდებით გაათავისუფლა. მეწარმემ გირაო — 100 ათასი ევრო გადაიხადა. მას შემდეგ გუსინსკი საბერძნეთის დედაქალაქში, სასტუმრო „ინტერკონტინენტალში" ცხოვრობს. მისი რუსეთში ექსტრადიციის საკითხს ათენის სააპელაციო სასამართლო 29 სექტემბერს განიხილავს.

CMYK

# „უცვლელი რეპერტუარი — თანდათან მკვიდრდება შეხედულება, რომ ღირსეული არავინ არის“

*გამეორება ცოდნის დედააო, ნათქვამია. მაგრამ როგორც ჩანს, ეს სიბრძნე არჩევნებზე არანაირად არ ვრცელდება — უკვე მერამდენედ, საპრეზიდენტო, თვითმმართველობის თუ საპარლამენტო არჩევნების ეგიდით ქართული პოლიტიკური ელიტა მდარე ხარისხის სანახაობრივ ღონისძიებებს აწყობს. ჭკუა კი, ეტყობა, ჯერ არც მაყურებელს უსწავლია და არც იმ სანახაობის შემსრულებლებს, რომელთა რეპერტუარიც უცვლელია — მცირეოდენი შაქარი და ზეთი, ალაგ-ალაგ მოასფალტებული ქუჩა და გვარიანი მუშტი-კრივი. თუ დეპუტატობის კანდიდატთა შორის სახელგანთქმული სპორტსმენების — მოჭიდავეების, მოკრივეების, ალპინისტებისა და მოჭადრაკეების მომრავლებას გავითვალისწინებთ, ქართულ პარლამენტარიზმში კონკურენცია უფრო და უფრო „ჯანსაღ“ სახეს შეიძენს. მაგრამ გასულ კვირას, ბოლნისში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, გადამწყვეტი უპირატესობა არჩევნებში მშვილდოსნებს და ბადროს მტყორცნელებს მიენიჭებათ. როგორც ბოლნისის საარჩევნო კამპანიის დროს ნაციონალების უწესრიგო უკან დახევამ დაადასტურა, პარლამენტარის სავარძლისთვის გამართულ დისტანციურ ბრძოლაში კონტაქტური სპორტი ნაკლებად გამოსადეგია — აღარაფერს ვამბობთ ალპინიზმსა და ჭადრაკზე....*

*როგორც ყველგან და ყველაფერში, საქართველოში წინასაარჩევნო კამპანიაც მეტად ორიგინალურად ვითარდება — პოლიტიკოსები თავის ქების ნაცვლად, ერთმანეთის ლანძღვა-გინებაზე არიან გადასულნი. რა დაგიმალოთ და, მშვენივრადაც გამოსდით... თითქმის ყველამ თანაბრად მოახერხა მოსახლეობის დარწმუნება საკუთარი ოპონენტის უვარგისობაში, კორუმპირებულობასა და კრიმინალურ მიდრეკილებებში (ისე, ქართული პარლამენტარიზმის ისტორიიდან გამომდინარე, დეპუტატს სხვა კრიტერიუმი ჩვენში არც სჭირდება...). უცნაური და ცივილიზებული სამყაროსთვის ყოვლად მიუღებელი და გაუგებარი სენტენციებით აგებული პირამიდის სათავეში კვლავაც ქვეყნის პრეზიდენტი დგას. იგი კვლავაც წარმატებით, ვირტუოზულად თამაშობს პოლიტიკურ ჭადრაკს და მის წინაშე კვლავაც ყველა პოლიტიკოსს თანაბრად ემუქრება პაიკად ქცევა. შედეგად, უფრო და უფრო რეალურ სახეს იძენს საფრთხე — ამომრჩეველმა ზოგადად, ქართული პოლიტიკის მომავალზე საბოლოოდ ჩაიქნიოს ხელი, არჩევანი ცუდსა და უარესს შორის გააკეთოს და ხელისუფლებაში „ტრადიციული“ ძალების დარჩენას არანაირად არ შეეწინააღმდეგოს. იმ მოტივით, რომ ახალი ძალებისგან განსხვავებით, „ისინი უკვე მაძღარნი არიან“*

> ასეთი მიზანმიმართული პოლიტიკა კონკრეტული პარტიისთვის კონკრეტულ რეგიონში საარჩევნო კამპანიის ჩაშლას არ ემსახურება. უფრო შორს მიმავალ გეგმებთან გვაქვს საქმე – ასეთი პროვოკაციებით, მოსახლეობის თვალში ოპოზიცია დესტაბილიზაციის, ქაოსისა და ანარქიის წყაროსთან იგივდება. ეს კი არავის უნდა. გასული ათწლეულის გამოცდილებიდან გამომდინარე, ხალხი ყველაფერზე თანახმა იქნება, ოღონდ კი დესტაბილიზაცია და არეულობა არ მოხდეს.

*— სხვათა შორის, რბილად რომ ვთქვათ, სახელმწიფო ქონებით „დანაყრების“ მიუხედავად, სახელისუფლებო ბლოკი საარჩევნო სიებში ადგილების განაწილებას ვერ ახერხებს. მართალია, იფიცებიან, ბლოკში ზედმიწევნით ჰარმონიული ურთიერთობა სუფევსო, მაგრამ ბლოკიდან გამომავალი „ჯამ-ჭურჭლის“ მსხვრევის ხმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძალად შეკოწიწებულ „საარჩევნო ოჯახში“ საქმე არც მთლად კარგად უნდა იყოს...*

*სანამ საქართველოს შიდაპოლიტიკაში დუღილის პროცესი მიმდინარეობს, საერთაშორისო ვითარება ლამის „დაღვინების“ პროცესშია. თანმიმდევრული პოლიტიკის წყალობით, პუტინმა უკრაინაც დაიყოლია თავისუფალ ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანებაზე და, ამავე დროს, შეერთებული შტატების ადმინისტრაციასთანაც მოახერხა საერთო ენის გამონახვა — მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულმა მედიამ რუსეთის პრეზიდენტს არც ისე თბილი შეხვედრა მოუწყო. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ვაშინგტონმა თბილისს რიგი ჰუმანიტარული დახმარებისა შეუწყვიტა — რასაკვირველია, უკიდეგანო კორუფციის მოტივით... არსებული სიტუაციების გათვალისწინებით, საქართველოს აწმყოსა და პერსპექტივებზე ვესაუბრები პოლიტოლოგ* ***გია ნოდიას****:*

**— „პიარ-კამპანიები“ საქართველოში საკმაოდ ორიგინალურად მიმდინარეობს — ძირითადი პოლიტიკური სპექტრი, რატომღაც, ერთმანეთის ძაგებაზეა გადასული... პოლიტიკური ძალები ერთმანეთისთვის არც პროვოკაციების მოწყობაზე იხევენ უკან და ამომრჩეველი გაუგონარი ცემა-ტყეპის მომსწრე ხდება...**

— ზოგადად, მსოფლიო პოლიტიკაში, წინასაარჩევნო კამპანიის ორი სახეობა არსებობს — ერთი საკუთარი უპირატესობის აფიშირებაზეა დაფუძნებული, მეორე კი მოწინააღმდეგე ძალის დისკრედიტაციაზე. თავისთავად ორივე მეთოდი მისაღებია და კანონიერი. მაგრამ აქ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს ამ კამპანიებს შორის ბალანსი წარმოადგენს. შესაძლოა, ქართული რეალობიდან და მოსახლეობის სკეპტიკური განწყობიდან გამომდინარე, რატომღაც პარტიები, ძირითადად, დისკრედიტაციის პოლიტიკას ამჯობინებენ. შედეგად კი, ხალხში ნიჰილისტური დამოკიდებულება უფრო და უფრო მძაფრდება — თანდათან მკვიდრდება შეხედულება, რომ ღირსეული არავინ არის. რაც შეეხება ძალისმიერ მეთოდებს: ამ მოვლენას ამა თუ იმ კამპანიასთან არანაირი კავშირი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ამას ყველა ქვეყანაში, უბრალოდ, ხულიგნობას უწოდებენ...



**— მიუხედავად მკვეთრად უარყოფითი იმიჯისა, სახელისუფლებო ბლოკი დღემდე არავითარ საჯარო წინასაარჩევნო კამპანიას არ ეწევა. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების მხრიდან უკვე არავითარ დაპირებას აზრი არა აქვს, თუ ბევრად უფრო შორს მიმავალ, დაგეგმილი ჩანაფიქრის განხორციელებასთან გვაქვს საქმე?**

— მიუხედავად იმისა, რომ საჯარო წინასაარჩევნო კამპანია ხელისუფლებას ჯერ მართლაც არ დაუწყია, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ გულხელდაკრეფილი ზის. ხელისუფლება არჩევნებისთვის საკმაოდ აქტიურად ემზადება — ოღონდ, სხვა გაგებით. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, მუშაობა მიმდინარეობს რეგიონებში, სახელმწიფო სტრუქტურის ნებისმიერ დონეზე — სოფლის სკოლის დირექტორით დაწყებული და გამგებლით დამთავრებული. ეს მუშაობა დაშინებისა და ბრძანების პოლიტიკით წარიმართება, რომლის თანახმად, სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებულმა თითოეულმა პიროვნებამ ნებისმიერ ფასად და ყველა საშუალებით, სახელისუფლებო ბლოკის გამარჯვებას უნდა შეუწყოს ხელი. რაც შეეხება ოფიციალურ, საჯარო კამპანიას, როგორც ჩანს, ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ბოლო თვეში გააქტიურდება. შესაძლებელია, დღემდე ეს იმიტომაც ვერ ხერხდებოდა, რომ აღნიშნულ ბლოკში კვოტების გადანაწილება საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობს და ჯერაც არ დასრულებულა — საჯარო კამპანია კი იმას გულისხმობს, რომ იგი კონკრეტულმა პიროვნებამ უნდა წარმართოს. ბუნებრივია, თუ საკუთარი სარგებლის ხარისხი არ ეცოდინებათ, ამ კამპანიაში მონაწილეობის ხარისხსაც ვერ განსაზღვრავენ...

## „წარმოიდგინეთ, რომ შევარდნაძეს რომელიმე რეგიონში ქვები დაუშინონ...“

**— მოსახლეობის ნიჰილისტური განწყობა ახსენეთ. საზოგადოებაში კარგა ხანია არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება აქვს დასავლეთს და კონკრეტულად, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. ამ მოსაზრების თანახმად, ხელისუფლების მოულოდნელი ცვლილება ქაოსს გამოიწვევს, რადგან ჩრდილოვან ეკონომიკაში გავლენის სფეროთა ხელახალი გადანაწილების პროცესი საკმაოდ მტკივნეული იქნება...**

— შეერთებულ შტატებში ჩემი მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებების თანახმად, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ შევარდნაძის ხელისუფლებისადმი თეთრ სახლს ზედმიწევნით ლოიალური დამოკიდებულება აქვს. პირიქით, შეერთებული შტატების ადმინისტრაცია უაღრესად გაღიზიანებულია ხელისუფლებაში არსებული კორუფციის მასშტაბებით. თუმცა, ამავე დროს, ვაშინგტონის პოლიტიკური წრეები ძალიან მკაფიოდ იკავებენ იმ პოზიციას, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში თეთრი სახლი ამა თუ იმ ძალის სასარგებლოდ უხეშად არ უნდა ჩაერიოს. ამავე დროს, მუსირებს ის მოსაზრებაც, რომ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისას, ოპოზიციურ ძალებს ხელისუფლებაში მოსვლის გაცილებით მეტი შანსი აქვთ... რაც შეეხება დესტაბილიზაციის საფრთხეს საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, გარკვეული სკეპტიციზმი ამერიკელებს მართლაც აქვთ, მაგრამ როგორც გითხარით, ეს არანაირად არ გულისხმობს კარგ დამოკიდებულებას ხელისუფლების არსებულ რეჟიმთან.

**— ასე რომ, ეს კიდევ ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი წამახალისებელი ფაქტორი იქნება ხელისუფლებისთვის — ლოკალური ხასიათის პროვოკაციებით ამა თუ იმ ძალის დისკრედიტაცია მოახდინოს და პარალელურად, ქვეყანაში არსებული რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში დესტაბილიზაციისა და ქაოსის ილუზიაც შექმნას... ეს ტენდენცია გასულ კვირას, ნაციონალებთან მიმართებაშიც გამოჩნდა.**

— განსაკუთრებით ნაციონალების მიმართ, მაგრამ ზოგადად, ოპოზიციურ ძალებთან დამოკიდებულებაშიც, საკმაოდ გამოკვეთილ ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ხელისუფლება არჩევნებში ძალადობის წახალისებას ახდენს — თუნდაც სააკაშვილის ან რომელიმე ლიდერის მიმართ ამა თუ იმ რეგიონში უარყოფითი დამოკიდებულება არსებობდეს, პოლიცია ვალდებულია, ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს და მხარეთა შორის ჩადგეს. ის კი, რატომღაც, პირიქით იქცევა... თუნდაც წამით, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომელიმე რეგიონში შევარდნაძეს ქვები დაუშინონ? — რასაკვირველია, არა. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში პოლიცია ტოტალურ ზომებს მიმართავს წესრიგის დასაცავად. სხვათა შორის, ასეთი მიზანმიმართული პოლიტიკა კონკრეტული პარტიისთვის კონკრეტულ რეგიონში საარჩევნო კამპანიის ჩაშლას არ ემსახურება. უფრო შორს მიმავალ გეგმებთან გვაქვს საქმე — ასეთი პროვოკაციებით, მოსახლეობის თვალში ოპოზიცია დესტაბილიზაციის, ქაოსისა და ანარქიის წყაროსთან იგივდება. ეს კი არავის უნდა. გასული ათწლეულის გამოცდილებიდან გამომდინარე, ხალხი ყველაფერზე თანახმა იქნება, ოღონდ კი დესტაბილიზაცია და არეულობა არ მოხდეს. ასეთი უნდა იყოს შედეგი იმ თანმიმდევრული მეთოდისა, რომელსაც ხელისუფლება იყენებს...

> მუშაობა დაშინებისა და ბრძანების პოლიტიკით წარიმართება, რომლის თანახმად, სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებულმა თითოეულმა პიროვნებამ ნებისმიერ ფასად და ყველა საშუალებით, სახელისუფლებო ბლოკის გამარჯვებას უნდა შეუწყოს ხელი.

**— ალბათ კიდევ ერთ მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს მოსაზრება, რომლის ჩანერგვასაც მოსახლეობაში სახელისუფლებო ძალები ცდილობენ — ყველა ოპოზიციონერი ლიდერი „შევარდნაძის კალთაშია გამოზრდილიო“.**

— ეს საკმაოდ უცნაური ტაქტიკაა. თუ ადრე ეს ლიდერები შევარდნაძესთან იყვნენ და მის რჩეულებს წარმოადგენდნენ, მაშინ როგორ მოხდა მათი ტრანსფორმაცია დამნაშავეებად და დესტრუქციულ ელემენტებად, — როგორც სახელისუფლებო ბლოკი მათ ამკობს ხოლმე. მეორე მხრივ, ხელისუფლების თავდაუზოგავი ლანძღვა-გინება ჩრდილს აყენებს თავად ოპოზიციასაც. თუნდაც იმავე ჟვანიას, სააკაშვილს თუ სხვა, ნებისმიერ ოპოზიციონერ ლიდერს თავის დროზე შევარდნაძის გარემოცვაში უაღრესად მნიშვნელოვანი და მაღალი მდგომარეობა ჰქონდათ. ერთ დღეში იქცა პრეზიდენტი კორუფციის სათავედ?

**— ამ შეკითხვაზე ორივე მხარეს, შეიძლება ითქვას, რომ ერთი პასუხი აქვს. ოპოზიცია აცხადებს, რომ ამ გზით ფიქრობდა ქვეყანაში მდგომარეობის შეცვლას, მაგრამ ვერაფერი გააწყო და გაემიჯნა, ხელისუფლება კი პირიქით, ყველა უბედურებას სწორედ ოპოზიციაში გადასულ პოლიტიკოსებს აბრალებს და აცხადებს, რომ მათი გაოპოზიციონერება მათივე მადის უსაზღვროობამ განაპირობა. თითქოს ეს ლიდერები ხელისუფლებაში მოსვლას სწორედ იმიტომ ცდილობენ, რომ უფრო მეტი მოიხვეჭონ... შექმნილ ვითარებაში რა შთაბეჭდილება ექნება მოსახლეობას — ვის მხარეს გადასწონის სასწორი, ვინ უფრო შთამბეჭდავ ცილს დასწამებს მოწინააღმდეგეს?**

— პოლიტიკაში აზრისა და პოზიციის შეცვლა ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ, რაც დროსა და გარემოებაზეა დამოკიდებული. როდესაც ამბობენ, ოპოზიციონერმა ლიდერებმა შევარდნაძეს ანგარების გამო უღალატესო, რატომ არ იხსენებენ იმავე შევარდნაძეს, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის დიდებას ემსახურა, ერთ მშვენიერ დღეს კი ლომის წილი გაიღო მის დამხობაში? ამის მერე შევარდნაძე თბილისში ჯაბა იოსელიანმა, კიტოვანის თანხმობით ჩამოიყვანა და სახელმწიფოს მეთაურად დასვა. არცთუ დიდი ხნის შემდეგ ორივე მათგანი ციხეში აღმოჩნდა... რა იყო ეს, ობიექტური ვითარებით გამოწვეული აუცილებლობა თუ უმადურობა? ყოველ შემთხვევაში, დღეს შევარდნაძე ამ ნაბიჯით ხშირად ამაყობს, რადგან ქვეყანაში ამით წესრიგის დამყარება შეძლო. რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, „კალთაში გამოზრდის“ თაობაზე, მეეჭვება, რომელიმე პოლიტიკოსი პრეზიდენტს მხოლოდ ლამაზი თვალების გამო დაეახლოებინა. როგორც ჩანს, მათი ესა თუ ის თვისება და უნარი მაშინ შევარდნაძეს სჭირდებოდა. ასე რომ, ამომრჩეველმა იმას უნდა შეხედოს, თუ რამდენად დამაჯერებელია და რეალური ის დაპირება და ქმედება, რომელსაც ესა თუ ის ლიდერი მიმართავს. თუმცა, როგორც დღეს არსებული ვითარებიდან ჩანს (და საეჭვოა, იგი არჩევნებისთვის რადიკალურად შეიცვალოს), ხელისუფლება წარმატებით ახერხებს ამომრჩეველზე და ზოგადად, საარჩევნო სიტუაციაზე ამ მეთოდებით თავის სასარგებლოდ ზემოქმედებას. ოპოზიციას რომ გაერთიანება მოეხერხებინა, ის აუცილებლად მოიპოვებდა გადამწყვეტ, საპარლამენტო უმრავლესობას. ასეთ შემთხვევაში, მართალია, ქვეყანა კონსტიტუციური კრიზისის წინაშე დადგებოდა და პოლიტიკური სტაბილურობაც დაირღვეოდა, მაგრამ ხელისუფლება იძულებული გახდებოდა, ოპოზიციის აზრი გაეთვალისწინებინა და დემოკრატიული რეფორმები დაეწყო. დღეს არსებული სურათის მიხედვით კი, მომავალი პარლამენტი ფრაგმენტული და დაქსაქსული იქნება. მასში ყველა ანგარიშგასაწევ ძალას ეყოლება წარმომადგენელი, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რომ მყარი უმრავლესობა შეიქმნას. პრეზიდენტი კი, მოგეხსენებათ, ასეთ ვითარებაში ლავირების დიდოსტატია. ამგვარად, მოგებული კვლავაც ის დარჩება...

> რუსეთის გავლენა საქართველოზე გარკვეულწილად, გაიზრდება. ყოველ შემთხვევაში, ამის აშკარა მცდელობას ადგილი უკვე აქვს და ასეთი ქმედება კიდევ მეტად გაძლიერდება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამ ეტაპზე შევარდნაძე მაქსიმალურად მოერიდება რუსეთთან დაახლოებას, რადგან ეს ოპოზიციისთვის მორიგი საბაბი იქნება. მეორე მხრივ, თბილისი მოსკოვთან ურთიერთობაში თანდათან კარგავს თავის ერთადერთ კოზირს – ვაშინგტონის კეთილგანწყობას.

**— შინაპოლიტიკის ფონზე რადიკალური ცვლილებები ხდება საგარეო პოლიტიკაში. როგორც კემპ-დევიდის შეხვედრებმა ცხადყო, პუტინმა მოახერხა საერთო ენის გამონახვა თეთრ სახლთან. მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ბევრ საკითხში მზად იქნება, კრემლის პოლიტიკას ანგარიში გაუწიოს. ხომ არ ნიშნავს ეს ფაქტი საქართველოზე რუსეთის გავლენის გაძლიერებას?**

— საამისო ობიექტური ვითარება მართლაც არსებობს — რუსეთი, როგორც სახელმწიფო, თანდათან ძალას იკრებს და პოსტსაბჭოთა სივრცეშიც უფრო შემტევი ხდება; იმავდროულად, საქართველოში მწვავე პოლიტიკურ დაპირისპირებას აქვს ადგილი, დასუსტებულია პრეზიდენტის გავლენა, რომელიც, როგორც ვთქვით, შიდაპოლიტიკური ინტრიგების ხლართვაზეა გადართული. აქედან გამომდინარე, რუსეთის გავლენა საქართველოზე გარკვეულწილად, გაიზრდება. ყოველ შემთხვევაში, ამის აშკარა მცდელობას ადგილი უკვე აქვს და ასეთი ქმედება კიდევ გაძლიერდება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამ ეტაპზე შევარდნაძე მაქსიმალურად მოერიდება რუსეთთან დაახლოებას, რადგან ეს ოპოზიციისთვის მორიგი საბაბი იქნება. მეორე მხრივ, თბილისი მოსკოვთან ურთიერთობაში თანდათან კარგავს თავის ერთადერთ კოზირს — ვაშინგტონის კეთილგანწყობას. საქართველოში არსებულმა გაუთავებელმა სახელმწიფოებრივმა ძარცვა-გლეჯამ ამერიკელებს თანდათან დაუკარგა სურვილი, მუდმივად მფარველის როლში იყვნენ.

***დაჩი გრძელიშვილი***

CMYK

# „შემოდგომის თბილისის“ მუსიკალურ ფესტივალზე

თანამედროვეობის ლეგენდარული დირიჟორი გენადი როჟდესტვენსკი 32 წლის შემდეგ კვლავ ეწვია თბილისს. 20 სექტემბერს, ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიხსნა ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“. კონცერტში მაესტროს მეუღლე, ქალბატონი ვიქტორია პოსტნიკოვა და ვაჟი — ალექსანდრეც მონაწილეობდნენ.

„შემოდგომის თბილისი“ სამი პრემიერით აღინიშნა: შესრულდა რიჰარდ ვაგნერის უვერტიურა ოპერიდან „აკრძალული სიყვარული“, გია ყანჩელის „...და მყისვე ქრება სევდიანი გამოსალმება“ და პროკოფიევის „სკვითური სიუიტა“. ვიქტორია პოსტნიკოვამ კი შეასრულა პროკოფიევის №2 საფორტეპიანო კონცერტი.

გია ყანჩელის „...და მყისვე ქრება სევდიანი გამოსალმება“ ნიუ-იორკის ფილარმონიის მთავარი დირიჟორის კურტ მაზურის წინადადებით შეიქმნა მილენიუმის აღსანიშნავად. თავდაპირველად ვიოლინოს პარტიას ასრულებდა მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსი გიდონ კრემერი, თბილისურ პრემიერაში კი ალექსანდრე როჟდესტვენსკიმ ბრწყინვალე მუსიკალური მონაცემებით დაგვამახსოვრა თავი.

გენადი როჟდესტვენსკი: — მრავალწლიანი განშორების შემდეგ თბილისელ მსმენელთან შეხვედრა ამაღელვებელი გახლდათ. მიხარია, რომ ვახტანგ კახიძემ თბილისის ევროპული დონის სიმფონიური ორკესტრი კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა.

გია ყანჩელის ნაწარმოების თბილისური პრემიერა კომპოზიტორ ნოდარ გაბუნიას ხსოვნას მიეძღვნა.

გია ყანჩელი:

— ნოდარ გაბუნია იყო ჩემი უახლოესი მეგობარი. შეიძლება ითქვას, ერთად გავიზარდეთ. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო კომპოზიტორია. ამ დღეებში კონსერვატორიის დიდ დარბაზში შესრულდა მისი საფორტეპიანო ტრიო, რომლის მეორე ნაწილი ქართული კლასიკური მუსიკის მწვერვალია, ეს ერის სიამაყეა.

— განგვიმარტეთ თქვენი ნაწარმოების სათაური და გვიამბეთ რა ასოციაციებით მუშაობდით მილენიუმის აღსანიშნავ ქმნილებაზე...

— თუ ისტორიულად განვიხილავთ გასულ საუკუნეს, ეს იყო ტრაგედიათა საუკუნე. თუმცა ჰიტლერის გვერდით არსებობდა ჩაპლინიც. ამდენად, საუკუნის ასახვას მუსიკით სალად მოაზროვნე კომპოზიტორი ვერ დაისახავდა მიზნად. მე შევარჩიე შექსპირის სონეტის ის სტრიქონები, რომლებიც გამოხატავენ თითქოსდა „უკანასკნელ ამოსუნთქვას“.

— ცნობილია, რომ იგორ სტრავინსკი ყველაფერს წერდა როიალთან, მისი თანამედროვე არნოლდ შონბერგი კი არასდროს მუშაობდა ამ ინსტრუმენტთან. როგორია მუშაობის თქვენი სტილი და ძნელია თუ არა შეკვეთით მუსიკის შექმნა?

— მე არ შემიძლია როიალის გარეშე... ვმუშაობ ყოველდღე და აუცილებლად რაღაცას ვქმნი. რაც შეეხება შეკვეთას, მე მათ უფრო წინადადებას ვუწოდებ და ამ სტილით მუშაობა ჩემთვის არანაირ დისკომფორტს არ მიქმნის.

— რა ზეგავლენას ახდენს თქვენზე მუსიკალური კრიტიკა და როგორ დაახასიათებდით ქართულ და დასავლურ კრიტიკას?

— ნიჭიერი მუსიკალური კრიტიკოსი ისეთივე იშვიათობაა, როგორც ნიჭიერი კომპოზიტორი. თუმცა ჩვენ გვყავდა გამოჩენილი კრიტიკოსი გივი ორჯონიკიძე. ამჟამად კონცერტების რეცენზიები პრაქტიკულად არ მხვდება და თუ მაინც რაღაც კუთხით შუქდება კლასიკა, ასეთი მასალები გინდ წაგიკითხავს და გინდ არა. ამ მხრივ საშინელი ვითარება იყო რუსეთშიც — კრიტიკოსები უფრო განრისხებულ ბრბოს მაგონებდა, სულ იმას ცდილობდნენ, როგორმე „ეკბინათ“ მუსიკოსისათვის. ვერ ვიტყვი, რომ მუსიკალური კრიტიკის დონე გაცილებით მაღალია დასავლეთში. ამდენად, ე. წ. „კრიტიკას“ როგორც დადებითს, ისე უარყოფითს, არანაირ ყურადღებას არ ვაქცევ...

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

— უახლოეს პრემიერას ჯერ ვერ გავახმაურებ. რაც შეეხება შორეულ პერსპექტივას — 2005 წელს ზალცბურგში, 2007 წელს კი ჩიკაგოს სიმფონიურ ორკესტთან მექნება პრემიერები.

გია ყანჩელის ნაწარმოების შესახებ ზოგადი შთაბეჭდილება გაგვიზიარა კონსერვატორიის პრორექტორმა, პროფესორმა რუსუდან წურწუმიამ:

— XX საუკუნეში ჩვენ მივეჩვიეთ დროის სწრაფ ცვლილებას, მოულოდნელობებს. ამ ნაწარმოებში, ერთი შეხედვით, ყანჩელისათვის დამახასიათებელი დრამატურგიაა — სიჩუმისა და ხმაურის, ბგერისა და პაუზის კონტრასტები. განსხვავებული სტილების შერწყმა — პლურალიზმი, ის რაც იყო მალერთან. აქაც ჟღერს „უფალო შეგვიწყალენ“. გვერდით კი არც მეტი, არც ნაკლები, „შალახოს“ ინტონაციებია! ყანჩელის ნაწარმოები უაღრესად ტრაგიკულია. შემთხვევით როდია სათაურში „სევდა“...

23 სექტემბერს, ფესტივალის მორიგ საღამოზე მართლაც რომ თავი გამოიჩინა ახალგაზრდა პიანისტმა ალექსანდრე ვასაძემ, რომელმაც ვახტანგ კახიძის დირიჟორობით შეასრულა ბეთჰოვენის №2 საფორტეპიანო კონცერტი.

„შემოდგომის თბილისი“ კიდევ არაერთ სიურპრიზს შემოგვთავაზებს... მუსიკალური საზოგადოება მოუთმენლად ელის ფესტივალის დასკვნით საღამოს — 12 ოქტომბერს, როდესაც მაესტრო ვახტანგ კახიძის ხელმძღვანელობით აჟღერდება ბეთჰოვენის №9 სიმფონია.

***ალექსანდრე ბერიძე***

# შარდენის ქუჩაზე მხოლოდ ქართველები მუშაობენ...

კაცი ხომ ჭკუიდან გადადის, სულ ჰარიჰარალეთი იწყებს სირბილს, მაგრამ ამ ჰარიჰარალეში ხანდახან მაინც წამოიძახებს ისეთ რაღაცას, რაც მიგახვედრებს, როცა დალაგებულად იყო, მაშინ რას აკეთებდა, რითი ცხოვრობდა. ქვეყანაც ასეა — ყირაზეც რომ ამოტრიალდეს, რაღაც მაინც არ დაავიწყდება ისეთი, რაც მისთვის მთავარი იყო. ამაში ხშირად დავრწმუნებულვარ. მაგალითისთვის ჩვენი ჩინოვნიკებიც კმარა, რომლებსაც მართალია ღვინის ჩასხმისა და რესტორნების აშენების გარდა არაფერი აინტერსებთ, მაგრამ ხანდახან მაინც გამოურევენ კეთილ საქმეებს, რასაც ფული არ შემოაქვს, მაგრამ სულს სჭირდება.

... ძალიან გამიხარდა, როცა თბილისის მინგრეულ-მონგრეული ქუჩების ფონზე რომელიღაც ჩინოვნიკის მიერ გალამაზებულ შარდენის ქუჩაზე აღმოვჩნდი. ცხადია, იქ გახსნილი სალონები და გალერეები, დიდ შემოსავალს არ იძლევიან, სამაგიეროდ, ყველას შეუძლია კულტურისა და ხელოვნების ნამუშევრები ნახოს და შეიძინოს. ფანჯრიდან დანახულმა მშვენიერმა ნივთმა და ვარდისფერმა კამეებმა შემიტყუეს ოქრომჭედელთან. მთელი სალონი ვიღაცის პერანგის ოქროს შესაკრავებს ჩაჰკირკიტებდა და სანამ ჩემთვის მოიცლიდნენ, ხელში ოქროსა და კამეას ნაკეთობათა საკუთარი ფოტოალბომები შემომაჩეჩეს. ნამდვილად არ მომიწყენია, იმდენი საუცხოო ფოტო ვნახე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კვერთხისა და ღვთისმშობლის უძველესი (და შემდგომ აღდგენილი) ქანდაკების ჩათვლით.

როცა ყველა დარწმუნდა, რომ პერანგის შესაკრავები უნაკლო იყო, მაშინღა დამელაპარაკნენ:

— მხატვრები ვართ და სიმართლე გითხრათ, გვირჩევნია ჩვენი ნამუშევრები გალერეებში ან მუზეუმებში იდოს, მაგრამ ასე ფულს ვერ ვიშოვით. არადა, ოჯახები გვყავს სარჩენი... ამიტომ ვიღებთ კერძო შეკვეთებს. თუმცა ხანდახან ისეთ რამეს გვთხოვენ, ჭკუიდან გადავდივართ. ერთმა ამერიკელმა ცოლქმარმა კურდღლის კამეა გაგვაკეთებინა. ეგ რა არის, თურმე იმ კურდღელს ნაძვის ხესაც უდგამენ და დაბადების დღესაც უხდიან:



**— რადგან „გადახრებზე“ დავიწყეთ საუბარი, საინტერესოა, ოქრომჭედლები თუ თვლით გადახრად ოქროს გადამეტებულ სიყვარულს?**

— არა, არ ვთვლით. იმიტომ, რომ პირველ რიგში ოქროში სილამაზეს ვხედავთ, მერე ფასეულობას. ადამიანს სილამაზეც „აბამს“. ხომ ნახეთ, როგორ გადავყევით ამ პერანგის შესაკრავებს... ახლა არ მკითხოთ, რა საჭიროა პერანგის ოქროს შესაკრავებით შეკვრაო? ალბათ საჭიროა. ეს რომ აგიხსნათ, ერთ უხერხულ შედარებას გავაკეთებ: რა საჭიროა ქალმა ლამაზი თეთრეული ჩაიცვას, როცა ამ თეთრეულს ვერავინ ხედავს, რატომ ანიჭებს ეს მას სიამოვნებას? იმიტომ, რომ ყველაფერი ძვირფასი და ლამაზი ადამიანს მაგნიტივით იზიდავს. ასეა ოქროც, მას სილამაზესა და ფასთან ერთად რაღაც სხვა ისეთი „ჯადოც“ გააჩნია, თუ მიჰყევი, ჭაობში ჩაგძირავს.

**— ბევრია მაგისთანა, ვინც „ოქროს ჭაობში“ იძირება?**

— არიან. ისეთი ხალხიც გვინახავს, დახედვით რომ ამოიცნობს, რა სინჯის არის ოქრო. ზოგიერთს 750 სინჯზე ნაკლები გროშადაც არ უღირს...

**— ვერცხლზე არ მუშაობთ?**

— როგორ არა, „ვერცლისმჭედლებიც“ ვართ. ოქროსა და ვერცხლზე მუშაობას ერთნაირი ენერგია სჭირდება. ხანდახან ისეთი და იმდენი საწვრილმანო საქმეა, ჭკუიდან გადაგიყვანს... ამ ვერცხლის ძაფებს შეხედეთ — ჯერ უნდა გააწვრილო, მერე დაგრიხო, მერე თითო ფიგურად დაახვიო, დაჭრა და ჩარჩოში ჩასვა. ასობით დახვეული წვრილ-წვრილი ფიგურა სჭირდება თითოეულ სამკაულს. ხანდახან ისე მოგეშლება ნერვები, ისე გამოდიხარ წონასწორობიდან, შეიძლება რაც გიკეთებია, ჩაქუჩით დაჭყლიტო — ბევრჯერ მომხდარა ასე! მოგიტანენ მერე უცხოეთში მამასისხლად შეძენილ სამკაულს და დაიწყებენ წუწუნს, არიქა, გამიტყდაო. გაუტყდება, აბა, რა იქნება, ფაბრიკაშია ნაკეთები. იმდენი ენერგია და სიყვარული კი არ არის ჩადებული, რასაც ჩვენ ვდებთ ამ სამკაულებში.

**— ესე იგი, მხოლოდ ნერვებს კი არ გიშლით, გიყვართ რასაც აკეთებთ...**

— აბა, სხვანაირად როგორ იქნება? წარმოიდგინე, რომ არაფერი არ არის — არის ლითონის ნაჭერი, მამონტის ეშვი, სპილოს ძვალი ან რაიმე ქვა, უნდა აიღო ესენი და რაღაცა ძალიან ლამაზი შექმნა. ამისთვის უნდა იფიქრო და იფიქრო... თუ კარგად გამოგივა, ის ადამიანი, ერთხელ რომ რაღაც გაგაკეთებინა, მეორეჯერაც შენთან მოვა.

**— აქ, კამეებზე, მინანქარზე, ოქროსა და ქვებზე როგორც ვხედავ, 4 კაცი მუშაობთ. ყველაზე ძვირფასი ნაკეთობა რომელი მასალით შექმენით?**

— ყველაზე ძვირფასი ნაკეთობა დაცვარვის ტექნიკით ოქროში გია ანდრიაშვილმა შეასრულა — მსხვილბურთულებიანი მძივი, საყურე და ბეჭედი. ხაზინაში გამოიძახეს და იქ ამუშავეს. არავინ იცის, ეს ნივთები ვისთვის გაკეთდა ან რა ბედი ეწია. ბესო დარჯანიამაც აღადგინა კამეაში ღვთისმშობელი, გერბიც გააკეთა, რითაც ამერიკელების მიერ გამოცემულ მსოფლიოს ხელოვანთა წიგნში მოხვდა. მაგრამ ამას კი არ დაწერთ ჟურნალისტები, დაწერთ, ბესო დარჯანია სექსუალურ კამეებს აკეთებსო, რადგან მსგავსი შეკვეთა მართლაც ჰქონდა ვიღაცა ფულიანი უცხოელისგან...

**— მაგ კამეასთვის მამონტის ეშვებს სად შოულობთ.**

— მამონტები ციმბირში დაიყინენ და გაქვავდნენ. ეშვებიც ციმბირიდან ჩამოაქვთ. კილოგრამში 200 დოლარს ვიხდით. ციმბირიდან შემოდის ძვირფასი ქვებიც, სადღაც-სადღაც ვშოულობთ უძველეს ნიჟარებს და სპილოს ძვლებს.

**— ამდენი რამ რომ მუშავდება, ჩანს აქ ამიტომაც არის ასე დახუთული ჰაერი...**

— რა ვქნათ? მიქელანჯელო როცა მოკვდა, აღმოაჩინეს რომ 12 სასიკვდილო დაავადება ჰქონდა და მაინც ღრმად მოხუცებულობამდე იცოცხლა. ჩვენც ვიცოცხლებთ, მაგრები ვართ და იმიტომ. თანაც როგორ უნდა გავიწიროთ — ეს ერთადერთი სახელოსნოა თბილისში, სადაც მხოლოდ ქართველები მუშაობენ. ამიტომაც „ქართულ სალონს“ ვეძახით.

ქართულ სალონში ჩემთვის დიდი ხნით ვერ მოიცალეს... სამაგიეროდ ვიცოდი, რომ მათი ნახელავის ცქერით მიღებული სიამოვნება დიდხანს გამყვებოდა. ქუდი დავიხურე და წარმატება ვუსურვე ხალხს, რომელიც დიდი წვალებით, მაგრამ სიყვარულით ქმნის იმას, რაც ადამიანებს სიამოვნებას ანიჭებს. მეც სიამოვნებით გამოვიარე პატარა შარდენის ქუჩა, რომელმაც კიდევ ერთხელ გამახსენა, რომ რაც არ უნდა „დავუბეროთ“ ქართველებმა, მაინც გვიყვარს, გვახსენდება კულტურა.

***ეთერ ერაძე***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, ,,კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ვაჟა გავაშელი** — „უწმინდესის ნათქვამი უფლის ნებად მენიშნა“ — 83 ხმა
2. **დაჩი გრძელიშვილი** — „რატომ იყო ვატიკანთან ხელშეკრულება საქართველოსთვის მიუღებელი“ — 76
3. **ირაკლი ალადაშვილი** — „ათი წლით „დაგვიანებული“ რეპორტაჟი“ — 73
4. **ვაჟა გავაშელი** — „ნადავლი წყალქვეშა ნავიდან“ — 68
5. **ინგა ჯაყელი** — „ასდოლარიანი ცრემლიანმა გამომართვა და საბჭოთა ხუთკაპიკიანი მაჩუქა...“ — 34
6. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „რაკი პრეზიდენტის დისშვილი ვარ, საქმე არ უნდა გავაკეთო?“ — 22
7. **ლელა ჯიყაშვილი** — „თემურ ჩხეიძე: მთავარ კითხვაზე პასუხი არ ვიცით...“ — 19
8. **მარინა ბაბუნაშვილი** — „უსიყვარულოდ“ — 16
9. **ლელა ჯიყაშვილი** — „თბილისში ყველაზე ლამაზი გზა აეროპორტიდან შინამდეა“ — 8
10. **მარი ზანდუკელი** — „შევარდნაძეს ხალხის სიყვარულში მოზიარე



# იუსტიციის მინისტრის მოადგილეს შუბლზე იარაღი დაადეს(?!)

**უპრეცედენტო ფაქტი:** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ლექციის მიმდინარეობის დროს, თავს დაესხნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს ზურაბ ეზუგბაიას. ორმა შეიარაღებულმა პიროვნებამ მას იარაღის მუქარით წაართვა მობილური ტელეფონი და ფული. „კვირის პალიტრა“ ერთ-ერთ თვითმხილველ სტუდენტს ესაუბრა, რომელიც ამ დროს ლექციას ესწრებოდა. რესპონდენტმა გვთხოვა, მისი ვინაობა არ დაგვეფიქსირებინა. „დაიწყო ლექცია. შევედით, გაიღო კარი და ლექტორიც შემოვიდა. ის-ის იყო, სია ამოიკითხა, რომ მოულოდნელად ისევ გაიღო კარი. გამოჩნდა ორი უცნობი პიროვნება. ერთი კართან გაჩერდა იარაღით. მეორე წამოვიდა პირდაპირ ბატონი ზურაბისკენ და შუბლზე მიადო პისტოლეტი. ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა: დამშვიდდით, არავინ არაფერს გერჩითო. მერე ლექტორს უყვირა: „ჩქარა მობილური!“ მანაც გაუწოდა მობილური ტელეფონი. „საფულე“! — საფულეც მისცა. ამის შემდეგ თავდამსხმელმა მოიძრო სათვალე, კეპი აიწია და ჰკითხა: „მიცანი?! გახსოვს, როგორ გამაწამე?! გაგიხვრიტო შუბლი?!“... კივილი დავიწყეთ: — არ გინდათ! არ გინდათო! ბატონ ზურაბს ერთი-ორჯერ შეაგინეს, სტუდენტებს ბოდიში მოგვიხადეს, თან გვითხრეს: — იცით, ეს როგორი ნაძირალააო?!... და წავიდნენ. ამ ყველაფერს რომ ვუყურებდით, კინოში გვეგონა თავი. როდესაც შეურაცხყოფილი ლექტორი გავარდა ოთახიდან, მაშინ გამოვერკვიეთ. მალე გამომძიებლები მოვიდნენ და საღამოს 10 საათამდე ჩვენი დაკითხვა მიმდინარეობდა“.

სამწუხაროდ, დაზარალებულთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ.

# აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მინისტრი ბევრ ინფორმაციას ფლობს...



შემთხვევის ადგილი

## ვის უნდოდა ლაკერბაიას განადგურება...

გასულ კვირას დაჭრეს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების შრომისა და დასაქმების მინისტრი ზურაბ ლაკერბაია. მას ღამის 11-ის ნახევარზე ესროლეს, ასათიანის ქუჩაზე მდებარე მის საცხოვრებელ სახლთან, სავარაუდოდ, „ვალტერის“ ტიპის პისტოლეტიდან. ზურაბ ლაკერბაიას მუცლის არეში აქვს მოხვედრილი ორი ტყვია, ერთიც ხელში. იგი უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, თავდამსხმელებს შემთხვევის ადგილიდან არაფერი წაუღიათ.

თავდასხმის მომენტში ზურაბ ლაკერბაია საჭესთან იჯდა. იგი აპირებდა „ტოიოტას“ ჯიპის ტიპის ავტომანქანის დაყენებას ავტოფარეხში. გამორიცხული არ არის, რომ თავდამსხმელებს უნდოდათ მისი ძვირად ღირებული მანქანის გატაცება, მაგრამ, რაღაცამ შეუშალათ ხელი. თუმცა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი არ გამორიცხავს, რომ ლაკერბაიას მკვლელობით გარკვეული პოლიტიკური ძალები იყონ დაინტერესებულნი.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ზურაბ ლაკერბაია ქართული ინტერესების დამცველი აფხაზია, რომელსაც დღემდე შენარჩუნებული ჰქონდა აფხაზებთან ურთიერთობა. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, იგი ორი დღის წინ დაბრუნდა სოხუმიდან, სადაც აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. თუმცა მოლაპარაკების დეტალები ჩვენთვის უცნობია.

საინტერესოა ერთი გარემოება. მეზობლების თქმით, ბოლო ორი დღის განმავლობაში მასთან ერთად ხედავდნენ 40 წლამდე ასაკის მამაკაცს, რომელიც ამ შემთხვევის შემდეგ აღარ გამოჩენილა.

ლაკერბაიას ირგვლივ მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციები ვრცელდება. ამბობენ, რომ მას დღემდე აქვს ურთიერთობა როგორც არძინბასთან, ისე შევარდნაძესთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ის საქართველო-აფხაზეთის საკითხის ირგვლივ ბევრ ინფორმაციას უნდა ფლობდეს. გარდა იმისა, რომ აფხაზეთის შრომისა და დასაქმების მინისტრი იყო, ის ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს წევრიცაა. ამით უნდა აიხსნას პერიოდულად მისი სოხუმში სიარულიც. ისე კი, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი ბევრ ინფორმაციას ფლობდა, გამორიცხული არ არის, ქართული ან აფხაზური მხარისთვის ინფორმაციის არასასურველი მატარებელი აღმოჩენილიყო. უცნაური დამთხვევაა, რომ მას მაინცდამაინც სოხუმის დაცემის წინა დღეს, 26 სექტემბერს ესვრიან.

ამჟამად ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში საქმე აღძრულია მკვლელობის მცდელობის მუხლით. მიუხედავად ზემოთქმულისა, გამომძიებელ ზვიად უზნაძის განცხადებით, ზურაბ ლაკერბაიას დაკითხვამდე, გამოძიება უფრო დაყაჩაღების ვერსიისკენ იხრება. მანქანაში ნახეს საჭის ჩამკეტი რკინის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლოა ლაკერბაიამ წინააღმდეგობა გაუწია თავდამსხმელებს, რომლებმაც „ჯიპის“ წაყვანა ვეღარ შეძლეს. საგულისხმოა ისიც, რომ დაჭრილმა თავდასხმის შემდეგ მეზობლებთან დახმარების სათხოვნელად თავად შეძლო მისვლა, რის შემდეგაც გამოიძახეს სასწრაფო დახმარება. გამომძიებლის თქმით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია რამდენიმე მასრა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლაკერბაიას სამი პიროვნება დაესხა თავს, დღეს გამოძიება ორ პიროვნებაზე საუბრობს. საქმეში ჯერჯერობით კონკრეტული ეჭვმიტანილი არ არსებობს. ამჟამად გამოძიება სამ ვერსიაზე მუშაობს. — შურისძიება, დაყაჩაღება, ან სულაც პოლიტიკური ვერსია. ყოველ შემთხვევაში, ამ კვირას შრომისა და დასაქმების მინისტრს სარეანიმაციო განყოფილებიდან პალატაში გადაიყვანენ და გამოძიება მის დაკითხვას შეძლებს, რამაც შესაძლოა საქმის გახსნას შეუწყოს ხელი.

**მარინა მამისაშვილი**

# ზღვარგადასული განიავება-დატაცების „ჯადოსნური წრე“...

## საქართველოში კორუფციის ფაქტების გამო დასჯილი მაღალჩინოსნები არავის უნახავს

„თბილგაზთან“ დაკავშირებული სკანდალი პიკს აღწევს. დათვლილია კომპანიის დირექტორ ვახტანგ ცაავას თანამდებობაზე ყოფნის დღეები. მანამდე კი დააპატიმრეს „თბილგაზის“ გაზსადენების ექსპლუატაციის საწარმოს დირექტორი გალდავა, ორ ბუღალტერთან ერთად. მათ მილიონი ლარის დატაცებაში დასდეს ბრალი. გასულ კვირაში, უშიშროების საბჭოს სხდომის დაწყებამდე, გენერალურმა პროკურორმა, ასევე მილიონობით ლარის გაფლანგვაში, უკანონო საბანკო ოპერაციების წარმოებასა და თანხების მითვისებაში „თბილგაზის“ გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა დაადანაშაულა. გამოძიების დასრულების შემდეგ მან ცაავას შესაძლო დაპატიმრების შესახებაც მიანიშნა: გამოძიება მალე დასრულდება და თუ ცაავას დანაშაული დაუმტკიცდა, 10-წლიანი ციხე ელოდებაო. „თბილგაზის“ სკანდალის საფუძველი გახდა კონტროლის პალატის მიერ კომპანიაში წარმოებული შემოწმების შედეგები, რის საფუძველზეც, საწარმოს დანაკლისმა მილიონობით ლარი შეადგინა. აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი შეტანილია ბუღალტრების — მამისეიშვილისა და ჯომარჯიძის პირად საბანკო ანგარიშზე.

პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წლების მანძილზე უგზო-უკვლოდ ქრებოდა რუსეთიდან მოწოდებული გაზის 70-80% და არც ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები იხარჯებოდა დანიშნულებისამებრ.

„თბილგაზი“ არ „დაინდო“ ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელმა კახა უგულავამაც. მისი განმარტებით, ანტიკორუფციული საბჭოს მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე ახალი ბრალდებებიც გამოჩნდა. თურმე „თბილგაზი“ მოხმარებული აირისთვის განკუთვნილ თანხას „იტერას“ ანგარიშზე კი არა, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული უცნობი ფირმების ანგარიშებზე რიცხავდა, საიდანაც თანხები არალეგალურად ნაწილდებოდა კონკრეტულ პირებსა და კომპანიებზე. უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ გააძლიერა „თბილგაზის“ მისამართით დაწყებული შეტევის ტემპი. მან პროკურატურას, კონტროლის პალატასა და ანტიკორუფციულ საბჭოს კომპანიის საქმის გამოძიებაში მუშაობის გააქტიურება მოსთხოვა. კონტროლის პალატის შეფი სულხან მოლაშვილი ეჭვობს, რომ „თბილგაზის“ პრობლემების უკან პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების სერიოზული ინტერესები დგას. თუმცა იგი დანაშაულში ეჭვმიტანილთა ვინაობას ჯიუტად არ ამხელს, მხოლოდ მიანიშნებს, რომ ეჭვმიტანილთა გვარების გარკვევა კონტროლის პალატის მიერ წარდგენილ ანგარიშშიც შეიძლება. საქართველოში ბოლო წლებში არსებული ვითარების, ქვეყნის ეკონომიკისა და ქონების ზღვარგადასული განიავება-დატაცების ფონზე მოლაშვილის განცხადებებში გასაკვირი ან მოულოდნელი არაფერია. საქმე ის არის, მართლა ჭამს თუ არა სამართალი პურს, თუ „თბილგაზის“ საქმეშიც ჯოხი „განტევების ვაცზე“ გადატყდება და მთავარი დამნაშავეები ხელუხლებელნი დარჩებიან. ამის საბაბს უკვე იძლევა კახა უგულავას განცხადება — როცა ანტიკორუფციულმა საბჭომ უცხო ქვეყნების საელჩოებს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული ფირმების საბანკო ანგარიშების გახსნის შესახებ მიმართა, თხოვნა დღემდე უყურადღებოდ დარჩა და იქნებ გენერალურმა პროკურატურამ მაინც შეძლოს „ჯადოსნური წრის“ გარღვევა საელჩოებში. როგორც ირკვევა, მას ამის პრეროგატივა აქვს. საინტერესოა, შეძლებს თუ არა პროკურატურა „თბილგაზის“ კვანძის ბოლომდე გახსნას. შევარდნაძის საყვედურის შესაბამისად, ერთხელ მაინც თუ დაადგება საშველი კონკრეტული დამნაშავეების დასჯას. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის საყვედურები ბოლო დროს ნამდვილად ველარ ჭრის და შესაბამისად, საქართველოში კორუფციის ფაქტების გამო დასჯილი მაღალჩინოსნები არავის უნახავს. „საჩვენებლად“ დასჯილი „წვრილფეხობა“ კი თურმე სასჯელს ციხის საავადმყოფოებში, ანუ ე.წ. „ციხის კურორტებზე“ იხდის. „თბილგაზთან“ დაკავშირებულ ამბებს კულუარებში ირონიულად უყურებენ და ეკონომიკურ დანაშაულობებთან ბოლო დროს გააქტიურებულ „ბრძოლას“ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად მიიჩნევენ. გარკვეული სამსახურები კი თავს იწონებენ ისეთი საქმიანობით, რაც თითქოს აქამდე მათი საქმე არც იყო და ვითომ აქამდე სახელმწიფო ქონების დატაცება-გაფლანგვაც არ ხდებოდა.

„თბილგაზის“ სკანდალში გახვეული ვახტანგ ცაავა კი „კვირის პალიტრასთან“ საუბარში აცხადებს — იმედი მაქვს ძიების დამთავრების შემდეგ სიმართლე დადგინდება, ყველა გაიგებს, რომ არანაირი დანაშაული არ მიმიძღვის. პრეზიდენტის ბრძანებულებით გამოყოფილი 9,3 მლნ ლარი მიზანმიმართულად დაიხარჯა, რისი დამამტკიცებელი დოკუმენტებიც არსებობს. მეეჭვება, სიმართლეს გვერდი აუარონ და „განტევების ვაცის“ როლში ჩემს გამოყვანას შეეცადონ. ღმერთი მაღლიდან იყურება, ნებისმიერი კომისიის წინაშე წარსადგენად მზად ვარ და დარწმუნებული ვარ, რომ სამართალდამცველები გამოძიებას სამართლიანად წარმართავენ.

**ეკა ლომიძე**

# ვინ ყიდდა იარაღს — ძმა თუ ბიძაშვილი?!

## „დამალავს თუ არა გამოძიება ნამდვილ მიზეზს?!“

ამ რამდენიმე დღის წინ რედაქციაში საპროტესტო წერილი მოვიდა. იგი „კვირის პალიტრაში“ (იხ. №34 (445), 25-31 აგვისტო, 2003 წ.) გამოქვეყნებულ სტატიას „დამალავს თუ არა გამოძიება ნამდვილ მიზეზს?!“ ეხებოდა. ავტორი წერილში მიუთითებს, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეეფერება. კერძოდ, მისი თქმით, იარაღით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი თამაზ მუმლაძე რაიონის ყოფილი გამგებლის, ნოდარ მუმლაძის ძმა კი არა — ბიძაშვილია. ნოდარ მუმლაძეს მართლაც ჰყავს ძმა, თამაზ მუმლაძე, რომელიც ფერმერობას მისდევს და იარაღის ბიზნესთან არაფერი აკავშირებს. მისი თქმით, ინფორმატორმა მცდარი ინფორმაცია მიაწოდა „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტს და დაჟინებით მოითხოვს მისი ვინაობის დასახელებას. რედაქცია უფლებას იტოვებს (და სავსებით სამართლიანად), არ გაამხილოს წყაროს ვინაობა. უზუსტობა კი, რომელიც გაზეთის ფურცლებზე გაჟღერდა, მარნეულში ორი თამაზ მუმლაძის არსებობამ განაპირობა: კერძოდ, თამაზ მუმლაძე, რომელიც იარაღით ვაჭრობის ბიზნესშია ეჭვმიტანილი, ნოდარ მუმლაძის ძმა კი არა, ბიძაშვილი ყოფილა.

გასული წლის 15 ნოემბერს საქართველო-თურქეთის საზღვარზე, ვალეს ტერმინალთან დაკავებული კონტრაბანდული იარაღის საქმის გამოძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

„კვირის პალიტრა“ უკვე წერდა, რომ უშიშროების სამინისტროს ინფორმაციით, კონტრაბანდული იარაღის ეს პარტია მარნეულში მცხოვრებ თამაზ მუმლაძეს ეკუთვნოდა. გასაოცარია, მაგრამ ამ ბიზნესში ეჭვმიტანილი კაცი დაკავებული არ ყოფილა. მიზეზს, ოპერატიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სპეცსამსახურები არ აკონკრეტებენ. გენპროკურატურის პროკურორის, გოჩა ფარულავას ინფორმაციით, თამაზ მუმლაძე პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, მისი საქმე კვლევის სტადიაშია და ამ თემაზე, ჯერჯერობით, მეტი ინფორმაციის გაცემა არ შეუძლია.

ასეა თუ ისე, თამაზ მუმლაძის გარშემო ატეხილ სკანდალს ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი ახალი დანაშაული ემატება. თბილისის ფსიქიატრიული კლინიკის ეზოდან, სადაც მუმლაძე ამავე კლინიკის დირექტორის აბელ მამარდაშვილის ინფორმაციით, ღრმა დეპრესიის სამკურნალოდ იყო მისული, მისი 16 წლის ვაჟი ბაქარ მუმლაძე გაიტაცეს.

გატაცებისთანავე სამართალდამცველები რამდენიმე ვერსიაზე მუშაობდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, გატაცება შეიძლებოდა მამამისის ბიზნესთან ყოფილიყო დაკავშირებული. მართალია, სპეცსამსახურების წარმომადგენლები ამაზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ არსებობს ინფორმაცია, რომ იარაღის პარტიის დაპატიმრების შემდეგ თამაზ მუმლაძეს ბიზნესმეწილეების ვალი დაედო, მათ კი შვილი მოსტაცეს და ამ გზით სცადეს ვალის დაბრუნება.

ეს ვერსია აქტუალურია დღესაც.

როცა ბაქარ მუმლაძის გამტაცებლების შესახებ ვწერდით, ინფორმატორზე დაყრდნობით აღვნიშნეთ, რომ მარნეულის რაიონში მუმლაძეების აღზევება მას შემდეგ დაიწყო, როცა გამსახურდიას მთავრობა დაამხეს და ადგილობრივი ხელისუფლება ნოდარ მუმლაძემ ჩაიგდო ხელთ. ზვიადისტების წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი წვლილის სანაცვლოდ ნოდარ მუმლაძეს მაშინ მარნეულის რაიონის გამგებლის სკამი ერგო. მარნეულელები ამბობენ, რომ მაშინ იარაღზე დიდი მოთხოვნილება იყო, რომლითაც სიგუა-კიტოვანს მარნეულში განლაგებული რუსული ბაზებიდან ამარაგებდნენ. — მუმლაძეები ნოდარ მუმლაძის გამგებლად მოსვლის შემდეგ გაძლიერდნენ, — გვითხრა ერთ-ერთმა მარნეულელმა, რომელმაც გვთხოვა მისი ვინაობა არ დაგვესახელებინა (რაც ანგარიშსწორების საფრთხით ახსნა), — სწორედ ნოდარ მუმლაძეა ის კაცი, ვისი თაოსნობითაც პრეფექტურის წინ კარვები დაიდგა და ბრძოლა გამოუცხადეს გამსახურდიას ხელისუფლებას. როცა ჩვენი პირველი პრეზიდენტი საქართველოდან გაიქცა და პრეფექტებიც უკან მიჰყვნენ, მუმლაძე გამგებლად დანიშნეს. ახალმა გამგებელმა რაიონში სასწრაფოდ საკადრო წმენდა დაიწყო. ზვიადის მომხრეები თანამდებობებიდან მოხსნეს და ყველგან „საიმედო“ ხალხი დანიშნეს. იარაღით ვაჭრობა ისეთი რამაა, საზამთროსავით ქუჩაში ვერ გამოიტან და ყველას ვერ დაანახვებ. მაგრამ ხალხში მაინც დაირხა ხმა, რომ გამგებლის დახმარებით რუსული ბაზებიდან იარაღი გამოჰქონდათ,

## პუბლიკაციის კვალდაკვალ




რითაც კიტოვანი მარაგდებოდა. რამდენად სწორია ეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ იარაღის ბიზნესთან სწორედ თამაზ მუმლაძე რომ იყო დაკავშირებული და მას უკვე ოფიციალურად სდებენ ამას ბრალად, ესეც ხომ ბევრ რამეზე მეტყველებს.

**— იარაღის ბიზნესში ეჭვმიტანილი თამაზ მუმლაძე და ყოფილი გამგებელი ნოდარ მუმლაძე ნათესავები არიან?**

— ნოდარ მუმლაძეს ჰყავს ძმა, რომელსაც თამაზი ჰქვია. ეტყობა, მცდარი ინფორმაცია ამიტომაც გავრცელდა. ნოდარის ძმა პატიოსანი კაცია და რამდენადაც ვიცი, მაშინაც კი არ ერეოდა საქმეში, როცა მისი ძმის თაოსნობით გამსახურდიას მომხრეებს ებრძოდნენ. იარაღის ბიზნესში ეჭვმიტანილი თამაზ მუმლაძე და ნოდარი ბიძაშვილები არიან. ფაქტი ის არის, რომ როცა შევარდნაძემ პოზიციები გაიმაგრა და კიტოვანი, სიგუა და იოსელიანი გზიდან ჩამოიცილა, ნოდარ მუმლაძესაც დაატოვებინეს გამგებლის პოსტი...

ჩვენთან საუბრისას ნოდარ მუმლაძის მეგობარი, ადვოკატი ირაკლი ქართველიშვილი ამბობს, რომ იარაღის ბიზნესში ნოდარ მუმლაძის მონაწილეობაზე ყოველი მეორე მარნეულელი ლაპარაკობს, თუმცა ყველაფერი ეს ჭორია. თავად ნოდარ მუმლაძე კი ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ იარაღის ბიზნესში არასოდეს მიუღია მონაწილეობა და გაყიდვის ნაცვლად, პირიქით, აქეთ ყიდულობდა იარაღს, რათა ქართულ სამხედრო ნაწილებს დახმარებოდა(?!). რაც შეეხება კიტოვან-სიგუას, მაშინ „ამ ხალხის გვერდით ნახევარი საქართველო იდგა და ამისთვის ბრალი არავისთვის წაუყენებიათ“.

როგორც სპეცსამსახურების წარმომადგენლები აცხადებენ, ვის რა წვლილი მიუძღვის იარაღის ბიზნესის საქმეში, ეს თამაზ მუმლაძის საქმის გამოძიების შემდეგ გახდება ცნობილი და დამნაშავეებს საკადრისი პასუხი გაეცემათ.

**დავით დევდარიანი**

# რისთვის წველიან მინდორში ძროხებს პატარა ნარკომანები



## „მანაგუა“ კუჭის ტკივილის „გასაყუჩებლად“?!

წინა საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მცენარეების დათესვა და ნარკომანების მიერ მათი კულტივაცია საჭირბოროტო პრობლემად ექცა ქვეყანას. ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ, ზოგჯერ წერდნენ კიდეც. ორი მოხუცის საუბარი კი ენაკვიმატმა კახელებმა ანეკდოტურ ამბად აქციეს: „ჰა, ვერან, როგორი ბიჭი დადგა ჩემი უმცროსი შვილიშვილი? ენაცვალოს პაპა. ლოთობას და სოფლის სალაყბოზე დგომას შეეშვა და საქმეს მოჰკიდა ხელი.

— რა საქმეს, ჯო?!

— რა და ამ გაზაფხულს ვენახის ბოლოში პატარა ნაკვეთი მთხოვა. სასოფლო ინსტიტუტიდან დავალება მიუღია — ახალი ჯიშის თამბაქო უნდა გამოეყვანა. ყოველდღე, სისხამ დილით, ვენახში გარბოდა. მორწყვა არ დააკლო, თოხნა და ბარვა. ისეთი მოსავალი მოიწია, მტერს არ დაენახვებოდა. მერე მოკრიფა, გააშრო და მზის გულზე გაახმო. დაჭრა და ერთი პატარა ტომსიკა ლექტორს წაუღო. ისე მოსწონებია ლექტორს ახალი თუთუნი, რომ ეს ერთი თვეა თბილისიდან სულ ახალგაზრდა პროფესორები და დოცენტები ჩამოდიან. ისეთი ძვირფასი რამ არის, სუ გრამებით უწონის. მეც მომაწევინა და მართლა კარგი რამეა, ვერანა. სულ სიცილის ხასიათზე დამაყენა...“

მიხვდით, ალბათ, როგორი თუთუნიც მოიწია პაპას საყვარელმა უმცროსმა შვილიშვილმა — ჩვეულებრივი ინდური კანაფი დათესა, რისგანაც შემდეგ „ანაშა“, ანუ იგივე „პლანი“ დაამზადა. სწორედ იმ პერიოდში საქართველოში ინდური და მანჯურიის კანაფის თესვა მოხშირდა, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ დროზე მიიღო სათანადო ზომები და კანაფის პლანტაციები ძირფესვიანად ამოძირკვეს. რა ხდება ახლა...

ამას წინათ სარედაქციო ფოსტის გადარჩევისას ხელთ ასეთი შინაარსის ბარათი ჩამივარდა. გთავაზობთ წერილს მცირეოდენი შემოკლებით (სტილი დაცულია): „თბილისიდან ავტომობილით რამდენიმე წუთის სავალზე... (დასახლებული პუნქტის სახელს შეგნებულად არ ვასახელებთ) დიდი რაოდენობით კანაფი ხარობს, მაგრამ მის გასანადგურებლად თავს არავინ იწუხებს. მეტიც, ადგილობრივი პოლიცია ჯიბის გასასქელებლად იყენებს იმ მინდვრებს — ველურად მომრავლებულ კანაფს არავის ანადგურებინებს, რათა მერე გზააბნეულ ახალგაზრდებს ჩაუსაფრდნენ, ფაქტზე დაიჭირონ და ფული გამოსძალონ. ეგებ „კვირის პალიტრამ“ ატეხოს განგაში, რათა პოლიციელთა თვითნებობას ბოლო მოეღოს. პატივისცემით, გ. ნ.“.

ადგილი, სადაც ველურად გაზრდილი კანაფი ხარობდა, წერილში ზუსტად იყო მითითებული და მეორე დღეს თბილისის ერთ-ერთი ავტოსადგურიდან მიკროავტობუსით გავემგზავრე. დიდი დრო არ გასულა და აღნიშნულ დასახლებას მივუახლოვდი. მალე მინდვრებიც გამოჩნდა. მძღოლს მანქანის გაჩერება ვთხოვე, მგზავრობის ღირებულება გადავიხადე და ჩავედი. გზატკეცილის მარჯვენა მხარეს მდებარე მინდვრებს უიმედოდ მოვავლე თვალი — დაახლოებით 150-200 ჰექტარზე მეტი იქნებოდა და როგორ უნდა მეპოვა კანაფი. მაგრამ ხელცარიელიც ხომ არ წამოვიდოდი?! სიმინდის ყანებსა და საშემოდგომოდ გამზადებულ ნახნავებს შორის ძლივს გავიკვლიე გზა. დიდხანს ვიარე, მაგრამ კანაფის კვალს ვერ მივაგენი. ის იყო, იმედი გადამეწურა, რომ მინდვრის ბოლოს ბექობზე მდგარი შუახნის მამაკაცი გამომეხმაურა.

— ხომ არ დაგეხმაროთ?

**— რა ვიცი, იქნებ დამეხმაროთ კიდეც. თქვენ აქ ცხოვრობთ?**

— ამ ბექობს გადაღმა დამხმარე მეურნეობა მაქვს — ღორებს და ძროხებს ვზრდი. ხორბალს და სხვა მარცვლეულს ვთესავ და თავი გამაქვს. შინაგანი ჯარის პოლკოვნიკი **რობინზონ ამირეჯიბი** გახლავართ.

**— მე კი „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი ვარ. ბატონო რობინზონ, ამბობენ, ამ მინდვრებზე ველური კანაფი ხარობსო. იქნებ მაჩვენოთ ის მონაკვეთი?**

— მარცხნივ, დაუმუშავებელ მიწის მონაკვეთს ხომ ხედავთ, აი, იქ უამრავი კანაფია. სარეველა უკვე შეყვითლებულია, რაც მწვანედ ჩანს, ყველა კანაფია... თუმცა წამობრძანდით, მე თვითონ განახვებთ.

**— აქაურობას ალბათ ხშირად სტუმრობენ ნარკომანები.**

— კი, იციან, აქ რომ კანაფი ხარობს. ჩამოვლენ მანქანებით, დაგლეჯენ კანაფს, გაავსებენ საბარგულებს და წავლენ. ბავშვებიც კი მოდიან. იქნებიან 10-14 წლისანი. დაგლეჯენ, დანებით დააქუცმაცებენ და კონსერვის ქილებში აქვე ხარშავენ. ნაყენს გაცივებას არ აცლიან, პირდაპირ სვამენ და რამდენიმე წუთში გიჟებივით იწყებენ ხარხარს, შემდეგ დაოსებულები მიწაზე გაიშხლართებიან და იძინებენ.

**— მინდვრის ეს მონაკვეთი რატომ არ არის დამუშავებული?**

— რომელსაც პატრონი ჰყავს, ის დამუშავებულია, ეს ნაკვეთი უპატრონოა. თქვენ ზაფხულში გენახათ, რამდენი ხალხი მოდიოდა...

ლაპარაკში იმ მიწის ნაკვეთს მივუახლოვდით. კანაფი მწიფობაში იყო შესული. ნიმუშად ერთი-ორი ცალი მოვგლიჯე და ჩანთაში ჩავიჩურთე. რამდენიმე ფოტოც გადავიღე, ჩემს მასპინძელს გამოვემშვიდობე და გზატკეცილისკენ წავედი.

მინდორში რამდენიმე ძროხა ბალახობდა. მინდვრის განაპირას კი შავოსანი მოხუცი ქალი ქვაზე ჩამომჯდარიყო და წინდას ქსოვდა. იგი იმავე დასახლებაში მცხოვრები **თალიკო სიდამონიძე** აღმოჩნდა. ქალბატონმა თალიკომ ასეთი რამ მიამბო: — მას შემდეგ, რაც ნარკომანებმა აქ კანაფს მოაგნეს, მოსვენება დავკარგეთ. დიდებზე აღარაფერს ვამბობ, დაკრეფენ კანაფს და მიდიან. უპატრონო ბავშვებს ვყავართ ძალიან შეწუხებულები. ჩამოეხეტებიან აქ და ძროხებს იჭერენ.

**— ძროხები რად უნდათ?**

— კანაფის მოსახარშად სჭირდებათ რძე. თურმე რძეში მოხარშული კანაფის ფოთლები და მისი თესლი იმ ნივთიერებებს კარგად გამოყოფს, რაც ამ ბავშვებს აგიჟებს. მაგათი შიშით ძროხები ვერ დამიტოვებია. სხვა ჭირიც დაგვემატა — იმ უპატრონო თბილისელმა ბავშვებმა აქაურებიც აიყოლიეს და გაანარკომანეს.

**— ადგილობრივი პოლიცია რას აკეთებს?**

— რას აკეთებს და... ფულს. ახლა აქედან არ ჩანან, მაგრამ ტრასაზე რომ გახვალ, აუცილებლად გაგაჩერებენ. გაგჩხრეკენ და თუ მაგ „პაპკაში“ კანაფის ფოთლები და თესლი გიპოვეს, შვილო, ფულს წაგართმევენ. ეს ნაკვეთი პოლიციამ ნარკომანების მოსაზიდად და ფულის გაკეთების მიზნით არ გადახნა...

ქალბატონს გამოვემშვიდობე და გზატკეცილზე გამოვედი. შეგნებულად ავითრიე ფეხი. ჯერ ფეხსაცმელები გავიწმინდე, მერე ტანსაცმელზე მოდებული ეკალ-ბარდი მოვიშორე და თან გაფაციცებით ვაკვირდებოდი გზატკეცილზე მოძრავ მანქანებს. მოულოდნელად თეთრი ფერის „ჟიგულის“ მარკის ავტომობილი მომიახლოვდა. ავტომობილში პოლიციელები ისხდნენ. რამდენიმე მეტრით რომ გამცდნენ, მანქანა გააჩერეს — რალაცაზე გაცხარებულები ბჭობდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა უკუსვლით დაიძრა. ერთ-ერთი გადმოვიდა, ქალბატონ თალიკოს მიუახლოვდა და გამოელაპარაკა. მივხვდი, გაშიფრული ვიყავი — პოლიციელები აღარ მომეკარებოდნენ...

> — რას აკეთებს და... ფულს. ახლა აქედან არ ჩანან, მაგრამ ტრასაზე რომ გახვალ, აუცილებლად გაგაჩერებენ. გაგჩხრეკენ და თუ მაგ „პაპკაში“ კანაფის ფოთლები და თესლი გიპოვეს, შვილო, ფულს წაგართმევენ. ეს ნაკვეთი პოლიციამ ნარკომანების მოსაზიდად და ფულის გაკეთების მიზნით არ გადახნა...

მეორე დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილეს, **მურად მაისურაძეს** ვეწვიე. მისი განცხადებით: — მდგომარეობა მართლაც მძიმეა(?!). მიმდინარე წლის რვა თვის განმავლობაში ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა პოლიციის სხვა განყოფილებებთან ერთად გაანადგურეს 34 ტონა და 400 კილოგრამი ველურად მზარდი კანაფი, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებში განადგურებულია 705 ძირი ინდური კანაფი, რომლის საერთო წონა 101 კილოგრამზე მეტს შეადგენდა. საკარმიდამო ნაკვეთებში აღმოჩენილ კანაფთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.

> — როცა კუჭის ტკივილი შეგვაწუხებს, გასაყუჩებლად ცოტ-ცოტას ვსვამთ. თითქმის ყველას კუჭი გვტკივა. ნახევარი წელიწადია ცხელი საჭმელი არ გვიჭამია. ბაზრობებზე გაკეთებული ხაჭაპურით და ღვეზელებით ვიკვებებით, სხვა რამის საყიდლად ფული არ გვრჩება.

**— ველურად მზარდი მართლაც დიდი რაოდენობით გაგინადგურებიათ, რასაც ვერ ვიტყვით საკარმიდამო ნაკვეთებში არსებულ კანაფზე.**

— საკარმიდამო ნაკვეთებში მისი აღმოჩენა ძნელია. უმეტესობას ყვავილებისა და სხვა მცენარეების გვერდით მხოლოდ რამდენიმე ძირი აქვს დარგული. ზოგიერთი კანაფს შინ, ქოთნებში ახარებს. ასე რომ, მათი აღმოჩენა ოპერატიული ინფორმაციის გარეშე გართულებულია. ველური კანაფი კი საქართველოში ოდითგანვე ხარობდა. მისი ნარკოტიკად გამოყენება ნარკომანებმა გასულ საუკუნეში ინტენსიურად დაიწყეს. მართალია, ინდური ან მანჯურიის კანაფისგან განსხვავებით ველურ კანაფში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველობა დაბალია, მაგრამ კაიფს ნარკომანს ისიც აძლევს.

**— თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში (ვასახელებ მინდვრის ზუსტ ადგილმდებარეობას) უამრავი კანაფი ხარობს. ნიმუშად რამდენიმე ცალიც წამოვიღე...** — ჩანთას ვხსნი და მაგიდაზე ნიმუშებს ვაწყობ.

— დიახ ეს არის. ხედავთ, თესლი როგორ ცვივა. ამ კანაფით ქუჩაში გამოსვლა არ შეგეშინდათ?

**— ნარკომანს რა მიგავს... ამბობენ, ბავშვებიც დადიან იქ და რაღაცას რძეში ხარშავენო.**

— მაგ სითხეს „მანაგუა“ ჰქვია — საკმაო რაოდენობით შეიცავს ნარკოტიკულ ნივთიერებას. ჩვენ ვიცით ის ადგილი. ამ ზაფხულს იქ დიდი რაოდენობით კანაფი გავანადგურეთ. როგორც ჩანს, ისევ მომრავლებულა... გარდა თქვენ მიერ დასახელებული ტერიტორიისა, სხვაც ბევრი ადგილია, სადაც ველური კანაფი ხარობს. მათ სისტემატურად ვანადგურებთ. რა ხდება არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, სამწუხაროდ არ ვიცით.

**— როგორც გავიგე, საქართველოში დღეს ყაყაჩოს და კოკას (კოკა — ძლიერი ნარკოტიკების შემცველი მცენარეა, რომლისგანაც კოკაინს ამზადებენ) თესლიც შემოაქვთ. თქვენ თუ გაქვთ ამის შესახებ ინფორმაცია?**

— არა, ასეთი ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ეს ნარკოსაქმოსნებისთვის მომგებიანი არ არის — ყაყაჩოს და კოკას თესლის შემოტანითა და მისი მოშენებით კოკაინს ან ოპიუმს ვერ მიიღებენ. ამას სათანადო ლაბორატორია სჭირდება...

ჩვენ დავუკავშირდით ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, **ზურაბ შენგელიას** და კომენტარი ვთხოვეთ: — მდგომარეობა ნარკომანიის მხრივ საქართველოში ბოლო წლებში გაუარესდა. ადრე წელიწადში ჩვენს ინსტიტუტში დაახლოებით 600 პირს გვიგზავნიდა გამოსაკვლევად პოლიცია, მათგან დაახლოებით მხოლოდ 20% იყო ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ. ახლა კი ეს პროცენტი სამჯერ გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პოლიცია ძველებურად მუშაობს, გამოდის, რომ ნარკომანების რიცხვი საქართველოში 60-70%-ით გაიზარდა. მინდა აღვნიშნო ერთი შემაშფოთებელი ფაქტიც — ჩვენთან ხშირად მოჰყავთ ნარკომანი ბავშვები. მათი ასაკი ათიდან თოთხმეტ წლამდე მერყეობს. ისინი, ძირითადად, წებოს და ბენზინის ტოქსიკური ნივთიერებებით „კაიფობენ“, თუმცა უარს არც კანაფზე და ე.წ. „მანაგუაზე“ ამბობენ.

**— ადრე თქვენთან მკურნალობის კურსი იძულებითი იყო, ახლაც ასეა?**

— არა, იძულებითი მკურნალობა დიდი ხანია აღარ ტარდება — სახელმწიფოს საამისო სახსრები არ გააჩნია. მკურნალობა მხოლოდ ნებაყოფლობითია და სრული ანონიმურობაც დაცულია. ჩვენთან თანამედროვე მეთოდებითა და პრეპარატებით მკურნალობა 350 დოლარად არის შესაძლებელი...

ერთ-ერთ ნარკოლოგიურ დისპანსერში ჩვენ ერთ ნარკომანთან გასაუბრება მოვახერხეთ. იგი მხოლოდ მეტსახელით, „წრიპად“ გაგვეცნო და შემდეგი გვიამბო: — კაიფი პლანით დავიწყე. როცა ფული არ მქონდა, ლომკებს ქართული კანაფის ნახარშით ვიხსნიდი. გალის რაიონში კანაფის პლანტაციები ჰექტრობითაა დათესილი. ამ ბოლო დროს იქ მანჯურიის კანაფიც გაახარეს და ბიჭები მაგარ პლანს იქიდან იაფად იღებენ... მოგვიანებით ოპიუმის გაჩხერვაც დავიწყე და ნემსზე შევჯექი. ოპიუმი აფხაზეთში ვიშოვე იაფად და ცდუნებას ვერ გავუძელი.

**— ყაყაჩოს პლანტაციები თუ არის გალის რაიონში?**

— არ ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ოპიუმი იქიდან შემოდიოდა ზუგდიდში. თბილისთან შედარებით იაფი ღირდა და ვინც ადრე პლანით ვკაიფობდით, ოპიუმზე გადავედით... ახლა აქ „ლომკები“ მომიხსნეს, ცოტა ხანში გამწერენ და სადმე გადავიხვეწები, თორემ ჩემს ძმაკაცებს თუ შევხვდი, წამალზე უარს ველარ ვიტყვი...

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისიდან გამგზავრება მომიწია. გზად სწორედ იმ ადგილს ჩავუვლიდი, სადაც ველური კანაფის მინდვრები იყო. როდესაც მინდორს მივუახლოვდი, ავტომობილი გავაჩერე. მაინტერესებდა, შეასრულა თუ არა მურად მაისურაძემ ჟურნალისტისთვის მიცემული პირობა — კანაფის განადგურების შესახებ. სამწუხაროდ, კანაფი უწინდებურად ბიბინებდა, ოღონდ კიდევ უფრო გაზრდილიყო და თესლიც გამსხვილებოდა. ის იყო, გზის გაგრძელება დავაპირე, რომ რამდენიმე ბავშვს მოვკარი თვალი. შორიდანაც ჩანდა, რომ მინდორში რაღაცას კრეფდნენ. ბავშვები რომ არ დამეფრთხო, გზატკეცილსა და მინდორს შორის არსებული არხი ცოტა მოშორებით გადავკვეთე და სიმინდის ყანის ნაპირს ნელა გავყევი. ბავშვებმა შემამჩნიეს. აშკარად შევატყვე, უცხო კაცის გამოჩენა არ ესიამოვნათ. ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და საეჭვოდ დაფაცურდნენ. მერე მინდვრიდან გამოვიდნენ და ჩემს მოსატყუებლად თამაში დაიწყეს. ხერხს მივუხვდი და მათ უფრო გამოცდილი ადამიანის ეშმაკობა დავუპირისპირე. დავიწყე იქაურობის დათვალიერება. ზოგიერთ მცენარეს ფესვიანად ვთხრიდი და ცელოფანის პარკში სათუთად ვდებდი, თითქოს ბოტანიკოსი ვიყავი. ასე, ნელ-ნელა, ბავშვებს მივუახლოვდი. ისინი გაოცებით შესცქეროდნენ ჩემს საქმიანობას. როცა მათ იმ მანძილზე მივუახლოვდი, რომ წესიერი ხალხი ერთმანეთს ესალმება, ბავშვებმა გამარჯობის თქმა დამასწრეს და იმწამსვე კითხვა მოაყოლეს.

**— ძია, რას ეძებთ?**

— ბოტანიკოსი ვარ, ბავშვებო და იშვიათ მცენარეებს ვაგროვებ, რათა შემდეგ სკოლაში მოსწავლეებს ვანახო. თქვენც ხომ დადიხართ სკოლაში, ნუთუ თქვენი ბოტანიკის მასწავლებელი არ გასწავლით, თუ რა მცენარეები ხარობს საქართველოში და როგორ მრავლდებიან ისინი?

— ბოტანიკა რა არის, ძია? ჩვენ მშობლები არა გვყავს და არც სკოლაში დავდივართ, — ამიხსნა ერთ-ერთმა.

ბავშვებთან საუბარი გავაბი. ნელ-ნელა ისინი ჩემ მიმართ ნდობით განიმსჭვალნენ და როდესაც ვკითხე, თქვენ რას კრეფთ-მეთქი, ყველაზე უმცროსმა წამოაყრანტალა:

— აქ კანაპლიას ვაგროვებთ, წამალს ვხარშავთ და მერე ვყიდით, — „სიტყვამრავალ“ პატარა მეგობარს უფროსმა ბიჭმა თავში წამოარტყა.

— ა, ეს თქვენ ხართ, „მანაგუას“ რომ ხარშავთ? — პირდაპირ მივახალე ბავშვებს, „მანაგუას“ ხსენებაზე შეშფოთდნენ, მაგრამ დავამშვიდე — არაფერს გერჩით და არც პოლიციიდან ვარ-მეთქი. ცოტა ხანს ეჭვით მიცქერდნენ, მაგრამ ჩვენ შორის ურთიერთობა თანდათან „დათბა“ და ბავშვებმაც ენა ამოიდგეს:

— რა ვქნათ, დედ-მამა არც ერთს არა გვყავს. მხოლოდ ორს ჰყავს ბებია, მაგრამ ისინი მოხუცები არიან და ჩვენი შენახვა უჭირთ. თავს მათხოვრობით ვირჩენთ. შარშანწინ ერთმა კაცმა ამ მინდორში მოგვიყვანა და გვითხრა, კანაფი მომიგროვეთ და ფულს მოგცემთო. იმ დღეს ბლომად მოვუგროვეთ, მერე იქიდან კანაფის თესლი გამოგვარჩევინა და ფულიც მოგვცა. მერე კვირაში ერთხელ მოდიოდა და აქ მოვყავდით კანაფის საკრეფად. ყოველდღე ათ ლარს გვაძლევს. თუ კარგ ხასიათზეა, ოც ლარსაც გაიმეტებს ხოლმე. თანდათან ჩვენც ვისწავლეთ ანაშის დამზადება და „მანაგუას“ მოხარშვა რძეში.

— რომელსაც თქვენც სვამთ...

— კაიფის დასაჭერად ნამდვილად არ ვსვამთ. როცა კუჭის ტკივილი შეგვაწუხებს, გასაყუჩებლად ცოტ-ცოტას ვსვამთ. თითქმის ყველას კუჭი გვტკივა. ნახევარი წელიწადია ცხელი საჭმელი არ გვიჭამია. ბაზრობებზე გაკეთებული ხაჭაპურით და ღვეზელებით ვიკვებებით, სხვა რამის საყიდლად ფული არ გვრჩება. მალე ზამთარი მოვა და თბილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, შეშა და ნავთი ხომ უნდა ვიშოვოთ. კიდევ პოლიციელები გვემტერებიან. რამდენჯერმე დაგვიჭირეს, მაგრამ რომ გაიგეს, უპატრონოები ვიყავით, თავი დაგვანებეს.

**— „მანაგუასთვის“ რძეს სად შოულობთ?**

— აგერ, მინდორში, აქაურების რამდენიმე ძროხა ბალახობს. თუ მწყემსი ახლავს, მისგან ვყიდულობთ. ნახევარ ლიტრას ლარად გვაძლევს თალიკო ბებია. თუ ჩაეძინა ან შორს წავიდა, მაშინ ძროხების მოწველა ჩვენც შეგვიძლია. კარგ ბალახს მივუტანთ ყველზე თვინიერ ძროხას და იგიც მოწველის საშუალებას გვაძლევს. თალიკო ბებია კი ბალახსაც გვთხოვს და ფულსაც...

რა თქმა უნდა, ბავშვებს ყველაფერი არ უთქვამთ — თავიანთი საქმიანობის გამართლებას უპატრონობით, ხოლო „მანაგუას“ სმას კუჭის ტკივილით ხსნიდნენ. ისე გათამამდნენ, რომ კანაფის კრეფა გააგრძელეს. რომ მოაგროვეს, იქვე ძროხაც გამოწველეს. შემდეგ კანაფის თესლი ქვაზე დანაყეს ფოთლებთან ერთად, ცეცხლი დაანთეს, რძეში დანაყილი კანაფის თესლები და ფოთლების მასა ჩაყარეს და კონსერვის ქილით ცეცხლზე შემოდგეს. რამდენიმე წუთში რძე ადუღდა და ფერი იცვალა. ახლა თურმე, „მანაგუას“ გაცივება სჭირდებოდა და მერე ბიჭები ალბათ უეჭველად დააჭაშნიკებდნენ. აქ კი მიმტყუნა ნერვებმა და იქაურობას გავეცალე. არადა, რომც დავრჩენილიყავი, ვისთან უნდა მეჩხუბა. ბავშვებს ჩხუბით ვერაფერს შევაგნებინებდი, ხოლო ვინც მართლაც საჩხუბარი და სასაყვედურო არის, ისინი კეთილმოწყობილ კაბინეტებში არიან გამოკეტილები და ამ უპატრონო ბავშვების ბედი ოდნავადაც არ ანაღვლებთ. უპატრონოებს კი ეშმაკები ეპატრონებიან.

P. S. ნარკოლოგიურ დისპანსერში მოპოვებული ინფორმაციით, ნარკომანების უმრავლესობა კაიფს სწორედ ველური კანაფისგან მიღებული ნარკოტიკული საშუალებებით იწყებს. ხელისუფლებას კი საამისო სახსრები ვერ გამოუძებნია, რომ საქართველოში კანაფის სახსენებელი მოსპოს. არადა, ასეთი „მომჭირნეობა“ ძალიან ძვირად დაგვიჯდება ქართველებს.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# „მამალაძე ბოლნისში ოქროს გასაკონტროლებლად მოდის“

## ხელისუფლებას ხულიგნობის ადგილზე აღკვეთის შნო უნდა ჰქონდეს...

საქართველოში საკუთარი კეთილდღეობისა და სავარძლისათვის მებრძოლი პოლიტიკოსების დაპირისპირება სისხლის ღვრამდე მიდის. ბრძოლის მიზეზიც ეს არის — კერძო, პირადი ინტერესი. მაგრამ ეს ინტერესი საზოგადოებისთვის თვალის ასახმელად ხალხზე ზრუნვის საბურვლით იფარება. პირად კეთილდღეობაზე გამეცადინებული პოლიტიკოსები ხალხს ერთმანეთს ახოცვინებენ, რათა ხალხის რჩეულის სახელით მედიდურად მიბრძანდნენ ხელისუფლებაში და მერე ხალხზე ზრუნვის ნაცვლად, მათ გაჭირვებაზე მოითბონ ხელი.

დაპირისპირებულ ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც თავ-თავიანთი მიზნები ამოძრავებთ. ძალაუფლების ხიბლნაზიარებ ხელისუფლებას ადგილის დათმობა არ სურს, კაცობის ეტალონსა და სიმბოლოს — „სავარძელს“ არ თმობს. ოპოზიციას კი აწი უნდა ხელისუფლების ტკბის“ წინააღმდეგ. ბოლნისში წასვლამდე მიხეილ სააკაშვილმა ტელევიზიით მიმართა პრეზიდენტს, ხვალ ქვემო ქართლში მივდივართ და პოლიციელებს ნუ დაგვახვედრებთო. ამის საპასუხოდ ქვემო ქართლის მთელ პოლიციას ბოლნისში მოუყარეს თავი. აქციას სამხარეო პოლიციის უფროსი ალეკო ბუკია ხელმძღვანელობდა. მიკვირს, ოდესღაც პატიოსანი კაცი, ამ ყაჩაღების გვერდით რომ დადგა.

**— თქვენამდე ბოლნისში „ბურჯანაძე–დემოკრატები“ ჩავიდნენ და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. თქვენც ხომ არ გაამწვავეთ ვითარება?**

— ნამდვილი ოპოზიცია „ნაციონალური მოძრაობაა“ და ამიტომ დაგვიპირისპირდნენ ასე გამწარებულები. სააკაშვილი სიმართლეს ამბობს, ამ ხელისუფლებას კი არ სურს სიმართლის მოსმენა. პრეზიდენტს რატომღაც ისეთი ხალხი ჰყავს გვერდით, ხელები სისხლსა და სიბინძურეში რომ აქვთ გასვრილი.



**— ბოლნისის გამგებელ ზურაბ ჯაფარიძესთან დაპირისპირება ამ ინციდენტამდე ხომ არ გქონიათ?**

— არავითარი კავშირი არ მქონია მასთან. მას დამონებული ჰყავს ბოლნისელები. ეუბნება, — ხედავთ, რა სუფთა ქალაქში ცხოვრობთო. ბოლნისის ბიუჯეტი 13 მლნ-ია, უკეთესიც უნდა იყოს ქალაქი, მაგრამ თანხებს ჯაფარიძე იჯიბავს. ფულის შოვნის გარდა, ჯაფარიძეს არაფერი გაუკეთებია. ჩემზე ამბობს, დეპუტატობაში 200 ათასი ლარი შემომთავაზაო. სად მაქვს ამდენი ფული და რომც მქონდეს და შემეთავაზებინა, ჯაფარიძე ის კაცია, რომ ამხელა ფულზე უარი ეთქვა? ჯაფარიძე ბენზინგასამართ სადგურებზე დარბის, ყოველდღე 10 და 20 ლარს აგროვებს და 200 ათასზე უარს იტყოდა? ზურაბ ჯაფარიძეს ბოლნისის ოქროშიც აქვს წილი, წისქვილკომბინატიც მაგისია, არაერთი საამქრო და ფირმა აქვს, სოფელ ტალავერში 800 ჰექტარი მიწა უკანონოდ აქვს მითვისებული.

მისი „ბატონი“ მამალაძეც ყაჩაღია. ბოლნისის მაჟორიტარობა იმიტომ უნდა, რომ იქაური ოქრო აკონტროლოს. ცხრა წლის განმავლობაში იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი ქვემო ქართლში, რომ იმუნიტეტი სჭირდება. ჩვენი აქციის დარბევის შემდეგ პენსიონერებმა ბოლნისიდან გამოაგდეს მამალაძე. ამ ყაჩაღს მიხეილ სააკაშვილის ფიზიკური განადგურება აქვს განზრახული, მისი განკარგულებით ხდებოდა ბოლნისში ყველაფერი.

ბილ ულუფას გაუსინჯოს გემო და ამიტომაც იბრძვის ასე გახელებით. საბოლოოდ კი ხალხი ზარალდება...

გასული კვირის მწვავე პოლიტიკურმა ბატალიებმა ბევრს გაუფუჭა გუნება და ამ საზიზღრობის შემყურეს ლამის არჩევნებზეც ჩააქნევინა ხელი, რაც ალბათ ამ აქციის მომწყობების მიზანიც იყო. „ბოლნისის ომი“ 2003 წლის ნოემბრის სისხლიანი აკორდი იყო. რა იქნება შემდგომ, ძნელი სათქმელია. ბოლნისში ლევან მამალაძემ და სააკაშვილმა მოუსინჯეს ერთმანეთს კბილი — შედეგად კი ორივე მხარე გაილახა. რა მოხდა ბოლნისში? ამ კითხვით ინციდენტის ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს, ბოლნისის მაჟორიტარობის მსურველს, „ნაციონალ“ **ქამალ მურადხანოვს** მივმართეთ:

— სულ არ გვინდოდა დაპირისპირება, მაგრამ ხელისუფლებამ განგებ დაგეგმა და განახორციელა ეს აქცია „ნაციონალური მოძრაო-

**— გამგებლის ცემა „ნაციონალების“ იმიჯს ნამდვილად არ წაადგება.**

— ჩვენ მშვიდობიანი აქცია გვქონდა და იქ გამგებელი არ მიგვიწვევია. ნახიდურთან სკოლის მოსწავლეები დაგვახვედრეს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 30)*



# ზოგიერთი ჩემი თანამებრძოლი ბინძურ ჭორებს ავრცელებს...

## „სხვა ქვეყნის პრეზიდენტებთან ერთად ღამის კლუბებშიც დავდივარ“

გამოიძიონ და ვინც დასასჯელია, საკადრისი უნდა მიუზღონ... წამგებიანია ოპოზიციისთვის ვითარების ასე გამწვავება. ვინც დღეს იძახის — „ყოჩაღ მიშაო!“ — მისი მტერია...

*სახელისუფლებო ბლოკში კვოტებზე დავა დასასრულს მიუახლოვდა. როგორც ჩანს, პრეზიდენტმა ყველას დამსახურებისამებრ მიაგო. ამბობენ, მამალაძეს 10-კაციანი კვოტა ერგო. ზოდელავას ინტერესებს კი მომავალ პარლამენტში 8 კაცი დაიცავსო. რჩეულიშვილს 7 პარლამენტარი ეყოლება, ედპ-ს ლიდერი (ქალს ცრემლებმა არ უშველა) — 3 ადგილს დააჯერესო. მამალაძის „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ „შინაბლოკური“ ომის პარალელურად, გარეომებიც „ტრიუმფით“ გაასრულა. უშვერი გინებით შეზავებული მისი გმირობის ამსახველი კადრები კი ლამის 2 ნოემბრის არჩევნების ჰიტად იქცა... სახელისუფლებო ბლოკის ამბები ქალაქის მერს,* ***ვანო ზოდელავას*** *მოვაყოლეთ. და თან თანაგუნდელის „ბოლნისური ომის“ შეფასებაც ვთხოვეთ:*

— ამაზრზენი რამ მოხდა, არც ადგილობრივ ხელისუფლებას ვამართლებთ და არც სააკაშვილს. ქვეყანაში კანონი უნდა კანონობდეს. როგორ შეიძლება დედაქალაქიდან დარაზმული წახვიდე და რომელიმე სოფელი შტურმით აიღო. ის, რაც ბოლნისში მოხდა, ორივე მხარეს ჩირქს სცხებს. შსს-მ და პროკურატურამ ეს საქმე უნდა გამოიძიონ და ვინც დასასჯელია, საკადრისი უნდა მიუზღონ. თუ ასე გავაგრძელეთ, სისხლის ღვრამდე მივალთ. სავარძლების მორგების სურვილმა ადამიანური ღირსება არ უნდა დაგვაკარგვინოს.

**— ოპოზიცია ხელს ხელისუფლებისკენ იშვერს. ქაოსი და არჩევნების გადადება ხელისუფლებას უნდაო...**

— სიცრუეა... არჩევნების გადადება თვითონ ოპოზიციას სურს და ამიტომაც მიმართავს ასეთ ექსცესებს. მერწმუნეთ, ხელისუფლება ჩაატარებს ამ არჩევნებს და ყველა იმდენ ხმას მიიღებს, რამდენი მხარდამჭერიც ჰყავს. წამგებიანია ოპოზიციისთვის ვითარების ასე გამწვავება. ვინც დღეს სააკაშვილს აქებს — „ყოჩაღ, მიშაო!“, მისი მტერია. ამ ფაქტით მიშამ რეიტინგი დაკარგა...

**— დედაქალაქში რით შეეწინააღმდეგებით ბოლნისის მსგავსი სცენარის გათამაშებას?**

— კანონით... ხელკეტებს არასოდეს გამოვიყენებ. 2001 წლის ნოემბრის აქციების დროს ხელისუფლების ნაწილის გადადგომის გამო საგანგებო კომისია შეიქმნა და პრეზიდენტმა თბილისში ვითარების გაკონტროლება მე დამავალა (პარლამენტის თავმჯდომარე, შს მინისტრი, სახელმწიფო მინისტრი გადამდგარები იყვნენ). ყველაფერი უსისხლოდ დასრულდა. გაზაფხულზეც ხომ გამართა ოპოზიციამ აქციები, მაგრამ არც მიფიქრია ვინმეს დარბევა...

**— დარბევისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თქვენ და სააკაშვილი „გაკეთებულ საქმეებს“ რომ ერთმანეთს არ უთმობთ, ცხადია...**

— სააკაშვილს გულითაც რომ უნდოდეს, ვერ დაიბრალებს იმიტომ, რომ დედაქალაქის ბიუჯეტს მე ვამტკიცებ. დედაქალაქში ყველა საკითხს მთავრობა — ანუ მერია წყვეტს. თუმცა არასოდეს ვიჩემებ, რომ ყველაფერი ჩემი გაკეთებულია. ვაცხადებ ხოლმე, ეს საქმე საკრებულომ და მერიამ ერთად გააკეთეს-მეთქი. არ შეიძლება კაცი თხასავით სულ „მეს“ იძახოდეს. ცოტა თავმდაბალი რომ იყოს მიშა, უფრო დააფასებდნენ. სანამ საკრებულოში სააკაშვილი და ნათელაშვილი მოვიდოდნენ, მერია არ აკეთებდა საქმეს?

**— სახელისუფლებო ბლოკში მშვიდობიანად ჩაიარა „კვოტების ომმა“? — ამბობენ, ზოდელავას 8 ადგილი ერგოო.**

— მეტი არ მერგებოდა, რო... თავს არავის დავაჩაგვრინებ. ჩემ უკან დედაქალაქის მოსახლეობა დგას — მათი პრობლემების მოგვარებას 8 კი არა, მეტი დეპუტატი სჭირდება..

**— ითქვა, ზოდელავა თავისი ხალხისგან 300-300 ათას დოლარს იღებსო.**

— მერწმუნეთ, ვინც ასეთ ჭორებს ავრცელებს, ის ხალხი გაცილებით მეტ ფულს იღებს. ჩემს კვოტაში ყველა ღირსეული და პატიოსანია, ისინი თბილისელების სახელს არ შეარცხვენენ. თბილისში არაფერი იმალება, ვიცით, ვინ უკვეთავს ასეთ ბინძურ ჭორებს და ისიც, ვის რამდენს უხდიან სიცრუის გავრცელებაში. პრეზიდენტის თვალში იმიჯი რომ შემილახონ, ზოგიერთი ჩემი თანამებრძოლი ასეთ სამარცხვინო რამესაც კადრულობს.

**— ბოლოს და ბოლოს, გმირთა მოედანზე მემორიალი თქვენ გახსენით თუ სააკაშვილმა?**

— მემორიალი ქალაქის მერიის დაფინანსებით გაიხსნა. მხოლოდ სააკაშვილი არაფერს წყვეტს... ეს ერთობლივი ჩანაფიქრი იყო...

**— სახელისუფლებო ბლოკის პირველ ათეულს გაგვიმხელთ?**

— პირველ ათეულში იქნებიან: ვაჟა ლორთქიფანიძე, ირინა სარიშვილი, ვახტანგ რჩეულიშვილი, ლევან მამალაძე, გია ყარყარაშვილი, გია შერაძე, თამაზ ნადარეიშვილი და გურამ შარაძე...

**— ბატონო ვანო, თქვენზე ამბობენ, ღამის კლუბებში უყვარს სიარულიო.**

— ჯაზი მიყვარს, ვარ ხოლმე „ჯაზკლუბში“. ახლა „თექვსმეტ რაუნდში“ დავდივარ. ზოგჯერ სხვა ქვეყნების პრეზიდენტებიც დამყავს იქ. კერძოდ, ბულგარეთის პრეზიდენტი, ერთხელ ქოჩარიანიც მყავდა. არ იფიქროთ, მოწმესავით ვზივარ, ხელსაც ვაქნევ, სიმღერა და ცეკვა მიყვარს, ცეკვაში ბევრსაც გავეჯიბრები. განსაკუთრებით მთიულური მეხერხება... დასასრულ, ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც კონსოლიდაციისკენ მოვუწოდებ, გავერთიანდეთ, ნუ დავჭამთ ერთმანეთს!

***იზო რეკაძე***

# არჩევნები–2003

## მოიგეთ ფერადი ტელევიზორი



ერთგულ მკითხველს აუცილებლად ემახსოვრება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ჩვენი გაზეთის მიერ გათამაშებული ფერადი ტელევიზორი. მაშინ საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების ადგილები 54 წლის ავთო სტურუამ ყველაზე ზუსტად გამოიცნო და გახდა პრიზის მფლობელი. „კვირის პალიტრა“ ტრადიციას აგრძელებს და გაძლევთ შანსს მოიგოთ ფერადი ტელევიზორი. ამისათვის საჭიროა შეავსოთ ეს ბარათი და **„კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)** საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.

**თქვენი პროგნოზი** — როგორი იქნება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები?! მოცემული ათი გრაფა უნდა შეავსოთ პოლიტიკური პარტიების, გაერთიანებების დასახელებით იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ისინი განლაგდებიან 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებში.

## რომელი პოლიტიკური პარტია ან გაერთიანება დაიკავებს I–X ადგილებს საპარლამენტო არჩევნებში?

ტელევიზორს იგებს ბარათი-პროგნოზი, რომელიც ზუსტად დაემთხვევა არჩევნების შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ზუსტი პროგნოზი ვერავინ გააკეთა, პრიზს მიიღებს ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი; ხოლო თუ რამდენიმე ზუსტი პროგნოზი აღმოჩნდება, ან იქნება რამდენიმე ერთნაირად მიახლოებული ვარიანტი, პრიზს მიიღებს ის მკითხველი, რომლის პასუხიც ბარათის ბოლოს დასმულ შეკითხვაზე — ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში? — ყველაზე მიახლოებული იქნება რეალურთან. **წარმატებებს გისურვებთ!**

**„კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ბარათების მოთავსების ბოლო ვადაა თბილისში 29, ხოლო რაიონებში 28 ოქტომბერი.** ამის შემდეგ ისინი რედაქციაში დაილუქება და გაიხსნება მხოლოდ არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ.

### პოლიტიკური პროგნოზი

| ადგილი | პოლიტიკური პარტია/ბლოკი |
|---|---|
| I | |
| II | |
| III | |
| IV | |
| V | |
| VI | |
| VII | |
| VIII | |
| IX | |
| X | |

ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში?

______________

თქვენი სახელი, გვარი

ასაკი ტელეფონი

ქალაქი, რაიონი

**აფხაზური სინდრომი**

# აფხაზეთს ყოველწლიურად კვლავ ვკარგავთ



აფხაზეთის ტრაგედიიდან 10 წლის თავზე ბევრი არაფერი შეცვლილა — ლტოლვილები კვლავ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან, ზოგი გულში მჯიღს იცემს — ამას და იმას ვუზამთ სეპარატ-ისტებსო, ხელისუფლება კი კვლავ აგრძელებს სამშვიდობო მოლაპარაკებების უაზრო კურსს, თუმცა მათაც კარგად მოეხსენებათ, რომ ეს წყლის ნაყვაა.

აფხაზეთის დაკარგვა კი ყოველწლიურად გრძელდება. 30 სექტემბერს სეპარატისტები, თავისი მასშტაბებით, გრანდიოზული „შოუს“ მოწყობას აპირებენ სამხედრო აღლუმითურთ, რითაც კიდევ ერთხელ შეეცდებიან, უფრო თავის თავს დაუმტკიცონ, რომ ათი წლის წინ სისხლი ტყუილად არ დაღვარეს.

ამხელა საქართველო (აფხაზეთთან შედარებით!) კი კვლავ ერთმანეთის ლანძღვასა და ქვასროლიობას უნდება იმის მაგივრად, რომ მოფიქრებული, სერიოზული და, რაც მთავარია, თანმიმდევრული პოლიტიკა გაატაროს აფხაზეთში გაბატონებული სეპარატისტების რეჟიმის მიმართ.

სამშვიდობო მოლაპარაკებების გზა დიდი ხანია ჩიხში მოექცა, დრო სეპარატისტების წისქვილზე ასხამს წყალს. საქართველოს უნიათო ხელისუფლების ხელში რაიმე წარმატებულ სამხედრო რევანშზე ფიქრი არც ღირს — თავდაცვის სამინისტროში ის ვერ აღურიცხავთ, ვინ რა გვიწყალობა და რომელი სამხედრო ოპერაციის დაგეგმვასა და განხორციელებაზეა ლაპარაკი!

ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად რჩებოდა სპეცოპერაციების განხორციელება სეპარატისტების ხელისუფლების წინააღმდეგ აფხაზეთში.

ამ სპეცოპერაციების მთავარი დანიშნულება იქნებოდა სეპარატისტების მიერ დსთ-ის ქვეყნებთან, ასევე აფხაზეთის მოსაზღვრე რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარესთან ეკონომიკურ-პოლიტიკური და სამხედრო კავშირების დამყარებისთვის ხელის შეშლა. ასეთი საქმიანობის ცალკე მიმართულებად უნდა ქცეულიყო სეპარატისტების მთავარი სიამაყის — საკურორტო სეზონების ჩაგდება, ანუ ისეთი სიტუაციის შექმნა, რომ აფხაზეთის პლაჟებზე დასვენება თვით ციმბირელ რუსსაც კი არ მონდომებოდა.

ოფიციალურ თბილისს ძალ-ღონე არ უნდა დაეშურებინა სეპარატისტების „სიცოცხლის გზის“ — საზღვაო მიმართულების გადასაკეტად, რათა არც ერთ თურქულ თუ რუსულ გემს საქონელი არ შეეტანა აფხაზეთში და იქიდან ხეტყე და წიაღისეული არ წამოეღო.

საგანგებოდ უნდა ჩაშლილიყო სეპარატისტების საქართველოზე გამარჯვების დღეების ზეიმი, განსაკუთრებით 30 სექტემბერი...

ამ სიის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ...

მაგრამ რეალობა მწარეა.

30 სექტემბრის საზეიმო და პომპეზური აღნიშვნით სეპარატისტები კიდევ უფრო აშორებენ აფხაზეთს საქართველოს, თუნდაც იმიტომ, რომ სოხუმში თითქმის აღარ ეშინიათ არც ქართული არმიის და, რაც ყველაზე მწარეა, აღარც ქართული პოლიტიკისა და ეკონომიკისა.

არადა, სეპარატისტები მუდმივი შიშითა და ძრწოლით უნდა ელოდნენ შურისძიების წამს, როდესაც გამარჯვებული საქართველოს მოქალაქეები თავიანთ ძირძველ მიწაზე — აფხაზეთში — ღირსეულად, თავაწეულნი შევლენ...

# იდეალური იარაღი პოლიტიკური მკვლელობისათვის

## არჩევნების წინ პოლიტიკური ტრაგედია მწიფდება

მოახლოებული არჩევნების წინ პოლიტიკური დაპირისპირება უკვე გადაიზარდა ხელჩართულ ბრძოლაში, ქვებისა და ტყვიების სროლაში. ამ ბაკქანალიის დროს კი უშიშროების სამინისტრო კონტრაბანდული იარაღის პარტიას აკავებს.

ერთი შეხედვით, თითქოს საერთო არ უნდა იყოს 26 სექტემბერს, ბოლნისში გამართულ პოლიტიკურ „წესების გარეშე ბრძოლასა“ და სამი დღით ადრე დილომში დაკავებულ მოქალაქეს შორის, რომლის მანქანიდან გასაყიდად გამზადებული იარაღი ამოიღეს.

უცნაურია, მაგრამ ამ არსენალში არ იყო შავ ბაზარზე მეტად პოპულარული „მაკაროვები“ და „კალაშნიკოვები“. მანქანის საბარგულში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ელექტროდეტონატორი, სამი ხელყუმბარა, ერთი ტანკსაწინააღმდეგო კუმულატიური ხელყუმბარა და სამი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, და რაც მეტად საგულისხმოა, მსროლელი დანა HPC-2. ეს დანა ძალზე მოსახერხებელია პოლიტიკური მკვლელობის განსახორციელებლად.

**ჩვენი დოსიე: საბჭოთა სამხედრო დივერსანტებისთვის „მზვერავის დანა, მსროლელი“ HPC-2, გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიმუშავეს. იგი ორმაგ ფუნქციას ასრულებს. დანის პირით შეიძლება მსხვილი ბაგირის გადაჭრა ან მოწინააღმდეგისთვის ყელის გამოჭრა. ქარქაში კი შუაზე იხსნება და შეუძლია 5 მმ დიამეტრის მავთულისა და 400-ვოლტიანი ელექტროკაბელის გადაჭრა, მაგრამ HPC-2-ის მთავარი „სიურპრიზი“ მის სახელურში ჩამონტაჟებული მოწყობილობაა, საიდანაც შეიძლება 7,62 მმ კალიბრის ტყვიის 25 მ-ის დისტანციაზე სროლა.**

ეს სპეცდანიშნულების იარაღი ქართულ ძალოვან სტრუქტურებში ათიოდე წლის წინ მოხვდა ლაგოდეხში დისლოცირებული ГРУ-ს დაქვემდებარებაში მყოფი მოიერიშე-სადესანტო ბრიგადიდან და КГБ-ს საწყობებიდან. აფხაზეთის ომში ქართველი სპეცრაზმელები ხანდახან იყენებდნენ მსროლელ დანებს და მაყუჩიან იარაღს. 1993 წელს ამგვარი იარაღით სავსე ერთი БТР-80 ტიპის ჯავშანტრანსპორტიორი ერთმა სამთავრობო ჯარების პოლკოვნიკმა წალენჯიხის რაიონში ზვიადისტებს „ჩააბარა“. ეს სპეციარაღი მაშინ უკვალოდ „გაქრა“ და კერძო პირების ხელში აღმოჩნდა.

სპეციარაღის დაკარგვის მეორე ფაქტი აფხაზეთის ომის შემდეგ დაფიქსირდა. ეს კი ასე მოხდა: ქართველი გენერლების ნდობით აღჭურვილ ქართული წარმოშობის ყოფილ საბჭოთა სპეცრაზმელს ჩვენი თავდაცვის სამინისტროს სპეცრაზმში ინსტრუქტორობა ჩააბარეს. ერთ-ერთი წვრთნის დროს მან მებრძოლები დასასვენებლად გაუშვა, თავად მოაგროვა სპეციარაღი და აორთქლდა.



იარაღის შავ ბაზარზე უჩუმრად მსროლელი დანების გამოჩენამ წესით ბევრი პოლიტიკოსი უნდა დააფრთხოს.






ტყვიას ვაზნიდან დგუში აგდებს, ხოლო დენთის მაღალწნევიანი აირი ვაზნაშივე რჩება.

სპეციარაღის გამოჩენა შავ ბაზარზე ძალზე საგანგაშო ფაქტია, რადგან იგი განკუთვნილია ადამიანის უჩუმრად მოსაკლავად, მათ შორის იმ პოლიტიკური ფიგურებისაც, რომლებსაც ჯერჯერობით მხოლოდ ქვებს ესვრიან.

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი დანა ადვილად იმალება პიჯაკის სახელოში. ბრბოში შეიძლება სამიზნემდე იოლად მიახლოება და ახლო მანძილიდან მიბრჯნით სროლა ისე, რომ სროლის ხმასაც ვერავინ გაიგებს და ვერც გასროლის გაელვებას დააფიქსირებს. HPC-2-ს არავითარი მაყუჩი არა აქვს. სროლის ხმის ჩახშობა კი ხდება სპეციალურ, СП-4 ტიპის ვაზნაში, რომლიდანაც ტყვიას დგუში ამოაგდებს. თავის მხრივ, ეს დგუში ვაზნაშივე კეტავს აფეთქებული დენთის აირებს და გასროლის შემდეგ გაჩხაკუნებაღა ისმის.

სპეციარალს, როგორც წესი, არა აქვს ჩატარებული წინასწარი ბალისტიკური კვლევა, ამიტომაც შეუძლებელია იარაღის პატრონის დადგენა.











Державна компанія з експорту та імпорту продукції і послуг військового та спеціального призначення
**УКРСПЕЦЕКСПОРТ**
Україна, 04119, м. Київ, вул. Дегтярівська, 36
тел.: +380 (44) 269-20-06, 269-11-08
факс: +380 (44) 269-10-01, 241-37-58

State Company for Export and Import of Military and Special Products and Services
**UKRSPETSEXPORT**
36, Degtyarivska str., Kyiv, 04119, Ukraine
tel.: +380 (44) 269-20-06, 269-11-08
fax: +380 (44) 269-10-01, 241-37-58

25.07.2001 № USE-20.1/7153
На № ____________ від ____________

Исполнительному директору
ООО «Гамма-Центр»
господину Алехину Л.А.

Относительно Контракта
№ USE 20.1-6-K/KE-99 от 27.01.99г.

Уважаемый Леван

Руководствуясь письмом
Вашему вниманию
27.01.99г.

# სამშობლოს მიერ მიტოვებულნი...

## ჩვენ სხვაგან ვარემონტებთ, სხვებს ჩვენთან მოაქვთ

უკრაინაში იძულებით „ემიგრირებულ“, „სამშობლოს“ მიერ მიტოვებულ 7 ქართულ შვეულმფრენზე არაერთხელ დაგვიწერია.

ამჯერად ხელში ერთი დოკუმენტი ჩაგვივარდა, რომელიც, გარკვეულწილად, ნათელს ჰფენს „შვეულმფრენების“ საქმის დეტალებს. მართალია, იგი შარშანწინდელია, მაგრამ მას შემდეგ ამ საქმეში ბევრი არაფერი შეცვლილა.

„უკრსპეცექსპორტის“ მიერ ქართული „გამა-ცენტრისთვის“ გაგზავნილ, 2001 წლის 25 ივლისით დათარიღებულ ოფიციალურ წერილში ბევრი საინტერესო რამ წერია. თუნდაც ის, რომ ჯერ კიდევ 2001 წლის 24 მაისისთვის 7 შვეულმფრენიდან კაპიტალურად გარემონტებული იყო ორი ამფიბია Ми-14ПС და სამივე საბრძოლო Ми-24. ეს სამუშაოები 2.643.803 აშშ დოლარი დაჯდა, რასაც ორი Ми-2 ტიპის შვეულმფრენის რემონტის თანხაც (179.989 აშშ დოლარი) დაემატა.

სულ საქართველოს უნდა გადაეხადა 2.823.792 დოლარი, მაგრამ 24.07.2001 წლის მდგომარეობით გადახდილი იყო 1.170.477 დოლარი. „უკრსპეცექსპორტისა“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 7 შვეულმფრენის რემონტისთვის იმ მომენტში 1.653.315 დოლარი ემართა.

ჩვენი ინფორმაციით, მას შემდეგ ვალმა მოიმატა (შვეულმფრენის დგომისა და შენახვის ორი წლის საფასური) და თითქმის 1,8 მლნ დოლარს მიაღწია. იმავე წერილში „უკრსპეცექსპორტი“ მკაფიოდ მიუთითებს, რომ ქართული მხარის თხოვნის — ფულის გადახდამდე დაუბრუნონ გარემონტებული შვეულმფრენები — დაკმაყოფილება მხოლოდ უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შეუძლია.

განვლილი ორი წელი და კვლავ იძულებით „ემიგრაციაში“ დარჩენილი შვიდივე შვეულმფრენი კი იმაზე მიუთითებს, რომ უკრაინის მინისტრთა საბჭომ სახელგატეხილ ქართველ კოლეგებს არ დაუჯერა და არ გამოატანა შვეულმფრენები. ვერც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გამოძებნა თანხები „ეკონომიკური ტყვეობიდან“ საკუთარი საბრძოლო ტექნიკის გამოსახსნელად, თუმცა, ამავდროულად, ყოველთვის მოიძებნებოდა არც ისე მცირე თანხები ხშირად უნაყოფო საზღვარგარეთული მივლინებებისთვის ან არაპრიორიტეტული ახალი (უფრო სწორად, ნახმარი) საბრძოლო ტექნიკის შესასყიდად უცხოეთში.

თითქმის აღარ არის საეჭვო, რომ „შვეულმფრენების“ საქმის უკან მსხვილი ფინანსური მაქინაციები იმალება, რომელთაც არა მარტო თავდაცვის სამინისტროს მაღალ ეშელონებში მივყავართ.

ისე, თავდაცვის სამინისტროს ძალიან რომ გაუჭირდა და მის განკარგულებაში დარჩენილ ორ შვეულმფრენს — Ми-8Т-სა და Ми-8МТ-ს სასწრაფო რემონტი დასჭირდა (მაშინ „იროკეზები“ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყვანილი), მისმა ხელმძღვანელობამ (რომელიც შვეულმფრენის გარეშე დარჩა, ხოლო კოლეგების შეწუხება სასაზღვრო უწყებიდან და შსს-დან, ძალიან არ ეპიტნავებოდათ) კეთილი ინება და ულან-უდეს ქარხნიდან 20 სპეციალისტი ჩამოიყვანა, რომლებმაც ადგილზევე შეაკეთეს ორივე შვეულმფრენი.

გამოდის, რომ იმ შვიდი შვეულმფრენის უკრაინაში გაგზავნა გასარემონტებლად აუცილებელი არ იყო და ამით პირველ რიგში ის რამდენიმე სამხედრო და პოლიტიკური პირი იყო დაინტერესებული, რომლებმაც ალბათ კარგად მოითბეს ხელი.

ამ სამარცხვინო ფაქტის შემდეგ, საქართველო ერთგვარ რევანშს იღებს „შვეულმფრენების“ გამო, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა თავდაცვის სამინისტროს ხელით, არამედ სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ თანადგომით. ორიოდე კვირის წინ, აეროპორტის გზაზე ნახავდით გამწევ მანქანებს, რომლებიც ხრახნებდახსნილ შვეულმფრენებს ტრასაზე მიაგორებდნენ.

ეს ქართული შვეულმფრენები არ გახლდათ. ექვსი Ми-8МТ ტიპის შვეულმფრენი სარემონტოდ „თბილავიამშენში“ შუა აზიის ერთ-ერთმა ქვეყანამ (არ დავაზუსტებთ) გამოგვიგზავნა.

საკვირველია, რომ ამ ქვეყანამ იქვე, ყურისძირში, ულან-უდეში, რუსულ საშვეულმფრენო ქარხანაში თავისი შვეულმფრენების რემონტს მათი „თბილავიამშენში“ ჩამოტანა ამჯობინა. მით უმეტეს, რომ თბილისის საავიაციო ქარხანას შვეულმფრენების გარემონტებაში არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. მაგრამ ცოტა ხნის წინ „თბილავიამშენის“ ხელმძღვანელობამ, რომელიც პროფილის შენარჩუნებაზე საწარმოს ეკონომიკურ განვითარებასა და ფინანსურ მოგებაზე სერიოზულად ზრუნავს, მოიწვია ყაზანელი სპეციალისტები. მათ და ადგილობრივმა სპეციალისტებმა „თბილავიამშენში“ ჩაატარეს შვეულმფრენების კაპიტალური რემონტი და სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები, რაც რეალურს ხდის, თბილისი გახდეს Ми ტიპის შვეულმფრენების რეგიონალური სარემონტო ცენტრი.

საგულისხმოა, რომ თბილისში შუა აზიიდან ჩამოტანილი შვეულმფრენების უკრაინაში გასარემონტებლად სწორედ „უკრსპეცექსპორტი“ იბრძოდა.

დაბოლოს, თუკი თბილისში მოხდება მოიერიშე თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების, ხოლო ბათუმსა და ფოთში — სამხედრო კატარღების რემონტი, თავდაცვის სამინისტრო მაინც გაიტანს უკრაინაში სარემონტოდ ტექნიკას?!


თუ ჩვენც შეგვეძლო შვეულმფრენების რემონტი, უკრაინაში რაღას ვაგზავნიდით?

# „კუკურუზნიკები“ სვანებისთვის

## „აირზენა“ შიდაავიარეისებს იწყებს

ვინ იფიქრებდა, თუ სტალინის დროინდელი სამგზავრო თვითმფრინავები კვლავ გამოჩნდებოდნენ XX საუკუნის საქართველოს ცაში!

ორიოდე კვირის წინ ავიაკომპანია „აირზენა — საქართველოს ავიახაზებმა“ უკრაინიდან ორი Ан-2 ტიპის პატარა სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოიყვანა, სწორედ ისეთები, ხალხი „კუკურუზნიკებს“ რომ ეძახის.

ამ ტიპის პირველი თვითმფრინავი ჰაერში 1947 წელს აფრინდა, „აირზენას“ მიერ ნაყიდი „კუკურუზნიკები“ 1985-86 წლებშია გამოშვებული.

Ан-2 მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა სტალინის მითითებით, როგორც, პირველ რიგში, მცირე სადესანტო თვითმფრინავი, აგრეთვე — სოფლის მეურნეობისთვის და ხალხის გადასაყვანად. დღემდე 16 მოდიფიკაციის 18 ათასამდე ეგზემპლარია გამოშვებული. საბჭოთა კავშირმა 1960 წელს, 5000 თვითმფრინავის გამოშვების შემდეგ, შეწყვიტა მისი სერიული წარმოება და ლიცენზია ჩინეთსა და პოლონეთს გადასცა. შემდეგ პოლონეთმა უკვე თავისი დამზადებული 10440 ცალი Ан-2 საბჭოთა კავშირს უკან მიჰყიდა. „აირზენას“ მიერ შეძენილი „კუკურუზნიკები“ ალბათ ამ პარტიიდანაა.

**ჩვენი დოსიე: თვითმფრინავი-ბიპლანი Ан-2-ის მაქსიმალური ასაფრენი მასა 5,5 ტონაა. მას 12 მგზავრი გადაჰყავს 900 კმ-ის სიშორეზე 170-185 კმ/სთ კრეისერული სიჩქარით.**


სვანებს „კუკურუზნიკები“ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან ახსოვთ

ორივე „კუკურუზნიკი“ ნაყიდია უკრაინაში, ქ. ვინიცაში, საიდანაც ისინი საქართველოში თავდაცვის სამინისტროს გამოცდილმა სამხედრო პილოტებმა გადმოაფრინეს, ოღონდ გრძელი გზა მოიარეს — ვინიცა-ოდესა-სტამბოლი-თბილისის მარშრუტი, რადგან პირდაპირ აფხაზეთზე ამ ნელი სიჩქარის და დაბალ სიმაღლეზე მფრენი სამგზავრო თვითმფრინავების გადმოსვლა რისკთან იყო დაკავშირებული.

ორივე „კუკურუზნიკმა“ პირველი გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა — გადმოფრენის მარშრუტი, 2.500 კმ, 15,5 საფრენ საათში უავარიოდ დაფარა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალნაყიდი „კუკურუზნიკები“ მორალურად მოძველებულია (ისე, მათ ვინიცაში კაპიტალური რემონტი ჩაუტარდათ და ტექნიკურად გამართულნი არიან), გააჩნიათ რამდენიმე ისეთი ტექნიკური და საფრენოსნო თვისება, რაც ამართლებს მათ შეძენას, პირველ რიგში ეს ეხება Ан-2-ის უნარს, დაჯდეს და აფრინდეს 150-170 მ სიგრძის მინდვრის ზოლიდან. ამასთან, „კუკურუზნიკების“ ძრავებს მუშაობა შეუძლიათ საავტომობილო ბენზინ Аи-95-ით, რაც მათ ექსპლუატაციას აიაფებს.

როგორც „აირზენას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა **თეა გადაბაძემ** გვითხრა, — მათ ავიაკომპანიას, გადაწყვეტილი აქვს, დაიწყოს შიდარეისების შესრულება ქუთაისის, მარნეულის, თელავის, სვანეთის, თუშეთისა და სამცხე-ჯავახეთის მიმართულებით, რისთვისაც იყიდეს ზემოხსენებული Ан-2-ები. ამ წამოწყებას აბრკოლებს ის, რომ რაიონების უწინდელი პატარა აეროპორტების ინფრასტრუქტურა დღეს სრულიად მოშლილია. ამჟამად მიმდინარეობს ორივე თვითმფრინავის საცდელი ფრენები და იმ პილოტების მოძიება, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ინტენსიურად დაფრინავდნენ ამგვარი თვითმფრინავებით.

15-20 წლის წინ Ан-2 ჩვენში მართლაც მთავარი „საჰაერო ტაქსი“ იყო, განსაკუთრებით სვანეთში, სადაც ზამთარში სხვა გზით მოხვედრა ძალიან ჭირდა. შემდგომში ამ „კუკურუზნიკების“ დიდი ნაწილი ჯართში ჩააბარეს, მხოლოდ რამდენიმე ცალი შეინარჩუნა თავდაცვის სამინისტრომ.

P.S. გასული წლის დასაწყისში, აფხაზეთის სვანეთში, სოფელ გენწვისში, აფრენის მომენტში, ავარია განიცადა გადატვირთულმა Ан-2-მა (საბედნიეროდ არავინ დაღუპულა). ერთმა სვანმა სასწრაფოდ მოარბენინა ჭურჭელი თვითმფრინავის ავზიდან გადმოღვრილი ბენზინის შესაგროვებლად. ამის შემხედვარე მეორე სვანმა (რომელსაც „არ შეხვდა“ საწვავი) გაბრაზებულმა ჩაიბურტყუნა — დაიცა, კიდევ ჩამოვარდება თვითმფრინავი და იმის ბენზინი სულ ჩემი იქნებაო.

ღმერთმა ნუ აუსრულოს ოცნება!

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## გროზნოში სანთებელები ფეთქდება

ჩეჩნეთში ტერორიზმის ახალი სახე გამოჩნდა — რამდენიმე რუსი სამხედრო უთითოდ დარჩა, თანაც მარჯვენა ხელის თითების გარეშე. ასეთი კაცი კი რაღა მებრძოლია! სწორედ ამგვარ, „ორიგინალურ“ ხერხს მიმართეს ჩეჩნებმა ბოლო დღეებში — მათ რუსულ ბლოკ-პოსტებზე სანთებელები მიმოფანტეს.

რუსი ჯარისკაცისთვის, რომელიც დარსა და ავდარში თვეობით დგას საგუშაგოზე, ჭყეტელა, თანაც ნაპოვნი სანთებელა, საუკეთესო საჩუქარია. ამბობენ, უფასო ყველი მარტო სათაგურშიაო. ჩეჩნებმა სწორად გათვალეს მოწინააღმდეგის სიხარბე და წინ სანთებელები დაუყარეს, ოღონდ „სიურპრიზით“ — იგი გაჩხაკუნებისთანავე ფეთქდება და მასთან „მოთამაშე“ უთითოდ რჩება. ისე, სიმართლე რომ ითქვას, ეს ჩეჩნების გამოგონება სულაც არ არის. ჩეჩნეთის ომამდე ამგვარ ხერხს იყენებდნენ ავღანელი მოჯაჰედები საბჭოთა ჯარისკაცების წინააღმდეგ. ეს კი მათ დასავლელი სპეცსამსახურებისგან ისწავლეს. უფრო ადრე კი, ვიეტნამელი პარტიზანები სანთებელიან „სიურპრიზებს“ ამერიკელებს უყრიდნენ, თავის მხრივ, ვიეტნამელებს ეს ყველაფერი საბჭოთა „კაგებემ“ ასწავლა.

## რუსული ფლოტი ქალებს „შეეწირა“

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია (თუკი უკრაინის მასმედიას დავუჯერებთ), რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ბრძოლისუნარიანობა ნულამდე დაეცა. და ეს არის არა


**ნავსაყუდელში მდგარი რუსული სამხედრო ხომალდების ეკიპაჟები ორად ორმა არასრულწლოვანმა მეძავმა მწყობრიდან გამოიყვანა**

ამერიკული ავიამზიდების და თურქული წყალქვეშა ნავების ბრალი, არამედ... ორი არასრულწლოვანი მეძავისა!

აგვისტოში, ორმა გოგონამ, სამი კვირა გაატარა სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო ბაზაში თავმოყრილი რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ნავსაწინააღმდეგო ხომალდების დივიზიონში. მათ ესტაფეტასავით გადასცემდნენ ერთი გემიდან მეორეზე და მალე ვენერიული სენით შეპყრობილმა 72-მა რუსმა სამხედრო მეზღვაურმა ჰოსპიტალში ამოჰყო თავი.

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სარდლობა კატეგორიულად უარყოფს ყოველივე ამას, თუმცა უკრაინელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, სევასტოპოლში მდგარი გემები საროსკიპოებადაა გადაქცეულიო.

## SMS შეტყობინებამ შეიძლება გაგყიდოთ

მოსკოვში მორიგი სკანდალი მწიფდება — როგორც ჩანს, რუსული სპეცსამსახურები სპეციალური აპარატურით აკონტროლებენ მობილური ტელეფონებით გაგზავნილ SMS-შეტყობინებებს. ამ აპარატურას დამახსოვრებული აქვს დაახლოებით 500 სიტყვა. მათი ტექსტურ შეტყობინებაში გამოყენებისას, თქვენს ტელეფონს უსათუოდ მოუსმენენ.

ახალი ტერორისტული აქტების შესაძლებლობით დაშინებულმა რუსულმა სპეცსამსახურებმა ამ სიტყვების სიაში შეიტანეს — „კალაშნიკოვი“, „სტეჩკინი“, „მაკაროვი“, „მუხა“, „შმელი“, „სტინგერი“, „უზი“, „სტრელა“, „იგლა“, აგრეთვე ჟარგონული სიტყვა-გამოთქმები, რომლებშიც იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერებები და ნარკოტიკები იგულისხმება.

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის ФСБ ყოველივე ამას უარყოფს, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკის სპეცსამსახურები უკვე დიდი ხანია იყენებენ „გასაღები“ სიტყვებით სატელეფონო საუბრების ამორჩევით მოსმენის ტექნოლოგიას. ეს კი არა, მგონი, ასეთმა აპარატურამ უკვე საქართველოშიც შემოაღწია და, რა გასაკვირია, რომ მოსკოვს ჰქონდეს?!

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# საგვარეულო ქამარი

## ნადავლი წყალქვეშა ნავიდან



*(დასასრული. დასაწყისი იხ. „კვირის პალიტრა“ №38)*

### ირინა ფისუნენკო-ქათამაძის წერილი, ანუ საგვარეულო ქამარი

— სიყვარულით არ გავთხოვილვარ. ჩემი მშობლები სასიძოდ მდიდარ კაცს ეძებდნენ და იპოვეს კიდეც — მეზობელი სოფლის აგრონომის ვაჟი ანდრეი. მაღალი იყო, მხარბეჭგანიერი. ადვილად შევეჩვიეთ ერთმანეთს. სიმდიდრის მოყვარული არ გახლავართ, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ჩემი ქმრის ოჯახს მდიდარი ნამდვილად არ ეთქმოდა. ერთი გამრჯე ოჯახი იყო. არადა, რატომღაც ყველა მეზობელი ჩვენ შემოგვნატროდა. ერთი-ორჯერ, ჩემს გასაგონად ისიც კი თქვეს — ფისუნენკოებს რა უჭირთ, ხელიც რომ არ გაანძრიონ, საგვარეულო ქამრით იცხოვრებენო. ბელორუსიაში, ბობრუისკის რაიონში ვცხოვრობდით. სამამულო ომი ორმოცი წლის დამთავრებული იყო, მაგრამ მაინც ხშირად გვახსენებდა თავს. ასე მოხდა ამჯერადაც. ის საგვარეულო ქამარი ისე ჩამრჩა გონებაში, რომ ერთ დღეს გავბედე და ანდრეის ვკითხე ამის შესახებ. ანდრეიმ ასეთი რამ მიამბო:

— გერმანელებმა ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში დაიკავეს ბელორუსიის ტერიტორია, სადაც ძარცვისა და ტერორის სასტიკი რეჟიმი დაამყარეს. ამ საქმის მოთავე იყო ბელორუსიის გენერალური კომისარი ვილჰელმ კუბე, რომელიც 1943 წლის 22 სექტემბერს მოკლეს პარტიზანებმა. პარტიზანთა შორის ჩემი ბაბუა, სიომა ფისუნენკოც იყო. თავდამსხმელებმა იქვე გაინაწილეს მოკლულის ნივთები. ვინ მის იარაღს დაავლო ხელი, ვინ საკვოიაჟს, სხვამ ბრილიანტის გულსაბნევი და ოქროს საათი დაითრია. ბაბუამ, რაკი სხვა აღარაფერი შეარჩინეს, ქამარი შემოხსნა მიცვალებულს. მოგვიანებით გაირკვა, რომ სწორედ ეს ქამარი ყოფილა ყველაზე ფასეული ვილჰემ კუბეს ნივთებიდან. იგი გერმანიის მომავალი კანცლერისათვის, ოტო ფონ ბისმარკისათვის რუს თავადს, ობოლენსკის, ჯერ კიდევ 1860 წელს უჩუქებია, როცა ბისმარკი პრუსიის ელჩი იყო სანქტ-პეტერბურგში. მოგვიანებით ქამარი მემკვიდრეობით ერგო კანცლერის შვილიშვილს, ფრაუ რუთ კუბეს. მერე კი მის ვაჟს, ვილჰელმს. მან კი ბაბუაჩემს „დაუთმო“ იგი... მერე ანდრეიმ შინ შემიყვანა, ძველი სკივრი გახსნა და ქამარი მაჩვენა. მართლაც დიდებული ნივთი იყო — ერთიანად ბრილიანტებით მოოჭვილი, ოქროს ბალთას კი მსხვილი ალმასი ამშვენებდა. ანდრეის ვუსაყვედურე:

— ქვეყანამ იცის ამ ქამრის შესახებ, არ გეშინიათ, ვინმე რომ დაგეცეთ თავზე-მეთქი, მაგრამ მან საუბრის გაგრძელება არ ისურვა და აღარც მე ჩავძიებივარ. ანდრეი სამხედრო იყო. ჩვენი სახლიდან სულ რაღაც ათი წუთის სავალზე იდგა მისი პოლკი. რომ დავქორწინდით, მამა ახალი გარდაცვლილი ჰყავდა, ვეებერთელა სახლში მხოლოდ დედა-შვილი ცხოვრობდა. იმხანად ქართველები გამოჩდნენ სოფელში. საქათმე-საღორეებსა და ბოსლებს აშენებდნენ. ჩვენც მოგვაკითხეს რამდენჯერმე — ხომ არაფერს აგვაშენებინებთო, მაგრამ უარით გავისტუმრეთ. ერთ-ერთი, ხმელ-ხმელი და მაღალი მაინც ვერ მოვიშორეთ. გინდა თუ არა, სახლი უნდა გაგირემონტოთ, ძვირს არ გადაგახდევინებთო. როცა დარწმუნდა, მისი სახლში შემომშვები არ ვიყავით, არშიყობა დამიწყო — სახლის რემონტი კი არა, შენს სიახლოვეს ყოფნა მინდოდაო. ვეცადე, თავიდან მომეშორებინა, მაგრამ თავისას არ იშლიდა. გოგონა მაშინ ბაღში დამყავდა. თითქმის ყოველდღე მხვდებოდა გზად. ერთხელ ცოტა ნასვამი იყო. ჩემი უარით გაბრაზებულმა უტიფრად გამომიცხადა: — შენი ქმარი სამხედროა, ან დღეს გაიწვევენ ავღანეთში ან ხვალ. ცდები, თუ მარტო იმ ქამრის იმედი გაქვს, მეგობარი გერჩიოს ყველაფერსო. არ მომეწონა ქამრის ხსენება და იმ ღამით ყველაფერი ვუამბე ანდრეის. ვუთხარი, გული მიგრძნობს, იმ ბიჭს ჩემი სიყვარული კი არა, ქამარი აინტერესებს და ვიდრე შინ შემოგვიცვივდებოდნენ, რაღაც ვიღონოთ-მეთქი. ანდრეი გამომიტყდა, — ვერ გიმხელდი, თორემ დიდი სურვილი მაქვს, რამდენიმე წლით აქაურობას გავცილდე. თანაც, რამდენიმე ახალგაზრდა ოფიცერს კავკასიაში გვიპირებენ გადაყვანასო... ამ საუბრიდან დიდი დრო არ გასულა და დედამისი გარდაიცვალა ინსულტით. ჩვენც, რაკი აღარაფერი გვიშლიდა ხელს, აქეთ გადმოვსახლდით. ბინაც მოგვცეს, თითქოს ცხოვრებაც აეწყო, მაგრამ სულ მალე ანდრეი მკვდარი იპოვეს მერვე პოლკის დასახლებაში. დავრჩით მე და ოთხი წლის ნაია. ორმოცის შემდეგ ბობრუისკში დაბრუნება გადავწყვიტე, მაგრამ უეცრად ნუგზარი გამომეცხადა. აი, ის ბიჭი, ბელორუსიაში სიყვარულს რომ მეფიცებოდა. მეუღლის დაღუპვა მომისამძიმრა და თავისი სამსახური შემომთავაზა.

იმხანად ისეთი უსუსური ვიყავი, ვიფიქრე, ნუგზარი ღმერთმა გამომიგზავნა-მეთქი. მერე კი მივხვდი, რომ მოვტყუვდი, მაგრამ რაკი შევტოპე, ჩემს ბედს შევურიგდი. ჩემთან გადმოსახლდა ოთხი შვილის მამა, სამ ცოლს გაშორებული ნუგზარ ქათამაძე. პირველ ხანებში დამტვრეულ მოტოციკლეტებს ურემონტებდა უბნის ბიჭებს. მერე იმ მოტოციკლეტით თვითონ ისე დაიმტვრა, სამუდამოდ ხეიბარი დარჩა და როგორც ინვალიდს, სახელმწიფომ უფასო „ზაპოროჟეცი“ გამოუყო. მანამდეც ხომ არ აკლებდა ხელს და ამის შემდეგ სულ მთვრალი იყო. დაიჟინა, გინდა თუ არა, შენ რომ ქამარი დაგრჩა, ის გავყიდოთო. ქამარი საიმედო ადგილზე მქონდა გადანახული და ვერ გამტეხა. მას შემდეგ კი, რაც ბინა ერთი-ორჯერ თავიდან ბოლომდე გადააქოთა, ხელი ჩაიქნია. თუმცა ვატყობდი, ფულის გულისთვის ყველაფერზე წავიდოდა და არც შევმცდარვარ. ჩვეევად ჰქონდა ჩემთან სიმთვრალეში გულახდილობა და ამიტომ ყველაფერი ვიცოდი. დაწვრილებით მიამბო, როგორ მოკლა ანზორ ჭიჭინაძე და ახლაც ბანდის შექმნას აპირებს. აკი გადმოიბირა კიდეც ერთი თავისი ძველი ძმაკაცი

> **— ჯერ ის უნდა მიპასუხო, რამდენს იხდიდი ჩემს მოკვლაში? — გველივით წაუსისინა ნუგზარმა და ზე-ბუთი იძრო. მხოლოდ ახლაღა გააცნობიერა ოთარმა, რაც ხდებოდა. უნდოდა ეყვირა, ტყუილიაო, მაგრამ დიტოს ცივ გამოხედვას წააწყდა და დუმილი არჩია.**

— ოთარ ნავაძე, იურა აკიმენკო ხომ აქამდეც მისი ყურმოჭრილი მონა იყო. მალე ყოფილ მეზღვაურს, დიტო ტიკარაძეს მიაგნო და ბანდა საშოვარზე გავიდა...

### მგლები ზამთარში

მეტყვით, რატომ განგაში არ ატეხეო, მაგრამ ნეტავი გენახათ, რა მიჯდებოდა ჩემი ქმრის გულახდილობა. ჯერ ხომ თავის ბნელ საქმეებს მიამბობდა, მერე დაუზოგავად მცემდა, ვინმესთან კრინტი არ დაგცდესო. მოკვლით მემუქრებოდა და იძულებული ვიყავი, ბედს მივნდობოდი.

— არა, ასე უაზროდ ხეტიალი აღარ გამოგვადგება, — განუცხადა ერთხელ თავის მეგობრებს, — ნაღდი საქმე გვჭირდება.

— ნაღდი ის იქნება, აეროპორტში მგზავრებს თუ დავხვდებით და გავძარცვავთ. მე მყავს იქ კაცი — მანქანების სადგომზე დარაჯად მუშაობს. სულ ზეპირად იცის მოსკოვის ან ლენინგრადის რეისიდან თითოეულ მგზავრს რამდენი ფული უდევს ჯიბეში.

— როგორ გინდა გაძარცვო ასეთები?! იმწამსვე ტაქსებში სხდებიან და ისე მიდიან ქალაქამდე, — შეეკამათა იურა აკიმენკო.

— ჩვენც ტაქსით უნდა დავუხვდეთ და აეროპორტში ჩამოფრენილ მგზავრებს მოვემსახუროთ.

გადაწყდა: იურა აკიმენკო და რაფიკა ბადალოვი (ის ყველაზე ბოლოს შეიამხანაგეს) ტაქსის ჩაუსხდებოდნენ და დათქმულ ადგილზე მიიყვანდნენ, იქ კი ოთარ ნავაძე და დიტო ტიკარაძე დაუხვდებოდნენ. მძღოლს სადმე, ქალაქგარეთ დააბამდნენ და „საქმეს გააკეთებდნენ“.

იდეამ გაამართლა, თუმცა როგორც კი ფული გაუჩნდათ, ერთმანეთს წაეკიდნენ ოთარ ნავაძე და ნუგზარი. მართალია, დაზიანებული ფეხის გამო უჯოხოდ სიარული არ შეეძლო, მაგრამ ნუგზარი მაინც პირველობას ინარჩუნებდა ბანდაში, თუმცა თავისი ხეიბრობის გამო იოლად დასამახსოვრებელი იყო და საქმეში გამოჩენას ერიდებოდა. ამიტომ შეიჯავრა ნავაძემ...

იმ დილით მათი აეროპორტელი შიკრიკი დაგვადგა თავს — ამ საღამოს ერთი ფულიანი ბიძა ჩამოფრინდება. თუ მის აყვანას მოახერხებთ, ფულით სავსე ერთ „დიპლომატს“ ჩაიგდებთ ხელშიო.

— მანქანა არ დახვდება? — შეეკითხა ამ ამბით ნასიამოვნები ნუგზარი.

— დახვდება... თავისი მანქანა მე მომაბარა, მაგრამ იმას მე მოვუვლი. იძულებული იქნება, ტაქსი დაიქირაოს და სწორედ მაშინ უნდა იყოჩაღოთ.

საღამოს აკიმენკო და ბადალოვი ტაქსის ჩაუსხდნენ და ლოტკინზე, ერთ ბნელ ჩიხში შეიტყუეს. იქ კი მათ ნავაძე და ტიკარაძე „დაემგზავრნენ“. მძღოლს დანები ყელზე მიაბჯინეს და თბილისის ზღვის ზემოთ, პლანტაციებში ხეზე მიაბეს. რომ არ ეყვირა, მძღოლს პირში ყელსახვევი ჩასჩარეს...

თვითმფრინავი დათქმულ დროს დაეშვა აეროდრომზე, შიკრიკმაც დროულად დაანახვა ოთარსა და დიტოს საკბილო. კაცი მაშინვე თავისი მანქანისკენ გაქანდა, მაგრამ ვერ დაქოქა და გულმოსულმა მიახეთქა კარი. ის იყო, დიტოს მის ფეხებთან უნდა გაეჩერებინა ტაქსი, რომ ვიღაცამ გადაუჭრა გზა და კაცს თავისი მანქანა შესთავაზა. ისიც მოსხლეტით ჩაეშვა მანქანის სავარძელში და კარი შეიხურა. თვალსა და ხელს შუა იკარგებოდა ფულიანი „დიპლომატი“. დიტომ მანქანა დაამუხრუჭა, ძირს გადმოხტა და ვიდრე მგზავრიანი ტაქსი დაიძვრებოდა, მის მძღოლს საყელოში ჩააფრინდა.

— აბა, ახლავე უკან დაიხიე და ჩემი მგზავრი დამიბრუნე თორემ... — ჩაისისინა მან, მაგრამ უცნობმა მძღოლმა ყურიც არ ათხოვა. მანქანის კარი ისე ოსტატურად გააღო, რომ დიტოს შიგ სახეში ატკაკა და ვიდრე იგი გონს მოვიდოდა, იქაურობას გაეცალა. გამოდევნებას აზრი არ ჰქონდა. მოშორებით მდგარი ნუგზარი თავისი „ზაპოროჟეცით“ უკან გაჰყვა დიტოს. ამჯერად მას ოთარ ნავაძე უჯდა გვერდით.

— ორივენი დოყლაპიები ხართ. წამში დაკარგეთ ფულით სავსე „დიპლომატი“. თქვენი საქმეზე მიშვება როგორ შეიძლება... — ამბობდა ბრაზისაგან სახეალეწილი ნუგზარი და უშვერად ლანძღავდა ოთარსა და დიტოს.

— რომ გამოიქეცი და ჩემს მანქანაში დურთე თავი, არ შეგეძლო, ცოტა ხანს მოგეთმინა? იქ რომ ყოფილიყავი, წინ გადაუდგებოდი და ის ტაქსი მგზავრს ვერ წაგართმევდათ, — ახლა ოთარს დაეტაკა ნუგზარი, — თქვენი დედაც... წავიდეთ, ის მძღოლი ავუშვათ, თორემ გაიყინება და ციხე არ აგვცდება, მით უმეტეს, რომ თავი დავამახსოვრეთ იქაურ ტაქსისტებს...

ტაქსიც და „ზაპოროჟეციც“ პლანტაციიდან მოშორებით გააჩერეს. იურა აკიმენკო, რომელიც გზაში დაუხვდა ძმაკაცებს, ბუჩქებში გაძვრა და იქაურობა შეათვალიერა, მაგრამ იმ ხეზე, მძღოლი რომ მიაბეს ორი საათის წინ, მხოლოდ მარყუჟგამობმული თოკიღა დაუხვდა — წასულა, — ალმოხდა იურას და მეგობრებს უხმო. დიტოსა და ოთარს დანა კბილს აღარ უხსნიდათ, ნუგზარმა კი გინების კორიანტელი დააყენა...

იმ ღამით დიტო ოთართან დარჩა.

— მითხარი, დიტო, ხომ ვართ მე და შენ მეგობრები? — ისეთი სახით შეეკითხა ოთარი, რომ შეშინებულმა დიტომ წამსვე დაუბრუნა:

— მერე რისი თქმა გინდა ამით?

— იმის, რომ ნუგზარის ატანა აღარ შემიძლია. აი, ხუთი ათასი მანეთი და პისტოლეტი, ნუგზარი უნდა მოკლა. საქმეს რომ მორჩები, ხუთი ათას მანეთს კიდევ მიიღებ.

— კი ბატონო, ვეცდები არ დავიბნე — მრავალმნიშვნელოვნად გახედა კოლეგას დიტომ. ფული და იარაღი ჯიბეში ჩაიწყო და ბინიდან გავიდა.

### კრიმინალური ვენდეტა

— ნუგზარ, — ოთახში შესვლისთანავე კბილები გააღრჭიალა დიტომ, — ჩემთან ამნაირები არ გამოვა. თუ არ მენდობი, პირდაპირ მითხარი. ეგღა მაკლია, შენ და იმ სქელკისერამ გამოცდა მომიწყოთ. აჰა, პისტოლეტი, ფულს კი დავიტოვებ. ბოლო საქმიდან წილი მაინც არ მოგიციათ. მე წავედი. იცოდეთ, დიტო ტიკარაძე ის კაცი არაა, ამნაირი რაღაცები ჭამოს.

— ვერაფერი გავიგე. რაშია საქმე?

— ვითომ არ იცი, ოთარს „ზადანიე“ მიეცი, ვითომ შენი მოკვლა უნდოდა და ამ საქმისთვის მე დამიქირავა.

— როგორ დაგიქირავა? — ნუგზარის სახე ისეთ გაურკვევლობას გამოხატავდა, რომ ტიკარაძე მიხვდა, აქ რაღაც ისე არ იყო, როგორც თვითონ ფიქრობდა. კართან მისული შემობრუნდა და იქვე, ტაბურეტზე ჩამოჯდა.

— ხუთი ათასი მანეთი მომცა, ნუგზარი მოკალი და ერთ ამდენს კიდევ მიიღებო.

— ესე იგი, ჩემი მოკვლა უნდა არა მაგ გველის წიწილს. ახლა მიყუროს, ვინ ვის მოკლავს. ნაღდი ძმა მყოლიხარ გვერდით. ეგ ხუთი ათასი ჯიბეში ჩაიდე, ხუთი ათასს კიდევ მე გაძლევ კაიკაცობაში. ახლა კი დაურეკე, მოვიდეს, რაღაც საქმეზე გავდივართ-თქო.

ოთარი მალე მოვიდა. ქურქი სკამლოგინზე მიაგდო და უშფოთველი სახით იკითხა: — რაო, კარგი საქმეა?

— არა, — მიუგო ნუგზარმა, — ამას წინათ ისე ჩავფლავდით, კიდევ ერთხელ რომ იგივე დაგვემართოს, უეჭველად გავიყიდებით. კიდევ კარგი, ტაქსის შოფერმა არ იჩივლა...

— იჩივლებდა კიდეც, ტაქსი რომ მისი სადარბაზოს წინ არ დამეტოვებინა, — განაცხადა ახალშემოსწრებულმა იურა აკიმენკომ.

— ჰოდა, რაკი ასე გადავრჩით, ისევ აეროპორტს უნდა დავუბრუნდეთ. ჩვენი შიკრიკი გვატყობინებს, რომ ზეგ საღამოს იგივე ბიძა ჩამოდის თავისი „დიპლომატით“. დღეს და ხვალ უნდა ვივარჯიშოთ, რომ კვლავაც არაფერი შეგვეშალოს.

— კარგი ერთი, — სიცილი წასკდა ოთარს, — ვივარჯიშოთ რა, ფიზკულტურელები ხომ არა ვართ. ვიცით რაც შეგვეშალა. ამას აღარ გავიმეორებთ და მორჩა...

— იმას თუ არ გაიმეორებთ, ახალ სისულელეს ჩაიდენთ... წავედით! იურა, შენ თოკი და ბარი წამოიღე, შენ კი შინ იყავი, არც ბავშვი გაუშვა გარეთ — ირინას გადაულაპარაკა ნუგზარმა და წამოდგა.

— არ მინდა ამ სახლში, არა, სხვასთან მინდა, სულ სხვაგან, — პატარა ნაიამ ისე მკაფიოდ გამოხატა პროტესტი, რომ ყველას გაუკვირდა. თუმცა ერთადერთი, ვინც ამის გამო შეცბა, ნუგზარი იყო, მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია. მათ შორის არც ირინას, ბავშვის დედას.

— დავიწყოთ ვარჯიში... იურა, შენ დიტო მიაბი ხეზე და ვაი შენ, თუ აიშვა. შენ კი ოთარ, ორმოს თხრას შეუდექი. ესეც დაგვჭირდება... — თქვა და სიამოვნებით ჩაიღიმა...

თებერვლის სუსხი ძვალ-რბილში ატანდა. ტყუილად დგომას, ისევ ხელის განძრევა სჯობიაო, იფიქრა ოთარმა და ორმოს თხრას შეუდგა. ზამთრის ყინვებისაგან აფუებული მიწა ისე ადვილად ემორჩილებოდა, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ წელამდე იდგა ორმოში.

— ეგრე, ეგრე, მანდ ისეთი კაცი უნდა დაიმარხოს, ცოდვა იქნება, ნადირმა რომ ამოთხაროს — ცინიკურად გაიკრიჭა ნუგზარი.

— თუ იმ ბიძის მოკვლას აპირებთ, საფლავი მართლაც არ უნდა დავინანოთ, — თავის მხრივ მრავლისმეტყველად ჩაიქირქილა ოთარმა და დიტოს ჩაუკრა თვალი.

ოთარმა იფიქრა, ამ საფლავის გაჭრით დიტოს ვეხმარები. ნუგზარს რომ მოკლავს, სადმე ხომ უნდა დამარხოსო და ამიტომაც ირჯებოდა ისე თავგამოდებით.

ამასობაში დიტომ იმდენი იჩალიჩა, რომ თოკისაგან თავი გაითავისუფლა. ამან სულ გადარია ნუგზარი:

— ხომ ვამბობდი, თქვენი ნდობა არ შეიძლება-მეთქი. იმ ღამეს ვინ მიაბა ტაქსისტი, ოთარმა ხომ? იმიტომაც დაიხსნა იოლად თავი. ამჯერად ოთარი დადგეს ხესთან და დიტომ მიაბას... ისწავლოს, როგორ უნდა კაცის თოკით ხეზე მიბმა...

დიტომ ისე გულიანად მიაბა ხეზე საბრალო ოთარი, რომ აშკარა იყო, ის იქიდან თავის დამხსნელი არ იყო. ამას თვითონვე მიხვდა და ითხოვა, ამხსენითო.

— ჯერ ის უნდა მიპასუხო, რამდენს იხდიდი ჩემს მოკვლაში? — გველივით წაუსისინა ნუგზარმა და ბებუთი იძრო. მხოლოდ ახლაღა გააცნობიერა ოთარმა, რაც ხდებოდა. უნდოდა ეყვირა, ტყუილიაო, მაგრამ დიტოს ცივ გამოხედვას წააწყდა და დუმილი არჩია.

— ხმა ამოიღე, შე ახვარო, — იღრიალა ნუგზარმა და დანა ჯერ ბარძაყში, მერე კი ფერდში გაუყარა ოთარს. დაჭრილმა ყვირილი დააპირა, მაგრამ იმავე წამს ყელში წაუჭირეს თოკი და ცოტა ხანში თავი უმწეოდ დაეკიდა ხეზე მიბმულ მის უსულო სხეულს. მერე თოკები ახსნეს და ოთარის გვამი მისივე ხელით გაჭრილ ორმოში ჩააგდეს და მიწა მიაყარეს.

### ბოლოთქმა

დრო გადიოდა, რვა წლის ნაია კი სულ უფრო და უფრო იწევდა გარეთ. ბავშვი აშკარად გამოხატავდა ზიზღს იმ გარემოსადმი, რომელშიც ცხოვრობდა, მაგრამ დედამისიც ვერ მიმხვდარიყო, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი.

ერთ დილასაც ახალგაღვიძებულმა ირინამ გოგონა მოიკითხა, მაგრამ იგი მის გვერდით საწოლში არ აღმოჩნდა. ბევრი ძებნის შემდეგ მიაგნო პატარას — საბავშვო ბაღის კიბის ქვეშ შემძვრალიყო ნაია.

დედის დანახვაზე სასოწარკვეთილმა იკივლა — მე იმ სახლში არ წამოვალო და კვლავაც გაქცევა დააპირა, მაგრამ ირინამ იმარჯვა და დაიჭირა ბავშვი.

— ნუგზარ ქათამაძე მხოლოდ მკვლელი კი არა, გარყვნილი სალახანაა. გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირის დამყარებას აპირებდა ბავშვთან. ვიცი, მეც ჩასაქოლი ვარ ასეთი გარეწრის გვერდით რომ ვცხოვრობდი ამდენ ხანს. ყველაფრისათვის მზად ვარ, ოღონდ ჩემი ერთადერთი გოგო გადამირჩინეთ, რომლის მამაც უეჭველად იმ ქამრის ხელში ჩასაგდებად მოკლა ამ ურჩხულმა...

P.S. აქ თავდება ირინა ფისუნენკოს აღსარება. სასამართლომ იგი ამნისტიით გაათავისუფლა. ეტყობა, მან მოახერხა ბისმარკის ნაქონი ქამრის გაყიდვა და თავის გოგონასთან ერთად ამერიკაში ცხოვრობს. ნუგზარ ქათამაძეს კი დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ პრეზიდენტმა შეიწყალა(!) და ახლა ციხიდან გამოსვლის იმედიც აქვს.

დიახ, პრეზიდენტმა კი შეიწყალა, მაგრამ პატიმრებმა დასაჯეს. ციხეში მკაცრად სჯიან ამნაირ არაკაცებს. ეს იქაური, დაუწერელი კანონია — აღარსადაა ის ამაყი და მრისხანე ნუგზარი. ახლა იგი ქათმების საკანში ზისო, — მითხრეს იქაურებმა. ეს კი ისეთ რამეს ნიშნავს, მკითხველს ვერ ვაკადრებ მის განმარტებას.

*ვაჟა გავაშელი*

# რატომ არ ჩამოვიდნენ სეპარატისტები თბილისში...



სოხუმი. უზენაესი საბჭოს შენობა

## „ასლან აბაშიძე არძინბას ჭკუაზე არ გაივლის“...

*საქართველოს ისტორიაში ჩაწერილ ტრაგედიის თარიღთა შორის 27 სექტემბერი ყველაზე უმძიმეს ტრაგედიას გვახსენებს: ათი წლის წინ სოხუმი დაეცა, აფხაზეთის ადგილობრივი მოსახლეობა დევნილად იქცა; ამით თითქოს დასრულდა საშინელი ომი, მაგრამ იგი ისევ გრძელდება — ქართველ, რუს და აფხაზ მაღალჩინოსანთა კაბინეტებში. ყოველი წლის 27 სექტემბერს ქართველები გარდაცვლილთა პატივცემითა და აფხაზეთის პრობლემისადმი მიძღვნილი არაფრისთქმელი აქციებით აღვნიშნავთ. აფხაზები კი დამოუკიდებლობის, გამარჯვების დღეს ზეიმობენ, რითაც საქართველოს ისტორიაში კიდევ უფრო მუქდება საშინელი ლაქა, რომ არაფერი ვთქვათ რეალობაზე: გენერალური პროკურატურის მიერ მოძიებული არასრული მონაცემებით, აფხაზ სეპარატისტთა მიერ განხორციელებული გენოციდის და ეთნიკური წმენდის შედეგად, ამ ტრაგედიას ათასობით ქართველი შეეწირა. მათ შორის დაიღუპა აფხაზეთში მცხოვრები 70-ზე მეტი ბავშვი, 706 ქალი, უგზოუკვლოდ დაიკარგა 600-მდე ადამიანი, დაახლოებით 250 000 დევნილად იქცა. საქართველოს გენერალური პროკურატურა მზადაა ამ გენოციდთან დაკავშირებული გამოძიებული მასალებით წარდგეს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე, როგორც ჩვენი ქვეყნის ნდობით აღჭურვილი ბრალმდებელი. მანამდე კი... მოვუსმინოთ საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს* ***ავთო იოსელიანს.***

**— ბატონო ავთო, იყო ინფორმაცია, რომ 27 სექტემბერს აფხაზური სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები თბილისს უნდა სწვეოდნენ, მაგრამ ისინი არ გამოჩენილან. ამბობენ, უარის მიზეზი შიშია, რომელიც თამაზ ნადარეიშვილის მუქარას გამოუწვევია — თუ აფხაზები თბილისში ჩამოვლენ, დავიჭერთო.**

— ჩემთვის ის არის ცნობილი, რომ სერგეი შამბამ განაცხადა: — 27 სექტემბერს სოხუმში ზეიმისთვის ვემზადებით(?!) და თბილისში ჩასასვლელად არ გვცალია, თანაც დოკუმენტები, რომელთა განხილვაც თბილისში უნდა მოხდეს, მზად არა გვაქვს და სჯობს ოქტომბრის პირველ ნახევარში შევხვდეთო. რაც შეეხება ნადარეიშვილის მუქარას, სიმართლეს ამბობს, მაგრამ ეგ იმის კაცი არ არის, რომ მოლაპარაკებაზე ჩამოსული ხალხი დაიჭიროს. ჩვენს კაცურ ბუნებაში ეგ არ ზის, ეს ყველამ უნდა იცოდეს. ისე კი აფხაზეთში მართლა ბევრი ხალხია დასაჭერი. ნახეთ რესპუბლიკის პროკურატურის მასალები და ბევრ საინტერესო ფაქტს იპოვით კონკრეტული პიროვნებების შესახებ. ერთმა ჩემმა კოლეგამ მისაყვედურა, — რატომ ამბობ, რომ შამბაც შეიძლება დასაჭერთა სიაში მოჰყვესო. ვამბობ იმას, რაც სიმართლეა. ვისაც ამ დანაშაულში ბრალი მიუძღვის, უნდა იცოდეს, რომ ადრე თუ გვიან, არ შერჩებათ. მომხრე ვარ შერიგების, მომხრე ვარ იმისაც, რომ საძმო საფლავი ერთად გავაკეთოთ ქართველებმა და აფხაზებმა, მაგრამ აფხაზებმაც უნდა გააკეთონ რაღაც, უნდა მორჩნენ ამ გაუთავებელ „არ მინდას“.

**— კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შემთხვევაში შეიძლება დაუსჯელი დარჩეს ის ხალხი, ვინც ქართველების გენოციდი მოაწყო?**

— ძალიან რთული საკითხია. შერიგების შემთხვევაში შეიძლება ბევრი რამ ვაპატიოთ ერთმანეთს, მაგრამ უდანაშაულო ქალების და ბავშვების მკვლელების შენდობა არც ქართველის მხრიდან შეიძლება და არც აფხაზისა.

**— ასლან აბაშიძის სოხუმში მიპატიჟებას რა კომენტარს გაუკეთებთ?**

— მიიპატიჟეს, მაგრამ ვიცი, რომ ბატონი ასლანი სტრასბურგში გაფრინდა. ეს მიზეზიც რომ არ ჰქონოდა, ის სოხუმში არ ჩავიდოდა. ამაში დარწმუნებული ვარ და მიმაჩნია, რომ ეს მიპატიჟებაც პროვოკაციაა, რომელსაც აჭარისა და ცენტრის დაპირისპირება აქვს მიზნად, მაგრამ არაფერი გამოუვათ და მან, ვინც ეს ფაქტი ბატონი ასლანის მიმართ აგრესიის გამოსავლენად გამოიყენა, მტრის წისქვილზე დაასხა წყალი. აბაშიძე იმის კაცი არ არის, არძინბას ჭკუაზე იაროს.

**— ბატონო ავთო, გავრცელებული ინფორმაციებით, ლევან არძინბა თითქოს საქართველოსა და აფხაზეთს შორის მნიშვნელოვანი კავშირების დამყარების მცდელობისათვის მოკლეს...**

— ლევანს მეუღლე ქართველი ჰყავდა, თბილისელი და მას მართლაც მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა ქართველებთან. კონფლიქტის მოგვარებაც უნდოდა, მაგრამ ამ მკვლელობის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ფაქტია, რომ დაპირისპირებაა არძინბასა და სხვა კლანებს შორის. სერიოზულად ებრძვიან ერთმანეთს არძინბას პოსტისთვის. აფხაზების ფიცხი ხასიათი რომ ვიცი, გამორიცხული არ არის, ერთმანეთს დაერიონ. საბედნიეროდ, მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთა ხელისუფლებაში მოსვლით აფხაზები და ქართველები შეძლებენ საერთო ენის გამონახვას. მინდა აფხაზებმა ყურადღება მიაქციონ ჟირინოვსკის ნათქვამს. მან 27 სექტემბერთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აფხაზეთი კრასნოდარის მხარის ერთ-ერთი რაიონის შემადგენლობაში უნდა შევიდესო. აი, ასეთია რუსული სცენარით აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ძალიან გთხოვთ ეს ფაქტი დააფიქსირეთ, ვიცი თქვენს გაზეთს კითხულობენ აფხაზეთში და იქნებ ჰკითხონ ჟირინოვსკის, სად უერთებს რუსეთს აფხაზეთს?

***ეკა ლომიძე***







## საქრისტიანო მოამბე

# სიხარულის შვიდეული

**ღვთისმშობლობიდან — ჯვართამაღლებამდე** (21-27 სექტემბერი) ზეიმის დღეები იდგა საქართველოში. ხარობდა ერიც და ბერიც. ქუთათურები ბაგრატის ტაძრის 1000 წლის იუბილეზე ჩამოსულ მრავალრიცხოვან სტუმრებს მასპინძლობდნენ.



სტუმართა შორის უპირველესი კი, მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I ბრძანდებოდა, რომელმაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავართან ერთად ჩაატარა წირვა გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში, წირვას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი, ბაგრატოვანთა დინასტია და თითქმის მთელი პოლიტიკური ბომონდი. შემდეგ ზეიმმა ქუთაისში „უქიმერიონის გორაზე“, ბაგრატ III-ის მიერ (1003 წ.) აგებულ ტაძართან გადაინაცვლა, რომელიც ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა აშენებული. აღევლინა საზეიმო პარაკლისი.

მსოფლიო პატრიარქმა მოილოცა ქუთაისისა და ბათუმის სიწმინდეები და 23 სექტემბერს სამშობლოში დაბრუნდა.



**...26 სექტემბერი,** ქართველთა სათაყვანებელი დედოფლის წმ. ქეთევანის ხსენების დღე, საქართველოს მართლმადიდებელმა მრევლმა საზეიმო წირვა-ლოცვებში მონაწილეობით აღნიშნა.

**...27 სექტემბერს** მსოფლიო მართლმადიდებელი სამყარო სიხარულით შეეგება ჯვართამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელიც პირველად V საუკუნეში აღინიშნა.

იმპერატორ კონსტანტინეს დედა, წმინდა ელენე იერუსალიმში გაემგზავრა იმ ჯვრის საპოვნელად, რომელზედაც იესო ქრისტე აცვეს. გოლგოთაზე მიწაში ნაპოვნ სამ ჯვარს შორის სასწაულით გამოარჩიეს მაცხოვრის ცხოვლისმყოფელი ჯვარი — ძელი ცხოველის შეხებამ მიცვალებული გააცოცხლა. იერუსალიმის პატრიარქმა მაკარიმ ჯვარი აამაღლა, რათა ყველა იქ მყოფს შესძლებოდა ცხოველი ჯვრის თაყვანისცემა.

ამ დღის აღსანიშნავად დაწესდა ჯვართამაღლების დღესასწაული.



სადღესასწაულო საღმრთო ლიტურგია შესრულდა ყველა ეკლესია-მონასტერში. პირველად იზეიმა თავისი ტაძრის დღესასწაული ჯვართამაღლების სახელზე აგებული ეკლესიის მრევლმა. ტაძარი სულ ცოტა ხნის წინ ამოქმედდა თბილისში, ბახტრიონის გორაზე.

**27 სექტემბერს,** სოხუმის დაცემის დღეს, წმინდა სამების მშენებარე ტაძარში, 13 საათზე შესრულდა აფხაზეთში დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აღავლინა...

დიდი სულიერებითა და ემოციით დატვირთული ეს კვირა **28 სექტემბერს** გამართულმა ალავერდობის დღესასწაულმა დააგვირგვინა.




**ღირსი მამა იოანე სინელი (670 წ.) ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი მნათობია. 16 წლისა იყო იოანე, როცა სინას მონასტერში მივიდა და იქვე აღიკვეცა ბერად...**

**74 წლის ასაკში წმიდა მამა სინას სავანის იღუმენად აირჩიეს. იღუმენად არჩევის დღეს ერთი სასწაული მოხდა. — მონასტერში უამრავი მლოცველი მოვიდა. როდესაც სტუმრები ტრაპეზად დასხდნენ, იოანემ ნახა მოკლეთმიანი, იუდეური ტანსაცმლით შემოსილი კაცი, რომელიც ყველაფერს ზედამხედველობდა, განკარგულებას აძლევდა მზარეულებს, იკონომოსებს, კელიის მსახურთ. როცა სტუმრები დაიშალნენ და მოსამსახურეები დასხდნენ სატრაპეზოდ, უცნობი მოიკითხეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. ღირსმა იოანემ ბრძანა: „თავი დაანებეთ მოსეს, ის თავის ადგილას მსახურებდა“. თურმე თავად მოსე წინასწარმეტყველი მასპინძლობდა ღირსი იოანეს პატივად მოსულ სტუმრებს. სიცოცხლის ბოლო წლებში წმიდა იოანეს სასწაულმოქმედებისა და წინასწარხედვის ნიჭი მიემადლა უფლისაგან.**

**ღირსი იოანე ავტორია ღვთივსულიერი თხზულებისა „კიბე“. ამიტომ მას ხშირად კიბისაღმწერელს უწოდებენ.**

**გთავაზობთ ღირსი იოანე სინელის შეგონებებს, რომლებიც გაგიადვილებთ სულიერი ცხოვრების კიბის საფეხურების გავლასა და უფალთან მიახლოებას.**

## ამპარტავნებისათვის

ამპარტავნება ღვთის უარყოფაა, ეშმაკთან მეგობრობაა, კაცთ შეურაცხმყოფელია, განკითხვის დედაა.

ამპარტავნება ქებით ნაშობია, სულის უნაყოფობაა, ღვთის შეწევნის მაოტებელია, უგუნურების წინამორბედია.

ამპარტავნება ეშმაკთა სიმტკიცეა, ცოდვათა მცველია, უმოწყალოების მიზეზია, მოწყალეების არცოდნაა.

ამპარტავნება მწარე სიტყვისმგებელია, უწყალო მსაჯულია, ღვთის წინააღმდგომია, მკრეხელობის ძირია.

ამპარტავნება სულის სიგლახაკეა, სულის მოჩვენებითი სიმდიდრეა; ბნელით მოცული სულია, რომელსაც ჰგონია, რომ ნათელში ბრწყინავს.

ამპარტავნების დასაბამი არის მზვაობრობის აღსასრული, საშუალი მისი — მოყვასის შეურაცხყოფა, საკუთარი შრომით ურცხვი თავის მოწონება, საკუთარი თავის შექება გულში, მხილების სიძულვილი; ხოლო მისი დასასრული არის ღვთის შეწევნის უარყოფა, საკუთარი საქმეებით კმაყოფილება, საეშმაკო ზნე.

ვინც ამპარტავნების ტყვეა, მას სჭირდება ღვთის შეწევნა, რადგან მისთვის ამაოა კაცთაგან შეწევნა.

სირცხვილია სხვისი სამკაულით ზვაობა (თავის მოწონება), უგუნურებაა ღვთის ნიჭითა და მადლით ამპარტავნება. იამაყე იმით, რაც შობამდე გქონია, რადგან შობის მერე მოგებული მადლი ღვთისაგანაა ბოძებული. რომელი სათნოება გიქმნია გონების გარეშე? ის გონებაც ღვთისგანაა მოცემული. რომელი მოღვაწეობა გიქმნია თვინიერ ხორცისა? ხორციც არაა შენი, ისიც ღვთის მიერაა დაბადებული.

ნუ აღიმაღლებ თავს, თიხაო და მიწაო, რადგან მრავალი უხორცო და უნივთო გარდამოცვივა ზეცით.

## მრავალისმეტყველება

მრავალისმეტყველება კადნიერების წინამძღვარია, ტყუილის მსახურია, ლმობიერების დამხსნელია, ძილის წინამძღვარია.

მრავალისმეტყველება კეთილ გულის-სიტყვათა განმაბნეველია, გლოვის უჩინომყოფელია, მხურვალების განმაგრილებელია, ლოცვის დამაბნელებელია.

აჭირვე მუცელს და დაადუმე პირი, რადგან ენა ჭამადთა სიმრავლისაგან ძლიერდება და იწყებს მრავალისმეტყველებას. აღსდეგ ამ მტარვალის წინააღმდეგ და ებრძოლე; თუნდ ძლიერ დაშვრე, მეყსეულად უფალი შეგეწევა.

ლოცვისას ნუ მრავალისმეტყველებ, რომ გონება არ დაგებნეს სიტყვათა ძიებაში. მეზვერის ერთმა სიტყვამ მოწყალე ჰყო ღმერთი და ერთმა სიტყვამ აცხოვნა ავაზაკი. მრავალისმეტყველება გონებას განაბნევს, მოკლე სიტყვა კი — შეკრებს.



## რას გვეტყვი, მამაო?

**— როგორ უნდა მოვიქცე, როცა მამცირებენ და ზოგჯერ ცილსაც მწამებენ სამსახურში.**

— პასუხად შეგახსენებთ ერთ ამბავს.

ერთ მონასტერში იყო ბერი, რომელიც სხვა ხუთ მოხუც ბერს უყვარდა, მაგრამ არ მოსწონდა ერთს და ყოველნაირად ცდილობდა შეურაცხყოფა მიეყენებინა მისთვის. ბერმა დაკარგა მოთმინება, დატოვა მონასტერი და წავიდა სხვა მონასტერში. იქ რვა კაცი ეპყრობოდა მეგობრულად, ორს კი ეჯავრებოდა. ბერმა ეს სავანეც დატოვა და სხვა მონასტერში გადავიდა. იქ შვიდი კაცი ეპყრობოდა კარგად, ხუთი კი უკმაყოფილოდ შეჰყურებდა. ბერმა ისევ გადაწყვიტა ადგილის შეცვლა. გზაზე ფიქრობდა, როგორ დაემკვიდრებინა სამყოფელი და ბოლოს მიხვდა: ეს იყო მოთმინება! ნათელი აზრით გახარებულმა აიღო გრაგნილი, ზედ დაწერა: „მოითმინე!“ და შევიდა პირველივე მონასტერში, რომელიც შეხვდა. იქ ის ხშირად ითმენდა შეურაცხყოფას, ზოგჯერ ყველასაგან, მაგრამ უფლის წინაშე დადებული პირობის დარღვევა არა თუ უცდია, არც კი უფიქრია შეეცვალა მონასტერი. როდესაც ძალიან გაუჭირდებოდა, ამოიღებდა უბიდან გრაგნილს და კითხულობდა: „ვითმენ ღრმთის შვილის იესო ქრისტეს რწმენისათვის“ და ამის შემდეგ მშვიდდებოდა.

ასე გაატარა სათნო ბერმა ცხოვრება სულიერ სიმშვიდეში.

## გულითადი განდობანი

„კვირის პალიტრაში“ დიღმის ცხოველ-ფრინველთა ბაზარზე არაერთხელ დაწერილა, ეს გამოხმაურება ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილ წერილს ეხება, სადაც მტრედების შესახებაც არის ერთი-ორი თბილი სიტყვა, რომ მათ უფალს სწირავენ და ეკლესიებისთვის ყიდულობენ.

მართლაც, მტრედი ხომ სიმშვიდის, მშვიდობის სიმბოლოა, ქრისტიანული მოძღვრებით კი ის სულიწმინდის მადლს ატარებს (სულიწმინდა ხომ სწორედ მტრედის სახით გარდმოვლინდა).

მოგეხსენებათ, ჩვენი ცხოვრების ბოლო წლები ქალაქში ეკლესიების სიმრავლითა და ამასთან ერთად, სულიერების მომძლავრებით აღინიშნა... და რა სიმბოლურია, რომ მტრედებმა იმრავლეს ქალაქში და თუ ისინი აქამდე ძველი და ტრადიციული უბნების ძირძველი მკვიდრნი იყვნენ, ახლა გარეუბნებსაც მოედვნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ეკლესიათა ეზოებზე...

რომ ვამბობთ, მტრედებმა იმრავლესო, ეს სიმრავლე შედარებითია, რომსა და ვენეციას ვერ შევედრებით, სადაც მათ მხოლოდ ვატიკანი, „მწვანეები“ და გარემოს დამცველები კი არ იცავენ, არამედ თითოეული იტალიელის შეგნება, რომელთათვის სამუზეუმო ქუჩები და მოედნები, მთელი იტალია წარმოუდგენელია მტრედების გარეშე...



# ფანჯარაში მტრედია...

ჩვენთან ეს სიმრავლე იმაში გამოიხატება, რომ უსახური, ბეტონის მრავალსართულიანი, რუხი კორპუსების ზედა სართულებზე ეს „დაუპატიჟებელი სტუმრები“ გამოჩნდნენ და ბევრმა გულღიად გაუღო სახლის და გულის „ფანჯარა“ ამ თავადაც ადამიანთა მოყვარულ ფრინველებს, როგორც ღვთიურ დესპანებს; თუმცა როგორც ყველაფერში, ჩვენი საზოგადოება არც ამ საკითხში დარჩენილა ერთ აზრზე და მალე „ანტიმტრედულმა კამპანიამ“ ფრთები საკმაოდ მძლავრად გაშალა. ძირითადი არგუმენტი მტრედებთან ბრძოლაში, არც მეტი, არც ნაკლები, მათი სკინტლია, რომელიც „სისუფთავის მოყვარული ჩვენი პატივცემული საზოგადოების“ გაქათქათებულ, „არიელსა“ და „ტაიდში“ გავლებულ სარეცხს დაემუქრა, თუმცა, სადარბაზოში გადმობიჯებისთანავე სისუფთავისადმი მათი დამოკიდებულება საოცრად იცვლება. სიგარეტის ნამწვის დაგდებაც შეიძლება, კანფეტისა და ნაყინის შესაფუთი ქაღალდისაც, ნაგვით სავსე პარკის გადმოგდებაც...

მტრედებთან მებრძოლებმა (ჩვენს სამეზობლოში მაინც) მხოლოდ საკუთარი ფანჯრების მიმდებარე არეალიდან მტრედების განდევნა როდი იკმარეს, ეწყობა ე.წ. რეიდები და იმ ფანჯრების თვალთვალი, სადაც მტრედები ჩამოსხდებიან და ვაი მათ, ვინც გულმოწყალებას გამოიჩენს და მცირეოდენ ნამცეცებს პურის გადმოუყრის ამ ღვთის შვილებს... ჩვენს უბანში ხშირად საქმე ბინებში მივარდნით, წივილ-კივილით და ერთი ორომტრიალით მთავრდება. მტრედთა მფარველები, რომლებიც რიცხობრივად ბევრად ჩამორჩებიან მტრედებთან მებრძოლებს, ერთგვარად „იატაკქვეშეთში“ გადავიდნენ.

ხუმრობა იქით იყოს და ეს პრობლემა, როგორც ჩემს ნაცნობმეგობრებთან და თანამშრომლებთან საუბარში გავარკვიე, საკმაოდ აქტუალური ყოფილა ლამის ნახევარი თბილისისთვის.

იქნებ გამოგვეხმაურონ ჩვენი მკითხველები. გვირჩიონ, როგორ გავუმკლავდეთ ამ პრობლემას...

***თქვენი ერთგული მკითხველი***

***რედაქციისაგან:***

*მართლაც მტრედების მიმართ რაღაც განსაკუთრებულად ფაქიზი, თბილი განწყობა თითქოს დასაბამიდან თან დაჰყვა ადამიანს. დიდი პიკასოს განუმეორებელი „მშვიდობის მტრედიც“ ხომ ათასწლეულობით დაგუბებული ემოციების ერთგვარი გამოხატულებაა. თუმცა, როგორც ჩვენი მკითხველი ბრძანებს, მედალს მეორე მხარეც აქვს. მტრედების სიმრავლემ არაერთი თავსატეხი გაუჩინა იმავე რომსა და ვენეციას.*

*მტრედების „მავნებლობის“ შესახებ კომენტარი სწავლულ აგრონომს, ბ-ნ ნიკოლოზ იოსებიძეს ვთხოვეთ, რომელმაც აი, რა გვიპასუხა:*

*— ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა ხანებში ევროპელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მტრედებს გადააქვთ ორნიტოზის ვირუსი, რაც იწვევს ფილტვების მძიმე დაავადებას, მაგრამ ეს პრობლემა ასე თუ ისე „მოხსნილია“ დღის წესრიგიდან, რადგანაც ამ ვირუსით ახლა იშვიათად ავადდებიან.*

*გარდა ამისა, „საშიშია“ მტრედების სკორე, რომელიც ტუტე რეაქციაში შედის თუნუქთან და შესაბამისად ზიანდება (და გვარიანადაც) შენობების სახურავები.*

*ადრე კი, დაახლოებით 40-50-იან წლებში, როცა თბილისში სახურავების უმეტესობა კრამიტისა იყო, ეს პრობლემა ნაკლებ აწუხებდათ თბილისელებს და კიდევ, მაშინ სამტრედეებიც მრავლად იყო დედაქალაქში. თითქმის ყოველი სახლის სახურავზე ცხოვრობდნენ ღვთის ფრინველები, წითელფეხება მტრედები... იქნებ ისევ აგვეშენებინა სამტრედეები. მაშინ ხომ სახურავებიც ნაკლებ „დაზარალდებოდა...“ და მტრედებიც მშვიდად იფრენდნენ თბილისში...*

## გულმკერდზე ეშმაკის ნახელურები მეტყობოდა...

ძნელია იმის დასურათება, რაც გადამხდა და როგორ გადავრჩი თავს მოხვეული უბედურებისაგან.

ყველაფერი ასე დაიწყო: 1998 წლიდან სახლში ხმაური მესმოდა, დილით, როცა გავიღვიძებდი, მაგიდაზე დალაგებული ნივთები გადაადგილებული მხვდებოდა, სკამი გადაბრუნებული, იატაკზე — წყალი დაღვრილი, კარადიდან ჭურჭელი გამოლაგებული. ასე გრძელდებოდა რამდენიმე კვირა. ძილში მესმოდა, თუ როგორ დადიოდა ვიღაც ოთახში, მესმოდა ხშირი სუნთქვა. მე გულს ვიმხნევებდი, ვერ წარმოიდგენთ როგორ ცუდად ვხდებოდი, მოლოდინში ვიყავი, რომ უცხოპლანეტელები მესტუმრებიან-მეთქი, მაგრამ... (დროდადრო ოთახი გაბრწყინდებოდა). ერთხელაც, საძინებელ ოთახში ვიღაცამ ღამით ფანჯრის ფარდები ჩამოგლიჯა, იქვე დაყარა და დამიძახა. მეორე ოთახში გავედი, ლოგინი იატაკზე ეყარა, ვგრძნობდი მორიდებულ ფეხის ხმას, შევშინდი, ნაკურთხი წყალი დავლიე, ოთახში მოვასხურე, საწოლი დავნამე, ბალიშის ქვეშ დანა და ასანთი ამოვიდე.

რამდენიმე დღის მერე, ღამის სამ საათზე, კვლავ ფეხის ხმამ გამომაღვიძა, ყურადღება დავძაბე, ოთახის შუა კარისაკენ მივაპყარი მზერა. არაფერი ჩანდა. ვგრძნობდი, რომ ვიღაც ჩემი საწოლისაკენ მოდიოდა. უცებ რაღაც შავი არსება მომიახლოვდა, მისი თვალები ნაირფერებად ანათებდნენ, პირიდან ცხელი ოშხივარი ამოსდიოდა, შავი, მოკლე ბეწვი უბრწყინავდა. მრგვალი თავი, ცოტა წამოზრდილი ტუჩები და მაღლა აცქვეტილი პატარა ყურები ჰქონდა. მთელი ძალ-ღონით გულმკერდზე ხელები მაგრად დამარტყა. მეც მოვასწარი, იდაყვი ჩავარტყი, მივაფურთხე სამჯერ „ტფუი ეშმაკს“-მეთქი, პირჯვარი გადავისახე და გაქრა. ჩვეულებრივად წამოვდექი, ლამპას მოვუკიდე და ტკბილად ჩამეძინა. არავითარი შიში არ მიგრძნია. დილით ტკივილმა გამომაღვიძა — გულმკერდზე ეშმაკის ნახელურები მეტყობოდა...

12 დღე მძიმედ ვიყავი, ტკივილი არაფერმა არ გამიყუჩა. შემდეგ თავისით გაიარა. 10 დღის შემდეგ მეორედ მოვიდა საწოლთან, წამავლო ხელი ფეხებზე და რამდენჯერმე შემანჯღრია, მესამედაც „მესტუმრა“, სანთელი ჩამიქრო და იმის შემდეგ აღარ გამოჩენილა.

ყოველივე ამის შესახებ მოვახსენე მოძღვარს, მან სახლი მიკურთხა, მომცა რჩევა-დარიგება, შევინახე მარხვა, ვთქვი აღსარება, მივიღე წმინდა ზიარება. მე მიხსნა ლოცვებმა, ჩემმა ეკლესიურობამ; რწმენამ და ქრისტეს ჯვარმა გადამარჩინა.

ძვირფასო მკითხველო: იყავით ღვთის მოსიყვარულე და მოშიში, გჯეროდეთ, რომ ყოველთვის შეგეწევათ და დაგიფარავთ უფალი ყოვლისა მპყრობელი.

***ციური გოლიაძე-იმერლიშვილი***

***გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ***

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**



# „იგორ გიორგაძის საქართველოში დაბრუნებას მხარს ვუჭერ...“

## „2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გამახსენდა“



*წინასაარჩევნო დაპირისპირებაში მთელი საქართველო ჩაერთო. ცემა-ტყეპა და სროლა არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ქართული სინამდვილის განუყოფელ ატრიბუტად იქცა. ბოლნისის შემდეგ ტყვია ვანშიც გავარდა. იქ მაჟორიტარობისთვის რუსთავის მერის მამა, ედუარდ შევარდნაძის მძახალი მელორ ტყეშელაშვილი იბრძვის, რომლის მთავარი კონკურენტი მისივე კოლეგა, ტრადიციონალისტი ბეჟან ხურციძეა. არჩევნების წინ (როგორც ყოველთვის) აქტიურდება იგორ გიორგაძის თემაც. ასე რომ, მთელ ქვეყანაში ქაოსია. როგორც ამბობენ, ეს ე.წ. „მართვადი ქაოსი“ კონკრეტული პირების ინტერესებში შედის.*

*არჩევნების წინ გამართულ სასტიკ ბატალიებზე კომენტარი „ერთობის“ ლიდერს, წინა საპრეზიდენტო არჩევნების თანამდევ ორთაბრძოლებში არაერთხელ დაზარალებულ* ***ჯუმბერ პატიაშვილს*** *ვთხოვეთ:*

— ნებისმიერი დაპირისპირება, რომელიც ისეთ არეულობამდე მიდის, რომლის მოწმენიც გასულ კვირას გავხდით, მიუღებელია ჩვენი ქვეყნისთვის. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ასეთი ზღვარგადასული წინაალმდეგობა დამანგრეველი იქნება საქართველოსთვის. როგორც ამბობენ, ვანში სროლებიც იყოო... ხელჩართული ბრძოლა, ფიზიკური შეურაცხყოფა და იარაღის გამოყენება არც ახალგაზრდა პოლიტიკოსებს ეპატიებათ და, მით უმეტეს, არც ჭკუადამჯდარ ხალხს, ამით მოსახლეობას შეურაცხვყოფთ.

როდესაც დაპირისპირება ხდება, სახელისუფლებო სტრუქტურები იმიტომ არსებობენ, რომ მიკერძოების გარეშე გაანეიტრალონ სიტუაცია. ბეჟან ხურციძესაც ვიცნობ და მელორ ტყეშელაშვილსაც. ვიღაცის პარლამენტში მოხვედრას ქვეყნის ან კიდევ რომელიმე რაიონის დაზარალება არ უნდა მოჰყვეს. ბოლნისური დაპირისპირების კადრებს როდესაც ვუყურებდი, 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გამახსენდა, როდესაც ანალოგიურ მეთოდებს იყენებდა ხელისუფლება ჩემს წინაალმდეგ.

**— დიდი ხმაური მოჰყვა საპარლამენტო არჩევნებში იგორ გიორგაძის შესაძლო მონაწილეობას. როგორ ფიქრობთ, უნდა მიეცეს მას არჩევნებში მონაწილეობის საშუალება?**

— იგორ გიორგაძისგან მტრის ხატის შექმნა ჩემთვის მიუღებელია და ალბათ, ასე ფიქრობს საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი. ალბათ გახსოვთ, რომ მის თანამოაზრეთა ჯგუფში მეც მომიხსენია ხელისუფალმა და პროკურატურამ. ეს მთელ საქართველოს ამცნეს, რამდენიმე დღის შემდეგ კი მოიბოდიშეს, — შეცდომა დავუშვითო... ამ 8 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. ხალხი, რომელიც პრეზიდენტზე ტერაქტის გამო სასჯელს იხდიდა, ზოგი შეიწყალეს, ზოგი — რეაბილიტირებულია; ზოგიც დეპუტატია, ზოგი კი სულაც სახელისუფლებო ბლოკშია. მაშინ რა დააშავა გიორგაძემ? მაგრამ მას მაინც დევნიან. ვიცი, იგორი მზად არის გამოძიებას ნებისმიერ კითხვაზე უპასუხოს. ის სამართალდამცველებსაც უნდა შეხვდეს, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

**— იგორ გიორგაძე აცხადებს, საქართველოში არის ძალები, რომლებიც მხარს მიჭერენო, ანუ შეიძლება თქვენ მის ერთ-ერთ მხარდამჭერად მიგიჩნიოთ.**

— არჩევნებში ჩვენ დამოუკიდებლად ვმონაწილეობთ. ასე რომ, მისი მომხრეები მხარს მე არ დამიჭერენ და არც პირიქით იქნება... რაც შეეხება მორალურ მხარდაჭერას, ეს არც დამიმალავს, ყოველთვის გამოვხატავდი. მის საქართველოში დაბრუნებას მხარს ვუჭერ.

თუკი პრეზიდენტმა შეიწყალა არაერთი ტერაქტის მონაწილე, რატომ არ უნდა შეეწყალებინა იგორ გიორგაძე?! ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გაეცეს ყველა კითხვას პასუხი და დაესვას წერტილი ამ გაუგებრობას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მისი ოჯახის, არამედ მთელი ქართველი საზოგადოებისათვის. დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს, უდანაშაულოს კი უფლება უნდა ჰქონდეს სამშობლოში მშვიდად იცხოვროს.

**— არჩევნებზე რატომ გადაწყვიტეთ მარტო გასვლა, „ვაზის პარტიასთან“ რატომ ვერ გაერთიანდით?**

— ჩვენ ბლოკი გვაქვს სოციალდემოკრატებთან. სხვა მოლაპარაკებები ჩაიშალა. „ვაზის პარტიის“ ხელმძღვანელმა გიორგი შენგელაიამ სამეულში მოხვედრის სურვილი გამოთქვა. არადა, ეს საკითხი ჯერაც არ არის გარკვეული... სწორად მოიქცა ბატონი გიორგი, როცა გამოამჟღავნა, რა განწყობითაც მოვიდა ჩვენთან...

**— რამდენი პროცენტის აღების იმედი გაქვთ არჩევნებზე?**

— თუ არჩევნების გაყალბება არ მოხდა, პარლამენტში რამდენიმე ათეული დეპუტატი უნდა გავიყვანოთ...

***იზო რიკაძე***



# „ეი-ი-ეს-ის“ უკანონო ჩათვლებიდან ნიკას წილებს სთავაზობდნენ...“

## რა ვერსიებზე საუბრობს ნიკა ლომინაძის მეუღლე

ივნისის თვეში თბილისის პროკურატურაში „ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის, გიორგი გვიჩიანის სკანდალურმა დაპატიმრებამ სამართალდამცველები აიძულა, საზოგადოებისთვის ეცნობებინა არაერთი მიჩქმალული ფინანსური მაქინაცია. ამ პერიოდში ამოტივტივდა ვინმე ცხვარაძის გვარიც, რომლის კუთვნილ ფირმებში უკანონო ჩათვლების (ელენერგიის საფასურის) შედეგად მოპოვებული მილიონობით ლარი ირიცხებოდა. დღეს უკვე დაუფარავად ამბობენ, რომ უკანონო ჩათვლების აფერით დაახლოებით 10 მილიონი ლარია დატაცებული. სხვათა შორის, ნიკა ლომინაძის მკვლელობის შემდეგ მის მაგიდაზე იპოვეს უკანონო ჩათვლების მამხილებელი დოკუმენტები. პროკურატურა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ როგორც ხელისშემშლელი პირი, ნიკა ლომინაძე თავიდან მოიშორეს. თბილისის პროკურატურის კულუარებში ამბობენ, მკვლელობა თითქმის გახსნილიაო, მაგრამ მტკიცებულებების არარსებობის გამო დუმილს ამჯობინებენ. „კვირის პალიტრა“ ესაუბრა გარდაცვლილის მეუღლეს, **თამუნა კაპანაძეს,** რომელმაც ჩვენი აზრით, საკმაოდ საგულისხმო და სკანდალური განცხადებები გააკეთა.

**— ამბობენ, რომ თქვენი მეუღლის მკვლელობა თითქმის გახსნილია, მაგრამ გამოძიებას მტკიცებულება არ გააჩნია და ამიტომაც დუმს. თქვენ თუ იცით ამის შესახებ და რა ვერსიაზეა ლაპარაკი?**

— ეკონომიკური ვერსია, რასაც რამდენიმე ხნის წინ განიხილავდნენ, პრინციპში გახსნეს. თუმცა მიჭირს იმის მტკიცება, რომ ნიკო უკანონო ჩათვლების გამო მოკლეს.

**— პროკურატურა აცხადებს, რომ მკვლელობა ეკონომიკური დანაშაულის საფუძველზე მოხდა...**

— ალბათ... ხშირად სთხოვდნენ ნიკოს ჩათვლებზე თუ რაღაც კონტრაქტებზე ხელმოწერას. ვფიქრობ, იმიტომ მოიცილეს თავიდან, რომ ხშირად უარს ამბობდა ხელის მოწერაზე.

**— კონკრეტულად, ვინ მოითხოვდა, შეგიძლიათ დაასახელოთ?**

— იყო შემთხვევები, როცა ნაცნობები სთხოვდნენ, ხან კი უცნობები მიდიოდნენ მასთან „თელასში“ და ფულს სთავაზობდნენ...

**— რამდენს სთავაზობდნენ?**

— გააჩნია, რა თანხის ჩათვლა იყო საჭირო, იქიდან განსაზღვრულ პროცენტს სთავაზობდნენ. გახსოვთ, ალბათ, რუსეთის ჯარებს უკანონოდ ჩაუთვალეს 2 მილიონ-ნახევარი ლარი, რისთვისაც მოგვიანებით ცხვარაძე დააპატიმრეს. ეს ნიკოს ფინანსურ მენეჯერად დანიშვნამდე გაკეთდა. ნიკოს მკვლელობის შემდეგ გაცხადდა ეს ამბავი. ვისთანაც უნდა ჩათვლილიყო ეს 2 მილიონ-ნახევარი, იმის ანგარიშზე არ დამჯდარა თანხა და ის ფირმა „თელასს“ სთხოვდა დავალიანების გადახდას. ნიკომ დაიწყო ამ აფერის გამოკვლევა — თანხა ორი კერძო ფირმის ანგარიშზე აღმოჩნდა გადარიცხული. შემდეგ კი იქიდანაც მოიხსნა და გაქრა.

**— ყველაფერი ეს ნიკამ გიამბოთ?**

— არა. მკვლელობის შემდეგ მივედი „თელასში“ და კომერციულ დირექტორს, გალინ ალნიაზოვს ვესაუბრე. მკვლელობის წინა საღამოს ნიკო მასთან ერთად იყო რესტორან „როინერში“. ვკითხე, რაზე საუბრობდნენ. როგორც მითხრა, ნიკო იმ დოკუმენტებით დაინტერესებულა, რომელთა გამოც შეიძლებოდა იგი მოეკლათ. ალნიაზოვმა მკვლელობის ერთ ვერსიად ამ საქმესთან დაკავშირებული ვიღაც მოლარე ქალი დაასახელა, მისი გვარი არ მახსოვს. მას 17 ათასი ლარი ჰქონია მიტაცებული. სხვათა შორის, ეს ქალი ნიკოსაც უხსენებია ჩემთან. ხან რეგიონის მენეჯერმა დაურეკა მასზე, ხან ვინ, — ამ ერთხელ ვაპატიოთო. ნიკომ მაშინ მითხრა: მოლარემ 17 ათასი მიითვისა და მისი გაშვებაც არ უნდათ სამსახურიდან, პასუხისგებაში მიცემაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტიაო. გალინ ალნიაზოვი კი 17 ათასის ნაცვლად, 25 ათასამდე ლარს ასახელებს. მანვე მკვლელობის მეორე ვერსიად დაასახელა რუსეთის ჯარებთან ჩათვლები, სადაც ხელმოწერები ყალბი საბუთებით იყო გაკეთებული. მოგვიანებით სწორედ ამ ჩათვლებთან დაკავშირებით აღიძრა საქმე. როგორც აღმოჩნდა, არც საბუთები ყოფილა გაყალბებული და არც ხელმოწერები. ერთ-ერთზე გია გვიჩიანის ხელმოწერა ნახეს. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ჩათვლა მაქინაცია იყო. თუმცა ექსპერტიზამდე „თელასში“ ამტკიცებდნენ, ხელმოწერები ყალბიაო(?!).

**— როგორ ფიქრობთ, იგნასიო ირიბარენმა რატომ დაიცვა მაშინ ასე თავგამოდებით გვიჩიანი, თვითონაც გარეული იყო ამ საქმეში?**

— არ ვიცი, არა მგონია. საერთოდ, გამიკვირდა იგნასიოს დამოკიდებულება. ამბობდა, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა დავიცვათ ჩვენი თანამშრომელი, ციხეში რომ ჩასვან, ყველაფერზე ხელს მოაწერინებენ, მათ შორის მკვლელობაზეც. ვიცი, რომ გვიჩიანი ფულს აკეთებდა, მაგრამ მხოლოდ ის ხომ არ აკეთებდა ფულს; ის 2 მილიონნახევარი სხვამ ჩაიჯიბა და რატომ უნდა დაისაჯოს „თელასის“ თანამშრომელიო?!

**— მახსოვს, მკვლელობიდან რამდენიმე თვის შემდეგ ირიბარენმა მუქარის წერილი მიიღო. იქნებ იგი შეაშინეს და იმიტომ გააკეთა ამგვარი განცხადება?**

— არ მინდა ისე გაიგოთ, თითქოს გვიჩიანი მკვლელია ან მკვლელობის თანამონაწილე. იმ მაქინაციებში უამრავი ხალხი მონაწილეობდა. ჩემი აზრით, ნიკო იმიტომ მოკლეს, რომ იგი მაფიას გადაეღობა წინ. ნიკომ უკანონობის გამოსწორება მოინდომა. ის კი ვერ გაითვალისწინა, რომ როცა საქმე მილიონებს ეხება, არავინ დაინდობდა. ჩანს, მკვლელმა გათვალა, რომ ნიკოს მოკვლის შემდეგ აღარავინ შეუშლიდათ ხელს — ვერც ირიბარენი და ვერც გალინ ალნიაზოვი.

**— თქვენ ალბათ ამ საკითხებზე ირიბარენთანაც ისაუბრებდით...**

— ირიბარენი ამ ტრაგედიას ძალზე განიცდიდა. მას, ძირითადად, ერთი ვერსია ჰქონდა. მისი აზრით, ნიკო იმიტომ მოკლეს, რომ „ეი-ი-ეს-ის“ გაძევება უნდოდათ საქართველოდან და ეს დაშინების მიზნით ჩაიდინეს. იმ მუქარის წერილსაც ამ ვერსიით ხსნიდა. ლაპარაკობდა ენერგომაფიაზეც — ამბობდა, რომ დიდძალი ფული გაედინებოდა „ეი-ი-ეს-იდან“ ამ გზით.

**— როგორც მითხრეს, გარდა ცხვარაძისა, უკანონო ჩათვლების საქმეში, სხვებიც იყვნენ გარეულნი. რა იცით ამის შესახებ და ემუქრებოდნენ თუ არა თქვენს ოჯახსაც?**

— მუქარის მხრივ არაფერი გამიგია... მაგრამ ის კი ვიცი, რომ ნიკოს ძალიან აწუხებდნენ... გამიკვირდა, როდესაც გავიგე, რომ კ. დ.-ძეც (უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, „კვირის პალიტრა“ გვარის სრული დასახელებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს. საქმეში ასეთი პირის არსებობა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა, ვალერი გრიგალაშვილმაც დაგვიდასტურა. — მ. მ.) ყოფილა დაკავშირებული ამ ჩათვლებთან. ეს სახელი და გვარი ნიკოსგან ხშირად მსმენია — გაღიზიანებულიც იყო მასზე. ვიცი, რომ კ.დ. დაჟინებით სთხოვდა რაღაცის გაკეთებას (როგორც შევიტყვეთ, ეს ის კ. დ.-ძეა, რომელიც 80-იან წლებში დიდი ეკონომიკური აფერის გამო დააპატიმრეს და შემდეგ ისევ გაათავისუფლეს. — მ.მ.). სხვათა შორის, ცხვარაძე თავის პირველ ჩვენებაში აღიარებს, რომ ყველა ჩათვლიდან აძლევდა 30%-ს კ. დ.-ძეს, რომელიც (მისივე ინფორმაციით) 20%-ს ვიღაცას აძლევდა, 10%-ს კი იტოვებდა.

**— თქვენი მეუღლე საიდან იცნობდა კ. დ.-ძეს?**

— იმ ჩათვლების დროს გაიცნო. როგორც ნიკომ მიამბო, თურმე სასწავლო ორგანიზაციებთან ჩათვლები უნდა გაკეთებულიყო. მასთან სამსახურში მივიდა კ. დ.-ძე და გაეცნო როგორც ბიძამისის ახლობელი. სთხოვა, ეს საქმე უნდა გამიკეთოო. ნიკო უარს ეუბნებოდა. მერე მითხრა, ვერ მოვიცილე, სანამ ხელი არ მომაწერინა, კაბინეტიდან არ გავიდაო. კ. დ.-ძე არც ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი არ ყოფილა, უბრალოდ, შუამავალი იყო. ჩათვლა ან უნივერსიტეტისთვის, ან ტექნიკური უნივერსიტეტისთვის უნდა გაკეთებულიყო. ისე, ეს დარღვევა არ იყო და ნიკომაც ხელი მოუწერა. შემდეგში რას ითხოვდა ნიკოსგან, აღარ ვიცი. ჩემი მეუღლე საკმაოდ გაწონასწორებული კაცი იყო და ის კ.დ. კი იმდენად აწუხებდა, რომ მასთან თავშეკავება ღალატობდა. ერთხელ ძალიან გამიკვირდა, როდესაც ტელეფონით ვიღაცას საკმაოდ უხეშად ელაპარაკა. დაახლოებით ასეთი შინაარსის საუბარი ჰქონდათ: რამდენჯერ უნდა მთხოვო — არ გავაკეთებ ამას, თავი დამანებე, რამდენჯერ უნდა დარეკოო.

**— მკვლელობამდე რამდენი ხნით ადრე იყო ასეთი საუბრები?**

— პერიოდულად რეკავდა. ისეც ყოფილა, როცა ტელეფონზე კ.დ.-ს სახელს და ნომერს დაინახავდა, ნიკო ყურმილს არ იღებდა.

**— სხვათა შორის, თავის დროზე ამ მკვლელობის გამო ფირმა „ომეგას“ პრეზიდენტის მამის, რობერტ ოქუაშვილის დაცვის წევრი — დავით მჭედლიძე დააპატიმრეს. თუმცა არ დაუმტკიცდა და მალევე გაუშვეს. რას ფიქრობთ ამაზე?**

— მისი გათავისუფლება, ვფიქრობ, ნაადრევი იყო, რადგან ერთადერთი სამხილი, მტკიცებულება არის მკვლელობის იარაღი. გარდა ამისა, ვერც თითის ანაბეჭდით და ვერც დნმ-თი მიაგნეს ვინმეს. მჭედლიძის საწინააღმდეგო ერთადერთი სამხილი იყო იარაღი, სხვა არაფერი. ამ მტკიცებულების უგულებელყოფა იმ მიზეზით, ალბათ ესეც გაყალბებულიაო, არ მიმაჩნია სწორად. შესაძლოა იგი არც იყოს მკვლელი, მაგრამ ვიღაცამ ხომ გამოიყენა მისი იარაღი. როგორც ეფ-ბი-აი-ს წარმომადგენლებმა მითხრეს, სკოტჩზე თითის ანაბეჭდები ვერ აღმოაჩინეს (მოკლულს ხელები სკოტჩით ჰქონდა შეკრული. — მ. მ.). მათი ვარაუდით, ტყავის ხელთათმანებით მოქმედებდნენ. გასაკვირია, — შედიან ხელთათმანებით და კლავენ ტაბელური იარაღით?!

**— ეფ-ბი-აი-მ რა იპოვა?**

— ერთი პირის თითის ანაბეჭდი საფერფლეზე და ორი სიგარეტის ნამწვი. ერთზე ნიკოს დნმ იყო, მეორეზე კი ორი პირის დნმ. თმის ღერებიც ნახეს ბევრი. მჭედლიძის არც თმის ღერები ემთხვევა და არც დნმ.

**— გვიჩიანი თუ იცნობდა კ. დ.-ძეს?**

— როგორც გამომძიებელს უთხრა, კ.დ. ენერგოჩათვლების დროს გაუცნია. მაშინ ნიკო არ წყვეტდა ჩათვლების საქმეს.

**— გამოძიებამ თუ დაჰკითხა კ. დ.-ძე?**

— გამომძიებელს ვკითხე, თუ დაჰკითხეთ-მეთქი. იცით, რა მიპასუხა? არა, თქვენი ოჯახის ახლობელი ყოფილაო. ჩემი მამამთილი გაგიჟდა, საერთოდ არ ვიცნობ, რა ოჯახის ახლობელიო. გამომძიებელმა დვალიშვილმა მხოლოდ მერე დაიბარა კ. დ.-ძე, თუმცა მან ჩვენება მაინც არ მისცა. ჩემს მამამთილს დაურეკა პრეტენზიებით, გამომძიებლები რატომ მაწუხებენო, იქნებ მეტად აღარ შემაწუხოთო. ჩემმა მამამთილმა ყურმილი დაუკიდა, მასთან საუბრის შემდეგ რამდენიმე დღე ცუდად იყო. როგორც ვიცი, კ. დ.-ძე დღემდე არ დაუკითხავთ, რადგან იგი ჩვენებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

***მარინა მამისაშვილი***


მეუღლესთან ერთად

# ვალარში: „ჩვენ აფხაზების გვერდში ვდგავართ“



***სეპარატისტული აფხაზეთი ქართველებზე გამარჯვების 10 წლისთავს ზეიმობს. აფხაზური მასმედია გამარჯვებულთა(?!) ინტერვიუებსა და ომის პერიპეტიების „საგმირო“ საქმეებს ამზეურებს... ვფიქრობთ, ამ პუბლიკაციებში ქართველი მკითხველისთვის ბევრი საყურადღებო ინფორმაცია დევს... ჭეშმარიტად ნათქვამია — ყოველივე დაფარული გაცხადდესო.***

***გთავაზობთ „აფსნი ინფორმის“ მიერ გავცელებული ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს ბაგრამიანის სახ. სომხური ბატალიონის მეთაურთან, რომელმაც აფხაზეთში „სომხური ქვედანაყოფების ერთ მუშტად შეკვრა შეძლო“ (რედ.)...***

***ინტერვიუ ბაგრამიანის სახელობის სომხური მოტომსროლელი ბატალიონის მეთაურთან, ვალარშაკ (ვალარშ) კოსიანთან, რომელმაც აფხაზეთში სომხური ქვედანაყოფების ერთ მუშტად შეკვრა შეძლო:***

**— სომხებმა თავიდანვე რატომ დაუჭირეს მხარი აფხაზებს და არა ქართველებს?**

— ჩვენი და აფხაზების მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს. ქართველებს არ უნდოდათ, აქ ჩვენი წინაპრები ჩამოსახლებულიყვნენ. ბევრი რუსეთის გზას გაუყენეს, ბევრიც ზღვაში დაახრჩვეს. მხოლოდ მკვიდრი მოსახლეობა, აფხაზები, იფარებდნენ სომხებს. ამიტომაც, ომის დაწყებამდე, საზოგადოება „მაშტოცმა“, პირადად არსენ ჩაკრიანმა და ავეტის კოსიანმა შთაუნერგეს ხალხს, რომ სომეხთა ისტორიული მეხსიერება მოითხოვდა, მხარი დაეჭირათ მხოლოდ აფხაზებისთვის. მარტოოდენ სომეხთა ისტორიის არმცოდნეს შეეძლო ზურგი ექცია ხალხისთვის, რომელმაც ერთ დროს შეიფარა.

სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები სომხები მხოლოდ მართალის მხარეზე დგებიან. უსათუოდ უნდა დაიცვა ის მიწა, რომელზეც ცხოვრობ. ეს არის ჩვენი კრედო, ამას დღესაც ქადაგებს საზოგადოება „მაშტოცი“.

**— რამდენი მებრძოლი გყავდათ?**

— ხუთასამდე. ჩვენ თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული საშტატო განრიგის მიხედვით გაგვყავდა ხალხი ბრძოლებში. ქვედანაყოფები მოხალისეებისგან შედგებოდა. ოცი წლის ყმაწვილები კი არ გაგვყავდა, არამედ ორმოცდაათი წლის და მეტი ხნის ვაჟკაცები...

**— ამბობენ, სომხებმა იარაღი მხოლოდ 1993 წლის თებერვალ-მარტში აიღეს ხელშიო.**

— ფაქტობრივად, ქვედანაყოფი უფრო ადრე ჩამოყალიბდა, დაახლოებით ნოემბერ-დეკემბერში. ყველა (სომხურ) სოფელში თავდაცვის ჯგუფები შეიქმნა და ისინი აფხაზური არმიის სხვადასხვა ქვედანაყოფში შედიოდა. ქვედანაყოფი მონონაციონალური არ ყოფილა, მაგრამ სომხობა სჭარბობდა. ჯერ შეიქმნა საბჭოთა მეურნეობა „სიხარულის“ გაგრის დანაყოფი, მერე მეხადირისა. გაგრის განთავისუფლების შემდეგ შემოგვიერთდნენ სოხუმელი, შაუმიანელი, მერხეულელი მოხალისეები, თანაც მარტო სომხები კი არა, აფხაზებიც, რუსებიც, ერთი გერმანელიც გვერია, წარმოიდგინეთ, აზერბაიჯანელიც... უკვე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენთან ქართველებიც იყვნენ. ხალხში გვიწოდებდნენ „სომხურს“, თორემ ეს იყო ბაგრამიანის სახელობის მრავალეროვანი სამხედრო ქვედანაყოფი.

**— ომის დროს რა როლი ითამაშეს სომხეთმა, მთიანმა ყარაბაღმა, ან რომელიმე სომხურმა დიასპორამ?**

— სომხეთის და მთიანი ყარაბაღის დახმარებაზე არაფერს ვიტყვი. მორალურად სომხეთი ჩვენთან არის, მთიანი ყარაბაღიც, მაგრამ მათ საკუთარი პრობლემები აქვთ. ძალიან დაგვეხმარა შორეული და ახლო საზღვარგარეთის დიასპორა.

**— ქართველები ამბობენ, სომხებმა მაშინ აიღეს იარაღი ხელში, როცა დარწმუნდნენ, რომ აფხაზური მხარე იგებდაო. ზოგიერთი ქართველი თქვენს ხალხს ადანაშაულებს — სომხური ბატალიონის მეომრები სოხუმის ქართული მოსახლეობის გაჟლეტაში მონაწილეობდნენო, თანაც არსებულ ვიდეომასალას იმოწმებენ.**

— სისულელეა, ჩვენ ყველა ეროვნების მშვიდობიან მოსახლეობას ვიცავდით, მაგრამ ომი ომია. ჩვენ არ დაგვიწყია ეს ომი და მგონია, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის უბედურებაში დამნაშავე ორივე მხარეა. ყველა ომი ბინძურია. ზოგი მოწინავე ხაზზე იბრძვის, ზოგი კი ძარცვას უნდება. ქართველებმა მშვენივრად იციან ეს. ბევრი მათგანი იბრძოდა, ბევრიც ტელევიზორებს და მაცივრებს ეზიდებოდა...

**— ოფიციალური საქართველო ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს იხსენიებს, როგორც ქართულ-რუსულ კონფლიქტს. რასაკვირველია, სამარცხვინოა მცირერიცხოვან ხალხთან ომის წაგება. დაუჟინიათ — რუსები ომობდნენ, აფხაზები კი კვალში მიჰყვებოდნენო... ახსენებენ ასეულობით დაღუპულ რუს მედესანტეს...**

— სასაცილოა, ჩვენ მოხალისეები გვყავდა — კაზაკები, რუსებიც იყვნენ, ასე, თხუთმეტამდე, თანაც სულ ლოთობდნენ, მაგრამ ისინი სპეცრაზმელები კი არა, რუსეთის ყველა კუთხიდან ჩამოსული მოხალისეები იყვნენ. მინისტრთა საბჭოს შენობის აღებისას 32 ყაბარდოელი დაგვეხმარა ყაბარდოელთა რაზმიდან, მაგრად იბრძოდნენ ბიჭები.

**— ამას წინათ სოხუმში მაჩვენეს ის გზა, რომელიც სომხურმა ბატალიონმა გაიარა. შეძრწუნებული გიდი მიყვებოდა, — სომხები ცეცხლმტყორცნებით წვავდნენ იქაურობას. მათ ნაკვალევზე ცოცხალი კატაც არ დარჩენილაო.**

— ჩვენ ისეთი არაფერი გაგვიკეთებია, რაც სხვაგან არ მომხდარა... ცეცხლმტყორცნი კი არა, „შმელები“ გვქონდა. თუ რომელიმე შენობაში მოწინააღმდეგე გვეგულებოდა, რასაკვირველია, ვსპობდით. მართლაც შიშის ზარს ვცემდით მტერს. ერთხელ, ქვემო იაშტუხში, ქართული არმიის სპეცდანაყოფი, დაახლოებით 150 კაცი, გადმოვიდა იერიშზე. დღე-ნახევარი წინ ვერ წავიწიეთ. მერე ვიეშმაკეთ. ნაღმმტყორცნები მანდარინის სარწყავი ქიმიკატით, ბი-58-ით ავავსეთ. ერთ მონაკვეთზე 20 ნაღმმტყორცნი და „შმელი“ დავაყენეთ და ერთბაშად ვბუთქეთ. ხმაური გამაყრუებელი იყო. დამფრთხალი ქართველები გაიქცნენ... მეორე დილას ქართულმა რადიომ გამოაცხადა — აფხაზურმა მხარემ ქიმიური იარაღი გამოიყენაო.

**— მერე კოდორის ხეობაში გადაისროლეს?**

— ეს მას შემდეგ, რაც ენგურზე გავედით, ჯერ ოტობაიაში ვიყავით, ლათაც ჩვენ ავიღეთ, მაგრამ ამ სოფლის აღებაში დიდი წვლილი ბრიგადის მეთაურს, რაუფ ჯიკირბას და აღმოსავლეთ ჯგუფის ჯარებს მიუძღვით. მათ ჩვენ შესვლამდე გაენადგურებინათ მოწინააღმდეგე. მიჭირს თქმა, რამდენად ორგანიზებულნი იყვნენ სვანი მეომრები. ერთადერთი, რაც მე გავიგონე შეტევის დაწყების წინ, სვანები რაციით ყვიროდნენ: ძმებო აფხაზებო, გააჩერეთ სომხები და ჩეჩნები. ჩვენ ერთმანეთში მოვილაპარაკებთო. ასე რომ, ორგანიზებულ წინააღმდეგობაზე ლაპარაკი ზედმეტია, შეიძლება ორგანიზებულად გარბოდნენ, თანაც მთელ იარაღს ტოვებდნენ, რომელიც ჩვენ დაგვრჩა. ქართველთა ტანკიდან ჩვენმა ბიჭებმა დახოცილები გადმოყარეს და იმავე ტანკით ქართველებსვე დაედევნენ.

**— რატომ არ აიღეთ ბოლომდე კოდორის ხეობა?**

— ლათას აღების შემდეგ ორ დღეში შეიძლებოდა ამის გაკეთება. თითქმის ავიღეთ კიდეც. ჯერ ზემო ლათაში გავჩერდით, მერე კოჩარამდე მივედით და... ეტყობა, პოლიტიკა ჩაერია საქმეში. ჩვენ ბრძანება შევასრულეთ! თუმცა აჟარის აღება და საკენამდე მისვლა ძნელი არ იყო.

**— ივლისში შეთანხმება მოხდა ცეცხლის შეწყვეტის და ქართული ჯარის გაყვანის შესახებ. როცა 16 სექტემბერს სოხუმის გათავისუფლების ოპერაცია დაიწყეთ, იქ ქართული ტანკი ცოტა იყო?**

— ცხადია, არა. ქართველებს იქიდან არაფერი გაუყვანიათ. ამის მაგალითია ის სამი ტანკი, რომელიც ჩვენ ავაფეთქეთ. მათ ტექნიკა ფრონტის უკანა ხაზზე გადაიყვანეს. ჩვენ ჩვენი ჯავშანტექნიკა, ჯარები გავიყვანეთ, მათ კი — არა.

***(გაგრძელება იხ. გვ. 27)***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაწაწები გენიოსები

**4 წლის გიორგი დორეულის** დედა ქათმის კარგ ნაჭრებს შვილებს უზოგავს, ხოლო ძვლიან ნაწილებს თავად გეახლებათ ხოლმე.

ერთხელ დორეულებს სტუმარი ეწვია. პატარა გიორგიმ სტუმრის თეფშზე დარჩენილ ძვლებს დაადგა თვალი და მიმართა:

— ძია ჯემალ, ეს ძვლები ჩემს დედიკოს უნდა შევუნახო, მას უყვარს.

* * *

**5 წლის ჯუბი ჩიქოვანს** ბებია უხსნის, რომ ის და თვითონ დაბადებულნი არიან ხარის წელში, ამიტომ ხარივით მაგრები და ძლიერები არიან.

— ბებო, მერე რქები ამომივა? — კითხულობს გაკვირვებული ჯუბი.

* * *

**4 წლის ერეკლე როსტიაშვილმა** დახატა მგელი და კურდღლის დასახატად მოსთხოვა დედას ფურცელი.

დედამ უპასუხა:

— მანდვე დახატე, ხომ გაქვს ადგილი?

ერეკლე:

— რას ამბობ, მგელი ხომ შეჭამს კურდღელს?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „არც თაგვია და არც ჩიტი, თუმც ორივეს იგი ჰგავს, მისი სახით კოღო-ბუზებს საშინელი მტერი ჰყავს.“

IV





II იპოვე 2 ერთნაირი ფრაგმენტი

## I ანა, გამოცანა

**1) რომელი არ არსებობს?**

ა) ზღვის კატა; ბ) ზღვის ვეფხვი; გ) ზღვის ლომი; დ) ზღვის ღორი.

**2) ვის ეკუთვნის ლექსის შემდეგი სტრიქონები: „მაშ რისთვის მინდა სიცოცხლე, სული რადა მრჩავ პირშია, თუკი არ გამოვადგები სამშობლოს გასაჭირშია“.**

ა) აკაკი წერეთელს; ბ) ვაჟა-ფშაველას; გ) გრიგოლ ორბელიანს; დ) ილია ჭავჭავაძეს.

**3) ქვემოთ ჩამოთვლილი რეჟისორებიდან რომელი იყო საკუთარი ფილმების სცენარისტი, მსახიობი და ხშირად კომპოზიტორიც.**

ა) ფედერიკო ფელინი; ბ) ჩარლი ჩაპლინი; გ) ელდარ რიაზანოვი; დ) ლუკინო ვისკონტი.

**4) რომელია მწერალ შიო მღვიმელის ნამდვილი გვარი?**

ა) რაზიკაშვილი; ბ) თათარაშვილი; გ) ქუჩუკაშვილი; დ) ასათიანი.

**5) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მცენარის სახელწოდება?**

ა) მრავალძირა; ბ) მრავალფესვა; გ) მრავალწვერა; დ) მრავალძარღვა.

**6) მათეს სახარების მიხედვით ხუთი პურითა და ორი თევზით რამდენი კაცი გამოკვება იესო ქრისტემ?**

ა) ხუთი ათასამდე; ბ) სამი ათასამდე; გ) ათასამდე; დ) ორასამდე.

## ენის გასატეხები

- ბაყაყი მყაყე ჭაობში ბაყბაყდევივით ბაყბაყებს.
- ტყეში ყაზახი შევარდა ტყე გაყაზახებულაო.

## III გამოცანა

მამა დაგრეხილი, დედა დაჭყლეტილი, შვილი გადარეული.

## გამოსაჯავრებელი

- ხოტორ, ხოტორ, ხრიკა,
ყვავი ნიგოზს ყრიდა (თავში
უწკიპურტებენ),
ყვავო, ერთი გადმომიგდე,
ლობიოსთვის მინდა.

- გლახა, გლახა,
დაუღია ხახა,
ცხელი მჭადი უჭამია,
დაუწვია ხახა.

ზღაპარი

## ლომის ერთგულება

ერთი ტუსაღი ციხიდან გამოიქცა და მთაში იმალებოდა. აქა-იქ ხეტიალში ნახა გამოქვაბული კლდე და შეეფარა: ავდარ-წვიმაში სისველისაგან მაინც გადავრჩებიო. საღამო ჟამს უზარმაზარი ლომი დაინახა. ტუსაღი მიხვდა, რომ ლომის ბუნაგში იყო. შიშმა აიტანა, რაღა ექნა, სადღა გაიქცეოდა!

ლომი კოჭლობით მიუახლოვდა ბუნაგს და შეშინებული კაცისკენ გაიშვირა ფეხი. კაცი მიხვდა, ლომი საშიში არ იყო. ფეხი გაუსინჯა, ნახა: ეკალი შერჭობოდა და დასივებოდა. ეკალი ამოუღო, თავისი პერანგის სახელო მოხია, შეუხვია და იმ დღიდან დამეგობრდნენ. ლომს ისე შეუყვარდა კაცი, რომ ყოველდღე საზრდოს უზიდავდა. ასე ატარებდნენ დროს.

იმ სახელმწიფოში დამნაშავე კაცს ლომებთან აგდებდნენ. ამ სასჯელისთვის ეძებდნენ ტუსაღსაც. დიდი ხნის ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, მიაგნეს. ლომი და კაცი ერთად დაიჭირეს და უკვირდათ მათი მეგობრობა. ტუსაღი ცალკე დაამწყვდიეს, ლომი ლომებთან შეიყვანეს.

ერთ დღეს მეფე-დედოფალი და რჩეულნი პირნი შეიკრიბნენ დროის გასატარებლად და მეფემ ბრძანა, ტუსაღი ლომებთან შეებრძოლებინათ. ტუსაღს ხუთი ლომი მიუსიეს. ერთი ყველაზე დიდი და ღონიერი ლომი დანარჩენებს გადაეღობა და დაუწყო ჩხუბი, ტუსაღთან არ უშვებდა. ხან ერთს წააქცევდა, ხან მეორეს, ხან მესამეს, ხან მეოთხეს. ამან მეფე-დედოფალ-მაყურებელთა განცვიფრება გამოიწვია და ტუსაღს ჰკითხეს, თუ რას ნიშნავდა ლომის თავგანწირვა. ტუსაღმა უამბო: რა დღიდან და როგორ დაამხანაგდა ლომთან. მეფემ მოიწონა ლომის გონიერება და ტუსაღი და ლომი გაათავისუფლა.



იპოვე 10 განსხვავება

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა




ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ... ᲤᲐᲡᲘ 1 ᲚᲐᲠᲘ 20 ᲗᲔᲗᲠᲘ

CMYK

# — მამა ბაბუას ეიზენჰაუერს და სიმამრების პრეზიდენტს ეძახდა...

***მაკა მახარაძე** მინახავს სცენაზე, სტუდიაში, მინახავს მშობლების გვერდით... თითქოს ყოველთვის პირველად ვნახულობდი, ახალ, უცხო შტრიხს აღმოვაჩენდი ხოლმე მის პიროვნებაში. რაც არ უნდა წარმატებული და მომხიბვლელი იყოს ქალი, მას ყოველთვის აქვს ძირითადი საყრდენი, რომელიც აძლევს ძალას, ენერგიას... ქალბატონი მაკასთვის ეს ოჯახია.*

— ჩემთვის უმთავრესი ოჯახია, როგორც ის, რომელმაც გამზარდა, ისევე ჩემი შექმნილი ოჯახიც. რასაც ვაკეთებ ან გავაკეთებ მომავალში, ისევ და ისევ ჩემი ოჯახისთვის, შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილებისთვის (ძალიან მინდა მოვესწრო!).

**— დიდი ოჯახის შვილი, დედა და ბებია ბრძანდებით. თანაც, ძალიან საინტერესო ოჯახი გაქვთ. ყველანი ხელოვნებას ემსახურებით. რთული არ არის ამდენი ხელოვანის ერთ ჭერქვეშ ცხოვრება?**

— სრულიადაც არა. ძალიან საინტერესოც კია. ნატო მსახიობია, ჩემი უმცროსი ქალიშვილი ვიზაჟისტია, ემსახურება კინოსაც, თეატრსაც, ტელევიზიასაც, მასაც მჭიდრო კავშირი აქვს ხელოვნებასთან. მეუღლე, მურაზ მურვანიძე — მხატვარი... სიძე — ნიკა თავაძე მსახიობი გახლავთ. როცა ყველა ხელოვნებას ვემსახურებით და რაღაცას წარმოვადგენთ ასე თუ ისე, სხვანაირად ცხოვრება ვერც წარმოგვიდგენია. გინდა თუ არ გინდა, აუცილებლად ესწრები პრემიერას, სადაც დედა ან ქალიშვილი იღებს მონაწილეობას, ნახულობ ძმის დადგმულ სპექტაკლს და ასე... არ იფიქროთ, რომ ობიექტურები არ ვართ ერთმანეთის მიმართ. შეიძლება სუბიექტური დამოკიდებულება ვერ გამორიცხო, მაგრამ არასოდეს გაგვიზვიადებია ერთმანეთის ნამუშევარი. დედა იტყოდა ხოლმე: კაცო, ვიცი მსახიობები, ვისაც შვილები ტაშს უკრავენ და ყველაფრით კმაყოფილები არიან. თქვენ რატომ ეძებთ სულ რაღაცას შენიშვნისთვის, არ ვიციო! არა, შენიშვნებს კი არ ვაძლევდით, უბრალოდ, თემური თავის აზრს ეტყოდა, მე ჩემს აზრს (პლასტიკასთან დაკავშირებით). ჩვენთვის უპირველესად არის დედა, უპირველესად დედაშვილური ურთიერთობა გვაქვს, მერე არის მედეა ჩახავა — ცნობილი მსახიობი. ჩვენც რომ ხელოვნება ავირჩიეთ, არც ეს არის მოულოდნელი, თუმც მე მედიცინაც მომწონდა. ჩემი ბაბუა, — დედის მამა — მეანგინეკოლოგი გახლდათ. პატარა რომ ვიყავი, ვოცნებობდი, რომ დღისით ექიმი ვყოფილიყავი, საღამოს — ბალერინა.

**— თქვენ ახსენეთ ბაბუა, ვიცი, რომ ის განსაკუთრებული ბედის ადამიანი იყო, დაღუპული ეგონათ ფრონტზე და სწორედ იმ დღეს გამოჩნდა, როცა ქალბატონ მედეას პირველი პრემიერა ჰქონდაო.**

— დიახ, უკვე გამოტირებული ჰყავდათ და ჩამოვიდა იმ დღეს, როცა დედას სპექტაკლი ჰქონდა. არ მახსოვს, პრემიერა იყო თუ არა... ბაბუაჩემი არაჩვეულებრივი კაცი იყო. წარმოსადეგი, დახვეწილი ინტელიგენტი. მისთვის არც დღე არსებობდა, არც ღამე. დაუძახებდნენ, მიჰყავდათ, მოჰყავდათ. მაშინ უცხო იყო ჩემთვის,



რის გამო ეძახდნენ, არ ვიცოდი. 2 საათზე უმთავრდებოდა სამსახური, გაივლიდა ვერის ბაზარში, აუცილებლად იყიდდა პროდუქტებს. მერე, როცა სუფრას მივუსხდებოდით, აუცილებლად უნდა შეგვექო მისთვის ნავაჭრი: რა არაჩვეულებრივი წიწმატია, — იტყოდა ვინმე... ეს ბაჩას მოტანილია და იმიტომ (ბაჩას ვეძახდით ბაბუას). უყვარდა, როცა აღნიშნავდნენ მის ამ ნიჭს. ბებია, როგორც მე მახსოვს, არ მუშაობდა, თუმცა ადრე რუსული ენის მასწავლებელი ყოფილა. მშვიდი, გაწონასწორებული ბებია მყავდა, ბაბუა კი — ფიცხი და ძალიან მომთხოვნი. ჩვეულებრივად სადილი თეთრ სუფრაზე უნდა გაგვეშალა. სულ ერთად ვცხოვრობდით, არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა მამას ბაბუასთან. ეიზენჰაუერს და სიმამრების პრეზიდენტს ეძახდა, თუმცა ბაბუა არ იყო მომხრე კოტეს და მედიკოს ქორწინებისა; მამაჩემის ოჯახს მით უმეტეს არ უნდოდა დედა, რაკი მას პირველი ქორწინებიდან ჰყავდა შვილი. მერე კი ორივე მხარეს განსაკუთრებულად უყვარდათ ერთმანეთი.

**— მსმენია, ქალბატონი მედეა უზადო დიასახლისია, თქვენც გიყვართ და კარგად გამოგდით დიასახლისობა?**

— მიყვარს, მაგრამ დედას ვერ შევედრები. მას შეუძლია ძალიან ჩქარა გაშალოს დიდი პურმარილი, ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. ქართული კერძები ნაკლებად მეხერხება, მაგრამ ევროპული კარგად გამომდის.

**— როცა მსახიობთა ოჯახში ბავშვი იზრდება, მგონი, სულ მოლოდინშია, ელოდება, როდის დაბრუნდება მშობელი რეპეტიციიდან, სპექტაკლიდან...**

— სხვათა შორის, დედას ძალიან გაუკვირდა, როცა პირველად ვთქვით, ჩვენ სულ გვენატრებოდიო. იმდენად თავდადებული იყო ოჯახისთვის, ვერ წარმოიდგინა, თუ მართლა გვენატრებოდა. არადა ისეთი დაკავებული იყო, დილით რეპეტიცია, საღამოს — სპექტაკლი, შუადღისას — გახმოვანება ან გადაღება... მე რომ სკოლაში მივდიოდი, დედას ეძინა, რომ მოვდიოდი, ჯერ არ იყო შინ მოსული... მშობლები საღამოს ბრუნდებოდნენ, ჩვენ უკვე გვეძინა... ახლა დედა უმეტესად შინ არის, უნდა, რომ სულ მასთან ვიყო, მაგრამ ახლა მე დავდივარ წინ და უკან, არ მცალია. რაც სტუდია გამიჩნდა, შინ პრაქტიკულად აღარ ვარ. ვიდრე ბავშვები პატარები მყავდნენ, დახმარების გარეშე ვერაფერს გავხდებოდი. ბალერინისთვის ერთი წლის გაცდენა ძალიან ბევრია. ამიტომ, დედა მეხმარებოდა. ჩემი პირველი შვილიშვილი — დათა კი მე გავზარდე. მაშინ არ ვმუშაობდი, ჩემთვის მაშინ ახალი, ემოციური, ბედნიერი ცხოვრება დაიწყო დათასთან ერთად. ნატუკა და ნიკო სტუდენტები იყვნენ. მაგ დროს ხომ იცით, ქარი ქრის და ქრის თავშიც, გულშიც... ახლა ველარ ვარ ისეთი. ვერც ბებია, ვერც დედა. ახლა ვარ საბალეტო სტუდიის ხელმძღვანელი...

**— გარდა თქვენი პროფესიისა, არასოდეს გიცდიათ, რაიმე შეგექმნათ ხელოვნებაში? ან სურათი დაგეხატათ, ან დაგეკრათ... ლექსები დაგეწერათ...**

— ხომ ხდება ხოლმე, რომ ბავშვები ლექსების წერას იწყებენ, მაგალითად, შეყვარებულობის დროს. მე არასოდეს არც ერთი ბწკარი არ დამიწერია. მამას ჰქონდა ამის ნიჭი... მე არ მეგულება დარგი, რომელშიც ის ისეთივე წარმატებული არ იქნებოდა, როგორიც თავის პროფესიაში იყო. რა უნდა გეკითხა, რომ ვერ ეპასუხა. ერთადერთი, ასტროლოგიაში ვერ ერკვეოდა. არა, ეს მე არ ვიციო, — იტყოდა. უნიკალური პიროვნება იყო. სულ მიკვირს, როგორ ასწრებდა ყველაფერს. არაფერი არ მოუკლია, რასაც ქართველი მამაკაცი აკეთებს: ქეიფი, ქალები, მოგზაურობა... ის ეთაყვანებოდა ქალს და ზემოთ ჩამოთვლილის ფონზე წიგნი ხელიდან არ გაუშვია, ბოლომდე ცოდნის უსაშველო წყურვილი ჰქონდა. იტყოდა ხოლმე, რამდენი წიგნი მაქვს წაუკითხავიო! თან რამდენ სიკეთეს აკეთებდნენ დედაც, მამაც. დილიდან ჩვენთან ვინ არ მოდიოდა, ვინ რას არ სთხოვდა, მიყოლას, შოვნას. ისინიც დაუზარლად მიდიოდნენ და სხვებისთვის სთხოვდნენ ნაცნობებსა თუ უცნობებს — თხოვნა ხომ ძალიან ძნელია, მაგრამ როგორც ჩანს, ისე უყვარდა ხალხს ჩემი მშობლები, რომ ისინი არ განიცდიდნენ უხერხულობას...

**— როგორც ჩანს, ზღაპარში იზრდებოდით — ზღაპრული, კეთილი ფერიების გარემოცვაში. როცა გესტუმრეთ, მითხრეს, ჯადოსნურ ოთახშიაო. ის ზღაპარი, თქვენ რომ შეგიქმნეს, სტუდიაში გადმოიტანეთ და ახლა ბავშვებს ჩუქნით? მე მგონი, ეს აღზრდის საუკეთესო საშუალებაა...**

— ყოველთვის მიკვირდა მშობლების, ბავშვებს რომ სცემდნენ. ჩვენ არასოდეს ვუცემივართ მშობლებს. თუ ბევრს დავაშავებდით, უკანასკნელ მომენტში დედამ იცოდა ხელზე ხელის დატუქსვით შეხება, დარტყმასაც ვერ დავარქმევ და კუთხეში დაყენება. მე ესეც არ მიქნია ჩემი შვილებისთვის. მით უმეტეს, შვილიშვილებისთვის. ხშირად წამიკითხავს, რომ სასჯელი აუცილებელია შვილისთვისო. მე კი მაინც ვთვლი, ეს მშობლის სისუსტეა. პატარა ლეკვი მყავდა შინ. წავიკითხე ლიტერატურა, რომელშიც ლეკვის მოვლაზე ეწერა ყველაფერი და ასეთი ფრაზები ვიპოვე: ლეკვმა თუ შეგიჭამათ ფეხსაცმელი, არ დატუქსოთ, ეს თქვენი ბრალია, რომ ფეხსაცმელი ცუდ ადგილას დადეთო. ბავშვიც ასე არ არის? ჩემს შვილიშვილს მოსწონს ქოთნის ყვავილები, შინ ბევრი გვაქვს და იწევს ხოლმე დასაწიწკნად. უნდა ვასწავლოთ: ეს არ შეიძლება! მაგრამ ის მაინც მიდის ყვავილებთან. რა ქნას, აინტერესებს, მისი ბრალი ხომ არ არის?

*დიდხანს ვსაუბრობდით, უფრო და უფრო მემატებოდა ქალბატონი მაკას ხიბლის შეგრძნება. ხუმრობა ხომ არ არის, იყო საქმიანი ქალბატონი, ხელოვანი, დედა, ბებია და არ კარგავდე უმთავრესს — ზღაპარს საკუთარ თავში.*



# ზურაბ ნიჟარაძე: ბაფთის წინააღმდეგი არ ვარ, ოღონდ, ეს არ არის ხელოვნება

დღეს ყველა ცივილიზებულმა ადამიანმა იცის, ვინ არის პიკასო და ალბათ ძნელი წარმოსადგენიც კი არის, რომ იყო დრო, როცა ეს დიდი მხატვარი საბჭოური ცნობიერებისათვის მიუღებელი იყო და მისი სახელი – მრავალთათვის დაფარული... სწორედ მაშინ, მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში, სადაც ზურაბ ნიჟარაძის დედა მუშაობდა, ახალგაზრდა მხატვრისათვის ხელმისაწვდომი გახდა ლიტერატურა პიკასოზე და გაჩნდა რაღაც ლტოლვა, რომელმაც მოგვიანებით მის შემოქმედებაში პოვა ასახვა. სამხატვრო აკადემიის პედაგოგმა, ევგენი შერპილოვმა გამოფენა მოაწყო, გამოიფინა ზურაბ ნიჟარაძის ნახატებიც. როცა დაათვალიერეს, მხატვარ კოკი მახარაძეს ქართველი მხატვრისათვის დიდი ესპანელის – პიკასოს სახელი შეურქმევია. გოგი ოჩიაურს დაუმატებია, – პიკასო ძალიან სერიოზულია, შენ პიკო უფრო შეგეფერებაო. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ზურაბ ნიჟარაძე ყველასაგან გამორჩეული, საინტერესო და თვითმყოფადი მხატვარი გახდა. ახლო მეგობრები კი მას სიყვარულით ისევ „პიკოს" ეძახიან.

ვაკეში, თავის სახელოსნოში, ყოველდღე 8 საათი, ხან კი 13-14 საათი არ შორდება პალიტრასა და ტილოს. აქ იქმნება არაჩვეულებრივი ნამუშევრები, რომელთა შეძენაზე არც ერთი სერიოზული კოლექციონერი, მუზეუმი თუ გალერეა არ იტყვის უარს.

— ბავშვობაში, როგორც ყველა პატარა, მეც ისე ვხატავდი. უბრალოდ, მერე სხვებს თუ სხვა ინტერესები უჩნდებათ, ჩემი ინტერესი ისევ ხატვას დაუკავშირდა.

**— საინტერესო, დიდი ტრადიციების მქონე გვარების შთამომავალი ბრძანდებით, მამა — ნიჟარაძე, დედა — თარხან-მოურავი...**

— მამის მხრიდან ბაბუა სამხედრო პირი იყო, ერევნის პოლკის უკანასკნელი მეთაური გახლდათ. რევოლუციის დროს დაიღუპა. ბებია — მესხიშვილის ქალი იყო, ლადო ალექსი-მესხიშვილის ნათესავი. დედის მხრიდან ბებიაცა და ბაბუაც თარხან-მოურავები იყვნენ, ერთმანეთის შორეული ნათესავები...

საერთოდ, ჩვენი ნათესავებიდან ბევრი დახვრიტეს. დედაჩემის დეიდაშვილი — გოგი ერისთავი, დეიდაჩემის ქმარი — მანუჩარ ჯანდიერი. ჩემი მშობლები როგორ გადარჩნენ, არ ვიცი. მამა ხომ ტაბახმელაში ებრძოდა მე-11 არმიას. ვფიქრობ, რომ იმდენად არაფრით გამორჩეული სახლი გვქონდა, რატომღაც თვალში არ მოხვდა ხელისუფალთ... მაშინ ხშირად სახლის ხელში ჩაგდების მიზნითაც აპატიმრებდნენ, ხშირად ლამაზი ცოლის ქმრებს უსწორდებოდნენ... ჩვენები გადარჩნენ.

**— ოჯახური რელიკვიები თუ გაქვთ?**

— თარხან-მოურავების მხრიდან. ეს გვარი რამდენჯერმეა დანათესავებული ბაგრატიონებთან. ერთ-ერთ მეფის ასულ პატარძალს მზითევში სამი ვერცხლის სურა მოჰყოლია. ერთი — ფრანგული, ორი — ქართული. როცა პირველად მივაქციე ყურადღება ამ ნივთებს, ერთ-ერთი ძალიან მომეწონა და ვთქვი, ალბათ ფრანგულია-მეთქი. სწორედ ის აღმოჩნდა ქართული. მესიამოვნა.

**— ასეთი ოჯახის შვილი მაშინდელი ხელისუფლების მიმართ პროტესტის გრძნობით გაიზრდებოდით.**

— ყოველთვის ვგრძნობდი, რა იყო საბჭოთა წყობა — აბსურდული, უმსგავსო. მუშურგლეხურ ქვეყანაში შრომა რომ სასაცილო და სამარცხვინო იქნება, რა უნდა იფიქრო?! ვინც შრომობდა — ღატაკი იყო, ვინც იპარავდა — მდიდარი. ამათაც ხელი აიღეს შრომაზე. ეს ინერცია დღესაც გრძელდება. პატიოსნება, საქმის სიყვარული გაბითურებულია. როცა ხალხი არაფერს აკეთებს, არაფერს ქმნის — ბრბოა, მასაა... მაგრამ თქვენ პროტესტის გრძნობაზე მკითხეთ, ყოველთვის მერჩივნა პროტესტის ნაცვლად, შორეული გზებით მომევლო და ჩემი საქმე მეკეთებინა. მინიმალური მოთხოვნები მაქვს,



„ხის დარგვა"

არ ვწუწუნებ. აი, ახლაც, უშუქობას თუ უწყლობას მიჩვეული ვარ, მაინც ვმუშაობ... ოღონდ ეგ არის, ხალხია ცოდო.

**— სამხატვრო აკადემიის რექტორი ბრძანდებოდით, ახლა აკადემიაში აღარც ასწავლით, რატომ? გიჭირდათ სტუდენტებთან ურთიერთობა?**

— სტუდენტი რა წრეშია გაზრდილი, იმას აქვს დიდი მნიშვნელობა. ზოგი, უბრალოდ, უზრდელია... რა უნდა მოსთხოვო. მთავარია მისი დაინტერესება შეძლო, მაგრამ თუ არ გისმენს?.. მოკლედ, მირჩევნია, არ ვიყო აკადემიაში.

**— თუ გაიხსენებთ მათ, ვინც თავის დროზე თქვენი დაინტერესება შეძლეს?**

— აკადემიის მაშინდელი პედაგოგები ყველანი პიროვნებები იყვნენ, განათლებულები, კულტურულები. გამომგონებლობის ნიჭიც ჰქონდათ, ჩვენთან ყოველ ახალ წელს იმართებოდა ე.წ. მასკარადი. უნდა გენახათ, რა ოსტატურად არჩევდნენ თუნდაც კოსტიუმებს. ომის დრო იყო. ხალხს შიოდა. 400 გრამ პურს აძლევდნენ დღეში, მიუხედავად ამისა, სიამოვნებით ვატარებდით დროს... საინტერესო ხალხი მერეც ბევრი შემხვედრია. დღემდე მახსოვს ხევისბერი ბიჭური ბადრიშვილი — ორმეტრიანი, ულამაზესი ვაჟკაცი, ვაჟას ჰგავდა. ლორდივით იქცეოდა, შვილი მოუკლა ელვამ... ჩვენ რომ ფშავში ვიყავით, რაღაც თარიღს აღნიშნავდნენ გარდაცვლილისას. დაესვენებინათ მისეული უშველებელი ნაბადი, იარაღი, პაჭიჭები. ბიჭურის ცოლი ლექსად ტიროდა: ცის ტყვია მოგხვდაო...

**— ლამაზი ოჯახის მამა ბრძანდებით. მეუღლესა და ქალიშვილს ფილმებშიც იღებდნენ...**

— ყველა კარგი სურათი იყო.

**— ქალიშვილები თქვენს პროფესიას გაჰყვნენ, არა?**

— ორივემ აკადემია დაამთავრა, უფროსი მხატვარია. უმცროსმა ფოტოხელოვნება აირჩია. პერსონალური გამოფენებიც ჰქონდა. მერჩივნა მხატვარი გამოსულიყო, მაგრამ...

**— საქართველო ბევრად ჩამორჩება ევროპის ქვეყნებს ცხოვრების დონით, მაგრამ მართლაც სასიამოვნოა, რომ კულტურა, ფერწერა, თეატრი, მუსიკა — მაინც მაღალი დონისა გვაქვს.**

— რაც შეეხება მხატვრობას, კლასიკური და რეალისტური მართლაც მაღალი დონისა გვაქვს. უცხოეთში ეს ტრადიცია საერთოდ მოშლილია. მათ მიმდინარეობები აქვთ, რომლებსაც არაფერი საერთო აღარა აქვს ხელოვნებასთან... ერთმა მხატვარმა ახადა ჭერი თავის სახელოსნოს. ჩამოდიოდა წვიმა. ბომონდი ათასობით დოლარს იხდიდა ამის სანახავად; მეორემ — უშველებელი ტრანშეები გაათხრევინა, ჩაასხა შიგ წითელი საღებავები — წითელი მდინარეაო... ამას თან ახლდა რეკლამა... იქვე გაიმართა ვაჭრობა, ალბათ მომგებიანიც. ერთმა კიდევ ნოტრდამს უშველებელი ბაფთა მოახვია. გარკვეულწილად, ეს კრიზისია...

**— კარგია, რომ ჩვენთან არ აბამენ ბაფთას ოპერის თეატრს...**

— მე ბაფთის წინააღმდეგი კი არ ვარ... გაუკეთონ, რა! დამღუპველია, თუ ამგვარი ჩანაცვლება მოხდება და იტყვიან, რომ ეს არის ხელოვნება.

**P.S.** *საქართველო ისეთ ხელოვანთა სამშობლოა და იმდენი უცხოელი ხელოვანის აღმაფრენა, რომ შენობებზე შებმული ბაფთები აქ ხელოვნებად არასოდეს გამოცხადდება... ალბათ არასოდეს...*

*ამისი იმედი უნდა გვქონდეს.*

***გვერდი მოამზადა ლელა ჯიყაშვილმა***

DURA LEX SED LEX

სასამართლო უწყებანი

ყოველთვიური ჩანართი N27 29.09.2003

# განჩინებაც სასამართლოს ნებაა



ნონა ახალკაცი

გამოძიების მიერ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა, როგორც წესი, სასამართლოს მსჯელობის საგანი ხდება. მოსამართლე ვალდებულია, გამოძიების პროცესში მომხდარ დარღვევებზე განაჩენთან ერთად კერძო განჩინებაც გამოიტანოს და შესაბამის უწყებებს რეაგირება ერთი თვის ვადაში მოსთხოვოს. თუ არსებულ პრაქტიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პოლიციელები, გამომძიებლები და პროკურორები დისციპლინური წესით დასჯილან ან თანამდებობა დაუტოვებიათ, ზოგ შემთხვევაში კი სამართალდამცავი უწყებები სასამართლოს პასუხად ზოგად ფრაზებს სწერენ და ირწმუნებიან, რომ შესაბამის ღონისძიებებს გაატარებენ. გთავაზობთ ბოლო პერიოდში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიერ გამოტანილ კერძო განჩინებებს, მასში მითითებულ დარღვევებს და შესაბამის უწყებათა პასუხებს.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ თამაზ ნიგურიანი დამამძიმებელ გარემოებებში გიორგი ხ-ის მკვლელობისთვის გაასამართლა. განაჩენთან ერთად მოსამართლემ აუცილებლად ჩათვალა ამ საქმეზე კერძო განჩინების დადგენა, ვინაიდან მესტიის რაიონის პროკურატურამ (პროკურორი გ. გურჩიანი) გააჭიანურა საქმის გამოძიება, მაშინ როცა საქმე თავისი სირთულით არ გამოირჩეოდა და დროის ასეთ ხანგრძლივობას არ საჭიროებდა. მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეს პროკურატურა სამი წლის განმავლობაში იძიებდა. ამასთანავე, არასრულყოფილი გამოძიების გამო სასამართლომ საქმე დამატებით ძიებაში სამჯერ დააბრუნა. სასამართლო კოლეგია რეაგირებას ითხოვდა, რათა მსგავსი დარღვევები მომავალში არ გამეორებულიყო. სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორი უზენაეს სასამართლოს პასუხად სწერს, რომ ხსენებულ საქმეზე გენერალური პროკურატურის კოლეგიამ იმსჯელა და გენპროკურორის ბრძანებით, მესტიის რაიონის პროკურორ გურჩიანს და საქმის მწარმოებელ სხვა პირებს სასტიკი საყვედური გამოეცხადათ. საოლქო პროკურორი ამავე წერილში მიუთითებს, რომ მესტიის რაიონის პროკურატურის მიერ დაშვებულ დარღვევებზე ჯერ კიდევ სასამართლოს კერძო განჩინებამდე იყო რეაგირება და მისი ხელახლა განხილვა საოლქო პროკურატურაში აღარ მომხდარა.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციელების მიერ საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისთვის რეაგირება მოსთხოვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანია-ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა: სოსო აგინიანმა, თორნიკე შვანგირაძემ, კონსტანტინე ყურაშვილმა, გიორგი ანთაძემ, რევაზ ნადარეიშვილმა და გელა გაფრინდაშვილმა გიორგი გ-ძე დააკავეს და სამინისტროში წარადგინეს. აგინიანის მიერ შედგენილი ოქმის მიხედვით დაკავებულს პირადი ჩხრეკა ჩაუტარდა, რა დროსაც პოლიციელებმა მისგან პისტოლეტი ამოიღეს. ოქმში მითითებულია, რომ ამოღებული იყო „პარაბელუმის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი „პ 38“ რაიმე მარკირებისა და წარწერის გარეშე, ერთი მჭიდითა და 4 საბრძოლო ვაზნით. ამოღებული იარაღი ცელოფანის პაკეტში მოთავსდა და ბეჭდით დაილუქა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკის მთავარი სამმართველოს დასკვნაში კი მითითებულია, რომ გამოსაკვლევად წარმოდგენილ იქნა გერმანული წარმოების 1938 წლის ნიმუშის 9 მმ ყალიბის „ვალტერის“ სისტემის პისტოლეტი „პ 38“ № 4841 და არა „პარაბელუმის“ სისტემის პისტოლეტი რაიმე მარკირებისა და წარწერის გარეშე. მოსამართლეს ეს განსხვავება არ გამოჰპარვია და კერძო განჩინებაში მიუთითა: ჩხრეკის ოქმსა და ექსპერტიზის დასკვნაში არსებულმა ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემებმა გამოიწვია ის, რომ გ-ეს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენის, შენახვისა და ტარების ბრალდება სასამართლოში პროკურორთა ინიციატივით მოეხსნა. მოსამართლემ მიიჩნია, რომ ჩხრეკისას შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანია-ნარკობიზნესის ბიუროს თანამშრომლებმა დაარღვიეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, კერძოდ: მუხლი 323 „ამოღებისა და ჩხრეკის წესი“, მუხლი 325 „პირადი ჩხრეკა და ამოღება“ და მუხლი 326 „ამოღებისა და ჩხრეკის ოქმი“, ამ დარღვევებზე რეაგირებისთვის უზენაესმა სასამართლომ კერძო განჩინება შინაგან საქმეთა მინისტრს გაუგზავნა. სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსი გოჩა სისაური სასამართლოს პასუხად სწერს, რომ ბიურომ ოპერატიულ თათბირზე უზენაესი სასამართლოს კერძო განჩინებაში მოყვანილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევების ფაქტი განიხილა.

დასასრული მე-18 გვერდზე

ლელა მაისურაძე

**ადვოკატებს საგამოცდო ციებ-ცხელება ეწყებათ: 5 ნოემბერს პირველი ტესტირება ჩატარდება. რა მოეთხოვებათ ადვოკატებს, რა შეიცვლება ადვოკატთა სისტემაში, ვის ექნება საადვოკატო საქმიანობის უფლება და რა ბედი ელით სახაზინო ადვოკატებს?**

## როგორ ჩატარდება ადვოკატთა ტესტირება

ახალი კანონი ადვოკატთა შესახებ პარლამენტმა 2001 წლის 20 ივნისს მიიღო, რომლის მიხედვითაც ტესტირებაჩაუბარებელ ადვოკატებს 2003 წლის 1 ივნისიდან ადვოკატად მუშაობის უფლება აღარ ექნებოდათ. წელს, 2 ივნისს კანონში შესული ცვლილებით ვადა 2006 წლის 1 ივნისამდე გადაიწია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ე.წ. გარდამავალ პერიოდში, ანუ 2005 წლის

# რას მოსთხოვენ და რა მოეთხოვებათ ადვოკატებს?



1 იანვრამდე ტესტირებაც უნდა ჩატარდეს და ადვოკატთა ერთიანი ასოციაციაც უნდა შეიქმნას. მის ჩამოყალიბებამდე ტესტირებას იუსტიციის საბჭო ჩაატარებს. ადვოკატობის მსურველებს ტესტირების ჩაბარება, გარდამავალ ეტაპზე, სამჯერ შეეძლებათ, ანუ თუ პირველ ცდაზე გამსვლელ ქულებს ვერ დააგროვებენ, მეორე და მესამე ცდის უფლებაც ექნებათ. ტესტირების ჩაბარება შეგიძლიათ, თუ ქმედითუნარიანი მოქალაქე ბრძანდებით, გაქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება, სახელმწიფო ენას ფლობთ და, რაც მთავარია, ადვოკატობის სურვილი გაქვთ.

**რატომ გადაწყვიტა სახელმწიფომ თავისუფალი პროფესიის პირებს – ადვოკატებს საკვალიფიკაციო გამოცდები ჩაუტაროს? ამ საკითხზე იუსტიციის საბჭოს წევრი ოთარ გოგოძე გვესაუბრება, რომელიც სწორედ ადვოკატთა ტესტირებაზე და ამ სისტემის ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე მუშაობს:**

– ადვოკატის კვალიფიციურობის საკითხი, მისი პროფესიული ეთიკა და კლიენტთან დამოკიდებულება ადამიანის უფლებების დაცვის და მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების რანგში უნდა განვიხილოთ. ნებისმიერი მოქალაქე უნდა იყოს დაზღვეული, რომ ადვოკატი, რომელსაც იგი აიყვანს, ელემენტარულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ამიტომაც სახელმწიფომ ტესტირება სავალდებულოდ მიიჩნია. დღეისთვის ადვოკატთა ტესტები, პასუხებითურთ იუსტიციის საბჭოსა და პარლამენტის ვებ-გვერდებზე განთავსდა და „საკანონმდებლო მაცნეში“ დაიბეჭდა. ტესტირება არის საერთო ან სპეციალიზაციის მიხედვით, ანუ სამოქალაქო და სისხლის სამართლის დარგების მიხედვით.

დასასრული მე-18 გვერდზე

# განჩინებაც სასამართლოს ნებაა

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

„ეროვნული ბიუროს პირადი შემადგენლობის ყურადღება მიექცა იმას, რომ შემდგომში მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შეუსრულებლობა", ამ ფრაზის მიუხედავად იარაღის ამოღება-ჩხრეკის პროცედურები დღესდღეობითაც თითქმის ყველა შემთხვევაში დარღვევით მიმდინარეობს. შსს-ს იმავე წერილით ირკვევა, რომ უზენაესი სასამართლოს კერძო განჩინებაში დასახელებული პირები: შვანგირაძე, ანთაძე და ნადარეიშვილი ეროვნულ ბიუროში აღარ მუშაობენ, „ყურაშვილს, აგინიანსა და გაფრინდაშვილს კი მკაცრად მიეთითათ, რათა მათი მხრიდან შემდგომში მსგავსი დარღვევები გამოირიცხოს."

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ადრე მკვლელობებისთვის ნასამართლევ გივი ნ-ს მსჯავრი დასდო იმაში, რომ მან ანანურში, თანასოფლელ გიორგი ბ-ს ბინა ჯერ გაქურდა, შემდეგ კი გადაწვა. ორი წლის შემდეგ გივი ნ-მა ასაკოვანი ბაბულია მაჭავარიანი მოკლა, მორიგი ქურდობის შემდეგ მან ხანში შესული იაკობ კ-ი გამოასალმა სიცოცხლეს, ამ მკვლელობის მეორე დღეს კი თანასოფლელი მამა-შვილის ნიკოლოზ და თამარ თ-ის მკვლელობა სცადა და მეზობელს სცემა. ამ დანაშაულთა რიცხვს ნარკოტიკების დამზადება-შენახვის ბრალდებაც დაემატა. სასამართლომ საქმის განხილვისას დაადგინა, რომ დუშეთის პოლიციამ ანანურელი გიორგი ბ-ს სახლში ხანძრის გაჩენის ფაქტზე სისხლის სამართ-ლის საქმის აღძვრაზე უარი თქვა და ჩათვა-ლა, რომ ხანძარი გამოურთავად დარჩენილი ელექტროღუმელის მიზეზით მოხდა. თუმცა, თვით დაზარალებულის განმარტებით, სახლში მათ ღუმელი ჩართული არ დაუტოვებიათ, მეტიც, ხანძრის გაჩენის მომენტში სოფელს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ შემთხვევის ადგილი სახანძრო რაზმის უფროსმა ზერელედ დაათვალიერა და ხანძრის მიზეზად „მომხმარებლის მიერ მაღალი სიმძლავრის ელექტროენერგიის გამოყენება" სრულიად უსაფუძვლოდ დაასკვნა, ხოლო შსს-ს ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მიერ გაცემული დასკვნის მიხედვით, ხანძარი მაღალი სიმძლავრის ელექტრომოხმარების შედეგად მოხდა. კერძო განჩინების მიხედვით: „შემთხვევის ადგილის არასათანადო შესწავლამ და ხანძრის წარმოშობის მიზეზის გამოვლენის მიმართ არაკომპეტენტურმა დამოკიდებულებამ შესაძლებელი გახადა მომხდარის მიმართ ნაჩქარევი და არასწორი გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, არ იქნა ზომები მიღებული იმის გასარკვევად, თუ ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული და გივი ნ-ს მხრიდან შესაძლებელი გახდა ამ დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილება. ამასთან, საქმის ვითარებათა სრულყოფილი გამოკვლევისადმი არასათანადო მიდგომამ გამოიწვია გივი ნ-ს მიერ სხვა, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ჩადენა. ასევე, სათანადო შემოწმების გარეშე ეთქვა უარი სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე ბაბულია მ-ს დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით." მსგავსი და სხვაგვარი ფაქტების მოკვლევის პროცესში დაშვებული კანონდარღვევების აღმოფხვრისა და მათზე სათანადო რეაგირების მიზნით უზენაესმა სასამართლომ კერძო განჩინება დუშეთის რაიონის პროკურორს გადაუგზავნა. პასუხად კი სასამართლომ დუშეთის პროკურატურიდან ზოგადი ფრაზებით, სიტყვათა ბრახაბრუხითა და ფორმალობებით სავსე წერილი მიიღო, რაც იმის ნიმუშია, როგორ არ უნდა იწერებოდეს მსგავსი წერილები (სტილი დაცულია): „კერძო განჩინება გივი ნ-ის ბრალდების საქმეზე ჩვენ მიერ განხილულ იქნა დუშეთის პროკურატურისა და შს რაიონული განყოფილების მუშაკთა გაფართოებულ ოპერატიულ თათბირზე, მწვავე შეფასება მიეცა ბ-ის საცხოვრებელი ბინის დაწვის გამო მასალების ზერელე, უპასუხისმგებლო შემოწმებისა და კანონსაწინააღმდეგო, დაუსაბუთებელი სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილების გამოტანის ფაქტს. ამასთან ერთად, აღინიშნა მასალების შემოწმებაზე სუსტი საპროკურორო ზედამხედველობა. ასევე განხილულ იქნა ბაბულია მ-ის დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით ჩატარებული შემოწმებისას დაშვებული დარღვევები. კერძო განჩინებაში მითითებულ დარღვევათა დაშვებისთვის ცალკეული დარღვევის დამშვებ პირთა მიმართ გატარდა შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები, დაისახა საჭირო გზები მსგავს დარღვევათა მომავალში თავიდან აცილების მიზნით." დუშეთის პროკურორი ქარქაშაძე ამ საპასუხო წერილში არ მიუთითებს, კონკრეტულად რა „რეაგირების ღონისძიებები" გატარდა და რა „გზები დაისახა". ასე რომ, უცნობია, ამ დარღვევებისთვის, რასაც შემდგომ საკმაოდ სერიოზული დანაშაულობანი მოჰყვა, ვინ და როგორ დაისაჯა, ან დაისაჯა თუ არა საერთოდ?

**გთავაზობთ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, შოთა ასათიანის პოზიციას ამ საკითხებთან დაკავშირებით:**

– სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა ყველა პირისთვის თანამ-დებობის მიუხედავად. კერძო განჩინება ის შემთხვევაა, როცა კანონის დარღვევის გამო სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვევებს აქვს ადგილი და რეაგირებისთვის გაუგზავნა ამა თუ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელიც კანონის თანახმად ვალდებულია, მიღებიდან (და არა გამო-ტანიდან) ერთი თვის ვადაში განიხილოს. ძირითადად, ეს არის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები, დოკუმენტის არასწორად შედგენა, რასაც დაცვის მხარე ბრწყინვალედ იყენებს, სასა-მართლო კი დაუშვებელ მტკიცებულებად იღებს და სწორედ ამიტომ სასამართლო ახ-დენს რეაგირებას იმ თანამშრომლის, გა-მომძიებლის თუ მომკვლევის მიმართ, რომე-ლიც არღვევს საპროცესო კანონმდებლობას.

**– მოსამართლეთა თქმით, მათ მიერ გამოტანილ კერძო განჩინებებზე რეაგირება უმეტეს შემთხვევაში ჭიანურდება ან საერთოდ არ ხდება.**

– მხოლოდ იმ შემთხვევაში ჭიანურდება, თუკი ის პიროვნება, რომლის შესახებაც უნდა იმსჯელოს ხელმძღვანელმა, შესაძლოა, მივლინებით იყოს გაგზავნილი, თორემ მიზნად გაჭიანურებას ნამდვილად არ ისახავს, სასამართლოს ევალება შეხსენება და შემდეგ კი გატარებული ზომების შესახებ პასუხის მიღება.

**– რამდენად არის საკმარისი კანონით მითითებული ერთთვიანი ვადა პირის მიერ დაშვებული დარღვევის შესასწავლად და რეაგირებისთვის? მოსამართლეები ითხოვენ, რომ ეს ვადა სამ თვემდე გაიზარდოს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ვადის მსგავსად.**

– საკითხის შესასწავლად, რეაგირების მოსახდენად და უწყების ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად, ვფიქრობ, შესაძლოა, ეს ვადა გაიზარდოს. სამთვიანი არა, მაგრამ ორთვიანი ვადა შესაძლებელია იყოს, რათა არც შემოწმების პროცესი გაჭიანურდეს და არც ნაჩქარევი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული.

✓ სამართლებრივი რეფორმა

✓ „ავაშენოთ ჩვენი სკოლა"

✓ აქტუალური საზოგადოებრივი მოვლენები

ჩვენს ფორუმში

WWW.ALPE.GE

სასამართლო ხელისუფლებაში კორუფციული დარღვევების ფაქტების შეტყობინებისათვის;
მოსამართლეებზე სახელმწიფო მოხელეთა, პოლიტიკური პარტიების ან საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლების მხრიდან ზეწოლის ან რაიმე სახით ზემოქმედების ფაქტების გამოსავლენად საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციაში ამოქმედდა

ცხელი ხაზი

25-25-53

დაგვიკავშირდით 12 საათიდან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

# რას მოსთხოვენ და რა მოეთხოვებათ ადვოკატებს?

დასასრული. დასაწყისი მე-18 გვერდზე

ერთ-ერთი დარგის (სპეციალიზაციის) ამორჩევის შემთხვევაში მსურველს 3000-მდე ტესტის „გავლა" მოუწევს. ტესტების საერთო რაოდენობა 5000-ია. საგნებიც შესაბამისად არის შერჩეული: საერთო ლიცენზიის მსურველთ ტესტირების გავლა უხდებათ საკონსტიტუციო სამართლის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლისა და პროცესუალური სამართლის დარგებში.

გამოცდამდე ათი დღით ადრე საკვალიფიკაციო კომისია შეიქმნება, რომლის რვა წევრი სამართლის სხვადასხვა დარგის სპეციალისტი იქნება, დანარჩენ რვა წევრს კი საქართველოს ადვოკატთა და იურისტთა სხვა გაერთიანებებიდან მოიწვევენ.

საგულისხმოა, რომ ადვოკატობის მსურველი არც ერთი პირი ტესტირებიდან არავითარი მოტივით არ გათავისუფლდება.

### რა მოხდება ტესტირებების შემდეგ

სამივე ტესტირების შემდეგ იუსტიციის საბჭო ტესტირებაგავლილი პირების ერთიან სიის შემადგენლობიდან მოიწვევს პირველ საერთო კრებას. სწორედ ამ დროს უნდა ჩამოყალიბდეს ადვოკატთა ერთიანი ასოციაცია, რომელსაც იუსტიციის საბჭო შემდგომი ტესტირების ჩატარების უფლებამოსილებას გადააბარებს. ასოციაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შეიქმნება, თუმცა, იგი სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებული არ იქნება; ეს იქნება დამოუკიდებელი, კორპორაციული მართვის სტრუქტურა და თავად ადოკატები შეძლებენ თავიანთი სისტემის მართვას. ასოციაციის შექმნას ერთი მნიშვნელოვანი პლუსიც ექნება – დღესდღეობით ვერავინ გეტყვით, საქართველოში რამდენი ადვოკატი მუშაობს. აღრიცხვის სისტემა მოშლილია. გარდა ამისა, ადვოკატები ერთიანად შეძლებენ საქმიანობის სტრატეგიული პრინციპების დამკვიდრებას თავიანთი კორპორაციის მმართველობაში.

ორგანიზაციული ფუნქციების შესასრულებლად ადვოკატთა ერთიან ასოციაციაში აღმასრულებელი საბჭო, ეთიკისა და სარევიზიო კომისიები შეიქმნება. ასოციაციის უმაღლესი ორგანო საერთო კრებაა, რომლის კომპეტენციაც კანონით არის განსაზღვრული. მაგალითად, გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდგომ ტესტირებებს თავად ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ჩაატარებს, საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად. ასოციაციის ეს სტრუქტურული ორგანოები საერთო კრებაზე ყველა ადვოკატის მიმართ იქნება ანგარიშვალდებული.

იუსტიციის საბჭოს წევრი ოთარ გოგოძე მიიჩნევს, რომ დღესდღეობით იუსტიციის საბჭოს ძირითადი ამოცანა ტესტირების გამჭვირვალედ ჩატარებაა. მისივე თქმით, სწორედ ეს იქნება ნდობისა და პრესტიჟის განმსაზღვრელი, რაც თავის მხრივ საშუალებას მისცემს ასოციაციის სწორად დაფუძნებას, რადგან დამფუძნებლები იქნებიან ის ადვოკატები, რომლებიც ტესტირებას უახლოეს წელიწად-ნახევარში გაივლიან.

### რა ბედი ელით სახაზინო ადვოკატებს

მოქალაქეებს, რომლებსაც საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების საშუალება არ ექნებათ, ამ ხარჯებს კვლავ სახელმწიფო გადაუხდის. ადვოკატთა ერთიანი ასოციაციის შექმნის შემდეგ სახელმწიფომ ის საბიუჯეტო თანხები, რომლებიც დღეს სწორედ სახაზინო ადვოკატების ანაზღაურებაზეა გათვლილი, მიზნობრივად ადვოკატთა ასოციაციისკენ უნდა მიმართოს. ადვოკატთა მიერ საწევრო გადასახადის ოდენობასა და შეტანის წესს დაადგენს ადვოკატთა საერთო კრება, როგორც ასოციაციის უმაღლესი ორგანო.

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები" მოიზიდავს, მოამზადებს და საარჩევნო უბნებზე დამკვირვებლებად მიავლენს საქართველოს 3000 მოქალაქეს. „სამართლიანმა არჩევნებმა" უკვე განაცხადა, რომ იგი განახორციელებს ხმებისა და ამომრჩეველთა მონაწილეობის პარალელურ დათვლას. საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა შექმნა უკეთესი პირობები, რომ "სამართლიანმა არჩევნებმა" ხმებისა და ამომრჩეველთა მონაწილეობის პარალელური დათვლა განახორციელოს.

## ცოტა რამ „სამართლიანი არჩევნების" შესახებ

„სამართლიანი არჩევნები" დამოუკიდებელი, არაპარტიული, მიუკერძოებელი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წლის სექტემბერში დაარსდა.

„სამართლიანი არჩევნები" არჩევნებზე დამკვირვებელი პირველი ქართული ორგანიზაციაა, რომლის ქსელი მთელ საქართველოს მოიცავს და რომელმაც თავისი მოღვაწეობის პერიოდში ჩაატარა 1995 და 1999 წლების საპარლამენტო, 1995 და 2000 წლების საპრეზიდენტო, 1998 და 2002 წლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების, ასევე 1996 წელს ჩატარებული პლებისციტის მონიტორინგი.




# „სამართლიანი არჩევნები" - სამართლიანი არჩევნებისთვის!

## რისთვის არის საჭირო არჩევნებზე დაკვირვება?

ყველა მოქალაქე აქტიურად არ მონაწილეობს პოლიტიკაში, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკის განვითარება და პოლიტიკოსების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას ეხება. პოლიტიკაში იმდენად მაინც უნდა ჩავერთოთ, რომ ვიცოდეთ — ვინ იღებს ჩვენ შესახებ საკვანძო გადაწყვეტილებებს.

პოლიტიკა არჩევნებით იწყება და პოლიტიკური პროცესის დასაწყისი დიდწილად განსაზღვრავს ქვეყანაში პოლიტიკის წარმართვას. საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობა და კანონის ნორმებთან შესაბამისობა იმის წინაპირობაა, რომ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, ანგარიშვალდებული ხელისუფლება გვყავდეს.

მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი დამკვირვებლების ყოფნა საარჩევნო უბნებზე, მათი გათვითცნობიერებულობა საარჩევნო პროცედურებში ხელს უწყობს საარჩევნო კანონმდებლობის და წესების დარღვევის შესაძლებლობის თავიდან აცილებას. გარდა ამისა, შეგროვებული ინფორმაცია გვეხმარება, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას მივაწოდოთ საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ზუსტი და უტყუარი ინფორმაცია.

## დავაკვირდით არჩევნებს. რას ვცვლით ამით?

„სამართლიანი არჩევნები" საქართველოში წლების განმავლობაში აკვირდებოდა არჩევნებს და არსებული მდგომარეობის ობიექტურად ასახვას სამომავლო პოზიტიური შედეგები ყოველთვის ჰქონდა. სადამკვირვებლო ანგარიშებიდან ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოება იღებდა ნამდვილ ინფორმაციას საარჩევნო პროცესში არსებული პრობლემების შესახებ და შედეგად მიმდინარეობდა კანონმდებლობის დახვეწა და მუშაობა ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. დაკვირვების აუცილებლობის არსი სიმართლის დაფიქსირებასა და დანახვაშია, რომელზეც რეაგირება მთელმა საზოგადოებამ უნდა მოახდინოს.

## რატომ არის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანი?

„სამართლიან არჩევნებს" გაცნობიერებული აქვს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობა და მზადაა მონიტორინგის შედეგად მიღებული რეალური ინფორმაცია აცნობოს მთელ საზოგადოებას, დაიცვას სამართლიანობა და თითოეულ საარჩევნო პროცედურულ დარღვევაზე მიმართოს სასამართლოს. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარება თავიდან აგვაცილებს: დესტაბილიზაციას, შიდაპოლიტიკური სიტუაციის დაძაბვას, საერთაშორისო საზოგადოებისგან განცალკევებას, არალეგიტიმურ, უმოქმედო პარლამენტს, რაც ქვეყანას აძლევს სერიოზულ შანსს მომავალი განვითარებისთვის.

## ხმებისა და ამომრჩეველთა მონაწილეობის პარალელური დათვლა

საქართველოში ადრე ჩატარებული არჩევნები გამოირჩეოდა მრავალი დარღვევით, რაც ზეგავლენას ახდენდა ამომრჩეველთა რაოდენობის მაჩვენებელზეც და არჩევნების შედეგებზეც. საარჩევნო ადმინისტრაციებს არასოდეს გამოუქვეყნებიათ საუბნო შედეგები და უფრო მეტიც, საუბნო ოქმებს ხშირად აყალბებდნენ ზედა დონის საარჩევნო კომისიებში.

„სამართლიანი არჩევნების" სადამკვირვებლო მისია კონცენტრირებული იქნება ყველა საუბნო და საოლქო საარჩევნო მონაცემთა მინიმალურ დროში შეგროვებაზე, მონაცემთა კომპიუტერულ დამუშავებასა და საბოლოოდ ამ მონაცემთა საზოგადოებაში გავრცელებაზე. გაყალბებული შედეგების გამოცხადების თავიდან ასაცილებლად „სამართლიანი არჩევნები" მიღებული ხმების პარალელურ დათვლას ჩაატარებს და ხმის დათვლის დამთავრებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში შედეგები დაუყოვნებლივ ეცნობება საზოგადოებას. ხმების პარალელურად დათვლის მიზანია საზოგადოების ინფორმირება არჩევნების ნამდვილი შედეგების შესახებ, სწორედ ამიტომ ხმების პარალელური დათვლის შედეგები გამოცხადდება იმისდა მიუხედავად, თუ ვინ გაიმარჯვებს.

## რატომ უერთდებიან ადამიანები „სამართლიანი არჩევნების" კამპანიას?

„სამართლიან არჩევნებს" უკვე ბევრი ადამიანი შეუერთდა. ჩვენთან ზოგიერთი საკუთარი და ყველა ამომრჩევლის საარჩევნო უფლების დაცვის სურვილით მოდის; ზოგს საკუთარი მოქალაქეობრივი მნიშვნელობის შეგრძნება და პასუხისმგებლობის განცდა აქვს; ზოგიერთი აცხადებს, რომ პოლიტიკური და საზოგადოებრივი პრობლემები აინტერესებს; ბევრს ანგარიშგებადი ხელისუფლების არჩევის სურვილი ამოძრავებს, ბევრსაც – ახალი გამოცდილების მიღების ანდა ახალ ადამიანებთან ურთიერთობის ინტერესი. რაც მთავარია, ყველა მათგანი ენდობა „სამართლიან არჩევნებს", როგორც კანონისდამცველ, მიუკერძოებელ და ობიექტურ ორგანიზაციას.

„სამართლიანი არჩევნების" ტიპის ორგანიზაციების საქმიანობა დიდ წილად განპირობებულია მოქალაქეთა აქტიურობით. იოლი არ არის, შენი საქმიანობით დააინტერესო, მობილიზება გაუკეთო და კამპანიაში ჩართო ათასობით მოქალაქე, მაგრამ მათ გარეშე კამპანიის წარმოება შეუძლებელია. „სამართლიანი არჩევნები" თითოეულ მოხალისეს ჩაუტარებს ტრენინგს საარჩევნო კანონმდებლობაში და უზრუნველყოფს ყველა საჭირო ინფორმაციით, რაც დამკვირვებელს თავისი სამოქალაქო ფუნქციის განსახორციელებლად სჭირდება.

## სტრუქტურა

„სამართლიანი არჩევნების" ქსელი ფარავს მთელ საქართველოს. ეს ქსელი იყოფა აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოს და თბილისის ცენტრებად. თავის მხრივ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო იყოფა რეგიონულ ცენტრებად, სადაც განთავსებულია „სამართლიანი არჩევნების" 10 რეგიონული ოფისი. „სამართლიან არჩევნებს" აქვს 62 რაიონული ოფისი, რომელთაც ხელმძღვანელობენ რაიონული კოორდინატორები. რაიონული ოფისები ახორციელებენ ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა საქმიანობას თავიანთ რაიონში და პასუხისმგებელნი არიან მოხალისეთა მოზიდვასა და დამკვირვებელთა მომზადებაზე.

## საკონტაქტო ინფორმაცია:

### ცენტრალური და აღმოსავლეთ საქართველოს ოფისი:

თბილისი, ალექსანდრე ჭავჭავაძის №11,
(ამავალი ქუჩა ოპერის თეატრის პირდაპირ)
ტელეფონები: 95 45 59; 96 72 89
ფაქსი: 98 83 43
ელ. ფოსტა: archevnebi@fairelections.ge
ვებ-გვერდი: www.fairelections.ge

### დასავლეთ საქართველოს ოფისი:

ქუთაისი, გ. ჯიბლაძის №16
ტელეფონი/ფაქსი: 43 9 43

### რეგიონული ოფისები:

**თბილისი**
ალ. ჭავჭავაძის ქუჩა 11
ტელ: 8 (22) 954559, 967289
ფაქსი: 8 (22) 988343

**ქუთაისი**
გიორგი ჯიბლაძის 16
ტელ: 8 (231) 43943, 8 (99) 931578

**გორი**
სტალინის გამზირი 17, ბ. 20
ტელ: 8 (99) 194978

**ზუგდიდი**
რუსთაველის 95/10
ტელ: 8 (93) 353384

**ოზურგეთი**
ჭავჭავაძის 3
ტელ: 8 (93) 357295

**ახალციხე**
რუსთაველის 26
ტელ: 8 (265) 21223

**გურჯაანი**
ნონეშვილის 21
ტელ: 8 (253) 22251

### რაიონული ოფისები:

**საგარეჯო**
მაკა ბარიხაშვილი
899 15 23 54 / 94 17 56
კოსტავას №12

**გურჯაანი**
მაგდა ფომინა
899 90 72 91
თავისუფლების №24

**სიღნაღი**
ლიანა ხატიაშვილი
899 24 69 60 / (255) 3 13 12
ერეკლე II-ის №16

**დედოფლისწყარო**
ნინო ქუსიკაშვილი
899 92 62 93

**ლაგოდეხი**
მაია ბაინდურაშვილი
893 25 12 94 (254) 2 12 28
შრომა, ნაკრძალის №80

**ყვარელი**
ნოდარ ლატიბაშვილი
893 31 24 68
ვაჟას II შეს. №5

**თელავი**
გიორგი ჭონიშვილი
899 93 04 86 / (250) 7 22 70
ბახტრიონის №16

**ახმეტა**
ელგუჯა ბელადიძე
893 37 94 13
სოფ. ქვემო ალვანი

**გარდაბანი**
რამინ ბაირამოვი
893 31 12 71 / (272) 5 25 76
ბარათაშვილის №19

**მარნეული**
ილია გოგოლაძე
893 36 60 47 / (257) 2 15 80
რუსთაველის №7 ბ.39

**ბოლნისი**
აკაკი უგრეხელიძე
893 31 08 20
რუსთაველის №7

**დმანისი**
ავთანდილ ვიბლიანი
899 72 04 52 დედა
ჭუბერის II ჩიხი №10

**თეთრიწყარო**
ზაქარია გიგაური
899 25 79 52

**თიანეთი**
თამარ შუშანაშვილი
(248) 9 12 43 / 893 24 91 93
26 მაისის №11

**მცხეთა**
ლელა ერონდიდი
893 26 61 51 მეგობარი
აღმაშენებლის №101

**დუშეთი**
გიორგი შეკრელიძე
899 21 46 42 / (246) 2 15 36
წერეთლის №4

**ყაზბეგი**
მარინე ჩქარეული
(245) 5 22 42 899 11-33-08
გერგეთის უბანი

**რუსთავი**
მაკა პაქსაშვილი
899 16 19 04 / (24) 17 83 04
თბილისის №21/15

**კასპი**
ნათია სუხაშვილი
(271) 2 29 92
გორგასლის №27

**გორი**
ზურაბ ტიელიძე
899 22 71 35 / (270) 7 81 77
ფარნავაზის №26, ბ 33

**ქარელი**
ეკა ხათაშვილი
899 18 77 42 / (269) 3 21 12
ოძელაშვილის №23

**ახალგორი**
თამაზ ბალაშვილი
(242) 3 20 77 / 63 05 24
ნათესავი
კოსტავას №16

**ახალციხე**
ლევან ნიქაბაძე
899 29 66 48
თამარაშვილის №4

**ადიგენი**
თინათინ მაისურაძე
899 15 11 79
სოფ. უდე

**ახალქალაქი**
არარატ ესოიანი
899 56 91 75
ნალბანდიანის №45

**ნინოწმინდა**
თაქუი ვართანიანი
899 25 29 35
შაუმიანის №34

### 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის „სამართლიანი არჩევნების" კამპანიაზე პასუხისმგებელი პირები არიან:

**ზურაბ ჭიაბერაშვილი** – აღმასრულებელი დირექტორი (899 50 78 97)

**თამარ ჟვანია** – საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი (899 93 15 81)

**ქეთი ცხომელიძე** – საინფორმაციო კოორდინატორი (893 32 13 31)

**ნუგზარ კუპრეიშვილი** – იურიდიული მრჩეველი (899 15 77 39)

**ლაშა ჯუღელი** – ქსელის დირექტორი (899 98 04 20)

მატიანე

სოფო ბუკია



# სტვენა ვინ იცის

ლონდონში ერთი ახირებული პროცესი ატყდა. ერთ თეატრში ორი აქტრისა იყო, და თითოეულს მათგანს თავისი მომხრე და თაყვანისმცემლები გასჩენოდათ, ერთს თავისი პარტია ჰყავდა, მეორეს თავისი. ეს პარტიები ძალიან ემტერებოდნენ თურმე ერთმანეთს და ბოლოს მეგობარი მომღერალი ქალებიც კი წააჩხუბეს ერთიმეორეს. შური და მტრობა თანდათან ძლიერდებოდა. უკანასკნელად ერთმა პარტიამ მოისყიდა თორმეტიოდე კაცი და ყოველ წარმოდგენაზე დასომდა სხვა და სხვა ალაგას თეატრში. გამოვიდოდა თუ არა სცენაზედ მათი საძულველი მომღერალი ქალი, მაშინვე ერთი სტვენა და შეძახილი შეიქმნებოდა. ერთხელ საბრალო აქტრისა ატირებული გაიქცა სცენიდამ, ფარდის უკან გული შეღონებია და თავის მოკვლაც კი განუზრახავს. ამ აქტრისას სპექტაკლებზე ხალხი აღარ დაიარებოდა თურმე, მაინც სტვენაა, ვერაფერს მოვუსმენთო.
ბოლოს დროს მეორე პარტიამ შეიტყო ეს ამბავი და ეხლა მეორე მომღერალსაც იგივე დღე დაადგა. თეატრის ხელმძღვანელობა ჭკუიდან შეიშალა, ამ უსინდისოების გამო ხალხი არ დადის და ზარალს ვნახულობთო.
ბოლოს ერთ-ერთ აქტრისას სასამართლოს მოსამართლესთან დაუწერია საჩივარი: „მე ჩემი ხელობით ლუკმას ველარ ვშოულობ და გთხოვთ დამნაშავეებს აზღვევინოთ ზარალიო“. ახლა თურმე იმ თეატრის შესასვლელში გამომძიებლები დგანან და ამოწმებენ დამსწრეთაგან სტვენა ვინ იცის. როგორც იტყობინებიან, დამნაშავეებს სასტიკი სასჯელი ელით.

**„დროება“, 1874, № 417**



# მიჯნურობა ისეთი რამაა

ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში მსაჯულს ახირებული განჩინება შეუდგენია. მსაჯულთან უჩივლია ერთს კაცს, რომ ამა და ამ ყმაწვილმა საკუთარი სახლიდან გამაგდოო. მსაჯულს მოუსმენია მომჩივან-მოპასუხის ჩვენება და გარდაუწყვეტია: „საქმიდან სჩანს, რომ მოპასუხე მომჩივანის ქალის მიჯნური ყოფილა, მომჩივანს მიჯნურობა დაუშლია ამ ყმაწვილისთვის და უთქვამს, ჩემი შვილი შენზე მეტის ღირსიაო. ამისთვის მოპასუხეს ქალის მამა სახლიდან გაუგდია, რომ თავის მიჯნურს მშვიდად შეხვედროდა. მიჯნურობა ისეთი რამეა, რომ სათაკილოდ არავის არ უნდა მიაჩნდეს, მიჯნურობა უფლებაა, რომელიც არავინ არ უნდა დაარღვიოს. ჩვენი სამშობლოს კანონით არც დედას და არც მამას ნება არა აქვს შევიდეს იმ ოთახში, საცა იმათს ქალის შვილს ყმაწვილი კაცი ემიჯნურება. ამის გამო ვაცხადებ, რომ მოპასუხე მართალია და მომჩივანმა საზღო უნდა გადაიხადოს.“ დამეთანხმე, მკითხველო, ახირებული გადაწყვეტილებაა, არა?

**„დროება“, 1874, № 414**



# ანდერძი პირობით

დიდი ხანი არ არის, რაც პეტერბურგში მომკვდარა ერთი კაცი, რომელსაც ახირებული ანდერძი დაუტოვებია: ანდერძში ნათქვამია თურმე, რომ მთელს თავის ყოფა-ცხოვრებას ვუტოვებ ჩემს ძმის წულს იმ პირობით, რომ რაც ჩემს სარდაფში ღვინოები დარჩენილა ყველა დალიოსო. ამას გარდა ამ ჩემმა მემკვიდრემ ყოველწლივ ხუთასი მანეთი ხარჯოს სამი დაბერებული და დავრდომილი ცხენის სარჩენად, რომელიც განთავისუფლებულ უნდა იყვნენ ყოველივე შრომისაგან. თუ ეს ანდერძი არ შესრულდებოდა, ყოველივე ქონება ამ ბებერი ცხენებისთვის უნდა დაემტკიცებინათ. ანდერძის პირველი ნაწილი ძმის წულს გახარებია, რადგან ცნობილი ლოთი ყოფილა და მის დღეში მთვრალი დაეხეტებოდა თურმე. რომ ჩაუყვანიათ სარდაფში ანდერძის ასასრულებლად სამი უშველებელი კასრი დახვედრიათ ღვინით სავსე. იმ საცოდავ ძმის წულს სამ დღეში დაუცლია სამივე კასრი, ვაითუ, ფული დავკარგოო. მესამე დღეს ძლივს ასულიერებდნენ თურმე პეტერბურღელი ექიმები. მას შემდეგ ამ კაცს ღვინისთვის პირი არ დაუკარებია თურმე. იმ მიხრწნილის სამის ცხენისთვის კი ერთობ მშვენიერი საჯინიბო აუშენებია და ფუფუნებაში აცხოვრებს თურმე.

**„დროება“, 1874, № 440**

**მამუკა ტყეშელაშვილის** ნახატები

ALPE
ჩანართი მომზადებულია
სამართლებრივი განათლების ასოციაციის
მიერ.
მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33
ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596
E-mail: alpeonline@gol.ge www.alpe.ge

# რატომ ვუღალატე?..



მან ჯერ წერილი გამომიგზავნა, მერე დამირეკა. შეხვედრაზე შევთანხმდით, მაგრამ არ მოვიდა. ბოლოს, კვლავ ტელეფონით შემეხმიანა და მომიბოდიშა: ტყუილად გალოდინეთ. ვეღარ გავრისკე პირისპირ ლაპარაკი, არადა დარდი მინდა გაგიზიაროთ. ჩემს დღეში, საუბედუროდ, ბევრი ქალია და ალბათ მათ სათქმელსაც ვიტყვიო.

რა თქმა უნდა, დავთანხმდი სატელეფონო საუბარზე.

— ვიცი, ბევრი გამკიცხავს, მაგრამ თავიდანვე ვთხოვ ყველას, ჩემს „შეჩვენებამდე“ საკუთარ გულში ჩაიხედონ და ისე შეაფასონ ჩემი ცხოვრება. ის ნაბიჯი, რაც რამდენიმე წლის წინ გადავდგი, თავის დროზე ჩემთვისაც ყოვლად მიუღებელი იყო. მეც ვკიცხავდი „უწესო ქალებს“, რომლებიც ქმრებს ღალატობენ, მაგრამ დადგა საბედისწერო წუთი და...

**— როგორ მოგმართოთ?**

— როგორც გინდათ, სახელს რა მნიშვნელობა აქვს, თუ გინდათ, „ბატი ტასიკო“ დამიძახეთ... გათხოვილი რომ არ ვიყო, ასე ძალიან არც შემაწუხებდა სინდისი. ბოლოს და ბოლოს, შინაბერას და ქვრივს, ან ქმარგაცილებულ ქალს ხომ აქვს იმის უფლება, რომ ერთი მეგობარი ჰყავდეს (ან იქნებ არც აქვს, მითხარით!?). მე კი ქმარშვილიანი ვარ. უფროსი მალე 21-ის შესრულდება.

ჯერ 40 წლისაც არ ვარ. ჩვიდმეტის ვიყავი, როცა ჩემმა ქმარმა მომიტაცა. თავიდან არ მიყვარდა, მაგრამ მერე, ისე შემიყვარდა, რომლის მსგავსი წიგნშიც არ წამიკითხავს. როცა შინიდან გადიოდა, საქმეს გულს ვერ ვუდებდი, სულ მის გზას გავყურებდი. ერთი სული მქონდა, როდის შემოაღებდა კარს. მას მალე მობეზრდა „ოჯახობანას“ თამაში, მოუხშირა გარე-გარე სიარულს, მეგობრებში ყოფნას. არც საყვარლები აკლდა. საშინლად განვიცდიდი, მაგრამ იმდენად მიყვარდა, შინ შემოსულს რომ დავინახავდი, წყენაც მავიწყდებოდა და ის სიტყვებიც, რაც მისთვის მინდოდა მეთქვა გაბრაზებულ გულზე.

ქმრის ოჯახის წევრები ხშირად ჩხუბობდნენ, რაც ჩემთვის მიუღებელი გახლდათ. მე ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ხმამაღალი სიტყვაც არ თქმულა.

პირველი ბავშვი რომ შემეძინა, ქმარმა საერთოდ აიყარა გული ოჯახზე. არადა, უმეტეს შემთხვევაში, პირიქით ხდება ხოლმე. ბავშვის ტირილი ნერვებს უშლიდა, უაზროდ ყვიროდა — სიმშვიდე მჭირდებაო. ვცდილობდი, არ შემეწუხებინა და ბავშვი სულ ხელში მეჭირა. ხომ გაგიგიათ: მიზეზ-მიზეზ — დოს მარილი აკლიაო. ასე სჭირდა ჩემს ქმარსაც. იტყოდა ხოლმე: რძის და ფაფის სუნი მაღიზიანებსო და გარეთ გარბოდა და რამდენიმე დღე დაკარგული იყო. ჩემთვის ვფიქრობდი, ალბათ საყვარელი ჰყავს-მეთქი. თუმცა ბავშვურად ხანდახან მაინც გამიელვებდა ხოლმე: ეგებ, მართლაც ალერგია აქვს რძეზე და ამიტომაც არ ჩერდება ოჯახში-მეთქი. წლებთან ერთად ჭკუაც მომემატა და მივხვდი, ეს „ალერგია“ გამქრალი სიყვარული იყო.

**— მუშაობდა სადმე?**

— „მოძველბიჭობდა“, რის გამოც რამდენჯერმე იჯდა ციხეში. სულ პირველად სამი წელი იყო პატიმრობაში. როცა იქიდან გამოვიდა, ჩემმა დედამთილმა მირჩია, მეორე ბავშვი გააჩინე და ოჯახს გულს დაუდებსო. მეორეც გავაჩინე და ორი წლის შემდეგ მესამეც, მაგრამ მან ვერა და ვერ „დაუდო“ გული ოჯახს, არ ვუყვარდი და იმიტომ.

**— გაცილებაზე არ გიფიქრიათ?**

— ჩემი უბედურებაც ეგ იყო, რომ გულშიც არ გამივლია, გავშორებოდი. იმედს არ ვკარგავდი, რომ გონს მოვიდოდა და დაგვიბრუნდებოდა, მაგრამ... თუკი, ერთი კვირა შინ იყო, ორ კვირას სად ატარებდა, არავინ იცოდა. ისეთი ფიცხი იყო, თუ გაბრაზდებოდა, მტრისას, ისეთ ამბავს დაატრიალებდა ხოლმე ოჯახში, ამიტომაც ვერ ვბედავდი ხმის ამოღებას. თუმცა, ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, ერთხელაც „გავბედე“ და პროტესტი ხმამაღლა გამოვთქვი: ამ ოჯახში რა დანიშნულება მაქვს, მხოლოდ „ცოცხალი ნივთი“ ან „კომბინატი“ ვარ, რომელმაც „პროდუქცია“ უნდა „გამოუშვას“-მეთქი? მან კი ასე „დამამშვიდა“: ცოტა ხანი მადროვე, გავერთობი, გულს გადავაყოლებ და დავბრუნდები შინ, აბა, რა ჯანდაბას ვიზამო! გამოდის, რომ მისთვის შინ დაბრუნება „ჯანდაბა“ იყო და მეტი არაფერი, რომელიც ალბათ ხანდაზმულობაში მოხდებოდა. გავცილდეთ, ასე ცხოვრება არ შემიძლია-მეთქი. დამემუქრა: იმედი არ გქონდეს, რომ შენც და შვილებსაც მოგხედოთო. არც მეეჭვებოდა, რომ ასეც იზამდა. ჩემს თავს არ დავეძებ, მაგრამ სამი ბავშვისთვის რა უნდა მექნა? დავმორჩილდი ბედს. სულ მშურდა იმ ქალებისა, რომლებიც შეურაცხყოფას არ აპატიებენ ქმრებს და მატერიალური მდგომარეობის გამო თავს არ უხრიდნენ ღალატს, უსინდისობას. ასეთი ქალები დამოუკიდებლადაც მშვენივრად ახერხებდნენ თავის რჩენას და შვილების გაზრდასაც. მე კი ეს არ შემეძლო. სწავლის გაგრძელებაც ვერ მოვახერხე... ჩემი მშობლები არ იყვნენ შეძლებულები, ძმას თავისი ოჯახი ჰყავდა სარჩენი, იმათ ხომ ვერ შევეკედლებოდი? ასე თუ ისე, დედამთილ-მამამთილი და ქმრის ნათესავები მეხმარებოდნენ და ქმარზე გაბრაზებული ბავშვების მომავალს საფრთხეს ხომ ვერ შევუქმნიდი? დღეს უკვე მეამაყება, რომ სამივე შვილი კარგად აღვზარდე, სანაქებოები არიან და მამის კვალს არც ერთი არ დასდგომია. შვილების თანდასწრებით მამა არასოდეს გამილანძღავს. ისინი თვითონვე მიხვდნენ, რომ მამამისის „წესებით“ ცხოვრება არ შეიძლებოდა.

**— ახლა, როცა დიდი შვილები გყავთ და შინაც აღარ დგას „რძის და ფაფის შემაწუხებელი სუნი“, ცოტათი მაინც არ გათბა თქვენ შორის ურთიერთობა?**

— არა. ჩვენ დაახლოებით ისეთი ურთიერთობა გვაქვს, როგორიც შეიძლება ჰქონდეს მეზობლებს. შიგადაშიგ ვლაპარაკობთ შვილების მომავალზე, ინფორმაციებს ვაწვდით ერთმანეთს ჩვენ-ჩვენს სანათესავოში გარდაცვლილზე ან ახალდაქორწინებულზე და ასე მდორედ მიდის ჩვენი ცხოვრება... ამ ოთხი წლის წინ კი მივხვდი, კარს მომდგარი დროებითი ბედნიერებისთვის უარი არ უნდა მეთქვა.

**— დროებითი — რატომ?**

— იმიტომ, რომ ბედის ირონიით, ჩემდა უნებურად, სხვას შევეზიარე ქმრის სიყვარულში, სულ სხვა ბავშვების მამა შემიყვარდა. ის, რაც წლების მანძილზე ქმრისგან მაკლდა: სითბო, ალერსი, მზრუნველობა — სხვისგან მივიღე, ღალატი ავხორცობის გამო არ ჩამიდენია. იმ კაცისგან წუთით მაინც რომ მეგრძნო უხეშობა, გულგრილობა, რა თქმა უნდა, მის წინადადებას არ დავთანხმდებოდი, მაგრამ იგი საოცრად თბილი, კულტურული, ყურადღებიანი და ალერსიანი აღმოჩნდა. გარდა ამისა, დღემდე მეხმარება ბავშვების გაზრდაში. ხშირად, როცა ქმრისთვის მითხოვია რაღაც თანხა (შვილებს რომ დასჭირვებიათ) და მას უხეშად მოვუცილებივარ — არა მაქვს და ნუ შემიკალი ხელშიო, საყვარელს გაუმართავს ხელი. ბავშვების მამას კი ერთხელაც არ უკითხავს, საიდან გაქვს ეს ფულიო.

**— იმ თქვენს მეგობარს ფული რომ არ ჰქონდეს, მაინც იქნებოდით მასთან?**

— რა თქმა უნდა, ვიქნებოდი! მე მასთან ფულის გამო არ ვარ. ბედნიერად ვგრძნობ მასთან თავს. მართალია, მე სხვის წილ სიყვარულს ვებღაუჭები, რაც ხშირად მინანია, მაგრამ რა ვქნა, აღარაფრის შეცვლა არ შემიძლია. მე ის კაცი მიყვარს, მასაც ვუყვარვარ, ოჯახის დანგრევა კი შვილების გამო არც ერთს არ გვინდა.

**— არ გიჭირთ სიცრუით ცხოვრება?**

— ძალიან მიჭირს, მაგრამ იმ ხანმოკლე ბედნიერი შეხვედრების გარეშე უფრო გაუსაძლისი იქნებოდა ჩემი ცხოვრება.

ერთხელ წამოსცდა: იქნებ გვეფიქრა ერთად ცხოვრებაზეო, მაგრამ უარი ვუთხარი, მე იგი მიყვარს და მეტი არაფერი. როცა მეხმარება, მადლობას ვეუბნები, თავად არაფერი მომითხოვია მისგან.

**— თქვენმა ქმარმა ან საყვარლის ცოლმა რომ გაიგოს თქვენი ურთიერთობის შესახებ, რა გზას დაადგებით?**

— მაგაზე არ მიფიქრია, რადგან ჩემი ქმარიც თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და მისი ცოლიც. როგორც ვიცი, მის ცოლს მხოლოდ ქმრის „შენატანი“ აინტერესებს... თქვენ კი იმიტომ გადაგიშალეთ გული, რომ თუ საგაზეთოდ მოამზადებთ ჩვენს საუბარს, დაე, მიხვდნენ კაცები, მათი „კაცური ღირსებებიდან“ გამომდინარე, ქალმა შეიძლება სხვასთან იპოვოს ის, რაც მას მთელი ცხოვრება აკლდა. ნუ დაავიწყდებათ ისიც, რომ ქალის ბედნიერება საყვარელი მამაკაცის ერთგულებაა.

***მარინა ბაბუნაშვილი***

## გამოხმაურება

# უსიყვარულოდ...



„ლევანის წერილმა ამაფორიაქა და თვალწინ დამიდგა ჩემი ძმის ცხოვრება.

ლევანმა თუმცა უსიყვარულოდ, მაგრამ ოჯახის შექმნა მაინც მოახერხა, გვარი გააგრძელა და მთლად „უფესვოდ“ არ გადაშენდება...

ჩემს ძმას უნივერსიტეტში სწავლის დროს შეუყვარდა თბილისელი გოგონა (ჩვენ რაიონიდან ვართ). საათობით შეეძლო თავის შეყვარებულზე ლაპარაკი. დიდხანს ვერ ძლებდა უმისოდ. გოგონასაც უყვარდა. ვგრძნობდი, მამა წინააღმდეგი იქნებოდა მათი ქორწინებისა, რადგან ჩემი ძმა ჩვენს საგვარეულოში ერთადერთი ვაჟი იყო, ცოლს კი შეეძლო ქალაქში გადაებირებინა და სოფელში კერა მოშლილიყო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩემმა ძმამ კატეგორიულად განაცხადა, რომ „ის“ მოჰყავდა ცოლად. მამამ ცივი უარი სტკიცა: — ასფალტზე გაზრდილი თეთრხელება გოგო ჩვენს ოჯახში არ ივარგებს. ვერც ძროხას მოწველის, ვერც ჩაის დაკრეფს... ქალთან მოსიყვარულება თუ გინდა, მაგფერი ქალების მეტი რა არის? ჭკუაზე მოდი და ისეთი მოიყვანე, ვინც კერიას არ გაგიციებსო. შვილებმა ვიცოდით მამის სიმკაცრისა და სიჯიუტის ამბავი, მაგრამ ჩემი ძმა მაინც არ ელოდა ასეთ წინააღმდეგობას. გული ეტკინა, გამწარდა და უთხრა: რახან ასეა, საერთოდ ვერ ეღირსები ჩემს ცოლ-შვილსო. იგი ოჯახიდან წავიდა. 6 თვე აღარც გამოჩენილა, მაგრამ როცა გაიგო, რომ მამა ლოგინად ჩავარდა, იძულებული გახდა, დაბრუნებულიყო. წლების მანძილზე მამა მწოლიარე ავადმყოფი გვყავდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ ის გოგო გათხოვდა. მეც ძალიან განვიცადე, რადგან ვხედავდი, რა დღეშიც იყო ჩემი ძმა. დიდი ხნის მერე ვკითხე, — შენ რაღა მოგივიდა, რატომ დაუჯერე მამას, ხომ გიყვარდათ ერთმანეთი-მეთქი. ნაღვლიანად მიპასუხა: — მისი ოჯახიც წინააღმდეგი იყო, ჩემი სიძეობა არც მათ უნდოდათო... ერთი სიტყვით, მშობლების აქტიური ჩარევით ჩაიშალა ლამაზი სიყვარული.

როგორც ვიცი, ის გოგო ბედნიერია, ჩემს ძმას კი სამუდამოდ დაეკარგა ცოლის შერთვის სურვილი. ხან ვინ გავაცანით, როგორ არ ვუქეთ, არაფერი გამოვიდა... ვერავინ ვეღარ შეიყვარა. მამაჩემი მართლაც ისე გარდაიცვალა, ვერ ეღირსა ვაჟიშვილის დაოჯახებას.

ახლა ჩემი ძმა 46 წლისაა. მიმაჩნია, რომ სიყვარულში არავინ არ უნდა ჩაერიოს...

***მაია“***

„ჩემს შვილს ნაადრევად ეწვია სიყვარული, 17 წლისას. ასე მე ვფიქრობდი, თორემ თვითონ იმ გოგოს ცოლად მოყვანასაც აპირებდა. რა თქმა უნდა, ვიუარე: ჯერ ისწავლე, სამსახური დაიწყე და მერე მოეკიდე ოჯახს-მეთქი. როცა ინსტიტუტი დაამთავრა, ჯარში გაიწვიეს (მის ინსტიტუტს სამხედრო კათედრა არ ჰქონდა და ამიტომ 2-წლიანი სამხედრო სავალდებულო სამსახური უწევდა). ძალიანაც არ უნდოდა ჯარში წასვლა, მაგრამ მე იმდენი ფული არ მქონდა, რომ იგი ჯარიდან მეხსნა, ამიტომაც კვლავ ვურჩიე: მოიხადე სამხედრო სამსახური და ის გოგო, თუ მართლა უყვარხარ, დაგიცდის. მერე კი დიდ ქორწილსაც გადაგიხდით-მეთქი. შვილმა ჩემი ნათქვამი შეყვარებულს გადასცა. მან კი ასეთი დასკვნა გამოიტანა: ეტყობა, თქვენებს რძლად არ ვუნდივარ. აღარ დაგელიათ მიზეზი, მე კი „მოძალადე“ არასოდეს ვიქნებიო. ერთი სიტყვით, უარი უთხრა.

ჩემმა შვილმა ჯარში გაიგო, რომ მისი შეყვარებული გათხოვდა... უსაშველოდ განიცადა. ჯარიდან ჩამოსული ძლივს დავითანხმეთ, რომ ცოლი მოეყვანა. ახლა ორი შვილი ჰყავს, მაგრამ იმ თქვენი ლევანისა არ იყოს, ვატყობ, ბედნიერი არ არის. ზოგჯერ ჩემთვის ვფიქრობ, — რა მოხდებოდა, რომ მაშინ ხელი შემეწყო-მეთქი. შვილის მეგობრისგან ვიცი, რომ ხშირად იგონებს თავის სიყვარულს; ალბათ მეც დამნაშავე ვარ. აღარ უნდა დამეყო მისი სამომავლო ცხოვრება ეტაპებად, ჯერ ეს, მერე — ის... ვნანობ, მაგრამ სინანულით საქმეს ვეღარ ვშველი. მინდა ჩემი ამბავი დედებმა გაითვალისწინონ და მაქსიმალურად ხელი შეუწყონ შვილებს, როცა მათ მართლაც დიდი სიყვარული ეწვევათ.

***თამარ ციხისელი“.***

## იუმორი

მიხოს სიდედრი ესტუმრა. პატარა ვანო სიხარულით მივარდა ბებიას: — რა კარგია, ბებო, რომ ჩამოხვედი. ახლა მამა ფოკუსს გვიჩვენებს!

— რა ფოკუსს, შვილო?

— წინა კვირას, ჩვენგან რო წახვედი, მამამა თქვა, თუ ისევ მალე ჩამოვა, ჭერზე გავალო.

# ქალი ქალია...

*ეს ამბები ჩიტს არ მოუტანია ჩემთვის. მიამბეს მათ, ვინც ქუჩაში ათენ-აღამებს, რომ ოჯახში პურის ფული შეიტანონ და შვილების დაპურებით გულები გაითბონ. ზოგი მათგანი ყვავილებს ყიდის, ზოგიც ხაჭაპურს ან ღვეზელს, ზოგი სიგარეტებით ვაჭრობს, ზოგს კი, სხვა გამოსავალი რომ ვერ უნახავს, ხელი გაუწვდია სამათხოვროდ. ცხოვრების კვერში შებმულებს აღარც კი ახსოვთ, რომ ქალები არიან და ენატრებათ სინაზე და ყურადღება მამაკაცებისგან. საბედნიეროდ, მათ ცხოვრებაშიც გაიელვებს ხოლმე სიხარულის სხივი და სრულიად უცნობები ისეთ სასწაულებს სჩადიან მათთვის, რომ ამ ქალების ამბები ზოგჯერ კონკიას ზღაპარს ემსგავსება...*

**მაია (ყვავილების გამყიდველი):** — ორი შვილი მყავს და მეუღლე, რომელიც დღე და ღამეს ასწორებს შრომაში, მაგრამ ოჯახის სარჩენად არ გვყოფნის, ამიტომაც ვდგავარ და ყვავილებს ვყიდი. როცა შეყვარებულები ვიყავით, მეუღლე იებს მჩუქნიდა, ქორწინების თარიღს კი ყვითელი ვარდებით მახსენებდა ხოლმე... ცხოვრება აირია და უკვე დიდი ხანია, რაც ტრადიცია დაირღვა. მხოლოდ ერთადერთხელ, ორი წლის წინ, 8 მარტის წინა საღამოს, გვიანობამდე დავრჩი „პოსტზე“ — კარგად იყიდებოდა ყვავილები. იქნებოდა საღამოს 12 საათი. ძვირფასი მანქანა გაჩერდა. გადმოვიდა სიმპათიური ყმაწვილი, აათვალიერა ყვავილები და ბოლოს მთხოვა, — მოდი, ჩემი სურვილის მიხედვით შემიკარი თაიგული და თანხაზე გულს არ დაგწყვეტო. ძალიან ლამაზი რამ გამოვიდა, მეჭირა ხელში ყვითელი და შინდისფერი ვარდების ულამაზესი კონა და უზრუნველი ცხოვრება მახსენდებოდა. თანაც ისე მომდიოდა ცრემლები თვალებიდან, რომ ვერაფერს ვგრძნობდი. რა მოგივიდათ, ქალბატონო, — კაცის ხმამ გამომაფხიზლა. 100-ლარიანი ეჭირა ხელში და მიწვდიდა. გამოვართვი, ხურდის დასაბრუნებლად ჩანთისკენ წავიღე ხელი. კაცმა შემაჩერა. ერთი პატარა ვარდების თაიგული აიღო კიდევ, გამომიწოდა და მითხრა, — ამით 8 მარტს გილოცავთ, ხურდით კი ხვალინდელი დღისთვის რამე იყიდეთ საჩუქრადო. მე ბედნიერი ვიყავი. ვგრძნობდი, რომ ქალი ვიყავი, რომლის ცრემლსაც კი დიდი ძალა აქვს ზოგჯერ...



**ნანა (სიგარეტების გამყიდველი):** — მეუღლე ავტოკატასტროფაში დამეღუპა. დამრჩა სამი პატარა. პედაგოგი ვარ, მაგრამ ვერაფერს გავწვდი ჩემი ხელფასით. ამიტომაც გაკვეთილების შემდეგ მოვდივარ და ქუჩაში ვჯდები სიგარეტების თაროსთან, ვვაჭრობ და ასე ვირჩენ თავს. ერთხელ უფროსი შვილები ექსკურსიაზე წავიდნენ. უმცროსის დამტოვებელი არავინ მყავდა. წავიყვანე ჩემთან, ქუჩაში, ღამით! ნოემბერი იყო. ბავშვს კალთაში ეძინა. წარამარა ჩერდებოდა სიგარეტის მსურველთა მანქანა. ერთმაც გააჩერა. სამნი ისხდნენ მანქანაში. მძინარე ბავშვს მიეფერნენ, მერე გამომკითხეს ჩემი მუშაობის გრაფიკი. ბავშვის ქუჩაში ყოფნის მიზეზიც. გამიკვირდა, რა უნდათ-მეთქი, მაგრამ ისეთი კეთილები ჩანდნენ, ძალაუნებურად ვპასუხობდი. მერე სამივემ ჯიბეზე გაიკრა ხელი. ასდოლარიანები კალთაში ჩამიყარეს...

მეორე დღეს იმ ახალგაზრდებიდან ერთ-ერთი კლასში შემოვიდა პატარა გოგონასთან ერთად და მითხრა, — ქალბატონო ნანა, წუხელ ვერ მიცანით. მე კი დაჯერება მიჭირდა, რომ ნამდვილად თქვენ იყავით. დღეს ჩემს შვილს სკოლაში თქვენს სანახავად მოვყევიო. ჩემმა გულშემატკივრებმა პატარა ჯიხური დამიდგეს და უკვე სიგარეტის გარდა, სხვა რამითაც ვვაჭრობ...

**ცისანა (ხაჭაპურის გამყიდველი):** — ძალიან ვწვალობ, მაგრამ ერთმა ამბავმა ისე გამახარა, ისე გამითბო გული, რომ თითქოს სიცოცხლეც მომემატა. მეზობელი, 20 წლის გოგო დაქვრივდა. მშობლები არ ჰყავს, ძმა ციხეშია. დედამთილ-მამამთილმა კი ზურგი აქცია, დარჩა ჩვილი გასაზრდელი. აქეთ მიდგა, იქით მოდგა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მისი გარეგნობის გამო ყველგან მუშტრის თვალით დაუწყეს ცქერა. გაგიჟდა საწყალი გოგო, მეძაობას მირჩევნია თავი მოვიკლა ან ვიმათხოვროო და თავის შვილთან ერთად სამათხოვროდ დაჯდა. აგვისტოს ერთ ცხელ დღეს, საღამოს იჯდა თურმე და თავის პატარას ძუძუს აწოვებდა, თავსაფარი მხრებზე ჰქონია ჩამოვარდნილი. ვიღაც უცხოელს დაუნახავს. კაცს თვალი ვერ მოუშორებია საბრალო დედა-შვილისთვის. უცხოელს კარგა ბლომად ფული მიუცია... ასე გაგრძელებულა სამი დღე, მოკლედ, იმ კაცმა ის გოგო შინ მიაცილა, გაიცნო, ცოლობა სთხოვა. ახლა დაქორწინდებიან და გერმანიაში წავლენ. გოგო ისეთი ბედნიერია, მეცხრე ცაზე დაფრინავს. ახლა მოვლილი და დამშვიდებული ისეთი სანახავია, თვალს ვერ მოსწყვეტ...

***ეკა ლომიძე***

# ერთმა ქართულმა ოჯახმა 5 გენერალი გაზარდა



დუმბაძე ივანე ანტონის ძე

— 1700 წლის 19 მაისს რუსეთის მეფემ, პეტრე პირველმა გენერლის წოდება მიანიჭა ქართველთა შორის პირველს — ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის. იმ დროის ერთ-ერთ თვალსაჩინო პიროვნებას, რითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სახელოვან გენერალიტეტს — ასე იწყებს ჩემი უფროსი კოლეგა და მკვლევარი **ლევან დოლიძე** მეფის რუსეთიდან დღემდე ქართველ გენერალთა შესახებ თხრობას თავის წიგნ-კატალოგში, სადაც 1000-ზე მეტი ქართველი გენერლისა და ადმირალის შესახებ მიიღებთ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ალბათ მაინც ის არის, რომ უამრავი ღირსეული ქართველის თითქმის დავიწყებას მიცემული სახელი ცოცხლდება. ამ წიგნის საშუალებით ცხადდება ბევრი საიდუმლო და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ქართველი არასოდეს ყოფილა ჯაბანი, პირიქით, თითქოს ჩვენი სამშობლოსათვის თავგანწირვა გვეცოტავებოდა, სხვის ომშიც პირველები ვიყავით და უცხო ქვეყნების სამხედრო ისტორიაშიც სასწაულმოქმედი გმირობის ფურცლებს ვწერდით. ამაოდ, მაგრამ გენიალურად ვირჯებოდით ყველგან. როცა ერთ წიგნში თავმოყრილ უამრავ ქართველ გენერალს თვალი გადავავლე, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან" ლარსის სტანციის ამბები გამახსენდა — ახალგაზრდა მწერალთან რუსის ლოთმა, აბეზარმა და კუდაბზიკა პორუჩიკმა საქართველო გაუნათლებელ ქვეყნად კი მოიხსენია, მაგრამ იმის გამო, რომ რუსეთთან „დაძმაკაცების" შემდეგ მოკლე ხანში 20 ნამდვილი გენერალი „გამოგვიზრდია", წამით მაინც ვერ დაფარა აღფრთოვანება. თუმც, მერე ეს ღირსებაც რუსეთს მიაწერა და დაახლოებით გამოთვალა კიდეც რამდენი გენერალი შეიძლება ჰყოლოდა საქართველოს მეოცე საუკუნის ბოლოს. არადა როგორ შეცდა საბრალო პორუჩიკი პროგნოზირებაში. მართლა ცოტა განათლებული და ისტორიაში ჩახედული რომ ყოფილიყო, ის მაინც რომ სცოდნოდა, რუსეთში პირველად სწორედ ქართველს რომ მიანიჭეს გენერლობის ახალშემოღებული წოდება, ილიასთან ხმის ამოღებისაც შერცხვებოდა, მაგრამ...

1812 წელს ბოროდინოს ბრძოლაში მონაწილე გენერლებიდან (მათ შორის 13 ქართველი იყო) პირველი და გამორჩეული რუსეთისა და საზღვარგარეთის მრავალი ჯილდოს მფლობელი პეტრე ბაგრატიონი იყო. მსოფლიოში პირველი და უკანასკნელი გენერალისიმუსი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გორელი იოსებ ჯუღაშვილი-სტალინი გახლდათ. დაზვერვის სფეროში პირველი მარშალი ლავრენტი ბერია იყო. საბჭოთა სამხედრო ინჟინერ-მშენებლებს შორის საინჟინრო ჯარების პირველ მარშლადაც ქართველი არჩილ გელოვანი აღიარეს. მრისხანე ბალისტიკური რაკეტების 11-20, 11-23-ის და სხვა მრავალი იარაღის შემქმნელი მეცნიერიც და გენერალიც ალექსანდრე ნადირაძე იყო. პირველი საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ავიაციის შემქმნელი, ცნობილი ავიაკონსტრუქტორიც გენერალი გიორგი ბერიაშვილი ასევე ქართველი გახლდათ. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში ფაქტობრივად უმაღლესი სამხედრო პირი მე-20 საუკუნის დამლევს იყო ოთხვარსკვლავიანი გენერალი მალხაზ-ჯონ შალიკაშვილი და, რაც ყველაზე მთავარია, მსოფლიოში ერთადერთი ქართული გვარია, ქართული ოჯახი, რომელმაც 5 გენერალი, ერთი პოლკოვნიკი და ერთიც მღვდელი გაუზარდა სამშობლოს. 7 ღირსეული ვაჟკაცის მამა კი თავად იყო რუსეთის სამეფო არმიის ოფიცერი — გენერალ დუმბაძეების ოჯახის მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს. ამდენი ღირსებების ჩამოთვლის შემდეგ კიდევ რა შეიძლება უთხრა მკითხველს? იმდენი გვაქვს სათქმელი, იმდენი რამ არ ვიცით საკუთარი ისტორიის შესახებ, რომ გადავწყვიტეთ, ბატონ ლევანთან ერთად რაღაც დოზით დროდადრო შეგახსენოთ ხოლმე, არცთუ შორეული წარსულის დიდებული გმირები. იქნებ მათი საბრძოლო საქმეების გამომზეურებით ვაჟკაცური ჟინი არ წაგვიხდეს. ქარქაშში ჩაგებული ხმალი არ დაგვიჟანგდეს და მტრის გასახარად არ დავჩაჩანაკდეთ.

— რუსებთან „დაძმაკაცებამდეც" საოცარი საბრძოლო ისტორია გვაქვს ქართველებს, მაგრამ პეტრე პირველის დროიდან მოყოლებული, რუსეთის სამეფო კარზე მათი მოღვაწეობა ნამდვილად განსაცვიფრებელია. წიგნი, რომელიც ამჯერად გამოვეცი ქართველ გენერლებზე, რიგით მეოთხეა. ისე გამიტაცა მათი ბიოგრაფიების კვლევამ, რომ გადავწყვიტე თანამედროვეთა შესახებაც მეთქვა ერთი-ორი სიტყვა.



დუმბაძე მიხეილ ანტონის ძე



ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი

**— თუმცა, ალბათ, ჩვენი დროის გენერლები ვერასოდეს გაუტოლდებიან წინაპართა აჩრდილებს. ანუ გენერლობის ძველი ხარისხი უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩემი აზრით, ვიდრე ახალი...**

— შეგიძლიათ ნიკოლოზ მუსხელიშვილს და ილია ვეკუას შეადაროთ დღევანდელი ცნობილი ქართველი მათემატიკოსები? შეიძლება აკაკი ხორავას და სხვებს დღეს კონკურენტი მოუძებნო? ასევე ძნელია გენერლების დროის მიხედვით შედარებაც. სამწუხაროდ, დღეს არა მარტო საქართველოში, მთელ მსოფლიოში თითქმის ყველა სფეროში დავარდა კულტურის, ზნეობის, განათლების, სამხედრო ცოდნის დონე. მაგრამ ქართველები რომ ყოველთვის შეუდარებელნი იყვნენ წინათ, ეს ფაქტია. განსაკუთრებით საბრძოლო ხელოვნებაში მათ ბადალი არ ჰყავდათ. გამოირჩეოდნენ საარაკო მამაცობით, ამიტომაც იპარავდნენ პატარა ქართველ ბიჭებს უცხოელები თავიანთი ჯარების გასაძლიერებლად. ავღანელებს დღემდე ვერავინ მოუგო ომი. ქართველებმა კი დაამარცხეს და რამდენიმე ასეული წლის წინ, საუკუნოვანი მბრძანებლობის მარწუხითაც ჰყავდათ დამორჩილებული ეს თავზეხელაღებული ქვეყანა. საქართველოს წიაღში იშვა თვალსაჩინო მხედართმთავართა მთელი პლეადა, მათი მეთაურობით რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა არმია ისეთ სასწაულებს ახდენდა, რომელთა ბადალი ლეგენდის სფეროში თუ შეიძლება მოიძებნოს. გარდა ამისა, სახელოვანი წინაპრების მისაბაძ მაგალითზე გაზრდილმა ქართველმა გენერლებმა არაერთხელ ასახელეს ქვეყნის შეიარაღებული ძალები, რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდნენ მას ირანსა თუ თურქეთში, საფრანგეთში, პოლონეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ა.შ.

**— ამ უამრავ დიდებასთან ერთად თავის მოწონება თურმე იმითაც შეგვძლებია, რომ მსოფლიოში ერთადერთმა ქართველმა კაცმა გაზარდა 7 ვაჟკაციდან 5 გენერალი. გვიამბეთ დუმბაძეების შესახებ.**

— ბევრი ვეძებე მსოფლიო სამხედრო ისტორიაში ანალოგი, რომ ვინმეს არ ეთქვა, ტყუილად იკვეხნით, ჩვენც გვყავს ასეთი ოჯახიო, მაგრამ მსგავსი მაგალითი ვერსად მოვიძიე. ერთადერთი ქართული ოჯახია, ერთადერთი ქართული გვარია დუმბაძე, რომელმაც 5 გენერალი აღზარდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთსა და საქართველოს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა, დიდგვაროვანი ქართველები ვალდებულად და საამაყო საქმედ თვლიდნენ რუსეთის არმიაში სამსახურს. შვილებს კი სამხედრო საქმის შესასწავლად რუსულ სამხედრო სასწავლებლებში აბარებდნენ. ამიტომაც მთელი საქართველოს ელიტა თავს იკლავდა რუსულ ჯარში ყოფნაზე. მშვენიერ ფორმაზე, ჩინმედლებზე, კარგ ხელფასებზე, დიდ პენსიებსა და უზრუნველ ცხოვრებაზე ოცნებობდნენ მუდმივად. ერთ-ერთი ასეთი ქართველი იყო ანტონ დუმბაძე, ოფიცერი, ოზურგეთის მაზრიდან, სოფელ შემოქმედიდან, რომელმაც ნაკაშიძის ქალთან ერთად 8 შვილი გაუზარდა სამშობლოს. 7 ვაჟი და ერთი ქალი. ერთი ვაჟი დავითი მღვდელი გამოსულა, დანარჩენებს კი სამხედრო საქმისთვის მოუკიდიათ ხელი და მათგან 5 გენერალი, ერთი პოლკოვნიკი გამხდარა, ქალიშვილი კი ვინმე თავად ლორთქიფანიძეს გაჰყოლია ცოლად. მის შესახებ სამწუხაროდ მეტი არაფერი ვიცი. საერთოდ, დუმბაძეების გვარს რუსეთის იმპერიაში სულ შვიდი გენერალი ჰყავდათ. ახლაც არიან ამ გვარის გენერლები საქართველოში.



დუმბაძე სამსონ ანტონის ძე

**— 5 გენერალი დუმბაძის შთამომავლებში თუ არიან სამხედრო პირები ახლა?**

— შეიძლება არიან, მაგრამ ამას მოკვლევა სჭირდება. რაც ჩემს კომპეტენციას აღემატება. ისინი გაბნეულნი არიან აშშ-ში, კანადაში, გერმანიაში. ერთ-ერთი გენერლის შთამომავლებს ახლახან მივაკვლიე კანადაში. მათ გამომიგზავნეს ივანე დუმბაძის ფოტოს ასლი. სურათზე იგი რუსეთის უკანასკნელ უფლისწულთან ალექსანდრესთან ერთად არის აღბეჭდილი. ივანე ყველაზე პოპულარული და გავლენიანი იყო ძმებს შორის. იგი ყირიმს განაგებდა. ათი წელი იყო იალტის თავი. მთელ რუსეთში იცნობდნენ როგორც უმკაცრეს და უპატიოსნეს მმართველს, რუსეთის დუმის წარმომადგენლები იალტაში ჩასვლისას ივანე დუმბაძის შიშით წესრიგს და კანონს ემორჩილებოდნენ. მას არაერთი წესრიგის დამრღვევი რუსი გენერალი და თავადი გაუძევებია იალტიდან. გენერალი ძალიან დაახლოებული ყოფილა იმპერატორის ოჯახთან. როგორც მაშინდელი რუსული საინფორმაციო წყაროები ირწმუნებიან, ნიკოლოზ მხოლოდ ივანე დუმბაძეს ანდობდა საკუთარი შვილების სიცოცხლეს და უსაფრთხოებას. ხშირად იწვევდა სასახლეში და რჩევას ეკითხებოდა. ივანეზე განაწყენებული უწესრიგო რუსი დიდგვაროვნები ხშირად ჩიოდნენ თურმე იმპერატორთან, რომელიც მომჩივანთ ერთსა და იმავეს პასუხობდა — ივანემ უკეთ იცის ყველაფერიო. ივანეს შვილებმა, ალექსანდრემ და გრიგოლმა, ყირიმში ელისაბედგრადის საკავალერიო სასწავლებელი დაამთავრეს და ცხენოსანთა პოლკში მსახურობდნენ. გრიგოლი ჯერ თეთრგვარდიელთა არმიაში ყოფილა, მერე ჩეჩენთა ცხენოსან დივიზიაში მსახურობდა. ბოლშევიკების საბოლოო გამარჯვების შემდეგ კი ევროპაში გაქცეულა სამეფო არმიის კორპუსთან ერთად და გერმანიაში თუ საფრანგეთში ცხოვრობდა. მის შესახებ 1944 წლის 2 ოქტომბრამდე არარაფერია ცნობილი. იგი გერმანელების მხარეზე იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მდინარე დუნაისთან, შეტაკების დროს, დაღუპულა. ალექსანდრე ივანეს ძე დუმბაძე კი 1918 წელს ყირიმში „წითლებთან" შეტაკებას შეეწირა.



დუმბაძე ნიკოლოზ ანტონის ძე

**— დანარჩენი გენერლების შესახებ რა იცით?**

— ცნობილია მცირე ისტორია სამსონ ანტონის ძის შესახებ. იგი სამხედრო ინჟინერი ყოფილა. წმ. ნიკოლოზის სახელობის საინჟინრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მალევე გამხდარა გენერალი და ომსკის სამხედრო ოლქში კარგა ხანს უმუშავია. რევოლუციის დროს ისიც თეთრგვარდიელების მხარეს იბრძოდა. ბოლშევიკებს ტყვედ ჩაუგდიათ. მისი მეუღლე, ვაჩნაძის ქალი შვილებითურთ ამ დროს შანხაიში ყოფილა გაქცეული რუსი სამხედრო პირების ოჯახებთან ერთად. ქალს ქმრის დაპატიმრების ამბავი რომ გაუგია, ყოველგვარი საფრთხის შიში დაუკარგავს, დაბრუნებულა და თურმე ათასნაირ ხერხს ეძებდა ქმრის დასახსნელად. მაგრამ სამსონს ვერაფერი უშველა და 8 წელი მოუხდა ლოდინი, სანამ ბუტირკის ციხეში სასჯელს მოიხდიდა. სამსონი ბუტირკიდან — ყველაზე საშინელი ციხიდან სამშობლოში დაბრუნებულა და აქვე გარდაცვლილა 1938 წელს. მისი შვილები ევროპასა და ამერიკაში წასულან. მათ შორის ერთი, გიორგი სამსონის ძე დუმბაძე რუსული არმიის ოფიცერი, 1988 წლის 22 იანვარს გარდაიცვალა ლოს-ანჯელესში, 93 წლის ასაკში. მას საოცარი პატივით იხსენიებდა ამერიკული პრესა. ემიგრაციაში ჭაბუკი გიორგი კაპიტნის ჩინით წასულა. იგი იყო წმ. გიორგის უძლიერესი ორდენის კავალერი. ეს უიშვიათესი შემთხვევაა 22-23 წლის კაცისათვის. მისი სახელი კრემლში, გეორგიევსკის დარბაზში მარმარილოზე ამოკვეთილი დარჩა. დანარჩენი დუმბაძეების შესახებ არაფერია ცნობილი გარდა იმ მოკლე ბიოგრაფიული ცნობებისა, რაც „ძუნწ" არქივებში ამოვკრიფე. ვფიქრობ, თქვენს გაზეთში ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ დაგვიკავშირდება ვინმე, ვისაც შეიძლება ინფორმაცია ჰქონდეს მათ შესახებ, რისი მოწოდებითაც ხელს შეუწყობენ ქართული სამხედრო ისტორიის და ერთი დიდებული ქართული ოჯახის ისტორიაში თეთრი ლაქების შევსებას.



დუმბაძე იოსებ ანტონის ძე

**— ბატონო ლევან, რუსეთის იმპერიაში პირველი გენერლის — ქართველი უფლისწულის შესახებ რას გვეტყვით?**

— ალექსანდრე ბაგრატიონი ათი წლის ასაკიდან იზრდებოდა რუსეთის სამეფო კარზე, მომავალ იმპერატორ პეტრე დიდთან ერთად. 1700 წელს, როცა ისინი ევროპიდან დაბრუნდნენ, პეტრემ მეგობარს გენერალ-ფელდცოიხმაისტერის წოდება მიანიჭა და რუსეთის არტილერიის უფროსად დანიშნა. ალექსანდრე ბაგრატიონი გამორჩეული პიროვნება იყო. გვიანი შუა საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შორის იგი გახლდათ რუსული არტილერიის, როგორც ჯარის სახეობის ფუძემდებელი და რუსეთის პირველი გენერალ-ფელდცოიხმაისტერი. ამასთანავე ლიტერატორი, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობათა ორგანიზატორი. წარმატებით ახორციელებდა რუსული არმიის რეორგანიზაციას, მაგრამ 1700 წლის 19 ნოემბერს შვედებთან ომში ტყვედ ჩავარდა. პეტრე პირველმა ტყვეობაში მყოფ მეგობარს წოდება და ნახევარი ხელფასი შეუნარჩუნა. შვედების მეფე კარლოს X-მ ალექსანდრეს გასათავისუფლებლად ათი ტონა ოქრო მოითხოვა. ეს რომ ალექსანდრეს გაუგია, პეტრესთვის უცნობებია: „არათუ სათქმელად, ფიქრადაც კი არ მომსვლია, რაიმე ზარალი მოუვიდეს სახელმწიფოს, ჩვენ იმისთვის ვართ მოწოდებულნი, ვითმინოთ და მოვკვდეთ ხელმწიფისა და მამულისათვის". სტოკჰოლმში ტყვეობისას ალექსანდრე ბატონიშვილი ეწეოდა ფართო სალიტერატურო მუშაობას. სტოკჰოლმის ჰაინრიხ კეისრის სტამბაში მან ქართული შრიფტი ჩამოასხმევინა და 1703 წელს რუსეთში გადაგზავნა მამამისის, არჩილ მეფისათვის გადასაცემად. სწორედ ამ შრიფტით დაისტამბა მოსკოვში ქართული „დავითნი". მიუხედავად დიდი მცდელობისა, პეტრე -მა მხოლოდ 1710 წელს შეძლო ალექსანდრეს გაცვლა დატყვევებული შვედეთის პრემიერ-მინისტრზე, გრაფ კარლოს ჰიპერზე. 11 წლის ტყვეობაში ყოფნით დაუძლურებულ ბატონიშვილს რუსეთის საზღვრამდე ველარ მიუღწევია. 1711 წლის 2 თებერვალს გზაში, ბოტნიის ყურეში მდებარე კუნძულ პიტეოსზე გარდაცვლილა. დიდი პატივით მიუცილებიათ შვედური ჯარის შენაერთებს მისი ცხედარი რუსეთის საზღვრამდე. მოსკოვამდე კი ეს მისია რუსული ჯარის ესკორტმა ითავა. დონის მონასტრის მირქმის ეკლესიაში დაუკრძალავთ ბატონიშვილი. ასე დარჩა სამუდამოდ რუსეთის მიწაში საქართველოს სამეფო გვირგვინის უდავო მემკვიდრე. ტყვეობაში ყოფნისას გარეგნობითა და ზნეკეთილობით მას აღტაცებაში მოუყვანია კარლოს მეთორმეტე. მის შესახებ მერე ვოლტერი სინანულით წერდა: „კავკასიის მთების ძირას დაბადებულმა აზიელმა პრინცმა ტყვეობა უნდა გაატაროს ყინულოვანი შვეციის მიწაზე!"

...ბედუკუღმართად დასრულდა ამ დიდებული ადამიანის სიცოცხლე. ცოტა ხნის წინ სტოკჰოლმის ცენტრში, ძველი, მაგრამ შესანიშნავად შენახული ისტორიული შენობის ფასადზე, რომელიც XV საუკუნის დამდეგს შვედეთის მეჭურჭლეთუხუცესის კუთვნილებას წარმოადგენდა და სადაც ბატონიშვილი ქართულ შრიფტზე მუშაობდა, ალექსანდრე ბაგრატიონის ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფა გაიხსნა...

***ეკა ლომიძე***



## თარაზულად:



„მიზეზი“ ფოტო-მოდელად გახდომისა



„ექიმად“ წოდებუ-ლი მცენარე



პრივილეგირებული წოდება



ლუიზა ვერონიკა ჩიკონე



არჩილ გომიაშვილის საუკეთესო როლი



დამანგრეველი სტიქია



მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი



თურქეთში ახლახან ნაპოვნი რომაული ქანდაკება



საწერი კალამი, წარმატებული ცხოვ-რების სიმბოლო



მონაწილეთა ის რაოდენობა, რომელ-იც აუცილებელია, რომ შეკრების დადგენილება კანონ-იერი იყოს



იაპონელ მეთევზე-თა დასახლების, ედოს, თანამედროვე სახელწოდება



მწვერვალი კავკა-სიონის ცენტრალურ ნაწილში



რეჟისორი, რომელ-მაც „შექმნა“ მსახიობი



„ვარცხნილობა“



აკრობატთა სავარჯიშო



მისი ამოცანა ოიდიპოსმა ამოხსნა



საავტომობილო შეჯიბრება, რომლის სახელწოდებაც წარმოიშვა რბოლა „ინდი-500“-დან



ამერიკელი კინომსახიობი

## შვეულად:



აბატ პრევოსა და პუჩინის საზიარო გმირი



გვიანი სსრკ-ის უზბეკი მომღერალი



ოტელოს წარმომავლობა



წინასწარი განცხა-დება კონცერტის შესახებ



ებრაელთა სამლოცველო



დიდი სისწრაფით, გაჩერებების გარეშე მოსიარულე



ქართველი გეოგრაფი, ისტორი-კოსი და კარ-ტოგრაფი



შვება სიცხისაგან



მესამე თაობის ანტიბიოტიკი



დიუმას რომანი განთქმუ-ლი მოქან-დაკის და იუვე-ლირის ბენვენუტო ჩელინის შესახებ



თევზი, რომელმაც შთააგონა შუბერტი სიმღერა დაეწერა



იგივეა, რაც თავდამ-სხმელი



გიტარისტი და კომპოზიტორი

23


მყარი სხეული, რომელსაც ბუნებრი-ვად აქვს მრავალკუთხედის ფორმა

27


ოდნავ შესამჩნევი დაცინვა



ძრავის განყო-ფილების საცავი



შვიდი „ოსკარის“ მფლობელი ფილმი, რომელმაც უპრეცედენტო აღიარება მოიპოვა კრიტიკოსებისგან



ჩამოსული თანხა

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №33 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ბოტანიკა; 6. როდსტარი; 9. ალიანსი; 10. იდაყვი; 11. ტირადა; 15. ორანჟერეა; 17. გროგი; 18. დუიმი; 19. არაბული; 20. ვერმუტი; 24. ტანკი; 25. გნომი; 26. ფიუზელაჟი; 29. პეპელა; 32. კაბელი; 33. ლიქიორი; 34. უგემოვნო; 35. აკუსტიკა.

**შვეულად:** 1. სათავე; 2. სკალი; 3. ბოქსი; 4. იტალია; 5. ბორდიური; 7. იპოდრომი; 8. ნადეჟდა; 12. პროდუქცია; 13. რეპორტაჟი; 14. აგარაკი; 16. ფულტონი; 21. ბარბექიუ; 22. ალერგია; 23. ამაღლება; 27. პლაზმა; 28. მაკეტი; 30. წიგნი; 31. ტრეკი.

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ვარ 33 წლის. უკვე დიდი ხანია ამომივიდა წვერ-ულვაში, მაგრამ სახის დანარჩენ ადგილებს თმიანი საფარველი ძლივს მიფარავს — სხვა მამაკაცებთან შედარებით თმა სახეზე საკმაოდ მეჩხერი მაქვს. ხომ არ არის ეს რაიმე ენდოკრინული დარღვევა?**

***ერთგული მკითხველი***

ასეთი თავისებურება დაკავშირებულია სახეზე თმის ფოლიკულების ინდივიდუალურ გადანაწილებასთან. ყველა მამაკაცს სხეულზე როდი ეზრდება თმა ინტენსიურად. ვინაიდან წვერ-ულვაში გაქვთ, ეს ნიშნავს, რომ ჰორმონული ცვლა დარღვეული არ არის.

**შეიძლება თუ არა ბავშვისთვის გამოვიყენოთ ფტორიანი კბილის პასტა?**

***ეკა გუნცაძე***

ამგვარი კბილის პასტის გამოყენება რეკომენდებულია ყველა ასაკის ადამიანისთვის. პასტის შემადგენლობაში შემავალი ფტორიდები, კბილებზე რეგულარული ზემოქმედებისას, აქვეითებს კარიესის განვითარების ალბათობას. თუმცა 6 წლამდე ბავშვებისთვის უმჯობესია: შეიძინოთ სპეციალური საბავშვო პასტები, რომლებშიც ფტორიდები მცირე რაოდენობით შედის. საბავშვო პასტა უნდა შეიცავდეს ვიტამინებს და უნდა ჰქონდეს ხილის ან კენკრის სასიამოვნო გემო. 6 წლამდე ასაკის პატარებს მშობლებმა თავად უნდა გაუხეხონ კბილები.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***


**პირველად საქართველოში!**

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: 99 64 99
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

**ანონიმურობა დაცულია!**



**კვლავ, ეს პრობლემური ფერიმჭამელები**

**„ზინერიტი" – ეფექტური გამოსავალი!**

ვულგარული ფერიმჭამელები, კანის მეტად გავრცელებული დაავადებაა, რომელიც სხვადასხვა ასაკში შეიძლება გამოვლინდეს. ყველაზე ხშირად კი ავადდებიან მოზარდები. ზოგიერთმა მკვლევარმა მას თინეიჯერების დაავადება უწოდა. ვულგარული ფერიმჭამელები ცხიმოვანი ჯირკვლების დაავადებაა. ისინი ჩნდებიან სხეულის იმ ნაწილში, სადაც ცხიმოვანი ჯირკვლები ჭარბადაა წარმოდგენილი-სახეზე, ზურგის ზედა ნაწილში, შედარებით მცირედ გულმკერდის ზედა ნაწილში. ვულგარული ფერიმჭამელები არ არის გადამდები დაავადება, ამიტომაც შეგიძლიათ თავისუფლად აკოცოთ ფერიმჭამელებით დაავადებულს.

რატომ ჩნდება ფერიმჭამელები? ცნობილია, რომ დიდ როლს თამაშობს მემკვიდრეობა, ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონალური ძვრები, ცხიმის ჯირკვლების გაძლიერებული სეკრეცია, ბაქტერიები. ხელშემწყობ პირობებს ქმნის უხარისხო კოსმეტიკური საშუალებები, განსაკუთრებით ცხიმზე დამზადებული კრემები, B-6 და B-12 ვიტამინების ან კომპლექსური ვიტამინების ჭარბი მიღება, სტრესი.

რამოდენიმე რჩევა მათთვის, ვისაც აწუხებს ეს პრობლემა. არ დაელოდოთ გარდატეხის ასაკის გავლას, დაიწყეთ მკურნალობა რაც შეიძლება ადრე.არ გააღიზიანოთ ხელით ფერიმჭამელები, შეიძლება გამოიწვიოთ სერიოზული გართულება. ნუ ისარგებლებთ ცხიმზე დამზადებული კოსმეტიკური საშუალებებით. დილას და საღამოს დაიბანეთ სახე საპნით. თუ, იყენებთ კოსმეტიკურ რძეს, გაიწმინდეთ სახე ლოსიონით და რაც შეიძლება ადრე დაიწყეთ მკურნალობა რათა თავიდან აიცილოთ სახის კანის დანაწიბურება. თუ, კანი ძლიერადაა დაზიანებული, მიმართეთ ექიმს.

უნდა აღინიშნოს, რომ ვულგარული ფერიმჭამელები, განსაკუთრებით მოზარდებში, ხშირად განაპირობებენ როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ ტრავმას და აუარესებენ ცხოვრების ხარისხს. ამდენად, აუცილებელია დროული და ეფექტური მკურნალობა.

ვულგარული ფერიმჭამელების სამკურნალოდ მრავალი პრეპარატი და მეთოდია მოწოდებული, მათ შორის თავისი მაღალეფექტურობით და უსაფრთხოებით გამოირჩევა პრეპარატი „ზინერიტი". მწარმოებელი ფირმა „იამანუჩი" (ნიდერლანდები). ეფექტური შემადგენლობის წყალობით, ერითრომიცინ-თუთიის კომპლექსი, „ზინერიტი" სწრაფად სპობს ბაქტერიებს და აქრობს ანთებას. პრეპარატი არ შეიწოვება კანიდან, ამდენად მისი გამოყენება უსაფრთხოა ბავშვებში და ორსულებში. ზინერიტის ლოსიონი არის უფერო, უსუნო და არ აპრიალებს კანს. მისი სახის კანზე დატანის შემდეგ, ზემოდან შეიძლება გავიკეთოთ მაკიაჟი. პრეპარატი მაღალეფექტურია ნებისმიერი ტიპის გამონაყარის დროს. არ იწვევს სახის კანის სიწითლეს, სიმშრალეს, წვას და სხვა გვერდით მოვლენებს. შესამჩნევი ეფექტი აღინიშნება მკურნალობიდან 2 კვირის შემდეგ. სპეციალური აპლიკატორი აადვილებს ლოსიონის წასმას კანზე.

თუ არ გიშველათ სხვადასხვა ჰიგიენურმა და კოსმეტიკურმა საშუალებებმა, ენდეთ რჩევას, გამოიყენეთ „ზინერიტი" და თქვენ თვითონ დარწმუნდით მის ეფექტურობაში.

პრეპარატის შეძენა შესაძლებელია სამედიცინო ფირმა „ავერსის" საცალო აფთიაქების ქსელში.

Ⓡ


**რით არის განპირობებული სამწვერა ნერვის ანთება და როგორ განვიკურნოთ მისგან?**

***ქ. ჩოგოვაძე, თბილისი***

## სამწვერა ნერვის ანთება



სამწვერა ნერვის ანთება, შეიძლება ითქვას, რომ „სიცოცხლის ხანგრძლივობით" კაცობრიობის ასაკს უტოლდება. თავად ნერვის დასახელება მიუთითებს, რომ ის სამი ტოტის სახით არის წარმოდგენილი. დაავადების კლინიკა საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა: მთელი ნერვის ან მისი რომელიმე ტოტის პროექციაზე, სახის არეში, შეტევითი ხასიათის მტანჯველი ტკივილები ვითარდება, რომელიც თვეობით და წლობითაც კი გრძელდება.

ამ სატკივრის განკურნება არა ერთმა ესკულაპმა სცადა, მაგრამ ამაოდ. ჩინურ მედიცინაში აღწერილია შემთხვევა, როდესაც ცნობილმა ექიმმა სამწვერა ნერვის ანთებით დაავადებული იმპერატორის გასაკურნებლად ნერვი გადაჭრა. ეს მცდელობა ექიმისთვის ავბედითად დამთავრდა — მას თავი მოჰკვეთეს.

ამჟამად ვითარება ნაწილობრივ გაუმჯობესდა. უკვე 200 წელია დაავადების მიზეზი ყველასთვის ცნობილია, მაგრამ მისი მკურნალობის დეტალები დღემდე ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი. ამ სენით მამაკაცებთან შედარებით, ქალები 3-4-ჯერ ხშირად ავადდებიან, 70%-ს მარჯვენა მხარის ტკივილი აღენიშნება, 29%-ს — მარცხენა მხარის. ორმხრივი ტკივილი კი, საბედნიეროდ, მხოლოდ 1%-ის ხვედრია, დაავადების საშუალო ასაკი კი 55 წელია.

პირველი შეტევა ზოგს წინა კბილების მკურნალობისას ან უარყოფითი ემოციების ფონზე უვითარდება, სხვები — სასუნთქი სისტემის ინფექციებს, ტრავმებსა და გადაციებას ადანაშაულებს. ანთება შეტევისებური ტკივილით იწყება, რასაც შეიძლება გამკრავი, ელექტრული დენის დარტყმის მსგავსი ხასიათი ჰქონდეს. შეტევა 15-20 წამი გრძელდება (არა უმეტეს 2-3 წუთისა), როდესაც პაციენტები ტკივილის ხასიათს აღწერენ, მას შეუწყვეტელს უწოდებენ, თუმცა, რეალურად, ძალზე მცირე, მაგრამ შუალედები მაინც აღინიშნება. ზოგიერთს შედარებით ნაკლებად ინტენსიური და ასატანი ტკივილები აქვს. მაგრამ გაფრთხილდით! თუკი „მიუშვებთ", ის ნახევარ, ერთ ან სამ წელიწადში კლასიკურ, მძაფრ შეგრძნებად ჩამოყალიბდება. ტკივილი შეიძლება ზედა და ქვედა ყბას, ლოყებსა და კბილებსაც გადაეცეს. ამიტომაც, პაციენტი ხშირად ცდება და დახმარებისთვის სტომატოლოგს მიმართავს, თანაც „დამნაშავე" კბილის ამოღებას დაჟინებით მოითხოვს. კბილის ამოღების შემდეგ შვებას მხოლოდ მცირე დროით გრძნობს, შემდეგ კი მორიგი შეტევისას სხვა კბილს „ითრევს". და ასე, დაუსრულებლივ, ამიტომაც, ჯერ კიდევ 70-იან წლებამდე, სტომატოლოგები მტკივნეულ ყბას მთლიანად „ასუფთავებდნენ".

გამწვავების პერიოდში სხეულის თუნდაც, მცირეოდენ რხევას ტკივილის პროვოცირება ადვილად შეუძლია (კიბეზე დაშვება და ა.შ.). ტკივილის დროს ემოციებს არ გამოხატავენ, უბრალოდ, ერთ ადგილზე ირინდებიან.

მხოლოდ მცირედისთვის თუა ცნობილი, რომ ამ დროს ტკივილგამაყუჩებლის მიღებას არანაირი ეფექტი არა აქვს და ამიტომაც მათი ნაირსახეობებით თავის „მოწამვლას" არ გირჩევთ. ტკივილისას სასურველია სხვადასხვა პრეპარატის, კერძოდ კი, კარბამიზინის, ფინლეპსინის, ტევრეტოლის, თიმოლინის განსაზღვრული დოზით მიღება... მაგ., კარბამიზინი 1/2 აბით უნდა დაიწყოთ დღეში ორჯერ და თანდათან 1/2 აბი უმატოთ მანამ, სანამ ტკივილი არ მოგეხსნებათ. ამის შემდეგ შეეცადეთ, 1/2 აბის მოხსნა. თუ ტკივილი განგიახლდათ, დაუბრუნდით საწყის დოზას, გახსოვდეთ, დღიური დოზა 4 აბს არ უნდა აღემატებოდეს. მკურნალობის პერიოდში ალკოჰოლისა და თამბაქოსაგან თავი შეიკავეთ, კურსი კი 1,5-2 თვე უნდა გააგრძელოთ. სხვა შემთხვევაში შედეგი არ გექნებათ. წამლის მხოლოდ ტკივილის დროს მიღება საბოლოო ეფექტამდე ვერ მიგიყვანთ. ხშირად სამწვერა ნერვის ანთებას დეპრესია ახლავს და შესაძლოა ე.წ. ფობიურ სინდრომთან გვქონდეს საქმე. ამ შემთხვევაში, ანტიდეპრესანტების და ტრანკვილიზატორების მიღება მიზანშეწონილია. გირჩევთ სიცივისაგან თავდაცვას. უმცირესი, თუნდაც, თბილი ნიავიც კი, ძალზე საშიშია. აუცილებელია სახის ეს ნაწილი თბილად შარფით შეიფუთოთ.

ამასთან, გაფრთხილებთ, არასოდეს გამოიყენოთ სათბურა. ამან შესაძლოა გამწვავების პერიოდის პროვოცირება მოახდინოს. მოერიდეთ შეტევის დროს თავის დაბანას. შეტევის პერიოდის დადგომამდე ნემსებით თერაპიამ შეიძლება დადებითი ეფექტი მოგცეთ. მძიმე შემთხვევაში კი მას უფრო ფსიქოთერაპიის დატვირთვა აქვს. შესაძლოა ლაზერო და ფიზიოთერაპიაც შედეგიანი იყოს.

***მაია მუხიგული***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*


ოჯახის მკურნალი

**თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის**

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

**კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:**

1. დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;
2. ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;
3. სამეანო განყოფილებას;
4. ახალშობილთა განყოფილებას;
5. გინეკოლოგიურ განყოფილებას;
6. თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);
7. ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);
8. სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;
9. რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

**ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა. მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით. მადლობას გიხდით ნდობისთვის.**

*მის: ცოტნე დადიანის №255 (ყოფ. I სამშობიარო სახლი)*

☎ 66-73-70 71 72 73 74




**სომხეთი**

## ერევანმა ატომი მოსკოვს გადააბარა

ერევანში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, სომხეთის ატომური სადგურის 5 წლით კომპანია „ინტერ რაო ეეს“-ისათვის მინდობილობითი მართვით გადაცემის თაობაზე. სომხეთის ენერგეტიკის მინისტრმა არმენ მოვსესიანმა განაცხადა, — მთავრობა ატომური სადგურის აქციების ასპროცენტიან მფლობელად რჩება, მაგრამ სადგურის მუშაობით მიღებული მოგების 25%-ს ანატოლი ჩუბაისის უწყება მიიღებს. რუს ენერგეტიკოსებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ატომური სადგურის შეუჩერებელ და უსაფრთხო მუშაობაზე, მათვე უნდა უზრუნველყონ მისი მომარაგება ბირთვული საწვავით.

ხელშეკრულების დადება იმას ნიშნავს, რომ სომხეთმა არ გაითვალისწინა ევროკავშირის მოთხოვნა — ატომური ელექტროსადგური 2004 წლამდე დახურულიყო. ერევანმა არაერთხელ განაცხადა — ატომურ სადგურს მხოლოდ მაშინ დავხურავთ, როცა სომხეთი ენერგიის ალტერნატიული წყაროთი იქნება უზრუნველყოფილიო. ევროკავშირის პოზიცია, ჩანს, არც „რაო ეეს“-ს ადარდებს. კომპანიის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ანდრეი რაპოპორტის თქმით — ევროკავშირის მოთხოვნა ერევანში ატომური სადგურის დახურვასთან დაკავშირებით, არანაირად არ აისახება სომხეთში „რაო ეეს“-ის საქმიანობაზე. მსოფლიო ბანკმაც მოიწონა გარიგება. მისმა რეგიონალურმა დირექტორმა დონა დოისეტ კოიროლომ ხაზგასმით აღნიშნა, — ატომური სადგურის რუსული კომპანიისათვის გადაცემა სომხეთის ენერგეტიკულ სექტორში ინვესტიციების მასტიმულირებელი გახდებაო.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №37*

**ავღანეთი**

## კეთილისმყოფელებს რას ერჩიან?

ავღანეთში, გილომენდის პროვინციაში, გაეროს ჰუმანიტარულ მისიას თავს დაესხნენ „თალიბანის“ ბოევიკები. დაიღუპა ერთი ადამიანი, ხუთი — მძიმედ დაშავდა. ავღანეთში უცხოელებზე თავდასხმა იშვიათი არ არის. ბოლო ხანს თალიბებისა და ავღანელი ექსტრემისტების ხელით ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა 50-ზე მეტი თანამშრომელი დაიღუპა. უმეტეს შემთხვევაში, თავდამსხმელებმა კარგად იცოდნენ, ვისაც უსწორდებოდნენ. დასავლეთის პრესა ირწმუნება — ამაში ავღანელი რადიკალების ხელი ურევია. ისინი აცხადებენ, — ჩვენს ქვეყანაში უცხოელებს რა ესაქმებათო. არადა უცხოელები უანგაროდ უმართავენ ხელს ავღანელებს — უშენებენ საბავშვო სახლებს,



სკოლებს, საავადმყოფოებს, დიდ ფულს ხარჯავენ ახალი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. მარტო ევროკავშირმა 15 მლნ ევრო გამოყო ავღანეთის ჯანმრთელობის დაცვის სტრუქტურების განსავითარებლად. „ავღანელები ძალიან ამაყები არიან და სწორედ ამიტომ გრძნობენ თავს დამცირებულად, როცა დახმარებას სთავაზობენ. ამიტომაც ებრძვიან კეთილისმყოფელებს“, — ამბობს ქაბულელი მასწავლებელი საალა ხანი. მიუხედავად ამისა, ევროკავშირი არ შეუწყვეტს ავღანეთს დახმარებას.

*იზვესტია №174*

# ბუშს ხელს აძლევს პუტინთან მეგობრობა

ვლადიმირ პუტინის ამერიკაში ვიზიტის წინ, ლონდონში მცხოვრებმა რუსმა ოლიგარქმა ბორის ბერეზოვსკიმ **New-York Times**-ში 410 ათას დოლარად სარეკლამო გვერდი შეიძინა და ანდრეი სახაროვის ქვრივთან, ელენე ბონერთან, სამართალდამცავ ბუკოვსკისთან, თავისუფლებისათვის მებრძოლ ხასბულატოვსა და რიბკინთან ერთად ღია წერილი მისწერა ჯორჯ ბუშს. წერილში 7 კითხვაა, რომელიც, ავტორთა აზრით, აშშ-ის პრეზიდენტს უნდა დაესვა რუსი კოლეგისათვის. ამ შვიდი კითხვის უკან იგულისხმება ის, რაც არ ითქვა, ანუ მთავარი: „მისტერ პუტინ, ამის შემდეგ კიდევ შეგიძლიათ იცოცხლოთ?“



აშშ-ის პრეზიდენტი ამ კითხვებს ალბათ სტუმარს არ დაუსვამდა, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ პუტინის ვიზიტისათვის კარგად მოემზადნენ მისი არაკეთილმოსურნენი. ანტირუსულ პუბლიკაციებს პრორუსული ხასიათის მასალები მოჰყვა. **New-York Times**-ში გამოქვეყნდა აშშ-ის ეროვნული უშიშროების დარგში ყოფილი მრჩევლის რ. მაკფარლეინის სტატია ბევრისმთქმელი სათაურით — „რაც კარგია რუსეთისათვის, ის ამერიკისთვისაც კარგია“. ავტორს მიაჩნია, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში ახალი ფაზა უნდა დაიწყოს. რუსეთიც და ამერიკაც დააზარალა ტერორისტულმა აქტებმა, ამიტომაც ლოგიკურია, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მათი ერთობლივი ბრძოლა. რუსეთი ყოველთვის იყო და არის აშშ-ის დამხმარე ავღანეთში, რადგან მასთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება აქვს. ორივე ქვეყანას დაუშვებლად მიაჩნია ირანის გადაქცევა ბირთვულ სახელმწიფოდ. რუსეთი გაცილებით მომთხოვნი გახდა თეირანის მიმართ მას შემდეგ, რაც ატომის დარგში მსოფლიო კომისიის ანგარიშს გაეცნო ირანში გამდიდრებული ურანის კვალის მიგნების თაობაზე. გარდა ამისა, მოსკოვი ვაშინგტონთან ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამებთან დაკავშირებითაც თანამშრომლობს.

გაზეთი **Financial Times**-ი აღნიშნავს, რომ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა აშკარად გაუმჯობესდა მას მერე, რაც მოსკოვმა უარი თქვა მართვის საბჭოურ სტილზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ლიდერი პირველად ხვდება ამერიკის პრეზიდენტს ისე, რომ სთხოვს ცოტას და სანაცვლოდ მეტს სთავაზობს. თუმცა გაზეთის აზრით, პუტინი „მეტისმეტად მომთხოვნია“. მან გაეროს ასამბლეაზე განაცხადა, — რუსეთი ერაყის სამშვიდობო ოპერაციაში მხოლოდ გაეროს ეგიდით მიიღებს მონაწილეობას. აშშ-ს კი სურს, გაეროსგან მიღებული მანდატის საფუძველზე დამოუკიდებლად აკონტროლოს ერაყი.

**Washington Post**-ი კი შეახსენებს ჯორჯ ბუშს — გახსოვდეს ჩეჩნეთი!.. „ვლ. პუტინი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ერაყში ომისა და დღესაც სკეპტიკურად უყურებს ერაყის აღდგენის ამერიკულ გეგმას. პუტინს მიაჩნია, რომ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ერაყის მიმართ არაბულმა ქვეყნებმა ან გაერომ უნდა მიიღონ. პუტინი ხშირად უდარებს რუსი სამხედროების მოქმედებას ჩეჩნეთში, ერაყსა და ავღანეთში ამერიკელთა ქცევას, მაგრამ ეს ხომ აბსურდია, — პუტინი, რომელმაც ჩეჩნეთში ომი თავისი საპრეზიდენტო ამბიციების სარეალიზაციოდ დაიწყო, ახლა ხაფანგშია გაბმული. იგი სტალინის გზას მიჰყვება, ანადგურებს მისთვის სასურველი ჩეჩნეთის პრეზიდენტის კადიროვის კონკურენტებს, ამერიკელ ჟურნალისტებს კი ეუბნება, — ეს საარჩევნო ტაქტიკააო.

პუტინმა ამერიკელ ჟურნალისტებს განუცხადა, — ბუშისგან ჭკუის სწავლებას ვერ ავიტანო. მას იმედი აქვს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი, რომელსაც ძალზე სჭირდება რუსეთთან თანამშრომლობა, ჩეჩნეთს არც უხსენებს, მაგრამ ბუშმა ეს აუცილებლად უნდა გაახსენოსო.

*ნიუს რუ*

# ირანი მოკავშირეებს პოულობს და კარგავს

ირანის ისლამური რესპუბლიკა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მსოფლიოს დაუმტკიცოს — ბირთვული იარაღის წარმოებას არ ვაპირებთო. ამის შესახებ განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქამალ ხარაზიმ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ჯეკ სტროსთან შეხვედრისას. მან ხაზგასმით აღნიშნა: ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან მჭიდრო კავშირი გვაქვს და ყველანაირად ვცდილობთ მისი ნდობის მოპოვებასო. ერთი სიტყვით, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მკაფიოდ მიანიშნა დასავლეთს — დროა ჩვენკენ პირისახით შემობრუნდეთო. აშშ კი ირანს კვლავაც „პოტენციურად საშიშ სახელმწიფოდ“ მიიჩნევს. თუმცა აქამდე ირანის არც ერთი გასაიდუმლოებული ქარხნის შემოწმებას არ მოჰყოლია იმის მტკიცებულება, რომ აქ მასობრივი განადგურების იარაღს ამუშავებენ. თავისთავად ისმის კითხვა, — რაღა იღონოს ირანმა „პოტენციურად საშიში სახელმწიფოს“ სახელის მოსაშორებლად? ირანის ხელისუფლებამ იმიტომაც მიმართა დიდ ბრიტანეთს, რომ ლონდონმა არაერთხელ განაცხადა, — ირანს აქვს საკუთარი ბირთვული პროგრამის დამუშავების უფლებაო. სავარაუდოდ, მინისტრმა ქამალ ხარაზიმ შეძლო თავისი ბრიტანელი კოლეგის დარწმუნება ირანის ხელმძღვანელობის გულწრფელობაში. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ირანელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, — ლონდონი ხელს შეუწყობს თეირანის დადებით იმიჯსო. ამის მიუხედავად, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ, აშშ-ის ზეწოლით, მეტად ორიგინალური რეზოლუცია მიიღო — თეირანმა ხელი უნდა მოაწეროს ოქმს, რომლის თანახმად ივალდებულებს საკუთარი ატომური პროგრამების შეწყვეტას. ისინი კი, ვისაც ირანი თავის მომხრედ თვლიდა, გაჩუმდნენ...

*კომერსანტი №173*

## მოკლედ

**ერაყის** ეროვნულ მუზეუმს დაუბრუნდა უდიდესი ისტორიული და კულტურული ფასეულობა, დაახლოებით 5 ათასი წლის „შუმერი მონა ლიზას“ ბიუსტი. სკულპტურა ერაყის პოლიციამ და ამერიკელმა სამხედროებმა იპოვეს. ვარაუდი, თითქოს ის ქვეყნიდან გაიტანეს, არ დადასტურდა. ეს მეორე ექსპონატია, რომელიც მუზეუმს დაუბრუნდა. ბაღდადის დაცემის შემდეგ მუზეუმი თითქმის მთლიანად გაიძარცვა.

გარდაიცვალა ცნობილი **რუსი** მოგზაური და ტელეწამყვანი იური სენკევიჩი. ქართველი ტელემაყურებელი მას კარგად იცნობდა მოსკოვის პირველი ტელეარხიდან, სადაც უძღვებოდა სამეცნიერო-პოპულარულ პროგრამას „კინომოგზაურთა კლუბს“.

გაზეთ **„ბერლინერ ცაიტუნგის“** ცნობით, ყოფილი გდრ-ის სახელმწიფო სტრუქტურებში არსებობდა კილერების სპეცგანყოფილება. მათ მკვლელობას უკვეთავდნენ გერმანელებიც და უცხოელებიც. პროკურატურა იკვლევს ამ საქმეს. უკვე დაპატიმრებულია 53 წლის ბერლინელი მოქალაქე. მას ბრალად ედება იმ პირების მკვლელობა, რომლებიც, ყოფილი გდრ-ის ხელმძღვანელობის აზრით, ქვეყნას საფრთხეს უქმნიდნენ.

**შვედეთის** ქალაქ ლუნდში, ჩრდილოეთ და ბალტიის ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთა შეხვედრაზე, ესტონეთის სოციალურ საქმეთა მინისტრმა მარკო პომერანტმა განაცხადა, — მარიხუანის ლეგალიზებას არასოდეს დავუშვებთ, თუმცა, დანიის მსგავსად, ზოგიერთი ესტონელი პოლიტიკოსი ამის მომხრეაო. ესტონელი მინისტრის აზრი გაიზიარეს დანიის, ისლანდიის, ნორვეგიის, შვედეთისა და ფინეთის წარმომადგენლებმა.

**აშშ**-ის ილინოისის შტატის ყოფილმა სენატორმა, შავკანიანმა ქალბატონმა კეროლ მოზლი ბრაუნმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში იბრძოლებს ამ პოსტის დასაკავებლად. კეროლ მოზლი ბრაუნი ამერიკის ისტორიაში პირველი ქალია, რომელსაც პრეზიდენტობის პრეტენზია აქვს.

**ნატო**-ს გენერალურ მდივნად დაინიშნა ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი იაპ დე ჰოოპ სპეფერი. იგი ამ პოსტზე 3 თვის შემდეგ შეცვლის ჯორჯ რობერტსონს.

**გერმანიის** კანცლერ გერჰარდ შრედერის განცხადებით, გერმანია მზად არის ავღანეთში თავისი შეიარაღებული კონტინგენტის გასაგზავნად.

**იაპონიის** კუნძულ ჰოკაიდოზე მომხდარმა მიწისძვრამ 240 ადამიანი დააზარალა. 2003 წელს ასეთი ძლიერი მიწისძვრა მსოფლიოში არ ყოფილა. მთავარი ბიძგი რიხტერის სკალით 8 ბალი იყო. მიწისძვრის დროს მოსახლეობის უმეტესობას ეძინა, დაიღუპა რამდენიმე კაცი, ხანძარი გაუჩნდა ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას.

იაპონიის ამ უკიდურეს ჩრდილოეთ კუნძულზე 5 მლნ ადამიანი ცხოვრობს. აქ რამდენიმე მოქმედი ვულკანია, აგრეთვე ბირთვული რეაქტორი... 1955 წელს ჰოკაიდოზე მომხდარმა მიწისძვრამ 6 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

**ისრაელის** საგარეო საქმეთა მინისტრი სილვან შალომი აშშ-ის სახელწიფო მდივანს კოლინ პაუელს დაჰპირდა, რომ პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურს იასირ არაფატს ამერიკელებთან შეუთანხმებლად არ გაასახლებენ ავტონომიიდან.

**ვენაში**, ოპეკის კონფერენციაზე, მიიღეს გადაწყვეტილება — 1 ნოემბრიდან ნავთობის წარმოება დღეში 900 ათასი ბარელით შემცირდება.

**ლიტვის** სეიმში ლიტველ ებრაელთა გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ სხდომაზე ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარემ რუზვენ რივლინმა დეპუტატებს მოუწოდა — შეულამაზებლად აღიარეთ თქვენი წარსული, გააუქმეთ კანონები, რომლებიც ხელს უშლიან ებრაელებს ლიტვაში თავისი ქონების დაბრუნებაშიო.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*


# ცხოვრება ნაოჭების გარეშე

ადრე თუ გვიან, ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც საკუთარ გარეგნობაში რადიკალური ცვლილებების შეტანა მისთვის უპირველესი პრობლემა ხდება. ნაოჭები, კანის დაკარგული ელასტიკურობა, ნაწიბურები, ხშირად დასასრულის დასაწყისად აღიქმება. რა თქმა უნდა, ყველა ერთგვაროვნად არ ხვდება ამ უსიამოვნო ფაქტს, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ერთხელ გაჩენილი, თუნდაც სულ პატარა ნაოჭი არავითარ შემთხვევაში არ გაქრება თავისით, პირიქით, ის გაღრმავდება და ნელ-ნელა გამრავლებასაც დაიწყებს.

დიდი ხნის მანძილზე, ექიმები და კოსმეტოლოგები, ეძებდნენ ნაოჭების გასწორების არაოპერაციულ საშუალებას.

სკალპელის გარეშე სახის დეფექტების კორექციის მეთოდებს შორის, ყველაზე ფიზიოლოგიური და საუკეთესო აღმოჩნდა ბოტოქსის ინიექციები.

ამ პრეპარატის დახმარებით, დიდი ხანია წარმატებით იკურნება მრავალი ნევროლოგიური დაავადება, მათ შორის ზურგის ტვინის ტრავმის და ინსულტის შემდგომი მდგომარეობის ნარჩენი მოვლენები, ბლეფაროსპაზმი და სხვა.

1998 წელს, კოსმეტოლოგიაში ბოტოქსის პირველად გამოყენების შემდეგ დაიწყო ნაოჭებთან ბრძოლის ახალი ეტაპი.

როგორ მოქმედებს ბოტოქსი? იგი მიმიკური კუნთების მოდუნების გზით იწვევს ნაოჭების გასწორებას.





პრეპარატი აბსოლუტურად უვნებელია, ხოლო პროცედურა არავითარ დისკომფორტს არ იწვევს. გრძელდება რამდენიმე წუთი. ინიექციები კეთდება წვრილი ნემსებით. შედეგი დგება 24-48 საათის შემდეგ და გრძელდება 6-8 თვემდე. ნაოჭები ამ ხნის განმავლობაში გასწორებულია, კანის ზედაპირი გლუვია. არ არის აუცილებელი პროცედურის გამეორება ყოველ 6-8 თვეში, რადგანაც ამ პერიოდში, პაციენტი სწავლობს საკუთარი მიმიკის კონტროლს, რაც საგრძნობლად ამცირებს ნაოჭების წარმოქმნას.

უნდა აღინიშნოს, რომ, მხოლოდ ბოტოქსის დახმარებით შეიძლება თვალების ირგვლივ „ბატის თათების“ და შუბლზე „გაბრაზების“ ნაოჭის გაქრობა.

ბოტოქსის ინიექციების წყალობით ინარჩუნებს სილამაზეს და მომხიბვლელობას ჰოლივუდის მრავალი ვარსკვლავი და მსოფლიოს ასეულათასობით ადამიანი.

დღეისათვის, საქართველოში, ნაოჭების გასწორება ბოტოქსით შესაძლებელია მხოლოდ სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“, სადაც უსაფრთხოდ და ეფექტურად მკურნალობენ მაღალი კვალიფიკაციის, მსოფლიოს მოწინავე ცენტრებში დახელოვნებული სპეციალისტები.

გახსოვთ ზღაპარი კონკიაზე? რამდენჯერ გიოცნებიათ გეგრძნოთ თავი მშვენიერ პრინცესად და მეჯლისის დედოფლად? ალბათ ყოველთვის თვლიდით, რომ ამგვარი რამ მხოლოდ ზღაპარში ხდება. თუ გნებავთ სასწაული საკუთარ თავზე გამოსცადოთ, მხოლოდ ისურვეთ და მოემზადეთ ცხოვრებაში უდიდესი ტრიუმფისათვის.

**ექიმი ქირურგი: გია გვარამია**

**სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი“**

**კოსტავას ქ. №63**

**ტელ: 25-27-09 33-00-72**

# „ბარტერი“ ჩაიშალა



ედუარდ შევარდნაძის გეგმებმა იალტის სამიტზე აფხაზეთის საკითხის განხილვის თაობაზე, ეტყობა, ჩაილურის წყალი დალია. დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა იალტაში შეკრების წინ, შევარდნაძე ამბობდა, — პუტინს აფხაზეთის სანაცვლოდ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების დატოვებას შევთავაზებო, მაგრამ „ბარტერი“ არ გამოუვიდა.

სამშობლოში დაბრუნებულმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ „რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და პირადად მისმა ხელმძღვანელმა შეუშალეს ხელი სამიტის დღის წესრიგში აფხაზეთის საკითხის შეტანას“, მაგრამ მისი „კატეგორიული მოთხოვნით“, ეს პრობლემა მაინც განიხილეს. საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ბოლო დროს არ სრულდება დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების 1995-96 წლების გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და სეპარატისტულ რეჟიმთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტაქტებს ზღუდავს. მაგალითად მოიყვანა აფხაზეთის მოსახლეობისთვის მასობრივად რუსეთის მოქალაქეობის მიცემა. ამაზე რუსებმა თქვეს, — ნახევარმა მილიონმა ქართველმა რომ მიიღო რუსეთის მოქალაქეობა, ამაზე რატომ არაფერს ამბობს საქართველოს ლიდერი, თუ მათთვისაც უარი უნდა გვეთქვაო? ამასობაში, ჩაიშალა გაეროს ეგიდით მიმდინარე ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მეორე რაუნდი, რომელიც 23 სექტემბერს თბილისში უნდა შემდგარიყო — აფხაზეთის დელეგაციამ უარი განაცხადა საქართველოს დედაქალაქში ჩასვლაზე. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განმარტებით, მათი ჩაუსვლელობის მიზეზი იყო საქართველოს ზოგიერთი მაღალჩინოსნის მიერ საქართველოს ტელევიზიით გაკეთებული განცხადება. კერძოდ, 22 სექტემბერს ღია ეთერში საგანგებო საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე, დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ავთანდილ იოსელიანი და ე.წ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი მომავალ შეხვედრაზე საუბრისას სერგეი შამბას თბილისში ჩამოსვლისთანავე დაპატიმრებით დამუქრნენ. გარდა ამისა, მოლაპარაკებების ადგილამდე აფხაზეთის დელეგაცია ავტომობილებით უნდა მისულიყო. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აფხაზეთის უშიშროების სამსახურებმა დელეგაციას ურჩიეს, თავი შეეკავებინათ მგზავრობისაგან დასავლეთ საქართველოს გავლით, სადაც თავისუფლად დათარეშობენ დივერსიულ-ტერორისტული ფორმირებები.

***იზვესტია №174***

# ვალარში: „ჩვენ აფხაზების გვერდში ვდგავართ“

*(დასაწყისი მე-14 გვ-ზე)*

**— მართალია, რომ ომის დასასრულს ჩვენს წინააღმდეგ მხოლოდ ადგილობრივი ქართველები იბრძოდნენ, ხოლო დანარჩენი ქართული ჯარი წავიდა?**

— არ ვიცი, ერთადერთი, რაც მახსოვს, როცა გუმისთასთან ვიდექით, ჩვენს წინააღმდეგ ყარყარაშვილის გვარდიის ორი ბატალიონი იბრძოდა. ამ ეროვნულ გვარდიას რატომღაც მხოლოდ ჩვენს წინააღმდეგ იყენებდნენ. როცა შრომას ვიღებდით, მაშინ უკვე სამი ბატალიონი გამოიყვანეს. ერთი ბატალიონის წინააღმდეგ — სამი! ჩვენ ყარყარაშვილის ყურადღება მივიქციეთ, ამასობაში კი ბრიგადის მეთაურმა კილბამ შრომა აიღო.

**— რამ განაპირობა სომხური ქვედანაყოფის სომხური სახელმწიფო დროშით გამოსვლა?**

— სომხებმა სომხური დროშა მოითხოვეს, ვინ დაუშლიდათ? აფხაზურ დანაყოფს — აფხაზური დროშა ჰქონდა, ჩეჩნები — თავისი დროშით გამოდიოდნენ, თუმცა ჩვენ აფხაზეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო შენაერთი ვიყავით.

**— თქვენს რაზმებში გლეხებიც იბრძოდნენ. ეტყობა, ისინი მოუმზადებლადაც კარგი მებრძოლები არიან.**

— მებრძოლის გენი მემკვიდრეობით გამოგვყვა. გლეხს თუ მიწის წართმევა დაუპირე, ყელს გამოგღადრავს. დარწმუნებული ვარ, ქართველებს თავისი მიწა რომ ჰქონოდათ დასაცავი, მაგალითად, სადმე კახეთში, მათი გლეხიც არანაკლებ იომებდა, მაგრამ ქართველ თბილისელ ბიჭს აქ რისთვის უნდა ებრძოლა, მას არ უნდოდა აფხაზურ მიწაზე სიკვდილი, ამიტომაც ისინი პირველ რიგში მორალურად მარცხდებოდნენ.

**— როგორ აფასებთ აფხაზეთში სომხური დიასპორის ახლანდელ მდგომარეობას? შთაბეჭდილება იქმნება, რომ სათვისტომო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მაინცდამაინც არ მონაწილეობს.**

— ომი დამთავრდა. ხალხი ბიზნესს ეწევა, სახელისუფლო სტრუქტურებშიც მონაწილეობს. შეიძლება ზოგ საყოფაცხოვრებო საკითხში გვიჭირდეს, ისევე, როგორც აფხაზებს, მაგრამ თავისუფლება და ადამიანის უფლებები არ იზღუდება.

**— ახლა აფხაზეთში მდგომარეობა დაძაბულია, ემზადებიან საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.**

— ჩემი პოზიცია ასეთია: რადგან ქვეყნის პრეზიდენტი მხოლოდ და მხოლოდ ეროვნებით აფხაზი უნდა იყოს, ჩვენი საქმე არჩევნებში ჩვენი პოზიციის გამოხატვაა. ამისათვის უსათუოდ მოვამზადებთ სათვისტომოს, ავირჩევთ ჩვენს კანდიდატს და მხარსაც დავუჭერთ.

**— კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ აფხაზეთი დემოკრატიული სახელმწიფოა. იქვეა არაკონსტიტუციური მუხლი — პრეზიდენტი უსათუოდ აფხაზი უნდა იყოსო. დიასპორა რატომ ეთანხმება ამას?**

— დღეს აფხაზურმა ეთნოსმა თავად უნდა განსაზღვროს თავისი ბედი. მას ამის უფლება აქვს. ეს გვათავისუფლებს იმ მორალური პასუხისმგებლობისა და ზოგიერთი შეცდომისაგან, რომელსაც შეიძლება ისტორიული ხასიათი ჰქონდეს. ჩვენ აფხაზ ხალხს ყოველთვის გვერდით დავუდგებით. რაც შეეხება კონსტიტუციის ამ მუხლს, ის აუცილებლად შეიცვლება...

***ლავრენტი ამშენცი***
***იბეჭდება შემოკლებით***
***აფსნი ინფორმი***

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ქართველი ჩინოსნების წინააღმდეგ

როგორც ეტყობა, საქართველოს ხელისუფლებასა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის შავმა კატამ გაირბინა, უფრო სწორად, შავმა კი არა, ჟღალმა — ანატოლი ბორისოვიჩ ჩუბაისის სახით. რუსეთის ენერგოექსპანსიამ მართალია დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ქართულ პოლიტიკურ წრეებში, მაგრამ ფაქტი უტყუარია და განსჯას არ ექვემდებარება. ქვეყნის ენერგეტიკულ ბაზარზე ასეთი გლობალური პერტურბაციები ქართველებსა და მეგობარ ამერიკელებს შორის, რასაკვირველია, ახალ ურთიერთობას კარნახობს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განიზრახა შეუკვეცოს საქართველოს ფინანსური დახმარება, რადგან „ქართულმა მხარემ ვერ განახორციელა ის ეკონომიკური პროექტები, რომელშიც ამერიკელები ეხმარებოდნენ“. ისმის კითხვა — სად გაქრა საქართველოს ეკონომიკის ფეხზე დასაყენებელი ფული? ავი ენები ამბობენ, ჩინოსნები, კერძოდ კი ქართველები, ძალ-ღონეს ეკონომიკური პროექტების განსავითარებლად კი არ ხარჯავენ, არამედ გასამდიდრებლადო. ვაშინგტონი კი სულაც არ აპირებს ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირთა „მწვანეებით“ ავსებას.

***გაზეტა სნგ***

# შარიათის ჯალათი ქართველ მწყემსს ვერ დაეწია

როსტოვში დაიწყო სასამართლო პროცესი ცნობილი საველე მეთაურის ჰასან ისაბაევის იმ ჩეჩენი „ბოევიკებისა“, რომლებიც შარშან, ივლისში, პანკისის ხეობიდან რუსეთში გასვლას აპირებდნენ. „ბოევიკთა“ უმრავლესობა ჩეჩნეთში, ითუმ-ყალეს რაიონში, მესაზღვრეებმა დახოცეს. რამდენიმე გადარჩა. მათგან ერთ-ერთია ყოფილი შარიათის სასამართლოს ჯალათი, რომელმაც აღიარა 37 ადამიანის დასჯაში მონაწილეობა. დასჯილთა შორის ჩეჩნებიც იყვნენ, ისინი, ვინც ფედერალურ ჯარებთან თანამშრომლობდნენ.

იგი გახლავთ ურუს მარტანელი 26 წლის შამხან შაიფოვი. მან წინასწარ დაკითხვაზე აღიარა, რომ 1997 წლიდან ასლან მასხადოვის გვარდიაში იყო.

1998 წელს შარიათის სასამართლომ შაიფოვს სასამართლო განაჩენის აღსრულება დაავალა. ჯერ ბოროტმოქმედებებში დადანაშაულებულ ჩეჩნებს ხვრეტდა, მეორე ჩეჩნური ომის დაწყების შემდეგ კი ფედერალების და მათი მომხრეების დასჯაც მიანდეს.

შაიფოვი, ალი დურიევი, არსან რაჰიმოვი 2001 წელს გელაევის დარბეულ-განადგურებულ რაზმს შეუერთდნენ. შემდეგ პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში, ჩეჩენ ბოევიკთა საწვრთნელ ბანაკს შეაფარეს თავი, სადაც აბდულ-მალიდა მეჯიდოვის (მეტსახელად „იაგუარი“) ხელმძღვანელობით, დივერსანტობას სწავლობდნენ.

2002 წლის ზაფხულში გადაწყდა ბოევიკების რამდენიმე ჯგუფის ფართომასშტაბიანი გასვლა ჩეჩნეთისკენ. ახმეტის რაიონის მხრიდან უნდა გასულიყვნენ ჰასან ისაბაევის, ვახა მურადოვის და ვინმე მინკაილის რაზმები. როგორც ბრალდებულები ამბობენ, ისინი ქართველი მესაზღვრეების დახმარებით აპირებდნენ საზღვრის გადაკვეთას. ნატო-ს სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა „ბოევიკებმა“ მეგზურებად ადგილობრივი მწყემსების დაქირავება მოინდომეს. ერთ-ერთმა მწყემსმა, ლევან თელიძემ, რუს მესაზღვრეებს შეატყობინა „ბოევიკების“ გეგმა. მისი მეშვეობით, 2002 წლის 24 ივლისს, უძველესი ვაინუხური სიმაგრის, ჰანგიჰოის ნანგრევებთან, სასაზღვრო ჯარებმა 60- კაციანი ბოევიკთა ჯგუფი შეიპყრო, ბრძოლამ 3 დღეს გასტანა. ორივე მხრიდან იყო მსხვერპლი. ამის შემდეგ გამცილებლებმაც და ცოცხლად დარჩენილმა ბოევიკებმაც საქართველოს მთებს შეაფარეს თავი. ამბობენ, ზოგიერთი მათგანი მერე ადგილობრივმა მესაზღვრეებმა შეიპყრესო.

ახლა ოთხი ბრალდებული პასუხს აგებს მართლმსაჯულების წინაშე, ისინი ალბათ ნანობენ, რომ ქართველი მწყემსი ხელიდან დაუსხლტათ.

***რეგიონს რუ***

***რუბრიკა მოამზადა***
***თინათინ მარგველაშვილმა***

# საქართველოს ეკონომიკა მაინც ვითარდება



**გიგლა კუნჭულია**

25 სექტემბერს „ექსპოჯორჯიის“ საგამოფენო ცენტრში გამართულ საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენის დახურვის საზეიმო ცერემონიალზე „ქართული ხარისხის“ ფონდმა საუკეთესოდ აღიარა და დააჯილდოვა 7 კომპანია. ესენია:

„ქართუ უნივერსალის“ ნაყინის წარმოება, „სანტე უოლშ პროდუქტის“ მაწონი, ხაჭო, არაჟანი, „ტრიუმფის“ ალკოჰოლური სასმელები, „საქცემენტის“ ცემენტი, „სავანეთის“ ქათმის კვერცხი, „კანარგო სტანდრტ ოილის“ მომსახურების სფერო და ინტერნეტ-მაღაზია „შოპ ჯი კომი“. როგორც გამოფენის ორგანიზატორთან და „ექსპოჯორჯიის“ ხელმძღვანელ კახა გველესიანთან საუბარში გაირკვა, ეს იყო სპეციალიზებული საერთაშორისო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო საფრანგეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სხვა უამრავი ქვეყნის სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელებისა და შესაფუთი ტექნოლოგიების ნაწარმი.

„ფონდი ქართული ხარისხის“ მიერ ჩატარებული აქციის შესახებ ორგანიზაციის პრეზიდენტ **გიგლა კუნჭულიას** ვესაუბრეთ:

— ჩვენი ინიციატივით 19 სექტემბერს დაარსდა ხარისხის დღე და მოეწყო ერთგვარი ხარისხის კვირეულიც. პროექტში გათვალისწინებული გვაქვს, მივანიჭოთ საუკეთესო ხარისხის ნიშანი ამა თუ იმ კომპანიას, რაც პირველად განხორციელდა „ექსპორჯორჯიის“ მიერ მოწყობილ საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იყო აწ უკვე დაჯილდოებული 7 კომპანიის პროდუქცია, ხარისხის მენეჯმენტის სრული შეფასების შედეგად საუკეთესოებს სერტიფიკატები გადავეცით.

**— რა იყო საუკეთესო ხარისხის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი?**

— მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტები და ხარისხის მენეჯმენტი. შეფასდა პროდუქტის წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, ნედლეული, მუშამოსამსახურეთა კვალიფიკაციის დონე, დისტრიბუცია, მზა პროდუქცია, მარკეტინგი გაფორმების თვალსაზრისით, უსაფრთხოების დაცვა — ეს იყო ძირითადი განმსაზღვრელი, რის მიხედვითაც საუკეთესო ხარისხის წოდება მიენიჭა 7 ქართულ კომპანიას. ეს არც ისე ცოტაა. შეიძლება დღეს მაინცდამაინც არ იგრძნობა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკა მაინც ვითარდება.

***ეკა ლომიძე***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
27 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1135 |
| ევრო | 2,4246 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5044 |
| რუსული რუბლი | 0,0693 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5416 |


თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი
აგრძელებს მიღებას მაგისტრატურაში.
სპეციალობა: საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი
მის: აკადემიკოს გიორგი წერეთლის ქ. №3, ვაკის პარკთან
☎ 23-08-83; 23-18-73

შპს „გეოკორი“ აწარმოებს

ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

„ჰოლანდიის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ასლგადამღები აპარატები
1. იჯარა - ლიზინგი
უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი

ქსეროასლები
შავ-თეთრი წითელი ლურჯი
2-დან 5 თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი ქსეროასლები
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
აკინძვა, ლამინირება

პლაკატების, ბუკლეტების, ეტიკეტების, ლოგოების და მოსაწვევი ბარათების
მხატვრულ-დიზაინერული და კომპიუტერული გაფორმება

შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“
LIBCO Company LTD
თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1, მოზარდ-მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89

# ცხოვრებისეული კურიოზები



## — საქონლის მეტი რა მყავს!..

მალაზიაში ვმუშაობდი ქუთაისში. ფული ვისესხე ერთი ნაცნობი სვანისგან. დამაგვიანდა ვალის გადახდა. ერთ მშვენიერ დღეს მოვიდა ჩემი „მევახშე“ და მუქარა დამიწყო:

— ფული მომეცი დროზე, თვარა არ ვიცი რას ვიზამ!..

მე ვუთხარი:

— ბიჯო, ახალ საქონელს ველოდები და როგორც მომივა, მოგცემ-მეთქი.

— რათ მინდა შენი საქონელი, — იყვირა ხმამაღლა, — საქონლის მეტი რა მყავს მესტიაში!..

*ჯანო, ქუთაისი*

## ქუთაისური დაცვა



ამ ცოტა ხნის წინ ჩვენს ქალაქს (ქუთაისს) პრეზიდენტი ეწვია სტუმრად. ჩემს დასთან ერთად მოვდიოდი დიდი ჩანთით, პროდუქტები მომქონდა. თეთრ ხიდზე რომ გადავდიოდით, ჩემმა დამ მითხრა, — მოდი, დაცვა შევაშინოთო. ვუთხარი, — გაჩერდი, არაფერი თქვა, ამათ ჩემი მტერი ენდო-მეთქი...

შუა ხიდზე რომ გადავდივართ, პირდაპირ პოლიციელის წინ მთელი ხმით გამომიცხადა: „დადე ახლა ეგ ჩანთა, ზუსტად შუა ხიდზე ვართ!“

ამის გაგონებაზე პოლიციელებმა ყურები ცქვიტეს, ერთ-ერთი მაშინვე წინ გადაგვიდგა:

— უკაცრავად, თქვენ რა გვარი ბრძანდებით?

სანამ ხმას ამოვიღებდი, პასუხი ჩემმა დამ დამასწრო, — ქართველი კამიკაძეები ვართ, ბატონო. რა მოხდა, რამე პრობლემა ხომ არ არისო?

ამის გაგონებაზე ერთ-ერთმა პოლიციელმა არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ შუა ხიდიდან გადახტა რიონში... არც პრეზიდენტი გახსენებია და არც სამხრეებზე უფიქრია...

*ჯანსულ ბოჭორიშვილი, ქუთაისი*

## უჯანა მხრიდან გაწუხებთ!..



კომუნისტების დროს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონიდან ცხვრის ფარები ყიზლარის საძოვრებზე გადაჰყავდათ გამოსაზამთრებლად. მთელი ექვსი თვის მანძილზე იქ ბინადრობდნენ ცხვარიც და მეცხვარეებიც. თუკი რაიმე პრობლემა შეექმნებოდათ, იქიდანვე ელაპარაკებოდნენ ტელეფონით თავიანთი რაიონის ხელმძღვანელობას.

ერთხელაც მაშინდელი ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხარის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე მისულა კოჩუბეის ფოსტაში და რაიკომის მდივანთან სალაპარაკო შეკვეთა მიუცია. ფოსტის გამგეს ნომერი აუკრიფავს და დამკვეთისთვის გადაუცია ყურმილი. როდესაც ადრესატმა, ანუ რაიკომის მდივანმა უპასუხა, გამგემ თავისი სახელი უთხრა და შესახსენებლად ისიც დაუმატა — უკანამხრიდან გაწუხებთო (ე. ი. უკანამხარის კოლმეურნეობიდანო).

— შენი მკვდარი და ცოცხალი შეაწუხე უკანა მხრიდანო! — შეუკურთხა თურმე რაიკომის მდივანმა და ყურმილი დაუკიდა.

*შალვა ჭოლიკაური, თიანეთი*

## არაორდინარული ნამდვილი ამბავი, ანუ „მის საქართველოს“ მაძიებელთა ფათერაკები...



ამ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა პოპულარულმა სააგენტომ გამოაცხადა სილამაზის კონკურსი „მის საქართველოს“ გამოსავლენად. კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის მითითებული იყო ტელეფონის ნომრები. სათანადო რეკლამები ტელეარხებითაც გადაიცა და...

სწორედ ამ დღიდან დაიწყო ჩემი და ჩემი მობილურის „წამება“. დღე ერთი იყო და 4-5 ლამაზი ხმის მქონე გოგონა მირეკავდა. ამ ზარების „მიზეზი“ კი ის გახლდათ (მოგვიანებით, ერთ-ერთი სარეკლამო რგოლის ხილვისას დავადგინე), რომ ჩემი და სააგენტოს მობილურის ნომრებს შორის მხოლოდ უკანასკნელ ციფრში იყო განსხვავება და ეშლებოდათ...

როცა პირველად დამირეკა სირინოზის ხმით ერთმა 18 წლის გოგონამ და სილამაზის კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა, გაოცებისგან ყბა ჩამომივარდა. მერე ვიფიქრე, მეგობრები მაშაყირებენ-მეთქი. ბოლოს კი ზარებმა გეომეტრიული პროგრესიით რომ იმატა, ჩემი მოთმინების ფიალაც აივსო და გადავწყვიტე, შური მეძია. ეჭვი ჩემს ერთ-ერთ მეგობარზე მივიტანე, რომელიც ვეტერინარიის დეპარტამენტში მუშაობს და მსგავსი ხუმრობები უყვარს.

მოკლედ, როცა ყურმილში კვლავ გაისმა ჟრუანტელისმომგვრელი ნაზი ხმა, გოგონას საქმიანი კილოთი გამოვკითხე ე. წ. პარამეტრები (მე პერიმეტრები ვუთხარი, თუმცა გოგონას არ გაუპროტესტებია) — მკერდის, წელის და თეძოს გარშემოწერილობა, ასაკი, თმისა და სახის ფერი...

ზოგიერთ პიკანტურ დეტალზე კონკურსში მონაწილეობის მსურველი მორცხვად მპასუხობდა. ბოლოს კი განვუმარტე, რომ კონკურსში მონაწილე აუცილებლად გაუთხოვარი უნდა ყოფილიყო და თანაც აუცილებლად ქალწული(!), რისთვისაც სათანადო ცნობის წარმოდგენა დაგჭირდებათ-მეთქი.

— ქალწულობის ცნობას ვინ მომცემს? — დაინტერესდა ჩემი „რესპონდენტი“.

— საამისოდ ვეტდეპარტამენტის შენობაში, მე-3 სართულზე, ბატონ გ.-ს უნდა მიაკითხოთ (ჩემი მეგობარი დავუსახელე), ამ ცნობას ის იძლევა. თან ისიც უთხარით, რომ სააგენტოდან ბ-ნმა ზვიად ჩაკვეტაძემ გამომაგზავნა-თქო.

გოგონამ ყველაფერი სიტყვა-სიტყვით ჩაიწერა და თქვენ წარმოიდგინეთ, ვეტდეპარტამენტში ჩემს მეგობარს, ძროხებისა და ბუღების სპეციალისტს ქალწულობის ცნობის ასაღებად მიადგა...

ამ ამბავს ჩემი მეგობარი ასე იხსენებს:

— ოთახში ანგელოზი შემოვიდა. ჯერ ვერაფერი თქვა. ბოლოს, როგორღაც მოახერხა და ყურში ჩამჩურჩულა, სააგენტოდან ზვიად ჩაკვეტაძემ გამომგზავნა, თქვენ რომ იცით, იმ ცნობისთვისო. ფეტვივით დავიბენი, ვერაფრით წარმოვიდგინე, რა ცნობა უნდოდა ამ მანეკენივით ლამაზ გოგოს და როცა ქალწულობის ცნობა და სილამაზის კონკურსი ახსენა. მივხვდი, კიდევ ერთხელ რომ მაშაყირებდა ჩემი მეგობარიო!..

P.S. ამ ამბავს, სასიამოვნო გაგრძელებაც აქვს. ჩემი მეგობარი დღესაც ურეკავს იმ მშვენიერ გოგონას და მგონი, მალე ქორწილშიც მომიწევს ქეიფი...

*ზვიად ჩაკვეტაძე, თბილისი*

## დროს თავისი გააქვს!..



ჩემს ახლობელ მექალთანე თემურიას, რომელიც უკვე კაი ხნისაა, ეკითხებიან — რა განსხვავებაა ადრინდელ და ახლანდელ დროშიო?

ისიც დაუფიქრებლად იძლევა განმარტებას: — განსხვავებაც არის და განსხვავებაც! — ადრე რომ ქალს ჩავისვამდი მანქანაში და ქალაქგარეთ გავაქროლებდი, სულ ვფიქრობდი, დამნებდება თუ არა-მეთქი! ახლა კი როცა ჩავისვამ ქალს და ქალაქგარეთ მივაქროლებ, სულ ვფიქრობ, — რომ დამნებდეს, რა მეშველება-მეთქი, გაიგეთ!!!

*თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



გურულს გორბაჩოვის მშრალი კანონის ხანაში, თავის ბინაში, ჩხრეკისას სპირტის სახდელ აპარატს აღმოუჩენენ.

— რატომ უნდა დამიჭიროთ? — ყვირის გურული, — მე მაგი არასოდეს გამომიყენებია სპირტის სახდელად!

— მერე რა, აპარატი ხომ გაქვს? — ეტყვის პოლიციის თანამშრომელი.

— მაშინ გაუპატიურებისთვისაც დამიჭირეთ, მაგის დედაც ვატირე!

— შენ რა, ვინმე გააუპატიურე?

— არა, მაგრამ აპარატი ხომ მაქვს?

*ჯანსულ ბოჭორიშვილი, ქუთაისი*

— ძია, როგორ გავიგო, საზამთრო კარგია თუ ცუდი? — ეკითხება მიხოს პატარა ბიჭი მეზობელს.

— ძირს უნდა დაარტყა და თუ არ ახტა, ზნაჩიტ კარგია!..

*ნ. გ., ხაშური*



*ორმოცი წლის წინანდელ ფეხბურთის მატჩზეეროსი მანჯგალაძის კომენტარის თანამედროვე ინტერპრეტაცია:*

„— მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე,.. მოატყუა მესამე, არხეინად მოირგო ბურთი ფეხზე... ვინ არის?

— ქართველი პარლამენტარი!“

*ქუთაისელი*



სვანის შვილმა პირველი სიტყვა „მამა“ თქვა და რუსულ სკოლაში შეიყვანეს.

*ნინიკო, თბილისი*

ასეც ხდება:

— ძამა, რა გვარი ხარ შენ?

— მე, გაგუა ვარ!

— რომელი გაგუა, — ღლონტი?

*გიორგი თავდიდელი, თბილისი*



*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

## მილოცვა



**ვიტო ტატიშვილს!**

ჩვენო საყვარელო ვიტო, გილოცავთ დაბადების დღეს. ძალიან გვიყვარხარ ყველას. სულ მალე გვეყოლები შენით, როგორც დიდი ფეხბურთელი.

*დაჩი, გიო, მარი, ნიტა*

**იაკობ (გუგული) დავითის ძე იაკობიძეს!**



გუგულ პაპა, გილოცავთ დაბადების 70 წლისთავს. იყავით კარგად, ჯანმრთელად. გისურვებთ ბედნიერ სიბერეს. პირობას გაძლევთ, გავიზრდებით და ვიქნებით თქვენნაირი კარგი ადამიანები.

*პაპის საყვარელი — შვილიშვილები: გიორგი, დათიკო, ტატო, თორნიკე, მარი*

## მადლობა!

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით, მთელი საქართველოს წინაშე მადლობა გადავუხადო შპს „გეორგიას" პრეზიდენტს, ბატონ გელა ოთარის ძე ძიძიკაშვილს, იმ დიდი ადამიანურობისთვის, რაც მან გაუწია ჩვენს ოჯახს, ერთი წლის განმავლობაში. ღმერთმა გისურვოთ ...

*პატივისცემით, ნაილი ...*

## ბინები

იყიდება 3-ოთახიანი ბინა საბურთალზე, 7(8), ... ფასი: $15.000. ტელ: 61-07-96; 877 49-47-83

სასწრაფოდ! იყიდება 40 კვმ მიწის ნაკვეთი, პროექტით და მშენებლობის ნებართვით, ... ტ: 899-94-11-94

სასწრაფოდ! იყიდება ... ახალი აშენებული ... სახლი, ... 320კვმ, 1200კვმ, ... 350კვმ ... ტ: 899 94-11-94

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოჯახებში ... AU-PAIR პროგრამით, ... ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქეთი)

გვჭირდება 4 ვაჟკაცი. ... 200-400$ ... ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; ...

Международная корпорация производит подбор сотрудников с высшим образованием, возраст 25-45 л. Переподготовка бесплатно, запись на собеседование по тел: 34-96-04; 95-79-32

## ვეძებ სამუშაოს

ვარ პროფესიონალი მძღოლი ყველა კატეგორიით, თბილისელი, 35 წლის. ... ტელ: 70-25-11; 70-49-40. გელა

## მომსახურება

ვარ პედაგოგ-ფსიქოლოგი. ... ფასი $60. ტელ: 96-37-49

... ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ...

„ფესვები" ... ფასი – $200. ... ტ: 37-77-58; 93-19-52; 899 168-168. ...

... ტელ: 98-86-19; 893 90-15-52. ...

... ტელ: 893 31-05-49. ლალი

... ტელ: 37-74-22. მანანა

... ტელ: 899 74-86-24; 66-86-66 (საღამოს)

„ახალგაზრდა დიზაინერთა ასოციაცია" გთავაზობთ: 1. ... 4. ... მის: მარჯანიშვილის ქ. №5, მე-2 სართ. ... ტელ: 91-11-94; 899 10-93-97; 893 34-31-33; 893 21-42-64

## განცხადება

... გაზ. № 115 ... ტ: 95-83-54; 53-44-39; 899 97-85-46

უცხოური უახლესი მეთოდებით, უცხოური აპარატურით, ტრენაჟორებით და ჩინური ნემსებით, ყველა ასაკში სწრაფი შედეგებით — სრული გარანტიით ალვიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს — ენაბორძიკობას, ლოგონევროზს, ნევროზს, ფსიქოლოგიურ აშლილობებს, ენაჩლუნგობას (თლიფინებს), პარეზებს, დცპ-ს — თბილისში — მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, თსუ-ის ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი ქ-ნი ინა კომახიძე. მიღება წინასწარი ჩაწერით: 899 55-05-75

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით ლიცენზირებულ სამედიცინო ცენტრში, მაღალი შედეგებით. მის. ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-15 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

ვმკურნალობთ უახლესი მეთოდებით მეტყველების დარღვევებს, ენაბლუობას (ლოგონევროზი), ენაჩლუნგობას, ალალიას, აფაზიას. რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრი, ლოგოპედიური განყოფილება. მის: ვაჟა-ფშაველას 18ა. ტელ: 39-01-12 (სამს.); 23-12-89 (ბინა). ლომთათიძე ლალი

ექიმი დერმატოლოგი ნანა თურმანიძე თავისი მალამოებით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: ჭრილობას, დამწვრობას, ნაწიბურს, ბუასილს, კანის დაავადებებს — ეგზემა, დერმატიტი, სოკოვანი დაავადებები, ფურუნკული, კარბუნკული, ფსორიაზი, წითელი ქარი. ტელ: 37-35-65

თურმანიძის მალამოები უებარია ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა დამწვრობა, ჭრილობები, შეუხორცებელი ჭრილობები, ოპერაციის შემდგომი ჭრილობები, დაჩირქებები, ონკოლოგიური ჭრილობა-დაჩირქებები, ნაჩემსარი, მასტიტი, კრტების დახეთქვა, ნაწოლები, ბუასილი, ნაღრძობები, ტროპიკული წყლულები, ეგზემა-ფსორიაზი, სოკო. ტელ: 39-75-39; 899 116-118. რუსუდან თურმანიძე

ჰიპერტონია, ართიმია, სახსრები, მარილები, ნევროზი, დეპრესია, შიშები, უძილობა, ვარიკოზი, თრომბოზი, სისხლძარღვების შევიწროება, ფსორიაზი, კანის სხვადასხვა დაავადება, პროსტატიტი, ცისტიტი, პრობლემური კლიმაქსი. მკურნალობა აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით. ტელ: 99-75-90; 899 22-63-90. ნინო

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

გრძელდება მიღება ქართულ და რუსულ ენებზე, კოსმეტიკის შემსწავლელ კურსებზე. შეისწავლება სახის კანის დეფექტები, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ლოსიონები, ნიღბები, საპნები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის №90 (მ. „მარჯანიშვილის" წინ). III სართ. ტ: 66-53-56; 893-33-09-66

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61; 899 53-10-08

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

გამოცდილი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი, აბიტურიენტებს მოამზადებს ისტორიაში შეღავათიანი პირობებით. ტელ. 22-78-56

შეგასწავლით ბუღალტრულ აღრიცხვას საერთაშორისო სტანდარტებით. საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობას. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს „ორის ბუღალტერია", „ინფო ბუღალტერი", კურსდამთავრებულებს ერთი წლის მანძილზე გაეწევათ პრაქტიკული დახმარებები. ფასი ჯგუფში 70 დოლარი, ინდივიდუალურად — $250. ტ: 33-30-88; 899-78-24-96

## იყიდება

დარბაზისთვის საჭირო დიდი ზომის ტრენაჟორი. ტელ: 58-78-88; 893 32-14-12

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართავით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

პოკერის სათამაშო აპარატები. ტელ: 877 72-29-53; 52-35-53. გოჩა (საღამოს)

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მამაკაცთა საპარიკმახერო, 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

დაიკარგა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №23400/2002 1/12/12/24/53, რომელიც ადასტურებს საკუთრების უფლებას **გოჩა მაჩაიძის** კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე ჭყონდიდელის ქ. №22

## ხსოვნა

45 წლის ასაკში გარდაიცვალა აფხაზეთიდან, ოჩამჩირის რაიონის სოფ. კოჩარადან დევნილი

**გურამ ლაზარეს ძე დადვანი**

*დაკრძალვა ქ. ბოლნისში, ხუთშაბათს, 2 ოქტომბერს.*
*მისამართი: ჩოლოყაშვილის ქ. №48*

**გურამ დადვანს!**



რა ულმობელია ცხოვრება, რა უზომო ტკივილის მიყენება შეუძლია თუნდაც იმ ოჯახისთვის, იმ ადამიანისთვის, რომელსაც თავისი დღე და მოსწრება, უფლისა და ხალხის სამსახურში ღამეები უთენებია. კიდევ ერთი სიცოცხლე წაგვართვა სიკვდილმა, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ცნობა გურამ დადვანის გარდაცვალების შესახებ. ფიზიკურად და სულიერად ულამაზესი, უსათნოესი ადამიანი გამოაკლდა ოჯახს, საგვარეულოს და სამეგობროს. ჩვენ — მისგან მუდმივ ზრუნვასა და მეურვეობას შეჩვეულებს დაგვიტოვა უზარმაზარი ტკივილი, ცრემლი, გულის სამუდამოდ მოურჩენელი და გაუყუჩებელი იარა.

*ოჯახი*

**დალი ბაჩილავა-სუთიაშვილის ხსოვნას!**

იშვიათად იბადებიან ადამიანები, რომელთა სულიერი და ფიზიკური სრულყოფილება ჰარმონიულადაა შერწყმული.

მაგრამ რაოდენ დასანანია, რომ ხშირად ისინი, ხანმოკლე სიცოცხლის გამო, ვერ ასწრებენ ამქვეყნად თავიანთი მისიის ბოლომდე მიყვანას.

ღვთისაგან რჩეული იყავი, ჩვენო დალი. შენ მერცხალივით მოფ-



რინდი, მოიტანე სითბო, სიყვარული, სილამაზე, სიხარული ამქვეყნად. მაგრამ მოულოდნელად გაფრინდი და ყველა ახლობელი, ნაცნობი თუ უცნობი დატოვე ცხელ, მძიმე ცრემლთა ტყვეობაში.

46 წელი შეგისრულდა, ჩვენო დალი 30 სექტემბერს. რა ძნელი წარმოსადგენია უშენობა. 30 სექტემბერი — შენი დაბადების დღე, რომელსაც სულით და გულით ველოდებოდით, გახარებულები და აღფრთოვანებულები, ახლა კი ტკივილით დამძიმებულები და თავზარდაცემულები.

რა ძნელი გასახსენებელია ის ავბედითი დღე, 20 თებერვალი, როცა მოულოდნელმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი.

შენ ოთხი შვილის დედა და ორი შვილიშვილის ბებია იყავი. საამაყო იყავი, ჩვენო დალი, როგორც მეუღლე, დედა, შვილი, რძალი და მეგობარი.

შენი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში სიყვარულსა და სიკეთეს თესდი. სიტყვები უძლურია შენზე სასაუბროდ. შენ ყველას ძალიან უყვარდი და დღემდე ვერ გაგვირკვევია, რატომ გერგო ასეთი მძიმე ხვედრი. მუდამ გვახსოვხარ, გვაკლიხარ, გვენატრები. ნათელში იყოს შენი ლამაზი სული.

*ლალი, ქეთინო, თამრიკო, როზა, ნანა, მარინე, დალი, ნანი, ნელი*

*შენს ლამაზ სახეს, ლამაზ თვალებს რა დამავიწყებს,*
*ღამის წყვდიადში სამარეში გათოშილია.*
*ახლა ზაფხულის სურნელოვან ფერთა წიაღში*
*შენი დაკარგვა ნაადრევად ტანჯვის ფიქრშია.*
*რეკავენ ზარებს მარადიულს სვეტიცხოვლისას,*
*მეც უშენობით ცრემლიანი ავანთებ სანთელს,*
*მუხლმოდრეკილი დაუჩოქებ წმინდა მარიამს*
*და შევავედრებ ნათელ სულს და ნათელ თვალებს.*

*ბელა*

**ლადო გუბელაძის გახსენება**



2 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. თვალცრემლიანი გილოცავთ 61 წლის შესრულებას. რაოდენ დიდი ტკივილია ჩვენთვის, როცა სასაფლაოზე უნდა მოგილოცოთ ეს თარიღი. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები, ჩვენო თბილო და ტკბილო მამავ, რამხელა სევდა, რამხელა გულისტკივილი დაგვიტოვე. საოცრად მოსიყვარულე გული გქონდა და ვაი, რომ სწორედ ამ გულმა გიმტყუნა.

ამბობენ, სიკვდილიც, პირველ რიგში, კარგებს ირჩევსო, ღმერთსაც — თავისთან რჩეულები მიჰყავსო. ასეთი იყავი შენ, მამა. შენ მხოლოდ თვალს მოაკლდი, თორემ გულებში ისევ ის კეთილი დარჩი. რამდენი სიკეთე ჩუმად გაგიკეთებია. შენისთანები როდი კვდებიან, შენ მხოლოდ გარდაიცვალე. ყველა კეთილად გიგონებს, ყველას ენანები.

გწამდეს, რომ შენი ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება. შენმა კეთილმა სულმა გამყოფოს სამოთხეში და ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა.

*შვილები: ლევანი, ლალი, ლადი*

**უსაზღვროდ მონატრებულ მარინას...**



... სიკვდილი ყველაფერს ჭრეებს ამქვეყნად...
... დუმილი მწარე.. ტკივილით სავსე წამები...
.... მარინა...... ცრემლით დატბორილი გული შენი მონატრებით დანისლულა... როგორ მოვიჩქაროდი შენკენ... ორ დღეში გულში ჩაგეხუტებოდი, მარი.... არ დამელოდე...

... დედაღვთისმშობლის მიძინების დღეს შენც მიძინებული შემხვდი, მარი... 28 აგვისტოს ზეცაში აფრინდი... ოჯახის დედაბოძი, ორი ლამაზი შვილის გამზრდელი დედა, როგორი უთქმელიც იყავი, ისე უჩუმრად მიიძინე.. ყინულივით გაგვაქვავე, მარი, ჯერ მხოლოდ 40 დღე გავიდა... უშენოდ მთელი წლები გვიმზერს მომავლიდან... ამ გაუსაძლის ტკივილს რწმენა ანელებს მხოლოდ, რწმენა, შენი მარადიული სიცოცხლის ცათა სასუფეველში... რასაც შეგპირდი, შეძლებისდაგვარად ღვთის შემწეობით გიკეთებ ყველაფერს... ახლაც მოვალ შენს საფლავთან, უამრავ სანთელს აგინთებ, მარტოობას არ გაგრძნობინებ, მარი... მენატრები უსაზღვროდ... თვალცრემლიანი ვდგავარ ტაძარში და დედაღვთისმშობელს ვევედრები: დაიფარე ჩემი მარინა...

*შენი ფიქრია*

**გიორგი ძიძიკაშვილის უსაზღვრო მონატრება**



ჩვენო საამაყო მამიკო, გვიყვარხარ! გვენატრები!

უკვე ერთი გაუსაძლისი წელი გავიდა უშენოდ. უსაზღვრო მწუხარებით სავსენი ვერ ვპოულობთ სიტყვებს დედის სანუგეშებლად, რომელსაც შენგან დატოვებულ სიცარიელეს ვერავინ ვუვსებთ.

გვენატრები ცოლ-შვილს, პატარა შვილიშვილებს, უბედურ დედაშენს, რომელსაც უკვე მეორე შვილი უეცრად, ერთ წუთში ხელიდან გამოეცალა.

მამა! ამქვეყნად კაცური კაცის ცხოვრებით იცხოვრე და ასეთი სახელიც დატოვე. ვამაყობთ შენით! ცხოვრება გრძელდება, მაგრამ შენი ამ ქვეყნიდან უეცარი წასვლით მოყენებულ ტკივილს დრო ვერ უშველის. „შენ... უკვდავების ღირსი იყავ მოკვდავთა შორის! ხატად ქცეულო ძვირფასო მამა!" მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური ნორიოს მიწა.

*ცოლ-შვილი*

**ჩვენო დედისერთავ, შვილო რობერტ!**



29 სექტემბერია, შენი დაბადების დღე, შვილო! 16 წლის ხდები. მეორედ ვხვდებით ამ დღეს უშენოდ, შენი უბედური მშობლები. გაუსაძლისი, ტანჯვისა და წამების 4 წელი საუკუნედ გვეჩვენება. ყოველი დღის გათენება უშენოდ ახალი სიკვდილია, შვილო. გვენატრება შენი ხმის გაგონება, შენი ღიმილიანი სახე... როგორ ვიფიქრებდით, რომ უშენოდ ერთ დღესაც ვიცოცხლებდით. გული გვეთუთქება, უცეცხლოდ ვიწვით და ვგრძნობთ, რომ ჩვენც შენთან ერთად მოვკვდებით, შვილო!

ჩვენი ლამაზი სიყვარულით სავსე ოჯახი შავმა ბურუსმა მოიცვა, რობერტ! სიხარულის ნაცვლად დიდი დარდი, ტკივილი და თვალზე შეუშრობელი ცრემლი გახდა ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი. გულს კი მხოლოდ იმით ვიიმედებთ, რომ შენი სამოთხეში ყოფნისა გვჯერა, ჩვენო ანგელოზო. შენი უბედური მშობლებისთვის ყოველთვის ცოცხალი იქნები.

ჩვენო მოურჩენელო დარდო და ტკივილო, დაე ჩვენმა დანთებულმა სანთელმა, შენი მეგობრებისა და ახლობლების დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი გულმკვდარი მშობლები — მზია და ჯანო ბოკერიები*

**ომარ შარაშენიძის მონატრება**

*სამი წელია, რაც შენ წახვედი, ჩემს თვალზე, ომარ, არ შრება ცრემლი,*
*ყველგან დაგეძებ, ვერსად გპოულობ, მაინც ჯიუტად გელი და გელი!...*
*ასე მგონია, თავზე დამატყდა სიკვდილზე დიდი საშინელება,*
*თუნდ დამიმტკიცონ ცა და ხმელეთი, ჩემს სადარდებელს არ ეშველება...*



*მე უშენობას ვერ ვეგუები, გული დარდით და სევდით სავსე...*
*არ მინდა, თავი ობლად რომ ვიგრძნო...*
*მაგრამ რა ვუყოთ, ეს რომ ასეა!...*
*რა ბედნიერი ვიყავი მაშინ,*
*ციხესიმაგრე გვერდით რომ მყავდი,*
*დღეს რაღა არის ჩემი სიცოცხლე,*
*შენ მანდ მიწა გჭამს, მე კი აქ დარდი!...*
*ორმოცდაორ წელს ერთად ცხოვრება გაელვებაა ჩემთვის წამისა.*
*ძალიან ადრე დაგვტოვე, ომარ, გული გამისკდეს დარდით ღამისა...*
*შენ გქონდა ხათრი და სიყვარული, ნათესავების, ყველა ნაცნობის,*
*გამოდგებოდი ეტალონადაც სინდის-ნამუსის, კაცურკაცობის.*
*აქ კი ხან მესმის გაბოროტებულ ყვავთა, ყორანთა ჩხავილ-ყრანტალი,*
*მაგრამ ხომ იცის დალოცვილ ღმერთმა, ომარ, ჩვენ რომ ვართ ცამდე მართალი...*
*არავის ბუტბუტს ყურს არ ვათხოვებ, მე კი თამამად შენ დაგპირდები:*
*ჩვენს ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებსა თვალისჩინივით გავუფრთხილდები.*
*ყოველთვის მქონდა, მაქვს და მექნება, ომარ, შენდამი კრძალვა და რიდი,*
*იმ ბედნიერი თანაცხოვრების და ყველაფრისთვის მადლობა დიდი*
*ფიქრით, ოცნებით ისევ შენთან ვარ, დავდევ შენს ლანდს და ველაქუცები,*
*გულში მინთიხარ წმინდა სანთლადა, ომარ, შენს ნათელ სულს გეფიცები!*

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი მეუღლე ლეილა სიხუაშვილი-შარაშენიძისა*

**ლუბა მამისწარაშვილის მონატრება!**



დაო ლუბა! ჯერ მხოლოდ 40 დღე გავიდა და უკვე მენატრები. სიკვდილი დაუნდობელი ყოფილა. ჩვენ ხომ მხოლოდ ორი და ვიყავით, ორივე ვგრძნობდით საშინელებას და ვტიროდით, მაგრამ სიკვდილმა არ შეგვიბრალა. შენ თვალცრემლიანი წაგიყვანა, მე კი მტირალი დამტოვა. მაგრამ შენ ჩემზე არ იდარდო, ტკბილად განისვენე, მაშინ მეც აღარ ვიტირებ. მაგრამ არ შემძლია და ვტირი. ვერ დაგივიწყებ.

*შენი ერთადერთი და — ლიდა მამისწარაშვილი*

**თამარ პაპავა-საყვარელიძის მონატრება**



სექტემბრის თვე წარსულის შავ ფურცლებს შლის ჩემს მოგონებაში. ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მოგონება შენი ტრაგიკულად დაღუპვაა, ჩემი დედიკო.

10 წლის წინ აფხაზეთის უაზრო ომს შეეწირა შენი სიცოცხლე. ჩემო დიდო დარდო და ტკივილო, ვაი, რომ უძლური ვარ, ვერ ვპატრონობ ჩემთვის უნახავ შენს საფლავს. მე, ბუნებით ოპტიმისტს, არ მჯერა, რომ აფხაზეთს ახლო მომავალში დავიბრუნებთ. იმაზე კი ხშირად ვფიქრობ, როგორმე შენი ძვალთშესალაგი დავამკვიდრო ზესტაფონში, შენი საყვარელი მეუღლის გვერდით, რაზეც შენც სიცოცხლეში ბევრჯერ გიოცნებია. ვეფერები, ვეალერსები შენს სულს. ძალიან მაკლია შენი ხელების სითბო. მენატრები. მოვუწოდებ ყველას, ვისაც დედა ცოცხალი ჰყავს: მიუხედავად ჩვენი დუხჭირი ცხოვრებისა, ბევრი დრო დაუთმეთ, მოეფერეთ, თორემ მერე გვიან იქნება...

*შენი ერთა ნანი*

**გოჩა (ლემინი) და ხუტა ჩხეტიანების გახსენება**



ჩვენო ძვირფასებო! ტკივილიანი და ცრემლიანი 2 წელიწადი გავიდა იმ ტრაგიკული დღიდან, როცა მეხივით გავარდა კოდორის ხეობის ცაზე თქვენი დაღუპვის ამბავი... ცხრა ადამიანის სიცოცხლე გამოეცალა ამ დღეს ხეობას.

აუტანელია იმის შეგუება, ძვირფასო გოჩა და ხუტა,



რომ აღარ მოხვალთ ჩვენს ტკბილ ოჯახში, რომ ველარ მოგვეფერებით. გვენატრებით გაუსაძლისად, ჯერ კიდევ გელოდებით, გელიან თქვენი დაუსრულებელი საქმეები, ოცნებები, მიზნები... მამა-შვილი მთელი სიცოცხლე სიკეთეს და სიყვარულს თესდით, ამიტომაც გვწამს, უფლის გზაზე კელაპტრად წაგიძღვებათ ის სითბო, რასაც ასე უანგაროდ გასცემდით. აფხაზეთის ომს გადარჩენილები სამშობლოს სამსახურს შეეწირეთ მაინც. ვამაყობთ თქვენით, კაიკაცებო. თქვენს სამარადისო ხსოვნას ეძღვნება კოდორის ხეობაში აღმართული მემორიალი.

მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა, უსაზღვროდ სანატრელო გოჩა და ხუტა.

*ოჯახი*

**ნუნუ (ნინა) წერუაშვილი-დავითაშვილის მონატრება**



ორი წელი გავიდა 28 სექტემბერს, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა. გაუსაძლისი ყოფილა უშენობა, დაგვიტოვე საშინელი სევდა და მწუხარება. ჩემო საყვარელო დაიკო ნუნუ, როგორ უსაზღვროდ გვენატრები. ყველას უზომოდ დააკლდი, ენატრები შენს შვილებს, შვილიშვილებს, შენს ნათესავებსა და მეგობრებს.

ღმერთს ვთხოვ, რომ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ძმა ნიკო, და ელმირა*

**დათო (ილია) ოკუჯავას!**



უსაშველოდ მენატრები, დათო! 2 ოქტომბერი ჩვენი ქორწილის დღეა, მეოთხე შემოდგომაა მხოლოდ და ჩვენ კი უკვე... საბა ობოლია, მე — ქვრივი..

ერთ რამეს გპირდები, დათო, საბა ღირსეულ ძეობას გაგიწევს. ჯერ პატარაა, მთელი დღე ტიტინებს, ხელში ფანქარს მაჩეჩებს და მამა დამიხატეო, მთხოვს. ასე გადის დღეები, თვეები... ვსხედვართ და გხატავთ შენ, რომელიც ასე უსაშველოდ შორს ხარ. ასე გაგრძელდება ალბათ, სანამ არ გაიზრდება და არ მიხვდება, რომ ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი შენი წილი სითბოა, რომელიც აღარ არსებობს. აღარც ლაზარეა, აღარც ბებო. არ ვიცი, რას ვეტყვი, როცა გაიზრდება, შენ კი მეათასედ გიმეორებ: მიყვარხარ და მენატრები უსაშველოდ. მე ახლაც შენი იმედი მაქვს, გამაძლიერე რა... საბას უნდა მიგიხედო.

*შენი სოფო*

# „მამალაძე ბოლნისში ოქროს გასაკონტროლებლად მოდის“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

სკოლიდან წამოუყვანიათ, — ბოლნისში შევარდნაძე ჩამოდის და ბავშვები მას უნდა შეეგებონო. იქაურებმა გვითხრეს, ამ აქციას და გზის ჩახერგვას ჯაფარიძე ხელმძღვანელობსო. ხალხს ავუხსენით ყველაფერი და დაიშალნენ...

როდესაც სოფელში შევედით, მიტინგზე სიტყვით გამოსვლა მოინდომა ჯაფარიძემ. მიხეილ სააკაშვილმა უთხრა, — შენ რა კაცი ხარ, ბავშვები როგორ დაგვიყენე წინ შენ სიტყვას როგორ მოგცემო. ჯაფარიძემ „ბურჯანაძე-დემოკრატების“ მიტინგზე საათნახევრიანი სიტყვა წარმოთქვა და ალბათ ეგონა, ჩვენთანაც ასე გაილაღებდა... ამის შემდეგ ჯაფარიძე მიკროფონამდე მუშტებით მიიკვლევდა გზას. ამის გამო მიხეილ სააკაშვილის დაცვამ ის განზე გაიყვანა და ამ დროს წაიქცა კიდეც.



— **„რუსთავი 2-ში“ ტელედებატების შემდეგ ჯაფარიძესთან ინციდენტი ისევ განმეორდა. მაშინ რაღა მოხდა?**

— სტუდიაშივე შემაგინა, შენი თათარი დედაო... 10 კაცი მახლდა. გაიგონეს ბიჭებმა, მაგრამ მანქანებში ძალით ჩავსვი. ჩვენს ბოლო მანქანას გადაუდგნენ ჯაფარიძისიანები. თურმე 100 შეიარაღებული კაცი ჰყოლია ჩამოყვანილი თბილისში. მაშინ მოხდა ინციდენტი, სროლითაც მათ გაისროლეს, თორემ ჩემებს იარაღი არ ჰქონიათ.

ბოლნისელებმა იციან, რომ ჯაფარიძე მათ „თათრებს“ ეძახის. მიხვდნენ, რომ გამგებელს მხოლოდ მათი გამოყენება უნდა არჩევნებზე და სინამდვილეში, პატივს არ სცემს. ბოლნისელები ჯაფარიძესა და მამალაძეს დასანახად ვერ იტანენ და ხმებს მისცემენ?!

რატომღაც მამალაძესთან კავშირი ბოლო დროს ჟვანიას დაჰბრალდა. საგულისხმო და გასაკვირიც ის იყო, რომ ეს ამბავი რატომღაც ისევ მამალაძის თანაგუნდელებმა გაამჟღავნეს. ბუნებრივია, ჟვანია-მამალაძის კავშირით დავინტერესდით და ამ საკითხზე კომენტარი დემოკრატ **გია ბარამიძეს** ვთხოვეთ:

— მართლა რომ კავშირი გვქონდეს მამალაძესთან, ამას ხომ არ იტყოდა მისი მარჯვენა ხელი — გოგავა. მამალაძის გუნდმა იცის, რომ ზნედაცემული ადამიანების სახელი აქვთ და ჩვენთვის სახელის გატეხას ამ მეთოდით ცდილობენ — ჩვენ ერთად ვართო... ხედავთ, რა ზნედაცემულები არიან?! ცრუობენ, — ჩვენნაირი ცუდები ხართ და ჩვენთან მეგობრობთო. ხომ შეიძლება ეს 100 კაციდან ერთმა მაინც დაიჯეროს. ამ ჭორს ერთადერთი მიზანი ჰქონდა — ჩვენ არ მოგვცენ გამარჯვების საშუალება.

— **ლაპარაკი იყო გიორგაძე-ჟვანია-სააკაშვილის კავშირებზეც.**

— მამალაძე შევარდნაძის, — იმ კაცის, ყურმოჭრილი ყმაა, რომელმაც რუსებს ჩააბარა მთელი ჩვენი სიმდიდრე და ახლა ჩვენს რუსეთთან კავშირზე ალაპარაკდა. ვითომ რუსულ სპეცსამსახურებთან ერთად ვგეგმავდეთ შევარდნაძის ჩამოგდებას. ასეთ სისულელეებს კიდევ ბევრს იტყვის მამალაძე. ხელისუფლება აშინებს ხალხს, — თუ ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვა, ქვეყანა აირევაო. სინამდვილეში, ჩვენ დამყაყებული ჭაობის სიმშვიდეში ვცხოვრობთ და არა — ნორმალურ და სტაბილურ ქვეყანაში.

— **ბოლნისური ინციდენტის შესახებ პრეზიდენტი დუმს. რით ახსნით ასეთ პოზიციას?**

— იმით, რომ დუმილი თანხმობისა და მხარდაჭერის ნიშანია.

P.S. რა თქმა უნდა, დაპირისპირებული მხარეები ყველაფერს ერთმანეთს გადააბრალებენ, მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას — ხელისუფლება იმის ხელისუფლებაა, რომ ქვების სროლის აღკვეთა მაინც უნდა შეეძლოს (იარაღის სროლაზე რომ არაფერი ვთქვათ) და ადგილზევე უნდა მოახერხოს ხულიგნისა და პროვოკატორის (თუ ასეთი არსებობს, გინდა ერთ და გინდა მეორე მხარეს) დაპატიმრება. რა თქმა უნდა, თუ მას ამის შნო და უნარი კიდევ შერჩენია, მაგრამ ვაი, რომ...

*იზო რკაძე*

---

ახალი მსოფლიო რეკორდი

# ...კვადრილიონ... ტრილიონ... მილიარდ... მილიონ... ათასი

## საქართველოში კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდსმენი გვყავს

26 სექტემბერს თბილისში საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირის თაოსნობით გიორგი ჩხაიძის სარეკორდო ასპარეზობა შედგა.

— გიორგი ჩხაიძეს აქვს მათემატიკური რიცხვების ზეპირი გამრავლების უნიკალური უნარი. გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის მიხედვით მრავალნიშნა რიცხვების ზეპირი გამრავლების მსოფლიო რეკორდსმენია ინდოელი ჰარი პრასადი, რომელმაც 1999 წელს ინდოეთში, მათემატიკოსთა საზოგადოების თანადგომით მოწყობილ ასპარეზობაზე რვანიშნა რიცხვი ზეპირად გაამრავლა რვანიშვნა რიცხვზე.




გიორგი ჩხაიძემ 26 სექტემბერს ეს რეკორდი მოხსნა და ცხრანიშნა რიცხვი ცხრანიშნა რიცხვზე გაამრავლა. გიორგი 1970 წელს არის დაბადებული, პროფესიით ინჟინერია, დამთავრებული აქვს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტი. მის მიერ გამრავლებული ორი ცხრანიშნა რიცხვის პასუხი თვრამეტციფრიანია, ანუ კვინტილიონის რიგისაა. სამაგიდო-საბუღალტრო კალკულატორი (ჩვეულებრივი გამომთვლელი მანქანა) ამ ციფრს ვერ აღიქვამს და მხოლოდ თანამედროვე უნივერსალური კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით იანგარიშება. თვალსაჩინოებისათვის ერთ მაგალითს მოვიყვანთ.

**617.386.673 X 345.201.692 = 213.122.924.137.850.716**

ამ მათემატიკური მაგალითის ამოხსნა კი არა, ბევრს ალბათ პასუხის წაკითხვაც არ შეუძლია. ეს რიცხვია: 213 კვადრილიონ, 122 ტრილიონ, 924 მილიარდ, 137 მილიონ 850 ათას 716.

როგორც ამბობენ, ახალგაზრდა ინჟინრის შესაძლებლობები ამით არ ამოიწურება. მას შეუძლია ნებისმიერი 10, 11, 12 თუ 13-ნიშნა ციფრის 10, 11, 12 და 13-ნიშნა ციფრზე ზეპირად გამრავლება.

ასპარეზობაზე მისულებს გიორგი ჩხაიძე უმორჩილესად სთხოვდა, დაეცვათ სიჩუმე, გამოერთოთ მობილური ტელეფონები, მაგრამ ზოგმა მისი თხოვნა ყურად არ იყო და მძიმე აზროვნების პროცესში არაერთხელ შეუშალა ხელი. მიუხედავად ამისა, მან მაინც სწორი პასუხი მიიღო. ასპარეზობის მსაჯთა კოლეგიამ, რომელსაც მათემატიკოსი, პროფესორი ლერი გოგოლაძე თავმჯდომარეობდა, ერთხმად აღიარა ეს რეკორდი.

გიორგი ჩხაიძემ გასაუბრებისას თავმდაბლად გვითხრა: ჩემი უნარი განსაკუთრებულად არასოდეს ჩამითვლიაო.

— **ბავშვობიდანვე გამოირჩეოდით მათემატიკის ნიჭით?**

— მათემატიკას ძალიან იოლად ვსწავლობდი, ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი.

— **კერძოდ მრავალნიშნა რიცხვის მრავალნიშნაზე ზეპირი გამრავლების უნარი რა ასაკიდან აღმოაჩინეთ თქვენს თავში?**

— ეს დაახლოებით 5-6 წლის წინ დაიწყო.

— **როგორც ჩვენთვის ცნობილია, ორი შვილის მამა ბრძანდებით. შვილებს თუ ამჩნევთ თქვენეულ ნიჭს?**

— უფროსი ვაჟი 14 წლისაა. იმდენად კარგი მათემატიკური მონაცემები აქვს, რომ სკოლაში დოცენტს ეძახიან, მაგრამ წლების წინ მძიმედ გახდა ავად და ახლა ვუშლით დიდი ციფრების გამრავლებას. ისე, გასართობად თუ გაამრავლებს სამნიშნა ციფრს სამნიშნაზე. თუმცა ეს არაფერს ნიშნავს და ჯერჯერობით მასში ამ უნარის აღიარება გამართლებული არ იქნება...

მაშ ასე, წინა კვირაში საქართველოს კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდსმენი შეემატა, რომელიც ალბათ კიდევ არაერთხელ გაგვაკვირვებს ახალი მიღწევებით.

*ლელა ჯიყაშვილი*


# რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !

პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე– დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მით უმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვს, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.



ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

**Abtronic Pro** საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.



**ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ**
**არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ**
**გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ**

**Abtronic Pro!**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზიაში: **www.shopge.com.** ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.



# *როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება*

## ეძღვნება ნამდვილ მამაკაცებს!




უკვე არა ერთი ათწლეულია მსოფლიოს უროლოგები ეფექტურად გამოიყენებენ მცენარეულ პრეპარატს "პროსტა სტრონგ"-ს. სწორედ ამ პრეპარატს გთავაზობთ კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი"– უკვე თბილისში. მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ზემოქმედება პროსტატის ჰიპერპლაზიაზე კლინიკურადაა აპრობირებული.

**„პროსტა სტრონგ"–ის ფორმულა ხელს უწყობს:**

პროსტატის ჯანმრთელობას, შარდის ნორმალურ გამოყოფას, იცავს პროსტატის ჯირკვალს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისაგან, რომლებიც თავის მხრივ ზრდიან პროსტატის სიმსივნის რისკს.

## თავი არ სტკივათ უ. . . . .




იშვიათია ადამიანი, რომელსაც არასოდეს სტკიებია თავი.

***აუცილებელია ვიცოდეთ!*** თავის ტკივილი 45–ზე მეტი დაავადების სიმპტომია.

წლების მანძილზე თავის ტკივილი გაბეზრებდათ თავს, და აი დადგა გამარჯვების დღე!

კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ მსოფლიოში კარგად ცნობილ პრეპარატს "გინკო-სმარტი", რომელიც დამზადებულია მცენარეულ ინგრედიენტებზე.

- ახდენს მეხსიერების ძლიერ სტიმულაციას, ყურადღების კონცენტრირებას;
- იცავს ტვინის უჯრედებს ნაადრევი სიბერისაგან;
- აუმჯობესებს მხედველობას და სმენას;
- ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აწესრიგებს არტერიულ წნევას;
- ამცირებს ინფარქტისა და ინსულტის რისკს;
- აუმჯობესებს კანის მდგომარეობას;
- ასუსტებს დეპრესიის სიმპტომებს.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

**მის: დ. აღმაშენებლის 150**
**ტელ: 95-65-03; 96-06-67**
**სამუშაო საათები: ყოველდღე**
**კვირის გარდა 10.00 - 18.00**
**www.shopge.com**

სულ მინდოდა ჩემი ამბავი ვინმესთვის მომეყოლა, მაგრამ ყოველთვის რაღაც მიშლიდა ხელს: ხან მეშინოდა, არ დამიჯერებდნენ, ხანაც ვფიქრობდი, რომ ჩემს თავს გადამხდარი სხვებისათვის საინტერესო არ იქნებოდა.

მაშინ ოცი წლისა ვიყავი. მარტში გავთხოვდი, აპრილში კი მშობლებმა მე და ჩემს მეუღლეს ახალი ბინა გვაჩუქეს. დიდი სიხარულით გადავედით საცხოვრებლად ცალკე. ერთხელ, ჩემი მეუღლე შინიდან დილით ადრე გავიდა — სამსახურიდან დაურეკეს და სადღაც გაგზავნეს. მე ძილბურანში ვიყავი, კარი რომ გაიჯახუნა. მგონი, ჩამეძინა კიდეც, მაგრამ რატომღაც ვერ მოვისვენე. ლოგინში ვწრიალებდი, ვგრძნობდი, უჩვეულო რაღაც ხდებოდა. თვალი გავახილე და საწოლთან ორი ადამიანი დავინახე. ორ ფეხზე იდგნენ, ორი ხელი ჰქონდათ და ოდნავ წაწვეტებული, ოვალური თავები. ამიტომ ვამბობ, ადამიანი-მეთქი, თორემ მიწიერ არსებებთან საერთო არაფერი ჰქონდათ. თუ დამიჯერებთ, არ შემშინებია, არც მძაფრი ემოცია გამჩენია, ინტერესი და კითხვაც კი დამებადა: ვინ იყვნენ ან როგორ შემოვიდნენ ოთახში-მეთქი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჰიპნოზში ვიყავი. ერთ-ერთი მათგანი ორჯერ დაიხარა და მუცელზე დამადო ხელი. უსიამოვნო სიგრილე ვიგრძენი, ბოლოს, ყელთან, თითქოს პულსაციას სინჯავსო, ისე დამაჭირა თითები. ალბათ 10-15 წუთი ვხედავდი უცხო „სტუმრებს“. თქვენ არ იცით, რამხელა დროა 15 წუთი! მათი წასვლის შემდეგ უსაშველოდ დიდხანს, 1-2 საათი მაინც, დამუნჯებული დავრჩი. ბოლოს, შევძელი ტელეფონთან მისვლა და მშობლებთან დარეკვა. გულგახეთქილები მოცვივდნენ, მეუღლესაც შეატყობინეს. დამადგნენ თავზე და როგორც სიზმრით შეშინებულ პატარას, ისე მამშვიდებდნენ. ეტყობოდათ, არაფერი სჯეროდათ და იმისი დარდი ჰქონდათ, რაიმე ფსიქიკური დარღვევა ხომ არ დაეწყოო. სხვა რა გზა მქონდა, მეც ნერვები მოვთოკე...

მაგრამ უცნაური ადამიანების სტუმრობა რამდენიმე დღის შემდეგ განმეორდა. ახლა საღამო ხანი იყო. მაგიდასთან მარტო ვიჯექი, ტელევიზორს ვუყურებდი, მაუწყებლობა შეწყდა, ტალღები აირია და ისინიც შემოვიდნენ. მე, ვინც შეშინებული ვიყავი მათი წინა სტუმრობით და ვარწმუნებდი ოჯახის წევრებს მომხდარის სიმართლეში, ახლა მშვიდად შევხვდი, როგორც დიდი ხნის ნაცნობ სტუმრებს. გარს მივლიდნენ, თავის არეში მგონი, რაღაც მანათობელი ხელსაწყოც მომადეს... არ ვიცი, რამდენ ხანს იყვნენ ოთახში, ისევ უხმაუროდ წავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისტერიკული შიში დამეუფლა და რომ არა სამსახურიდან დაბრუნებული მეუღლე, შეიძლება გული გამსკდომოდა კიდეც.

# ამოუცნობმა სტუმრებმა ოპერაციისგან მიხსნეს



ასე იყო დასაწყისში. მერე მივეჩვიე მათ. ვიცოდი, მარტო რომ ვიქნებოდი, მაშინ მოვიდოდნენ. მხოლოდ იმაზე ვდარდობდი, რომ სხვებს ვერ ვაჩვენებდი და ვერც ვარწმუნებდი მომხდარის სიმართლეში.

ამასობაში, ექოსკოპია დამჭირდა და ექიმებმა ბუშტნამქერის დიაგნოზი დამისვეს. საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია. შიშით, რომ შვილი აღარ მეყოლებოდა, საშინელ დეპრესიაში ჩავვარდი. სიცოცხლე აღარ მინდოდა, ექიმები კი გვაჩქარებდნენ — ყოველი დღე სერიოზულად გაართულებს მდგომარეობასო. საღამოს ჩანთები ჩავალაგე, დილით კლინიკაში უნდა წავსულიყავით.

შუაღამისას ისევ მოვიდნენ ჩემი სტუმრები. უჩვეულო სიგრილე ვიგრძენი. ერთ-ერთი ფეხებთან ჩამომიჯდა. მეორე ისევ მუცელზე მადებდა ხელს. დილით სიცოცხლემობეზრებულივით ვიყავი, ისე მეშინოდა მომავალი ოპერაციისა, იმისი თავიც არ მქონდა, წუხანდელი ამბავი ვინმესთვის მეთქვა.

საავადმყოფოში მივედით, ანკეტა შეავსეს, ანალიზებისა და ექოსკოპიის პასუხები დააკრეს და ქირურგთან გამიშვეს. ქირურგმა გამსინჯა და დაეჭვდა, — მოდი, კიდევ ვნახოთ, რა ხდება შენს მუცლის ღრუშიო. ხელახლა გამიკეთეს ექოსკოპია და არაფერი აღარ გამოჩნდა. დიდხანს ეძებდნენ ბუშტნამქერას... მაგრამ ამაოდ.

სხვათა შორის, იმ დღის მერე აღარც ჩემი სტუმრები მოსულან ჩემთან... მე კი მჯერა, რომ მათი ნახელავი იყო ყველაფერი: დაავადებაცა და განკურნებაც. მჯერა და ამისი დასტურიც მაქვს: ორი დღის სხვაობით გაკეთებული ექოსკოპიის პასუხები.

***გვანცა გუნცაძე***

**ჩვენ გვწერენ**

# ერიდეთ ჯადოსნურ სარკეს!



ცამეტი წლის წინ, როცა სკოლას ვამთავრებდით, მეგობარი გოგოები შემომიჩნდნენ, „ჯადოსნურ სარკეში“ ჩავიხედოთ და საქმროებს დავინახავთო.

რაღაც რელიგიური დღესასწაული იყო მაშინ და ამგვარი რამის გაკეთება იმ დღეს თურმე ცოდვად ითვლებოდა. ჩვენ, 16-17 წლის გოგოებმა, ვერ გავითვალისწინეთ ეს და დიდი ამბით მოვაწყვეთ რიტუალი. ხუთნი ვიყავით, ყველაზე ბოლოს მე ჩავიხედე ჭიქაში, რომელშიც სადღაც, გზაჯვარედინზე აღებული წყალი ესხა და ერთ-ერთი ჩვენი მეგობრის დედის ნიშნობის ბეჭედი იდო. ოთახში ბნელოდა. ჭიქა სარკის წინ იდგა და ირგვლივ დანთებული სანთლების ალი სარკიდან წყალში არეკლილ ათასნაირ ფიგურებს ხატავდა ბეჭდის რკალშიც და მის ირგვლივაც. ვიჯექი და დიდხანს ვაკვირდებოდი ფიგურებს. მერე თვალი ბეჭდის რკალში გამიშტერდა. ვიგრძენი, როგორ გაფართოვდა რკალი. მერე თანდათან გამოიკვეთა საცეკვაო მოედანი და წყვილი. კაცს სამხედრო ფორმა ეცვა. ისეთი სისწრაფით ბრუნავდნენ, ვერც ერთის სახის გარჩევას ვერ ვასწრებდი. კარზე კაკუნის ხმა და ძახილი გაისმა. გამოვფხიზლდი და რასაც მანამდე ვხედავდი, უცებ ყველაფერი გაქრა. დავჩერებოდი ბეჭედს და ვერ წარმომედგინა, რომ იმ რკალში დავინახე კინოკადრი. ყველამ რაღაც ნახა იმ საღამოს „ჯადოსნურ სარკეში“, მაგრამ დღემდე არც ერთი ჩვენგანი არ გრძნობს თავს ბედნიერად. ჩემს მეგობრებს ერთმანეთის მიყოლებით დაენგრათ ოჯახები. ჩემთან კი როგორც კი საქმე გათხოვებაზე მიდგება, ან მე მემართება რაღაც უბედურება, ან საქმროს. სულ მგონია, რომ ვისჯებით მისტიკური სეანსის გამართვისთვის. ბედი თითქოს იმ დღიდან აგვერია და ჩაგვეკეტა.

19 წლისას შემიყვარდა ჩემზე 8 წლით უფროსი პოლიციელი. როცა ჯვრისწერა გადავწყვიტეთ, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ძლივს გადავიტანე ეს ამბავი. მეგონა, ამით დამთავრდა ყველაფერი-მეთქი, მაგრამ... ორი წლის შემდეგ სამხედრო პირი შემიყვარდა, მასთან ურთიერთობაც უბედური შემთხვევით დასრულდა. ერთ დღეს დედამისი ფარდებს ჰკიდებდა თურმე ფანჯრებზე. გიორგის დახმარება გადაუწყვეტია, მაგრამ კიბე აჰყირავებია, ჩამოვარდნილა, ხერხემლით დაცემულა მაგიდის კუთხეზე და სამუდამოდ დაინვალიდდა. ამ ამბის შემდეგ თვითონ აღარ ისურვა ჩემთან შეხვედრა. შემომითვალა — არ მინდა, ჩემი უბედურებით შენც გაუბედურდეო. ამ ამბავმა ძალიან შემაშინა.

მას მერე ჯადოსნურ სარკეში ნანახი სამხედროფორმიანი მამაკაცი მახსენდება და თავგზას მირევს. არადა, ისევ სამხედრო მოსამსახურე მთხოვს ცოლობას. მიყვარს, მაგრამ გული მისკდება შიშით, ვაითუ ჩემი თანხმობის შემთხვევაში მასაც რაიმე უბედურება დაემართოს. რა ვქნა, აღარ ვიცი.

ვერაფრით ვიხსენებ, რომელი წმინდანის დღესასწაული იყო, ვისი წყრომა დავიმსახურე, ასე რომ ამერია ცხოვრება. ერთი რამ არის კიდევ უცნაური: ყველას, ვისაც დღემდე ხელი უთხოვია ჩემთვის, გიორგი ჰქვია. ამის გამო ისიც კი ვიფიქრე, იქნებ ამით ნიშანი მეძლევა და წმინდა გიორგი განვარისხე-მეთქი. ამიტომაც მის ხატებთან ლოცვაში ვატარებ დღეს და ღამეს. იქნებ შემინდოს...

***ეკა კანდელაკი***

## „საზალოო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — ბ); 2) — ბ); 3) — ბ); 4) — გ); 5) — დ); 6) — ა).

**II.** მე-2 და გ) ფრაგმენტები.

**III. გამოცანა**

ვაზი, ყურძენი და ღვინო.

**IV.** ღამურა.





# „აუქციონების მეფე“ თავისას არ იშლის

პოპულარულ ინგლისელ მომღერალს, ელტონ ჯონს აუქციონების სიყვარულის გამო „აუქციონების მეფე“ უწოდეს. ვარსკვლავი ხან ძვირად ღირებულ ავტომობილებს, ხან კი საკონცერტო ტანსაცმელს ყიდის.

ამჯერად ეტყობა ჯერი მის ლონდონურ სახლზე მიდგა. თავისი ექსცენტრიკული გემოვნებით სახელგანთქმულმა მომღერალმა ჩანს, „ძველმანების“ თავიდან მოშორება და ახალი აქსესუარების შეძენა გადაწყვიტა — დაცარიელებულ სახლს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებით შეამკობს. ეს მისი ბოლოდროინდელი გატაცებაა. ელტონ ჯონი ამჯერად, ალბათ, ფერწერულ ტილოებს, ქანდაკებებს, ავეჯს გაყიდის. იგი 800.000-დან მილიონამდე გირვანქა სტერლინგის აღებას იმედოვნებს. ვაჭრობას „სოთბის“ აუქციონის სახლი გამართავს.

*ეხო პლანეტი №35*

# გაყინული მუმია იტალიელი ყოფილა!



1991 წელს იტალიასა და ავსტრიას შორის მდებარე მწვერვალზე ორი გერმანელი ტურისტი 3350 მ-ის სიმაღლეზე გაყინულ მუმიას გადააწყდა. მეცნიერთა აზრით, მისი ასაკი 5300 წელია. მის ხელჩანთაში აღმოჩნდა გამხმარი ხილი და ხავსით დაფარული სხვა პროდუქტები. თავზე დათვის ტყავის ქუდი ეხურა. ნაპოვნი ადგილის მიხედვით მუმიას ოტზი უწოდეს. მას ხელში ბრინჯაოს ნაჯახი ეჭირა, ზურგზე ეკიდა მშვილდი და ისრები, სხეული დაფარული ჰქონდა სვირინგებით. მეცნიერთა აზრით, იგი 46 წლისა იქნებოდა, მოტეხილი ჰქონდა რამდენიმე ნეკნი, მარცხენა მხარეს უპოვეს ორსანტიმეტრიანი ისრის ნატეხი ფილტვის მახლობლად. ჩანს, ოტზი რიტუალური თვითშეწირვის მიზნით ასულა ასეთ სიმაღლეზე. ისრებს არ ჰქონდა წამახული წვერები, რომელსაც ნადირობის დროს ხმარობდნენ. 12 წლის მანძილზე იყო დავა, რომელ ქვეყანას უნდა მიკუთვნებოდა მუმია. ამიტომ იგი მუზეუმის საყინულეში ინახებოდა. ამ დავაში იტალიამ გაიმარჯვა. დღეისთვის მუმიის რეკლამირებას დიდი შემოსავალი მოაქვს იტალიელებისათვის.

*სობესედნიკი №34*

# „თვალებიანი“ ფეხსაცმელი



მასაჩუსეტის უნივერსიტეტის მეცნიერმა რიჩარდ კეიტსლმა „თვალებიანი“ ფეხსაცმელი წარუდგინა საზოგადოებას. ამ მაღალხარისხოვან ფეხსაცმელზე ინფრაწითელი საგანგებო სენსორებია დაყენებული და რამდენიმე მეტრის დაშორებით „ხედავენ“ ობიექტებს. როცა ფეხსაცმელები „ამჩნევენ“ რომელიმე საგანს გზაზე, ვიბრაციას იწყებენ, პატრონს გამაფრთხილებელ სიგნალს გადასცემენ — რაც უფრო უახლოვდება ობიექტს, მით უფრო ძლიერია ვიბრაცია. ამ დროს ყველაზე მეტად ფეხსაცმლის ის ნაწილი „ირხევა“, საიდანაც წინააღმდეგობაა მოსალოდნელი. ასეთი ფეხსაცმლის შექმნის იდეა მეცნიერს მაშინ მოუვიდა, როცა ინვალიდთა სახლების კედლებში სენსორების დაყენების ექსპერიმენტს ატარებდა, რომელთაც ავტომატური ეტლების გადაადგილების დროს იყენებდა შეჯახების თავიდან ასაცილებლად.

*მეგაპოლის-ექსპრესი №34*

# ახირებული პატარძალი

18 წლის ამერიკელმა ადრიენ სეიმენმა „იყოჩაღა“ და საკუთარ ქორწილზე „თავი გამოიჩინა“.

ახალგამომცხვარ მისის სეიმენს არ მოეწონა, რომ რესტორანი (სადაც დღესასწაულობდნენ ჯვრისწერას) მისი აზრით, ძალზე ადრე დაიკეტა. როცა მეტრდოტელმა სტუმრებს ქეიფის სადმე სხვაგან გაგრძელება შესთავაზა, პატარძალმა კატეგორიულად მოითხოვა „ბანკეტის გაგრძელება“. თავისი ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობა რომ შეეძინა, ოფიციანტებს ვაზები, თეფშები, სასალათეები და საქორწილო ტორტის ნაჭრები დაუშინა. პოლიციის თანამშრომლებმა ძლივს მოახერხეს აბობოქრებული პატარძლის დაშოშმინება. ასე რომ, მისის სეიმენმა საქორწილო ღამე ნარებზე, პოლიციის განყოფილებაში გაატარა და საეჭვოა, იქ გადაღებულმა ფოტომ სეიმენებს ტკბილი მოგონება გაუღვიძოს.

*ლიზა №35*

# ძვირად ღირებული სიამოვნება

ცნობილი მომღერლის, პოლ მაკარტნის ასევე ცნობილმა ქალიშვილმა, მოდელიერმა ლინდა მაკარტნიმ ახლახან ჯვარი დაიწერა. მისი რჩეული გამომცემელი პლისტერ უილისი გახლავთ. ქორწილი 3 მლნ დოლარი დაჯდა. ჯვრისწერა შოტლანდიაში, „ფორმულა 1“-ის ყოფილი მრბოლელის, ჯონი ფრაისის მამულში შედგა.

სტუმრებს შორის იყვნენ: მადონა და მისი მეუღლე გაი რიჩი, მოდელი კეიტ მოსი, მსახიობი ლივ ტაილერი, მუსიკოსი კრის მარტინი, სამოდელო სახლ „გუჩის“ დირექტორი ტომ ფორდი... ქორწილს პატარძლის მამა პოლ მაკარტნი და მისი მეუღლე, ჰიზერ მილზიც ესწრებოდნენ. ცერემონიის დღეს ქუჩებში რეპორტიორები და დაცვის თანამშრომლები ტრიალებდნენ. სტუმრებს თურმე ვეგეტარიანული კერძებით მასპინძლობდნენ. პატარძალს დედამისის საქორწილო კაბის ასლი ეცვა. მან ყურადღებით შეისწავლა შავ-თეთრი ფოტოები, დედამისის თანამედროვეთა მოგონებები და ზუსტად ისეთივე კაბა შეიკერა, ოღონდ გათანამედროვებული.

*კომერსანტი №35*

# დავა დედა ტერეზასათვის



მაკედონიაში სისხლიანი შეტაკებები 2001 წელს დასრულდა, თუმცა დაპირისპირებამ ეთნიკურ მაკედონიელებსა და ეთნიკურ ალბანელებს შორის ხელახლა იფეთქა. ამჯერად დავის მიზეზი ტერიტორიები კი არა, „დედა ტერეზას საკითხია“.

რომის ახლოს, დედა ტერეზას საქველმოქმედო ორგანიზაციის შტაბბინასთან, მისი ძეგლი უნდა დაიდგას. ალბანელები აცხადებენ, დედა ტერეზა ალბანელი იყო და ძეგლზე ალბანური წარწერა უნდა ამოიტვიფროსო, რასაც სასტიკად ეწინააღმდეგებიან მაკედონიელები. მათი მტკიცებით, დედა ტერეზა ეთნიკური მაკედონიელი გახლდათ (ის მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში დაიბადა). სიტყვიერი ომი ინტერნეტში დაიწყო, სადაც ორივე ბანაკმა თავისი სიმართლის დამამტკიცებელი საბუთების გავრცელება დაიწყო. მოგვიანებით კი კამათმა სკოპიეს ქუჩებში გადაინაცვლა, რასაც ორი ქვეყნის, მაკედონიის და ალბანეთის პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის ურთიერთდაპირისპირება მოჰყვა. კამათი კვლავ გრძელდება.

მოქანდაკე ტომ სერაფიმოვსკიმ კი ძეგლის წარწერის პრობლემა ორიგინალურად გადაწყვიტა — დედა ტერეზას სკულპტურულ გამოსახულებას წარწერა არ ექნება — მხოლოდ დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი ამოიტვიფრება.

*ნიუ ზუიქი*

# ბენზინი — ეთიოპიელთა საყვარელი სასმელი

გერმანიის ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომლები განცვიფრდნენ, როცა ერთ-ერთმა კლიენტმა სალაროში ბენზინის ღირებულება გადაიხადა და საწვავის სმა პირდაპირ „პისტოლეტიდან“ დაიწყო. „გურმანი“ — ოცდაათი წლის ეთიოპიელი აღმოჩნდა. სანამ ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომლები შლანგს წაართმევდნენ, მან 140 მილილიტრი ბენზინის დალევა მოასწრო. გამოძახებულმა „სასწრაფო დახმარებამ“ იგი საავადმყოფოში წაიყვანა. ექიმებმა გულდასმით გასინჯეს პაციენტი და დაასკვნეს, რომ იგი სრულიად ჯანმრთელი იყო. არც პოლიციას წაუყენებია ეთიოპიელისთვის ბრალდება, რადგან მან დალეული ბენზინის ღირებულება პატიოსნად გადაიხადა.

*შტერნი*



# უცნაური სიყვარული...

ხანში შესული ბრიტანელი ცოლ-ქმრის სახლიდან ცხოველთა დაცვის საზოგადოების თანამშრომლებმა გაიყვანეს 244 ძაღლი, 16 თუთიყუში, 7 კატა. ცხოველები ორი დღის მანძილზე გაჰყავდათ. ისინი ცხოვრობდნენ ყველგან — ოთახებში, სარდაფში, მარანში, სხვენზე. მეზობლები ირწმუნებიან, ეს სახლი საზიზღრად ყარდაო.

ცხოველთა მიმართ ადამიანის სიყვარული ზოგჯერ უცნაურად მჟღავნდება ხოლმე. მაგალითად, ერთი ამერიკელი ქალის სახლში პოლიციამ იპოვა 180 კატა. ამასთან, მათ შორის მხოლოდ 100 იყო ცოცხალი: 80 მკვდარი კატა ფაქიზად იყო შეხვეული და შენახული ჩანთებში, რომლებზეც მიკრული იყო კატის „თავისებურებები“ და სიკვდილის თარიღი. პოლიციამ ცოცხალი კატები ადგილობრივ ბუნების დამცველებს გადასცა, მათი პატრონი კი — ფსიქიატრებს.

შარშან ბრიტანელმა საგზაო პოლიციელებმა გააჩერეს ავტომანქანა, რომლითაც ხანში შესულ ქალბატონს გადაჰყავდა 27 ძაღლი, მათ შორის, ერთ-ერთი ქალს კალთაში ეჯდა. ხუთი მოზრდილი ძაღლი — მისაბმელი ქამრის გარეშე, ხოლო დანარჩენი 22 გალიებში ისხდნენ უკანა სავარძელზე. ამასთან, 60 წლის ბარბარა ბირნი კიდეც ეწეოდა და ხელში ყავის ფინჯანიც ეჭირა...

*XXL №3*

# ტაქსი ლონდონიდან




ამერიკელებს უყვართ თავისი ავტომობილები. ამასთან, კეთილგანწყობილნი არიან ყველაფრისადმი, რაც ბრიტანულია. ამიტომ ბევრს არ გაჰკვირვებია, როდესაც გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ამერიკელი აპირებს „ლონდონის სიამაყის“, შავი „კების“ (ლონდონში ტაქსებად რომ იყენებენ) შეძენას. მეტიც, ბოსტონში არსებულმა „ლონდონ ტაქსი კომპანიმ“ ბრიტანელებს 120 ასეთი კები შეუკვეთა — თითოეული 45.000 დოლარად. ასეთივე მანქანების შეძენის სურვილი უკვე რამდენიმე ტაქსის კომპანიამ გამოთქვა. კები, რომელსაც ამერიკელები ბორბლებიან ყუთს უწოდებენ, მათ წარმოდგენაში ფუფუნებასთან ასოცირდება. იგი მკაცრი ინგლისური სტილითაა შექმნილი და მასში მჯდომ მგზავრს თავი ლონდონელი დენდი ჰგონია. არანაკლებ სასიამოვნოა ამერიკელთათვის კებებში ჩაჯდომაც. სხვა ავტომობილებისგან განსხვავებით, მგზავრი პირდაპირ კი არ ჯდება, არამედ შედის ავტომობილში (კები ძალზე მაღალია). თვით გუბერნატორობის მოსურნე არნოლდ შვარცენეგერიც სწორედ ასეთი, საკუთარი შავი კებით დასეირნობს.

*ვოკრუგ სვეტა*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში რუსი მხედართმთავრის, მიხეილ სუვოროვის სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**ჩ.** ოდნავ შემჭკნარი ყურძენი; **ვ.** რუსი ფერმწერი; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **ნ.** ხელოვნური ბოჭკო; **თ.** მეტსახელი; **ა.** მთა, რომელთანაც გაჩერდა ნოეს კიდობანი; **ნ.** ფრანგი მსახიობი მამაკაცი; **ე.** ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი; **რ.** ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **თ.** მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ა.** სამხედრო გემების დიდი შენაერთი; **დ.** ქართული დალი, ბერძნული არტემიდე, რომაული — ?; **ა.** თვითმფრინავის სადგომი; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **მ.** პიერ არონაქსი — პროფესორი, კონსეი — მსახური, ნედ ლენდი — ?; **ო.** თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში; **ი.** ლონე, სიქა, არაქათი; **წ.** ის, რასაც ინდიელები მოლაპარაკე ქაღალდს ეძახდნენ; **ყ.** უხნავი, დაუმუშავებელი მიწა; **ე.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **თ.** წვრილი ღვედი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**კ.** კაიზერი; **ვ.** ვიმპელი; **ი.** იმედი; **რ.** რადა; **ი.** ილიადა; **ს.** სიღნაღი; **პ.** პავლე; **ა.** ათინათი; **ლ.** ლიძავა; **ი.** იალბუზი; **ტ.** ტაისონი; **რ.** რიშარი; **ა.** აკვანი; **თ.** თეირანი; **ძ.** ძელეხი; **ვ.** ვაიმარი; **ე.** ეკალი; **ნ.** ნოსტე; **ი.** იღუმენი; **გ.** გურია; **ა.** აგვისტო; **ზ.** ზვიგენი; **ე.** ეკლერი; **თ.** თხილი; **ი.** იქსი; **ა.** ამანათი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: იმედი ღვიძლი შვილია სურვილისა..**

# კახუჩელას სჯერა წინასწარმეტყველების

**— სჯერა თუ არა კახუჩელას წინასწარმეტყველების? ერთ-ერთ ჟურნალში ამოვიკითხე, რომ მომავალში მას კინოვარსკვლავის კარიერა ელოდება. თავად როგორ უყურებს ამ წინასწარმეტყველებას, რას საქმიანობს ამჟამად და რას გვპირდება ახალს?**

***მაიკო შენგელია***



კითხვაზე უპასუხებს მომღერალი **კახა ცისკარიძე**, ანუ კახუჩელა.

— საერთოდ არ ვიცი, რას გულისხმობს შეკითხვის ავტორი. მე თავად ეს წინასწარმეტყველება არ წამიკითხავს (მომიწია კახუჩელასთვის მის შესახებ გამოქვეყნებული მასალის გაცნობა. — რ.ჟ.). რა საინტერესოა. საიდან დაინახა იმ ქალბატონმა ჩემი მომავალი, თუმცა, ამ შემთხვევაში დამთხვევა არის კიდეც. მთელი ბავშვობა მსახიობობაზე ვოცნებობდი, როცა მეკითხებოდნენ, ვინ უნდა გამოხვიდეო, ვპასუხობდი — მსახიობი-მეთქი. არც ამჟამად ვიტყოდი მსახიობობაზე უარს, თუ იქნებოდა მისაღები სცენარი და ნორმალური დაფინანსება, რაღაც პერიოდის განმავლობაში შეიძლება მართლაც მეთამაშა კინოში, თუნდაც ინტერესის გამო (საკუთარი შესაძლებლობების სხვა სფეროში მოსინჯვის ცდუნებით). თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ კინოხელოვნებაში წავალ, სიმღერას მივანებებ თავს. მე პროფესიით მუსიკოსი ვარ და გამუდმებით ვმუშაობ. კინოში მოღვაწეობა შეიძლება დროებითი იყოს, ამის პარალელურად ახალი მუსიკისა თუ სიმღერის შექმნაზე აუცილებლად ვიმუშავებ, რადგანაც უსიმღეროდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. თუმცა ეს ყველაფერი ხომ „წინასწარმეტყველებაა" და კაცმა არ იცის, რა იქნება მომავალში — მოვხვდები თუ არა კინოში და ა.შ. ისე კი ვთვლი, რომ ყველა მომღერალი ნაწილობრივ მსახიობიცაა.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, ამჟამად შინ ვმუშაობ და წინასაარჩევნო ციებ-ცხელების გამო მხოლოდ კონცერტებში თუ ვმონაწილეობ. ერთი სიტყვით, იძულებითი შემოქმედებითი პაუზა „გამოგვიწერეს" პოლიტიკოსებმა. ახლა ახალი კლიპის გაშვება ნამდვილად არ ღირს, რადგანაც ყველაფერს პოლიტიკურ სარჩულს დაუდებენ. არჩევნების შემდეგ კი ჩემი ახალი ალბომი გამოვა და მინდა იმედი ვიქონიო, რომ იგი მსმენელს მოეწონება.

# სიტყვათა კონა

**გრაკლა** — დაბალი დეკორატიული ფოთლოვანი ბუჩქი.

**გრუზა** — ხშირი და ხუჭუჭა (თმა).

**გრჯლა** — დიდ ხის ტანზე განშტოებული მსხვილი ტოტი.

**გუდალი: გუდალი თვალები** — თვალები, რომლებსაც ქუთუთოები გამობერილი აქვს.

**გუდამშიერი** — ლუკმაპურის მონატრული; ღარიბ-ღატაკი.

**გუდურა** — ერთი შეკვრა წვრილი შეშა, ფიჩხი.

**გულბოყვი** — გულმკერდის არე.

**გულქანდა** — მოვარაყებული ლითონის ან ფერადი ქვების ყელსაბამი.

**გულქართლი** — გულუხვი, პურადი, გულკეთილი, გულმართალი.

**გულყრა** — გულის შეღონება.

**გუმბრინი** — მონაცრისფრო თიხისებური მინერალი; მოიპოვება იმერეთში (სოფელ გუმბრის მახლობლად); იყენებენ ნავთობის, ზეთების და სხვათა გასაწმენდად (ადგილობრივი სახელწოდება — თავსაბანი მიწა).

**გუნდა-ლახუსტაკი** — შავი საღებავი; იხმარება წარბებისა და წამწამების შესაღებად.

**გურზი** (სპ.) — 1. ფოლადის ძველებური საომარი იარაღი კომბალივით. 2. ხელში სატრიალებელი სპორტული იარაღი ამავე მოყვანილობისა (თითებისა და მაჯის განსავითარებლად).

**გუჯაბი** — 1. სატენი, გული (ქადისა, კუპატისა და მისთ.); საკლავის შიგნეულობა, ფაშვ-ნაწლავები. 2. (ძვ.) ჯილაგი, ჯიში, მოდგმა.

# კავკასიის რესპუბლიკები

**— გთხოვთ გაგვაცნოთ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ფართობი (ცალ-ცალკე) და მოსახლეობის რაოდენობა.**

***გურამ ბექაური***

**სომხეთი** (სომხეთის რესპუბლიკა) — მდებარეობს კავკასიის სამხრეთ ნაწილში. ფართობი — 29,8 ათასი კვკმ, მოსახლეობა — 3,8 მლნ კაცი (1995 წ.),

**ჩეჩნეთი** (ჩეჩნეთის რესპუბლიკა) — შედის რუსეთის ფედერაციაში. საზღვრები ჩეჩნეთსა და ინგუშეთს შორის დადგენილი არ არის. მოსახლეობა დაახლოებით 865,1 ათასი კაცი (1996 წლის მონაცემებით).

**დაღესტანი** (დაღესტნის რესპუბლიკა) — შედის რუსეთის ფედერაციაში. ფართობი — 50,3 ათასი კვკმ, მოსახლეობა 2.097 ათასი კაცი (1996 წ)

**ყაბარდო-ბალყარეთი** — შედის რუსეთის ფედერაციაში. ფართობი — 12,5 ათასი კვკმ, მოსახლეობა — 789,5 ათასი კაცი (1996 წ.)

**აზერბაიჯანი** (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) — მდებარეობს კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში. ფართობი — 86,6 ათასი კვკმ. მოსახლეობა — 7.398 ათასი კაცი (1993 წ.),

**საქართველო** — მდებარეობს კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში. ფართობი — 69,7 ათასი კვკმ, მოსახლეობა — 5.493 ათასი კაცი (1993 წ.),

**ადიღე** (ადიღეს რესპუბლიკა) — შედის რუსეთის ფედერაციაში. ფართობი — 7,6 ათასი კვკმ, მოსახლეობა — 450,5 ათასი კაცი (1996 წ.).

**ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა** — შედის რუსეთის ფედერაციაში. ფართობი — 14,1 ათასი კვკმ, მოსახლეობა — 436,3 ათასი კაცი (1996 წ.).

**ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა** — შედის რუსეთის ფედერაციაში. ფართობი — 8 ათასი კვკმ, მოსახლეობა — 662,6 ათასი კაცი (1996 წ.).

**მთიანი ყარაბაღი** (ისტორიული მხარე კავკასიაში). 1923 წლიდან შეიქმნა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი (აზერბაიჯანის შემადგენლობაში). ფართობი — 4,4, ათასი კვკმ, მოსახლეობა — 194 ათასი კაცი (1991 წ.).

**კრასნოდარის მხარე**, შედის რუსეთის ფედერაციაში. ფართობი — 83,6 ათასი კვკმ, მოსახლეობა — 4.849 ათასი კაცი (1993 წ.).

**სტავროპოლის მხარე** — შედის რუსეთის ფედერაციაში. ფართობი — 66,5 კვკმ. მოსახლეობა 3.014,4 ათასი კაცი (1993 წ.)

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

# ვინ უპატრონებს ეროვნულ სტადიონს?

**— ბოლოს და ბოლოს გვიპასუხეთ, რატომ არ აყენებენ „დინამოს" მთელ სტადიონზე ინდივიდუალურ სკამებს. როდემდე უნდა იყოს აჭრელებული და მოუვლელი ეს სტადიონი?**

***ლევან ღლონტი***



*მიუხედავად ჩვენი არაერთი მცდელობისა, დავკავშირებოდით ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ადმინისტრაციას, ასევე დედაქალაქის მერიის შესაბამის სამსახურებს, რომლებსაც ამ საკითხის მოგვარება ევალებათ, არაფერი გამოგვივიდა. მათ პასუხს თავი აარიდეს. ბოლოს კი მივმართეთ კლუბ „დინამო თბილისის" პრესსამსახურის უფროსს* ***ლევან სალუქვაძეს.***

— სამწუხაროდ, საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისს" არ ეკუთვნის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, რომელსაც ხალხი რატომღაც დღესაც ძველი ჩვევისამებრ „დინამოს" უწოდებს. „დინამო თბილისი" საფეხბურთო კლუბი გახლავთ და იგი საქმის კურსში არ არის, როდის დამონტაჟდება სტადიონის დარჩენილ ნაწილში ახალი სკამები. რამდენი ხანია, ეს სტადიონი დედაქალაქის მერიის კუთვნილებაა. რაც შეგვეხება ჩვენ, კონკრეტული თამაშისას „თბილისის დინამო" ისევე ქირაობს სტადიონს, როგორც მომღერალი ფილარმონიის დარბაზს. შესაბამისად, არც ჩვენს კლუბს შეუძლია თავის თავზე აიღოს სტადიონის განახლების საკითხი. ეს საკითხი ეროვნული სტადიონის დამქირავებლებსაც გვაწუხებს და მისი გადაწყვეტა უშუალოდ ქალაქის მერიას და იმ კერძო პირებს ევალება, რომლებიც სტადიონის ამჟამინდელი მეპატრონეები არიან.

P.S. იქნებ თბილისის მერიამ ყურად იღოს დედაქალაქის მცხოვრებთა გულისტკივილი და ეროვნული სტადიონი უმოკლეს ხანში დაამსგავსოს ნამდვილად სტადიონს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ როგორ აქციეს სპორტული ობიექტი სავაჭრო ქსელად.

გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?

**მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!**

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:

- მედიაცია, ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- იპოთეკა,
- მემკვიდრეობა,
- ყიდვა-გაყიდვა,
- კერძო არბიტრაჟი,
- სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა.
- უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8,
☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 912.

# მაჰმადიანობა მე-7 საუკუნეში იშვა

**— წავიკითხე, რომ მსოფლიოს ძირითად რელიგიებს შორის ისლამი ყველაზე გვიან წარმოიშვა და მისი ფუძემდებელი იყო მუჰამედი. გთხოვთ მოგვითხროთ ამის შესახებ**

***სიმონ შათირიშვილი***

*პასუხი მომზადებულია ნუგზარ პაპუაშვილის წიგნის, „მსოფლიო რელიგიები საქართველოში" მიხედვით*

— V ს-ის 20-იან წლებში არაბეთის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბდა ახალი რელიგიური მიმდინარეობა სახელწოდებით ისლამი — მაჰმადიანობა, ანუ მუსლიმანობა. ესაა სინკრეტული რელიგია, რომელშიც პირველ რიგში იგულისხმება იუდაიზმისა და ქრისტიანობის გავლენა. ბიბლიის კვალი შესამჩნევია მაჰმადიანთა აზროვნებისა და ყოფაცხოვრების ყოველ ნაბიჯზე.

არაბეთის ნახევარკუნძულზე, ძირითადად ბიბლიური გადმოცემის საფუძველზე აღმოცენდა რჯული, რომელიც გაავრცელა მუჰამედმა ანუ მაჰმადმა. მუჰამედი 570-632 წლებში ცხოვრობდა. იგი ყურეიშელთა ტომიდან, ჰაშიმის გვარიდან იყო. დაიბადა და აღიზარდა ქალაქ მექაში, რომელიც არაბეთის საკულტო ცენტრს წარმოადგენდა.

მუჰამედი ღარიბი ვაჭრის — აბ დალაჰის შვილი იყო, ადრე დაობლებულა და ბავშვობა მოჯამაგირეობაში გაუტარებია. იყო მწყემსი, შემდეგ — ქარავნის გამყოლი. მერე მდიდარი ქალი — ჰადიჯა შეირთო და გახდა ვაჭარი.

მუსლიმანთა რწმენით, მუჰამედს 610 წელს ეუწყა ზეციური სიბრძნე, რომელსაც სხვებსაც გადასცემდა. შემდეგ ეს სიბრძნე ეტრატზე გადაიტანეს. ასე შეიქმნა ყურანი, რაც არაბულად „კითხვას" ნიშნავს.

მოგვიანებით წარმართებმა, რომლებიც მექაში მოსახლეობდნენ, მუჰამედს დევნა დაუწყეს. ისიც იძულებული შეიქნა მოწაფეებთან ერთად დაეტოვებინა მექა და მედინაში გადასახლებულიყო. გადმოცემის თანახმად, გადასახლება ანუ ჰიჯარა 622 წელს მოხდა. სწორედ მედინაში აშენდა პირველი მეჩეთი.

მუჰამედი, როგორც ახალი სახელმწიფოს დამაარსებელი, სარდალი და ახალი რელიგიის — მაჰმადიანობის მამამთავარი, 630 წელს დიდებით დაბრუნდა მექაში და ორი წლის შემდეგ აღესრულა კიდეც.




წაიკითხეთ არჩევნებამდე — ღირსეული არჩევანისთვის.

# ქართველები უეფას თასზე

უეფას თასის გათამაშებას სამწუხაროდ, ქართული გუნდები გამოეთიშნენ, თუმცა, ლეგიონერების წყალობით, უეფა მაინც არ დარჩენილა უქართველებოდ.

დონეცკის „მეტალურგი“, სადაც გოჩა ჯამარაულისა და გიორგი დემეტრაძის ქართული დუეტი გამოდის, „პარმას“ უპირისპირდებოდა, ასევე იტალიური მოწინააღმდეგე, კერძოდ, „პერუჯა“ ჰყავდა მეტოქედ გიორგი ნემსაძის „დანდის“. ლევან კობიაშვილის „შალკეს“ ხორვატიული „კამენი“ შეხვდა. უამბიციო „ზიმბრუ“, სადაც ქართველი ლევან გვაზავა თამაშობს, საბერძნეთის „არისს“ დაუპირისპირდა, მოსკოვის „სპარტაკი“ კი, რომელშიც უახლოეს ხანში გიორგი ლომაიას მოუწევს თამაში, დანიურ „ესბიერგს“ ხვდებოდა.



## საჩუქარი დაბადების დღისთვის

უეფას თასზე ქართველ ლეგიონერთა გუნდებიდან ყველაზე ამბიციური გუნდი დონეცკის „მეტალურგს“ შეხვდა. იტალიური „პარმა“ მართლაც რომ ძლიერი გუნდია, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ამ გუნდმა სულ რამდენიმე დღის წინ გასვლაზე „ლაციო“ დაამარცხა.

სამაგიეროდ, დონეცკის „მეტალურგს“ ვერაფერი მოუხერხა. პირველი ტაიმი ფრეშის შეგირდებმა ისე წარმართეს, რომ არა მარტო იტალიელები, არამედ თავისი მწვრთნელიც კი გააკვირვეს.

**გიორგი დემეტრაძე:** „პირველ ტაიმში საკმაოდ სწრაფი თამაში შევთავაზეთ მეტოქეს. ამან შედეგი გამოიღო და ჩემი წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა გოჩა ჯამარაულმა კარგად შეასრულა, რაც შიშჩენკომ დააგვირგვინა გოლით. ჩვენს შემტევ ფეხბურთს არ ელოდა „პარმა“ და გუნდი დაბნეული ჩანდა, თუმცა, მეორე ტაიმში ჩვენმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ სჯობდა ანგარიშის შენარჩუნებაზე გვეფიქრა, რის შემდეგაც დაცვაზე უფრო მეტად გავამახვილეთ ყურადღება. რომ არა ასეთი ტაქტიკა, შეიძლება კიდევ გაგვეტანა ბურთი. ჩვენი უკანდახევა კარგად გამოიყენა „პარმამ“ და ანგარიში გაათანაბრა.

განმეორებითი შეხვედრა უდავოდ რთული იქნება, რადგანაც უძლიერესი გუნდია ჩვენი მოწინააღმდეგე, მაგრამ ამ თამაშმა დაგვანახვა, რომ მისი კარის ზღუდეები სრულიადაც არ არის აუღებელი. ძნელია პროგნოზის გაკეთება, თუმცა, ის კი შემიძლია ვთქვა, რომ თავს არავინ დავზოგავთ...“

დაბოლოს, აღსანიშნავია ის, რომ ამ თამაშიდან ორი დღის შემდეგ დემეს 27 წელი შეუსრულდა, „პარმასთან“ კარგად ჩატარებული მატჩი კი, როგორც თავად აღნიშნავს, მისთვის საკუთარი თავისადმი გაკეთებული ყველაზე ლამაზი საჩუქარია.

## როგორ ჩაუმწარეს იტალიელებმა დანდელებს დღესასწაული

შოტლანდიის „დანდი“, სადაც ჩვენი ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე თამაშობს, უეფას თასის გათამაშებაზე იტალიის „პერუჯას“ დაუპირისპირდა. აი, რას ამბობდა თამაშამდე **გიორგი ნემსაძე:**

„ამ შეხვედრას მთელი ქალაქი დღესასწაულივით ელის. ჩვენი გუნდი იშვიათად მონაწილეობს უეფას თასის გათამაშებაში, ამიტომაც იტალიელების სტუმრობა საგანგებო მოვლენადაა მოაზრებული. ჯიმ დაფიმ ნახა „პერუჯას“ თამაში და განსაკუთრებულ ყურადღებას თავდასხმასა და ნახევარდაცვაზე ამახვილებს. თუ ეს ორი სათამაშო რგოლი გავანეიტრალეთ, მაშინ შესაძლებელი იქნება სასურველი შედეგის მიღწევა.“

თუმცა, როგორც გამოჩნდა, ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. მართალია პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, მაგრამ მეორე ტაიმში ჯერ იტალიელებმა გახსნეს ანგარიში, რასაც 63-ე წუთზე ერნანდესის საპასუხო გოლი მოჰყვა, მერე კი თამაშის მიწურულს იტალიელებმა შეძლეს გამარჯვების გოლის გატანა და უეფას თასის მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსიც ერთი-ათად გაზარდეს.

## „შალკე“ „ფრაიბურგის“ ქართველობამ ჩაძირა?

გელზენკირხენის „შალკე“, რომელსაც გასვლითი თამაში ჰქონდა ხორვატიის „კამენთან“, საკმაოდ რთულ სიტუაციაში გახლდათ. საქმე ისაა, რომ კობიაშვილს და კომპანიას ზედიზედ სამი თამაში არ მოეგოთ და ამ არაცთუ სახარბიელო „ტრადიციისთვის“ სწორედ ხორვატიაში უნდა დაესვათ წერტილი. ბუნდესლიგის ბოლო მატჩი, რომელიც შეიძლება ითქვას, გენერალური რეპეტიცია იყო უეფას თასის მატჩის წინ, ქართული დერბით აღინიშნა. „ფრაიბურგმა“, რომელიც „შალკესთვის“ ტრადიციულად უხერხული მეტოქეა, კიდევ ერთხელ გაამწარა ეს ამბიციური გუნდი — 2:1 გაიმარჯვეს ფინკეს შეგირდებმა.

მოსალოდნელი იყო, რომ უეფას თასის გასვლითი მატჩი ხორვატიაში ერთგვარად კომპენსირებას შეასრულებდა, თუმცა, როგორც ჩანს, „ფრაიბურგის“ ქართველობამ ისე წაუხდინა გუნებაგანწყობა ჰაინკესს და მის გუნდს, რომ ხორვატიაში ვერაფერი გააწყო და უგოლო ფრეს დასჯერდა. ბუნდესლიგის ბინადრისთვის ეს რომ არ უნდა იყოს დადებითი შედეგი, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამ შედეგისა, ძნელი სავარაუდოა, რომ „კამენი“ მომდევნო ეტაპზე გასვლას მოახერხებს.

ლევან გვაზავამ „ზიმბრუს“ შემადგენლობაში თავი ვერაფრით გამოიჩინა, ხოლო მისმა გუნდმა „არისთან“ საშინაო შეხვედრა ფრედ — 1:1 დაასრულა. რაც შეეხება მოსკოვის „სპარტაკს“, მან გიორგი ლომაიას გარეშე 2:0 სძლია დანიურ „ესბიერგს“.

# გენერალური რეპეტიციაც ასეთი უნდა

როგორც იქნა, გამოინახა სახსრები საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მძიმე სიტუაციიდან გამოსაყვანად. საფრანგეთში სასტუმროს ხარჯები ნაწილობრივ დაიფარა, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემები მოგვარდა ბიზნესმენების ჩარევით, სახელმწიფოს მხრიდან კი, მიუხედავად დაპირებისა, ბოლო ხანს არანაირი თანხა არ არის გადახდილი.

ბუნებრივია, საინტერესოა, თუ რა გავლენას ახდენს ეს ფაქტი თავად მორაგბეებზე:

**ზაზა ქასაშვილი,** *რაგბის ნაკრების ვიცე-პრეზიდენტი:*

„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს პრობლემები თავად რაგბისტებს არ შეეხოთ. მათ ყველაზე ძალიან სჭირდებათ ფსიქოლოგიური სიმშვიდე. იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენ არასდროს მივმართავთ შანტაჟს საერთაშორისო მასშტაბით. პრობლემებზე საუბარი მხოლოდ ქართველ ჟურნალისტებთან გვაქვს, თუკი უცხოურ პრესაში რაიმემ გაჟონა, სწორედ ქართული პრესიდან და არა უცხოური მასმედიისთვის ჩვენ მიერ მიცემული ინტერვიუებიდან. სასტუმროსთან დაკავშირებული ინციდენტი ჩვენმა მორაგბეებმა არ იციან, თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ ისინი კარგად ხედავენ იმ უგულო და აგდებულ დამოკიდებულებას რაგბის მიმართ, რაც საქართველოს ხელისუფლებას აქვს.“



ამასობაში კი სამუნდიალოდ გამზადებულმა ქართველმა „ბორჯღალოსნებმა“ გენერალური რეპეტიცია გამართეს საფრანგეთში სარაგბო კლუბ „შატორენოსთან“ და დაამარცხეს მეტოქე 54:0. ამ თამაშისას მთავარი გახლდათ ის, რომ კლოდ სორელის მიერ დანერგილი ახალი სათამაშო სქემები წარმატებით გამოიცადა. ბატონი კლოდი კმაყოფილებას ვერ მალავს შედეგით, შედეგი კი, უპირველესად ისაა, რომ ჩვენმა რაგბისტებმა წარმატებით აითვისეს მთელი რიგი სიახლეები.

**გია ჭუმბურიძე,** *რაგბის კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი:*

—ახალი სათამაშო სქემები უპირველესად გულისხმობს გუნდის ბლოკებად დაყოფას, რის შედეგადაც მოქმედება უფრო რაციონალური და მობილური ხდება, ეს კი სათამაშო რგოლების დაახლოებასაც უწყობს ხელს. ყველას კონკრეტული დავალება აქვს მიცემული, რომლის წარამატებით შესრულების შედეგად, თამაშის ხარისხი უმჯობესდება. ბოლო მატჩმა ეს კარგად დაგვანახვა“.

**ზაზა ქასაშვილი:** იმისთვის, რომ თამაშის ხარისხი გაუმჯობესებულიყო, აუცილებელი გახლდათ მატჩის ანალიზისას ვიდეოაპარატურისა და კომპიუტერული ტექნიკის ჩართვა, ადრე, უსახსრობის გამო, ამის საშუალება არ არსებობდა, ახლა კი თავად კლოდ სორელმა შეიძინა ეს ტექნიკა და ჩვენ დაწვრილებითი ანალიზის საშუალება გვაქვს. შეგვიძლია მთელი მატჩის დანაწევრება ვიდეოფირზე და თითოეული მოთამაშისა და ყველა რგოლის შეფასება. ერთ ფაქტს აღვნიშნავ — იტალიის ნაკრებთან თამაშისას, ერთი შეხედვით ჩანდა, რომ ირაკლი გიორგაძემ საშუალო დონეზე ითამაშა, არადა, თამაშის დეშიფრირება რომ მოხდა, გამოჩნდა, რომ ირაკლის გარჯა საუკეთესო ყოფილა.

**ირაკლი აბუსერიძე,** *საფრანგეთის „ორიაკი“*: ასეთი ანალიზი საკმაოდ გვეხმარება თამაშის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით. ვიტყვი იმას, რომ ასეთი წესით ხდება არა მარტო ოფიციალური თამაშებისა და სპარინგ-მატჩების შეფასება, არამედ ვარჯიშისას ჩვენი ყოველი მოქმედება. ბუნებრივია, ამას უდავოდ დადებითი კვალი შეუძლია დააჩნიოს ჩვენს თამაშს.

**ზურა მჭედლიშვილი:** გუნდი მაქსიმალურად მომზადებულია იმისთვის, რომ გავიდეს მოედანზე და ბოლომდე იბრძოლოს. ჩვენი მეტოქეები საკმაოდ სახელოვანი გუნდები იქნებიან. პირველი თამაში ინგლისელებთან გვაქვს, ჩვენს ჯგუფში მოხვდა სამხრეთ აფრიკის ნაკრები. წარმატებაზე ფიქრი ასეთ ნაკრებებთან ძნელია, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენი თამაშის შემდეგ ვერც ერთი გულშემატკივარი ვერ იტყვის, ვინმემ დაზოგა თავიო. ვნახოთ, ეგებ ამ თავდადების შედეგად სენსაციაც კი მოხდეს...

**ბესო ხამაშურიძე:** საქართველოს ნაკრებში თამაში ჩვენთვის ყველაზე დიდი პატივია. ჩვენ არაერთხელ გვიგრძნია ის უზომო სიყვარული, რაც ჩვენს გულშემატკივარს აქვს რაგბის ნაკრებისადმი. სიყვარულს კი დაფასება უნდა. ჩვენი გუნდი მზადაა მუნდიალზე ღირსეულად თამაშისთვის.

# რა სარგებლობას მოუტანს ნევიო სკალა გიორგი ლომაიას

მოსკოვის „სპარტაკის“ ქართველი ლეგიონერის, საქართველოს ნაკრების მეკარის გიორგი ლომაიას დებიუტი რუსეთის სახალხო გუნდში სავარაუდოდ, უახლოეს ხანებში შედგება. სარწმუნო ინფორმაციით, ჩვენებურს ცნობილი იტალიელი სპეციალისტის, ნევიო სკალას ხელმძღვანელობით მოუწევს გარჯა.

ბოლო ხანს „სპარტაკის“ წარუმატებელმა თამაშმა გარკვეული გულისწყრომა გამოიწვია გულშემატკივრებში, ამიტომაც კლუბის მეპატრონეები სერიოზულ გარდაქმნებს გეგმავენ. პირველი ნაბიჯიც გადაიდგა და უცხოელი სპეციალისტის ძებნაც დაიწყო.

„სპარტაკის“ პრეზიდენტი ანდრეი ჩერვიჩენკო აპენინებზე შეხვდა ნევიო სკალას და მისგან „სპარტაკის“ გაწვრთნაზე წინასწარი თანხმობაც მიიღო. სავარაუდოდ, იტალიელი საქმეს იანვრიდან შეუდგება.

ნევიო სკალას უკრაინული კარიერა დონეცკის „შახტარში“ არცთუ წარმატებული გამოდგა, ვნახოთ, რას შესძენს მის ავტორიტეტს რუსების სახალხო გუნდი.

„თხუთმეტიოდე დღის წინ დამიკავშირდნენ „სპარტაკიდან“. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, მეორე მხრივ კი მესიამოვნა, ამიტომაც მოსალაპარაკებლად მაგიდას დიდი კმაყოფილებით მივუჯექი.“

და აქ ბატონმა სკალამ ისეთი რამ განაცხადა, რაც მეტად საგულისხმო უნდა იყოს ქართველი გულშემატკივრებისთვის:

„ჩემი ტელეფონის ნომერი ჩერვიჩენკოს „სპარტაკის“ მეკარემ ვოიცეხ კოვალევსკიმ მისცა, რომელთანაც მე „შახტარში“ ყოფნისას ვმუშაობდი.“

ერთი სიტყვით, სკალა და ლომაიას უშუალო კონკურენტი, პოლონელი კოვალევსკი კარგი ნაცნობები ყოფილან. ეს კი, ბუნებრივია, ბატონი ნევიოს „სპარტაკის“ მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემთხვევაში, გარკვეული სუბიექტურობის მომენტებსაც უნდა შეიცავდეს ძირითადი შემადგენლობის შერჩევისას. იქნება თუ არა გიორგი ლომაიას მოსკოვური კარიერისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორი ნევიო სკალა, მომავალში გამოჩნდება, ქართველ გულშემატკივართა იმედად კი გიორგი ლომაიას ის ფრაზა რჩება, რომელიც მან ჩვენთან საუბარში განაცხადა.

კითხვას, აფრთხობს თუ არა „სპარტაკის“ მეკარეებთან კონკურენცია, საქართველოს ნაკრების გოლკიპერმა საკმაოდ მოსწრებულად და ლაკონიურად უპასუხა:

„გუნდი უმეკარეოდ სად გინახავთ, ყველგან თვითდამკვიდრებაა საჭირო, მე კი ამისთვის მზად ვარ...“



# ირაკლი ლაბაძე ბასკეთშიც პირველია

ბოლო ხანს ირაკლი ლაბაძე წარმატებით თამაშობს. მან კიევის ჩელენჯერის ტურნირის შემდეგ, მეორე ასეთი ასპარეზობა საფრანგეთის ბასკურ მიწაზე — სენ-ჟანდელუზში მოიგო.

ჩვენებურმა ფინალურ შერკინებამდე ჩამოიცილა იგორ კუნიცინი, ნოამ ოკუნი, ენტონი დუპუა და რიშარ კასკე. ფინალში კი ფაბრის სანტოროს დაუპირისპირდა. სანტორო „დიდი მუზარადის“ ტურნირების ხშირი სტუმარია, მისი გამოცდილება ფინალური შეხვედრის დროსაც გამოჩნდა. თავდაპირველად სანტორო დაწინაურდა, შემდეგ კი ლაბაძემ ორი სეტი მოიგო და გამარჯვებულისთვის დაწესებულ პრიზს და 18 ათას დოლარს დაეუფლა.

ირაკლი ლაბაძის პროგრამა-მაქსიმუმი წელს ჩელენჯერის ტურნირებში წარმატებული გამოსვლა გახლავთ, რაც საშუალებას მისცემს მას, „დიდი მუზარადის“ ტურნირებში საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის გარეშე ჩაერთოს.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ირაკლი ამ მიზანს უთუოდ მიაღწევს.

***გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა***

# მსოფლიო უკან დარჩა, წინ ევროპაა...

*იაპონიაში ქალაქ ოსაკაში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში, საქართველოს ნაკრებს ბოლო ხანს საკმაოდ დიდი ამბიციები აქვს მსოფლიო ასპარეზზე, ამიტომაც ყველა მოელოდა ჩვენი სპორტსმენების მასშტაბურ გამარჯვებებს, თუმცა, მხოლოდ* ***ზურაბ ზვიადაურმა*** *შეძლო წარმატებით გამოსვლა.*

**შოთა ხაბარელი,** საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

— იაპონიაში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რვა დღით ადრე ჩავედით, მაგრამ ისეთი საშინელი ამინდი იყო, რომ გაგვიძნელდა აკლიმატიზაცია — არა მარტო ჩვენ, არამედ ევროპის ნებისმიერ გუნდს. სუნთქვა ჭირდა და უჰაერობა იყო, ამას დაემატა საშინელი ნესტი. როგორც ჩანს, ამის ბრალი უნდა იყოს, რომ ევროპის წარმომადგენლებმა ვერ იასპარეზეს კარგად. აზიელებმა შვიდი ოქროს მედალი მოიპოვეს. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს.

ჩვენც შეგვეძლო ოქროს მედლის მოპოვება. ზურაბ ზვიადაური 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფინალში შეხვდა კორეელ ჰეე ტაე ჰვანგს. თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო, თუმცა, რამდენიმე გდება იაპონელმა მსაჯმა არ ჩათვალა. იაპონელი კორეელს მიუდგა და სწორედ ამას მოჰყვა ის, რომ ზურაბმა ელემენტარული შეცდომა დაუშვა, რასაც სხვა ვერაფრით ავხსნი, თუ არა უიღბლობით. მოპოვებული უპირატესობა ზვიადაურმა წყალში გადაყარა. თავისივე წამოწყებულ ილეთზე წამოეგო და მეტოქემ შებოჭა.

მსაჯების მიკერძოებამ ივერი ჯიქურაულსაც დააკარგვინა ბრინჯაოს მედალი, სხვათა შორის, იქაც მსაჯი იაპონელი იყო. ერთი შეხედვით, ჩვენ იაპონელებთან არა გვაქვს ცუდი ურთიერთობა, მაგრამ იმ სფეროს, რომელსაც მსაჯთა მაფია ჰქვია, ვერაფრით დაუპირისპირდები...

იმასაც ვიტყვი, რომ ბევრი ისეთი ქვეყანა გამოჩნდა, რომელთაც ადრე ანგარიშს არ ვუწევდით, არადა ნიკარაგუელი და ვენესუელელი ძიუდოისტები უკვე კონკურენციას უწევენ ძიუდოს მოწინავე ქვეყნების წარმომადგენლებს.

ახლა ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის გუნდური ეტაპისთვის ემზადება, რომელიც ლონდონში, ნოემბრის დასაწყისისთვისაა დაგეგმილი. ჩვენი გუნდი ნახევარფინალში გავიდა. მიზანი მხოლოდ ერთია — კონტინენტის პირველობა, მით უმეტეს, რომ გარკვეული გამოცდილება ამ თვალსაზრისით უკვე გვაქვს.

CMYK

## №38 (364) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 635 მკითხველი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 228 ქალმა და 397-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელ პოლიტიკურ ლიდერს ენდობით ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველი ყველაზე მეტად შალვა ნათელაშვილს ენდობა. რესპონდენტთა 40%-მა დაუწერა ნათელაშვილს მაქსიმალური — 9 ქულა. **7,41** საშუალო ქულით №1 ლეიბორისტი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე 7,35 საშუალო ქულით ნინო ბურჯანაძეა, რესპონდენტთა 33% აცხადებს, რომ ყველაზე მეტად სწორედ ბურჯანაძე იმსახურებს მათ ნდობას.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულაც (1,4%) ქალბატონმა ნინომ დაიმსახურა.

მიხეილ სააკაშვილი მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 6,52. მკითხველთა დაახლოებით 12%-მა დაუწერა „ნაციონალების“ ლიდერს მაქსიმალური — 9 ქულა.

როგორც ხედავთ, მკითხველი თითქმის ერთნაირი ხარისხით ენდობა ზურაბ ჟვანიასა და გოგი თოფაძეს. მათ შორის ადგილების განაწილება სულ ერთმა მეასედმა ქულამ გადაწყვიტა. ყველაზე ცოტა რაოდენობის მაქსიმალური ქულების მფლობელი ზურაბ ჟვანიაა, რესპონდენტთა მხოლოდ 0,8%-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 9 ქულა.

მკითხველთა ნდობას ნაკლებად იმსახურებენ ასლან აბაშიძე და ედუარდ შევარდნაძე. პრეზიდენტმა ზუსტად 50%-ისგან დაიმსახურა მინიმალური — 1 ქულა და რეიტინგშიც სულ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.

წინასაარჩევნოდ პოლიტიკოსთა ნდობის რეიტინგი ასე გამოიყურება. არადა, სულ რამდენიმე წლის წინ ასეთ რეიტინგებს სათავეში პრეზიდენტი ედგა.

**როგორც იცით, გამოკითხვა ე.წ. „ბოლნისის ინციდენტამდე“ ჩატარდა. საინტერესოა, როგორი იქნებოდა რეიტინგის შედეგები, ამ კითხვით რესპონდენტთათვის ოდნავ მოგვიანებით, ინციდენტის შემდეგ რომ მიგვემართა. ვნახოთ, როგორ იმოქმედებს აღნიშნული ფაქტი მიხეილ სააკაშვილის რეიტინგზე.**




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 77 წლის თბილისელი **მიშა ჩიჩუაა.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 1 ოქტომბერს, 17 საათზე.

**რეიტინგის შედეგებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს შეუძლია მოვიდეს რედაქციაში, გადახედოს მკითხველების მიერ შევსებულ ბარათებს და დარწმუნდეს რეიტინგის ობიექტურობაში.**

## №39 (365) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **მკითხველის პრემიაში**

**№39 (365) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 1-ელი ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 2 ოქტომბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

**თემა №39 (365) — ტელეწამყვანი მამაკაცები**

**თქვენი აზრით, ვინ არის გასართობი გადაცემების საუკეთესო ტელეწამყვანი მამაკაცი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№39(365) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ტელეწამყვანი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ბორის წიფურია – „ფორტუნა“ (I არხი) | |
| 2 | ნიკა ლომიძე – „ლარის მახე“ (იმედი) | |
| 3 | დათო გოგიჩაიშვილი – „ღამის შოუ“ (რუსთავი 2) | |
| 4 | გიორგი გიორგანაშვილი – „იმღერე რამე“ (I არხი) | |
| 5 | გია როინიშვილი – „ღამის მატარებელი“ (IX არხი) | |
| 6 | დუტა სხირტლაძე – „ვის უნდა 20 ათასი“ (რუსთავი 2) | |
| 7 | გიორგი გოგიჩაიშვილი – „მხიარული კარუსელი“ (I არხი) | |
| 8 | მალხაზ ქვრივიშვილი – „ტოტო-ლოტო“ (რუსთავი 2) | |

**მკითხველის რეიტინგი**

დაასახელეთ სექტემბრის თვის ადამიანი საქართველოში

✓ ______________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

### დამატებითი კითხვის შედეგები

**აპირებთ თუ არა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას?**




თუ მოსახლეობის ეს განწყობა 2 ნოემბრამდე გაჰყვა, ალბათ 2003 წლის არჩევნები მონაწილეთა რაოდენობით ერთგვარ რეკორდს დაამყარებს — რესპონდენტთა 73,4%-ს გადაწყვეტილი აქვს საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადოს და პოლიტიკური ნება გამოხატოს. მით უმეტეს, რომ არჩევანის გაკეთებასთან ერთად, შესაძლოა, პარლამენტართა რაოდენობის შემცირებაშიც შეიტანოს წვლილი.

***დამატებით კითხვას 561-მა რესპონდენტმა უპასუხა***

## • ფოტოპალიტრა • ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

______________________

______________________

______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________

ქალაქი (რაიონი) ______________



ანზორ ბალუაშვილი, ლევან მამალაძე

**„ფოტოანტიკვარში“ მონაწილეთა 45%-მა ედუარდ შევარდნაძე „ამოიცნო“. მათი აზრით, მინიშნება მომავალი მეფეობის თაობაზე, ყველაზე მეტად პრეზიდენტს შეეფერება.**

**14%-მა ამ პატარა ბიჭუნაში ვახტანგ რჩეულიშვილი „შეიცნო“, დასახელდნენ ასევე — რამაზ ჩხიკვაძე, ვანო ზოდელავა, ასლან აბაშიძე, ვლადიმირ პუტინი, ანატოლი ჩუბაისი, თემურ ჟორჟოლიანი და სხვები.**

**მხოლოდ ორმა მკითხველმა ამოიცნო მასში განუმეორებელი ოიდიპოს მეფე — ოთარ მეღვინეთუხუცესი.**





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



ოთარ მეღვინეთუხუცესი, ორი წლის

## ფოტოგანწყობა



– აკი, ბავშვები წეროებს მოჰყავთო?!

## იღბლიანი „მის ევროპა“



„მის ევროპის“ 55-ე კონკურსზე, პარიზში, ტრადიციისამებრ, არ უჩვენებიათ ეროვნული კოსტიუმები. კონკურსის ჟიურიში მიწვეულნი იყვნენ მსოფლიოში ცნობილი ადამიანები: რიკი მარტინი, ეროს რამაზოტი, „ფორმულა-1“-ის პილოტი ჟან ალეზი, ტოპ-მოდელი ინა ზობოვა...

კონკურსმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სლავ ქალებს ბადალი არა ჰყავთ. ევროპის მზეთუნახავთა ელიტაში მოხვდნენ სერბიელი, ჩერნოგორიელი და პოლონელი გოგონები. გაიმარჯვა 19 წლის უნგრელმა მოსწავლემ სიუზან ლაკიმ, რომლის გვარი ინგლისურად „იღბლიანს“ ნიშნავს.

678 ბრილიანტით მოოჭვილი გვირგვინის გარდა, სიუზენს გადასცეს 100 000 ევრო, ძვირფასი სამკაული, მსოფლიოს საუკეთესო მემოდელეთა კაბები და ორადგილიანი ტურისტული საგზური გვადელუპაში.

4/X

**პირველი მეოთხედი**

**მაგნიტური დღეებია:**

3/X 17-დან 20 საათამდე

5/X 18-დან 20 საათამდე

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები





ღამის 3 საათია. გოგონა დედას ურეკავს:

— დედა, ჩემი ქმარი ჯერაც არ დაბრუნებულა. ნეტავ, საყვარელი ხომ არ გაიჩინა?

— დამშვიდდი, შვილო. მაინცდამაინც ცუდს რატომ ფიქრობ? იქნებ რეანიმაციაშია, ანდა მორგში?!







## კურნიკოვა თანამდებობისთვის შეუფერებელი გამოდგა



ორიოდ კვირის წინ, ამერიკის პოპულარულმა სპორტულმა ტელეარხმა გადაცემის წამყვანად მიიწვია ცნობილი რუსი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა. იმედი ჰქონდათ, რუსი მზეთუნახავი უფრო მეტ მაყურებელს შესძენდა არხს. სამწუხაროდ, იმედი გაუცრუვდათ და 5 დღის შემდეგ იძულებულნი გახდნენ, სამსახურიდან დაეთხოვათ — ანა კურნიკოვა მეტად უნიჭო გამოდგა...

ახლა ჩოგბურთელი საზოგადოებაში მხოლოდ თავის სატრფოსთან, ენრიკე იგლესიასთან ერთად ჩნდება. მომღერალი დარწმუნებულია, რომ ანა სამსახურიდან გაუგებრობის გამო დაითხოვეს.

ენრიკეს მეგობრებს თვალში დიდად არ მოსდით რუსი ლამაზმანი — ანა მაინცდამაინც სახარბიელო არჩევანი არ არის პოპულარული მომღერლისთვისო.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

### 39 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№39 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 2 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54

**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი ©1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.